წინააღმდეგობის პოლიტიკა:





გამოცდილება და პერსპექტივები

EMC

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები

შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

2017

HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

კვლევა მომზადებულია პროექტის „სოციალური პროტესტი: გამოცდილება და პერსპექტივები“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორთა პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებების ამსახველად.

კვლევის ავტორები:
ნაწილი I
მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის მოქმედებები 2010-2016 წლებში – თამუნა ქებურია

ნაწილი II
კულტურული და ბუნებრივი გარემოს დასაცავად გაჩენილი სოციალური პროტესტი 2010-2016 წლებში – თათული ჭუბაბრია

კვლევის ხელმძღვანელები: ლელა რეხვიაშვილი; ლინა ღვინიანიძე;

რედაქტორი: ნინო კალატოზიშვილი
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი: 300

ISBN: 978-9941-27-589-0

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ა, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
humanrightsemc@gmail.com
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

განსაკუთრებული მადლობა

რამდენადაც კვლევითი მონაცემების სიმწირე საქართველოში სოციალური მოძრაობების შესწავლის ერთ-ერთ არსებით დაბრკოლებას წარმოადგენს, გვსურს, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მიმართ, ფინანსური მხარდაჭერისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა მოცემული კვლევის ჩატარება.

მადლობას ვუხდით ფასდაუდებელი მხარდაჭერისა და რეგულარული კონსულტაციებისთვის პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორს, ლაიბნიცის რეგიონული გეოგრაფიის ინსტიტუტიდან – ლელა რეხვიაშვილს, რომელმაც პროფესიული და აკადემიური ექსპერტიზით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კვლევის განხორციელებაში. ასევე, მადლობას ვუხდით სამეცნიერო რედაქციისთვის ურბანისტიკის დოქტორს გრან სასოს მეცნიერებათა ინსტიტუტიდან, დავით გოგიშვილს – შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ლექტორს და ანა დიაკონიძეს სოციოლოგიის დოქტორანტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

გვსურს, ასევე, მადლობა გადავუხადოთ ექსპერტებს, დამოუკიდებელ აქტივისტებს, აქტივისტთა ჯგუფებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კვლევის წარმოებისას გაწეული მნიშვნელოვანი თანამშრომლობისათვის.

მადლობას ვუხდით კვლევაში საკუთარი კონტრიბუციისთვის: ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლებს, დათო ჭიპაშვილსა და ნინო გუჯარაიძეს; „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელს, სულხან სალაძეს; ორგანიზაცია „მწვანე მუშტის“ ყოფილ აქტივისტებს, მაქი კვიციანსა და ნიკა წიქარიძეს; სვანეთში მცხოვრებ წინააღმდეგობაში ჩართულ მოქალაქეებს, ზურა ნიჟარაძეს ხაიშში; გიორგი ჩართოლანისა და მაია კახიანს მესტიაში; ნატო სუბარის, ლილე ჩხეტიანისა და გიორგი ცინდელიანს სოფელ ჭუბერსა და ნაკრაში; ასევე, ქსანი-სტეფანწმინდის რაიონში წინააღმდეგობაში ჩართულ მოქალაქეს, ზაზა წიკლაურსა და „მთის განვითარების ცენტრის“ დამფუძნებელს, შო-

თა ბუჩუკურს; „ჭიათურელთა კავშირის“ დამფუძნებელს შოთა გაფრინდაშვილს; ქალაქ ბათუმში მცხოვრებ და მოღვაწე „საზოგადოება ბათომის“ წევრებს, ირმა ზოიძეს, შოთა გუჯაბიძეს, სოფო ჟღენტსა და ნათია აფხაზავას; ბოლნისში მცხოვრებ და მომუშავე, წარსულში წინააღმდეგობაში ჩართულ მოქალაქეს, დალი მამულაშვილს; საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის გადარჩენით დაინტერესებულ აქტივისტებს, ჟურნალისტ ნინო ბურჭულაძეს და რელიგიური ორგანიზაცია „დავითიანის“ ყოფილ წარმომადგენელ გიორგი მიქანაძეს; ასევე – ხელოვნებათმცოდნეს და წარსულში წინააღმდეგობაში ჩართულ აქტივისტს, ლალი პერტენავას.

ასევე, შრომითი პროტესტის კვლევის ნაწილში გაწეული მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას (GTUC) და მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირების ორგანიზაციას. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ადგილებზე წამოდგენილ პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მათ შორის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას და მის წევრებს, იმერეთის მეტალურგიული პროფკავშირებს და მის წევრებს; ჭიათურასა და ტყიბულში წარმოდგენილ პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებს და მის წევრებს; რკინიგზელთა ახალ პროფკავშირსა და მის წევრებს; თბილისის მეტროს მემანქანეთა პროფკავშირს „ერთობა 2013-ს“ და მის წევრებს, ქსნის მინის ქარხანაში წარმოდგენილ პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას და მის წევრებს.

სარჩევი

წინააღმდეგობის პოლიტიკა 2010-2016 წლებში: კონცეპტები, თეორიები და მიგნებები 10

ნაწილი I. მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის მოქმედებები 2010-2016 წლებში 25

შესავალი 26

კვლევის მეთოდოლოგია 32

1. მშრომელთა კოლექტიური მოქმედების შემთხვევების შესწავლა – მშრომელთა წუხილი და მოთხოვნები 36

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები 39

ქუთაისის ყოფილი მეტალურგიული საამქროს მშრომელთა კოლექტიური მოქმედება 45

ჭიათურის მაღაროებსა და ქარხანა-ფაბრიკებში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები 50

საქართველოს რკინიგზაში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები 55

კაზრეთის საწარმოში მშრომელთა კოლექტიური მოქმედება 61

ქსნის მინის ქარხანაში მშრომელთა კოლექტიური მოქმედება 67

ტყიბულის შახტაში დასაქმებულ მშრომელთა კოლექტიური მოქმედება 71

თბილისის მეტროს მემანქანეთა კოლექტიური მოქმედება 76

2. სტრუქტურული ფაქტორების გავლენა მშრომელთა კოლექტიურ მოქმედებებზე 81

ეკონომიკური პოლიტიკა 82

„რადიკალური წესრიგის“ პოლიტიკა 84

შრომითი ურთიერთობის ლიბერალური პოლიტიკა და ფიქციური ინსტიტუციები 86

პროფკავშირული ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება 89

შეჯამება 93

3. კოლექტიური იდენტობის წარმოქმნა და მისი როლი მშრომელთა მობილიზებისა თუ ორგანიზების შემთხვევებში 95
საწარმოს შესახებ კოლექტიურად გაზიარებული წარმოდგენა.....96
მშრომელთა ინტერაქციისა და კომუნიკაციის სივრცეების არსებობა 99
საწარმოს ინფრასტრუქტურული მოწყობა.....102
საწარმოებში დამკვიდრებული შრომის შიდა ორგანიზების სპეციფიკა ...105
შეჯამება 107

4. მშრომელთა კოლექტიური მოქმედების რეპერტუარების შერჩევა.....109
პოსტ-რევოლუციური პერიოდის კოლექტიური მოქმედებები (2010-2011 წლები) 111
ხელისუფლების ტრანზიციის პერიოდის კოლექტიური მოქმედებები (2012-2014 წლები) 117
ახალი სამთავრობო პოლიტიკის პერიოდის კოლექტიური მოქმედებები (2016 წელი) 125
შეჯამება 135

დასკვნა 138
ბიბლიოგრაფია.....146

ნაწილი II. კულტურული და ბუნებრივი გარემოს დასაცავად გაჩენილი სოციალური პროტესტი 2010-2016 წლებში 149
შესავალი 150
კვლევის მეთოდოლოგია 158

1. ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი 161
საერთო წუხილი.....162
კოლექტიური მობილიზაციის შესაძლებლობები და საჭიროებები 167
ორგანიზებული წინააღმდეგობის შეზღუდვა 170
წინააღმდეგობის რეპერტუარი.....176

2. წიაღისეული მადნის მოპოვებით გამოწვეული დაბინძურების წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი 180
გარემოსდაცვითი პრობლემები და წინააღმდეგობის პოლიტიკის დეფიციტი 181
გარემოსდაცვითი მოთხოვნების დამასუსტებელი ეკონომიკური არგუმენტები 183
პროტესტი სუსტი სახელმწიფო მმართველობის შესახებ 186
წინააღმდეგობის რეპერტუარი 188

3. ურბანული მემკვიდრეობისა და კულტურული გარემოს ხელყოფის წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი 190
საერთო წუხილი ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვასთან დაკავშირებით 191
წინააღმდეგობის პოლიტიკის შესაძლებლობები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისას 194
წინააღმდეგობის რეპერტუარი 198

4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დასაცავად გაჩენილი სოციალური პროტესტი (საყდრისი-ყაჩაღიანის შემთხვევის ანალიზი) 201
წინააღმდეგობაში მონაწილე ჯგუფები 202
წინააღმდეგობის რეპერტუარი 206
წინააღმდეგობაში ჩართულ ჯგუფებს შორის გაერთიანების სირთულეები 208
წინააღმდეგობის პოლიტიკის შედეგები 214

დასკვნა 217
ბიბლიოგრაფია 221

ბოლოსიტყვაობა 226

დანართი 232

წინააღმდეგობის პოლიტიკა 2010–2016 წლებში: კონცეპტები, თეორიები და მიგნებები

რა ხდებოდა ოთხმოცდაათიანებში? განმეორებით ვეკითხებოდით ერთმანეთს ამ წიგნზე მუშაობის პროცესში. აქ წარმოდგენილი კვლევა კულტურის, ბუნებრივი გარემოს დამცავ და მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკას განიხილავს 2010 წლიდან მოყოლებული. თუმცა წინააღმდეგობის პოლიტიკაზე, მშრომელებისა თუ გარემოს დამცველების წუხილზე, კოლექტიური მობილიზების ფორმებსა და საფუძვლებზე საუბარი ყოველთვის რთულია ფარდობითი სურათის უქონლობის პირობებში. ძნელია, კარგად გაიგო, რატომ წუხს მუშა, თუ არ იცი, რასთან შედარებით გაუარესდა შრომითი გარემო და მატერიალური რესურსი. ღრმა თვისობრივი ინტერვიუც კი ზოგჯერ უძლურია ისტორიის დეტალების გამორკვევის პროცესში. ისტორია კი დაუწერელია. უფრო სწორად რომ ვთქვათ, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, იწერება პოლიტიკური ისტორია, იწერება „დიდი“ მოთამაშეების, „დიდი“ პარტიების, „დიდი“ სამოქალაქო პროტესტის ისტორია, და იკარგება სოციალური ისტორია. იკარგება იმიტომ, რომ არა მხოლოდ ისტორიკოსები, არამედ ანთროპოლოგები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები და ყველა სხვა, ვინც მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს შეისწავლის, ვერ ახერხებდა, განსაკუთრებით ოთხმოცდაათიანებში, „პატარა“, მარგინალიზებული აქტორების, მოძრაობების, პროცესების შესწავლას. ალბათ, ოთხმოცდაათიანებისა და ორიათასიანების სოციალური ისტორია, ინდუსტრიული სექტორის გარდაქმნის ისტორია, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ისტორია აქა-იქ შემონახულია და მედიის სისტემური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ისტორიის ამ და სხვა შრეების სისტემური შესწავლა. თუმცა ამ კვლევის პროცესში ჩვენ მსგავსი ანალიზის დრო და რესურსი არ გვქონდა სამაგიეროდ, გვინდა, 2010 წლიდან მოყოლებული წინააღმდეგობის პოლიტიკის ისტორია არ გაქრეს და გაბუნდოვანდეს დროთა განმავლობაში. ჩვენი ნაშრომის ცენტრალური მიზანიც ეს არის; გვინდა, ერთი შეხედვით „პატარა“, მაგრამ, ჩვენი აზრით, სოციალური და

პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი პროცესების ნაწილი, კონკრეტულად კი, მშრომელების, კულტურული და ბუნებრივი გარემოს დამცველების ბრძოლები აღვწეროთ, მათი მოტივები გავიგოთ, კოლექტიური მობილიზების ხელმშემწყობი და ხელის შემშლელი გარემოებები გავაანალიზოთ.

წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოების აღწერა და ანალიზი, ჩვენი აზრით, რამდენიმე კუთხით არის მნიშვნელოვანი. პირველი და ყველაზე ხელშესახები მნიშვნელობა მსგავს მცდელობას ისევ წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოებაში ჩართული მოქალაქეებისთვის აქვს. როგორც წიგნში იხილავთ, წინააღმდეგობის პოლიტიკის გამოვლენა, კოლექტიური მობილიზაცია და პროტესტი სხვადასხვა დროს და ადგილას სხვადასხვანაირად იზრდებოდა, გამოწვევებს აწყდებოდა, ზოგჯერ იმედგაცრუებას იწვევდა, ზოგჯერ მორიგი ბრძოლის დაწყების საფუძველი ხდებოდა. მობილიზაციის რეპერტუარების შეძლებისდაგვარად სისტემური აღწერა, ერთი მხრივ, კრიტიკული რეფლექსიის საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ კი, შეხსენებაა იმის, რომ, რაც არ უნდა მარტო ეგრძნოთ ზოგჯერ თავი კონკრეტულ კოლექტივებს, ჯგუფებს, ინდივიდებს სახელმწიფოს თუ კერძო კომპანიების წინაშე, რეალურად ბრძოლის საკმაოდ მრავალფეროვანი ველია გახსნილი ბოლო ათწლეულის განმავლობაში. კოლექტიური მობილიზების შემთხვევები, მობილიზებაში ჩართული აქტორები, წინააღმდეგობის რეპერტუარები, ჯგუფებს შორის სოლიდარობის გამოხატვის ფორმები მრავლდება. თავისთავად სიმრავლე არაფრის გარანტი არ არის, თუმცა წინააღმდეგობის კერების სისტემურ აღქმას ვიმედოვნებთ, მაინც აქვს მოწყვეტილობისა და ფრუსტრაციის განცდის გადალახვის შესაძლებლობა. შესაძლებელია, კვლევა მომავალში წინააღმდეგობაში ჩართულ ჯგუფებს თუ მხარდამჭერებს მათი ბრძოლის გააზრებასა და ბრძოლის სტრატეგიების გადააზრებაში დაეხმაროს.

მეორე სავარაუდო მნიშვნელობა მოცემულ კვლევას ფართოდ გაგებული სამოქალაქო საზოგადოების შიგნით არსებული ურთიერთიგნორის გადალახვისთვის შეიძლება ჰქონდეს. აქ აღწერილი წინააღმდეგობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენისთვის წარმოებული რამდენიმე ბრძოლის გამოკლებით, შედარებით იშვიათად ხდება პოლიტიკური განხილვის საგანი და მხარდაჭერასაც იშვიათად იღებს რესურსულად უფრო

ძლიერი სამოქალაქო ჯგუფებისგან. სხვა მიზეზებს შორის, ურთიერთმხარდაჭერის ნაკლებობას, ძლიერი სამოქალაქო ჯგუფების მხრიდან უფრო მარგინალიზებული აქტორების მიმართ, და ასევე თავად მარგინალიზებულ ჯგუფებს შორისაც, შესაძლებელია, ერთმანეთზე ცოდნის ნაკლებობაც განაპირობებდეს. მოცემული კვლევა აჩვენებს, რომ აქ აღწერილი ბრძოლები შეიძლება, ხილვადობას მოკლებულია, მაგრამ არაერთი გამოწვევის მიუხედავად, არაერთხელ გამოიღო გადამწყვეტი შედეგი და გარდაქმნა სოციალურ-პოლიტიკური პროცესები. ამ ბრძოლების – წინააღმდეგობის პოლიტიკის შემთხვევების – მიზეზებისა და მიზნების აღწერა და გააზრება სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვანი ჯგუფებისთვის შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი გადაკვეთის წერტილების აღმოჩენის, მოკავშირეების მოძიებისთვის. თავისთავად წინააღმდეგობრივი პოლიტიკის ლანდშაფტის დანახვა იმისთვისაც კი მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულმა ჯგუფებმა და მოძრაობებმა სხვა ბრძოლებთან მიმართებაში პოზიციონირება შეძლონ; სხვა ჯგუფებთან მიმართებაში საკუთარი წუხილის, ბრძოლის სტრატეგიების განსხვავებულობა ან მსგავსება უკეთ დაინახონ.

მოცემული წიგნის მესამე და ბოლო მნიშვნელობა მარგინალიზებულ თემებზე და პერიფერალიზებულ[1] სივრცეებში მიმდინარე პროცესებზე აკადემიური ცოდნის დაგროვებაში წვლილის შეტანაა. წინააღმდეგობის პოლიტიკის აღწერა და ანალიზი აკადემიური ცოდნის წარმოების განუყოფელი ნაწილია. როგორც ზემოთაც ვახსენეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი აკადემიური ცოდნის წარმოება პოლიტიკური ელიტების, მაკროინსტიტუტების, კონფლიქტებისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესწავლით არის დაკავებული. ამის თქმისას კონკრეტული მკვლევრების, მათ შორის, თავის ინდივიდუალურ დადანაშაულებას არ ვისახავთ მიზნად. რესურსული სიმწირის, ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ხელშეწყობის ნაკლებობის გამო, ნამდვილად არაერთი მნიშვნელოვანი პროცესი რჩება შეუსწავლელი. არსებული კვლევები სივრცითი დაფარვის თვალსაზრისითაც ხშირად შეზღუდულია, განსაკუთრებით სოციალური

1 კონცეპტი პერიფერალიზაცია კონცეპტ პერიფერულისგან განსხვავებით ხაზს უსვამს რომ პერიფერიულობა, ანუ სოციო-სივრცითი ცენტრისგან მოშორებულობა არა თავისთავადი რეალობა არამედ სოციალურად კონსტრუირებული პროცესია. ისევე როგორც ადამიანები, ან ჯგუფები არ არიან თავისთავად მარგინალები, არამედ არიან მარგინალიზირებულები, ასევე სივრცეებიც არ არიან აპრიორი პერიფერიები არამედ არიან პერიფერალიზებული.

მობილიზაციისა და სამოქალაქო აქტივიზმის შესწავლისას, ძირითადად, თბილისში მიმდინარე პროცესებზეა კონცენტრირებული. ეს, ერთი მხრივ, ასახავს რეგიონების არსებულ პერიფერალიზაციას, მეორე მხრივ, პერიფერალიზაციის კვლავწარმოებასაც უწყობს ხელს. ეს წიგნი, თავისთავად უამრავი ლიმიტის მქონე, რა თქმა უნდა, ჩამოთვლილ პრობლემებს ვერ შეეჯიდება, მაგრამ იმედი გვაქვს, მკვლევრებისთვის საგულისხმო რესურსი გახდება წინააღმდეგობის პოლიტიკის აღსაქმელად აქამდე შეუსწავლელ ქალაქებსა და რეგიონებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, მომდევნო ათწლეულებში ახალგაზრდა მკვლევრები რომ იკითხავენ, რა ხდებოდა 2010-იანებშიო, პასუხის ერთ-ერთ წყაროდ ამ წიგნსაც მიაგნებენ.

ამდენი იმედების აღწერის შემდეგ გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ, თუ წიგნს რამე მთავარი მახასიათებელი აქვს, ეს თავად წიგნის წინააღმდეგობრივი ხასიათია. ერთი, რომ ვცდილობთ, რაც შეიძლება ერთგულად და შეუმსუბუქებლად გადმოვცეთ ჩვენი რესპონდენტების, წინააღმდეგობის პოლიტიკაში ჩართული ჯგუფებისა და ინდივიდების შეფასებები, რაც თავისთავად მრავალფეროვანი და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც კია. მეორეც, ვცდილობთ, არ ავირიდოთ საკუთარი, ზოგჯერ არათანმიმდევრული შეფასებების გაზიარება, განსაკუთრებით სენსიტიური საკითხების განხილვა, რომელზეც არა მხოლოდ პატარა სარედაქციო და კვლევით ჯგუფში, არამედ ხანდახან ჩვენს თავშივეც კი არ მივსულვართ შეთანხმებასა თუ კონსენსუსამდე.

შესავლის დანარჩენი ნაწილი ორ მიზანს ემსახურება. ჯერ გაგიზიარებთ კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოს და სოციალურ მოძრაობებს, და ამ მოძრაობების შესწავლის მოკლე ისტორიას. ანუ ვცდით, ავხსნათ, რა ტერმინოლოგიას ვეყრდნობოდით, რა სახის ფენომენს ვსწავლობდით ემპირიული კვლევისას; კვლევის შედეგების აღწერის და განხილვის დროს როგორ ვახერხებდით ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას, იმ იმედით, რომ მკითხველისთვისაც შეძლებისდაგვარად გასაგები გახდეს ეს ზოგჯერ უცხო და უხერხული ენა. შემდეგ კი გაგიზიარებთ კვლევის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგებს. კვლევის შედეგები ამ შემთხვევაში მყარი და საბოლოო დასკვნები არაა. წიგნის აწ უკვე სააშკარაოზე გამოტანილი წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, შედეგების აქ მოცემული აღწერა წინააღმდეგობრივი და პრობლემური საკითხების შეჯამებაა; ყვე-

ლაზე ნაკლებად კონსენსუალურ ინტერპრეტაციებსა და დაკვირვებებთან შეჯიდების გამოწვევაა ჩვენთვის, როგორც ავტორებისა და მკითხველისთვისაც.

რატომ წინააღმდეგობის პოლიტიკა?

წინააღმდეგობის პოლიტიკა სოციალური მოძრაობების, ალბათ, ყველაზე ცნობილი მკვლევრების, ჩარლზ ტილისა და სიდნი ტეროუს დამკვიდრებული ტერმინია. ქართულ აკადემიურ, სამოქალაქო თუ პოლიტიკურ სივრცეში ეს კონცეპტი ნაკლებად გამოიყენება; ამდენად, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, აქ თავად კონცეპტი განვსაზღვროთ. მეორე მხრივ კი, ისიც ავხსნათ, თუ რატომ შეჩერდა ჩვენი კვლევა ამ ტერმინზე და არა, ვთქვათ, ისეთ ტერმინებზე, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოება, პროტესტი, ან, თუნდაც, თავად სოციალური მოძრაობა.

წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოება პოლიტიკური მონაწილეობის, ჩართულობის ერთ-ერთი ფორმაა. ეს ფორმა ბოლო ათწლეულებში დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში საკმაოდ მიღებული გახდა, მაგრამ თავისთავად ის არც არადემოკრატიულ სისტემებშია გამორიცხული და არც დემოკრატიული სისტემის ბოლომდე ინსტიტუციურად ინკორპორირებული ნაწილია. შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობის პოლიტიკა სწორედ რეპრეზენტაციული დემოკრატიების სისუსტის გამოვლინება და ამ სისუსტის დაძლევის მცდელობაა. ის იმ მოქალაქეთა იარაღია, რომელთა ხმა და სურვილებიც პოლიტიკურ სივრცეს ინსტიტუციონალიზებული გზებით – არჩევნებით, რეფერენდუმებით, მმართველ ორგანოებთან ფორმალური გაცვლის მექანიზმებით – ვერ აღწევს. ტილი და ტეროუ წინააღმდეგობრივ პოლიტიკას სამი ასპექტით განსაზღვრავენ. ერთი, წინააღმდეგობრივ პოლიტიკას ახასიათებს უთანხმოება (contention), საზოგადოების ნაწილის მხრიდან საზოგადოების სხვა ჯგუფების (მათ შორის, კერძო სექტორის) ინტერესებთან ან სახელმწიფო პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში ყოფნა და უკმაყოფილება. მეორე, წინააღმდეგობრივ პოლიტიკას განსაზღვრავს კოლექტიური მობილიზება უთანხმოების მიზეზების გასაპროტესტებლად, არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გარდასაქმნელად. მესამეც, წინააღმდეგობის პოლიტიკას სხვა სახის კოლექტიური ქმედებისგან მისი

პოლიტიკურობა, ანუ ძალაუფლების ცენტრთან, სახელმწიფო, რეგიონულ თუ მუნიციპალურ მმართველ ორგანოებთან დაპირისპირება განასხვავებს.

ჩვენი კვლევისთვის წინააღმდეგობის პოლიტიკა და მისი თანმდევი კონცეპტები – რეპერტუარი, კოლექტიური მობილიზება, უთანხმოება – ჩვენს მიერ არჩეული ემპირიული ფენომენისა და პროცესების ხასიათიდან გამომდინარე გახდა მნიშვნელოვანი. ისეთი კონცეპტები, როგორებიცაა პროტესტი ან დემონსტრაცია, ზედმეტად ვიწრო იქნებოდა კვლევაში მოცემული შემთხვევების დასახასიათებლად. პროტესტი და დემონსტრაცია უკმაყოფილების გამოხატვის ფორმა ან რეპერტუარია. კვლევაში განხილული ემპირიული მასალა კი ამ ფორმებთან ერთად კოლექტიური წუხილის მიზეზებს, წუხილის გამოხატვისა და ძალაუფლებრივ სტრუქტურებთან დაპირისპირების მეტ ფორმას ან რეპერტუარს მოიცავს, ვიდრე პროტესტია. სამოქალაქო საზოგადოება ან სოციალური მოძრაობა კი ზედმეტად ფართო კონცეპტებია წიგნში განხილული ფენომენის აღსაწერად. სამოქალაქო საზოგადოება ფორმალურ თუ არაფორმალურ ასოციაციურ ინსტიტუტებში მობილიზებული მოქალაქეების დასახასიათებელი ტერმინია. სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი შეიძლება სულაც არ იყოს წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში ჩართული და საქველმოქმედო თუ რელიგიური საქმიანობით შემოფარგლებოდეს. პუტნამის მიხედვით, მაგალითად, ჩიტებზე დამკვირვებელი ჯგუფებიც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილია. წიგნში განხილული ჯგუფების ნაწილი ნამდვილად არის სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, მაგრამ ჩვენთვის მათი ეს მახასიათებელი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი კოლექტიური მობილიზება პოლიტიკური სტრუქტურების წინააღმდეგ.

სოციალური მოძრაობა კი მდგრადი წინააღმდეგობის პოლიტიკის განმახორციელებელი კოლექტივია. წინააღმდეგობა სოციალურ მოძრაობად გარდაიქმნება და პოლიტიკის ველში შემოდის, როდესაც კოლექტიური მიზნები და პრობლემატიკა დროში ნარჩუნდება. საერთო მიზნები, კოლექტიური იდენტობა და იდენტიფიცირებადი გამოწვევები ეხმარება წინააღმდეგობას, რომ პოლიტიკური მოძრაობის სახე მიიღოს. სოციალური მოძრაობები წინააღმდეგობრივი მობილიზების გარდა, ორგანიზაციებს ქმნიან, იდეოლოგიებს ამუშავებენ, სოციალიზებას გადიან სხვადასხვა სივრცეში და მიმდევრების მობილიზებას ახდენენ, მათი წევრები კი თვითგანვითარებასა

და კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებაზე მუშაობენ. ჩვენს წიგნში აღწერილი წინააღმდეგობები რიგ შემთხვევებში გარდაიქმნა მოძრაობებად, სხვა შემთხვევებში კი ლოკალიზებულ და დროში შეზღუდულ წინააღმდეგობად დარჩა. ამ მიზეზებით შევჩერდით წინააღმდეგობრივ პოლიტიკაზე, როგორც კოლექტიური, გაზიარებული წუხილის, კოლექტიური მობილიზებისა და კონკრეტულად სახელმწიფო, პოლიტიკურ სტრუქტურებზე მიმართული მობილიზების ფენომენზე.

წინააღმდეგობის პოლიტიკას, როგორც კონცეპტს, წიგნში აღწერილი ფენომენის დასასახელებლად ვიყენებთ. თუმცა ტილისა და ტეროუს ნაშრომებს კონცეპტუალური, აღწერითი დატვირთვის გარდა, ასევე ანალიტიკური მიმართულებითაც ვეყრდნობით. ტილისა და ტეროუს თეორია პოლიტიკური შესაძლებლობების შესახებ გვეხმარება პროცესებს შორის ურთიერთკავშირის დანახვასა და ანალიზში. პოლიტიკური შესაძლებლობების თეორიის საბაზისო თეორიული არგუმენტი, ერთი შეხედვით, მარტივია, თუმცა არა სწორხაზოვანი. თეორიის მიხედვით, წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოება მეტად შესაძლებელია ისეთ დროსა და პოლიტიკურ გარემოში, სადაც რიგ მიზეზთა გამო – პოლიტიკური პლურალურობის გაჩენის, პოლიტიკური კლასის საზოგადოებრივ წუხილზე მგრძნობელობის გაზრდის, არჩევნების მოახლოების, ძალაუფლების დასუსტების ან მისი ღიაობის ზრდის პირობებში – ძალაუფლებრივი სტრუქტურები მეტად რეაგირებენ კოლექტიური მობილიზების მოთხოვნებსა და წუხილზე. რეპრესიული, კონსოლიდირებული პოლიტიკური სტრუქტურების არსებობის პირობებში კი წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოების, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ნაკლებია. მარტივად თუ ვიტყვით, წინააღმდეგობას თავისი პოლიტიკური ხელშემწყობი პირობები სჭირდება, თუმცა ეს თეორია მხოლოდ პოლიტიკური ამინდის მიხედვით არ ხედავს წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას. თავის მხრივ, წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოება ერთ-ერთი ცენტრალური გზაა პოლიტიკური შესაძლებლობების გაჩენისა. წინააღმდეგობა ასუსტებს ძალაუფლების მონოლითურობას, პასუხობს რეპრესიულობას მობილიზებით და აჩენს საზოგადოებრივი ჩართულობის მეტ სივრცეს და პოტენციალს. ისევ მარტივად რომ ვთქვათ, წინააღმდეგობა და პოლიტიკური შესაძლებლობები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთ-

განმსაზღვრელი პროცესებია. რაც მთავარია, წინააღმდეგობის პოლიტიკა თავისთავად არ ჩნდება პოლიტიკური შესაძლებლობების გაჩენისთანავე. წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოებას მობილიზებაში ინვესტირება და პოლიტიკური შესაძლებლობების გაჩენის აღქმა სჭირდება. მეორე მხრივ კი, წინააღმდეგობის პოლიტიკის გაჩენა თავისთავად პოლიტიკური შესაძლებლობების სწორ აღქმას არ მოასწავებს. პოლიტიკური აქტორების რეაქცია ყოველთვის ადვილად გათვლადი არ არის. ხშირად მობილიზებული ჯგუფები არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებენ პოლიტიკური შესაძლებლობების სიფართოვეს და წინააღმდეგობის წამოწყების შემდეგ რეპრესიას აწყდებიან. ეს რეპრესია კი თავისთავად ხან მეტ წინააღმდეგობას იწვევს, ხან ფრუსტრაციას. შესაბამისად, წინააღმდეგობის პოლიტიკისა და პოლიტიკური შესაძლებლობების ურთიერთგავლენა მრავალფეროვანი ფორმატით შეიძლება წარიმართოს და არაერთგვაროვანი შედეგები გამოიღოს.

ცხადია, რომ წინააღმდეგობის პოლიტიკის დინამიკას და წარმატების მიღწევის პოტენციალს შედარებით უფრო სტრუქტურული, დროში მდგრადი მოცემულობებიც განსაზღვრავს. მაგალითად, დემოკრატიული რეჟიმი ცხადია, უფრო ღიაა წინააღმდეგობის პოლიტიკის მწარმოებელი ჯგუფების ინტერესების დასაკმაყოფილებლად ან, სულაც, კოლექტიური წუხილის გამოხატვის დასაშვებად, ვიდრე რეპრესიული, ავტორიტარული რეჟიმი. ძლიერი, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რესურსებით მდიდარი ავტორიტარული რეჟიმი უფრო ადვილად ახერხებს რეპრესიის განხორციელებას, ვიდრე ავტორიტარული, მაგრამ სუსტი აღსრულების შესაძლებლობის მქონე. თავად წინააღმდეგობაში ჩართული ჯგუფების სტრუქტურული პოზიციონირება და ინსტიტუციური ძალაც განსაზღვრავს მათი ქმედებების შედეგებს. მაგალითად, მცირერიცხოვანი და ადვილად ჩანაცვლებადი მუშახელი ნაკლებად მოახერხებს დამსაქმებელთან პირობების წაყენებას, ვიდრე ძნელად ჩანაცვლებადი და მრავალრიცხოვანი. წინააღმდეგობის მოთხოვნების წამოყენების ინსტიტუციურ/ლეგალური გარანტიები, მაგალითად, შეკრების, პროტესტის, კოლექტიური მობილიზების უფლება თავისთავად განსაზღვრავს წინააღმდეგობის პოლიტიკის გაჩენის შანსს და ფორმატს. პოლიტიკური შესაძლებლობების თეორია სტრუქტურული გარემოებების და უფრო სპეციფიური, დროსა და კონტექტში განსაზღვრული პოლიტი-

კური შესაძლებლობების ერთდროულად და სინთეზურად შესწავლისკენ გვიბიძგებს.

როგორც იხილავთ, კვლევა ყოველთვის მხოლოდ აქ აღწერილ კონცეპტებსა და თეორიებზე არ შეჩერდება. კვლევის სხვადასხვა ნაწილში შემოდის დამატებითი თეორიული ჩარჩოები და კონცეპტები უფრო კონკრეტული ფენომენების აღსაწერად და აღსაქმელად. თუმცა პოლიტიკური წინააღმდეგობის კონცეპტი და პოლიტიკური შესაძლებლობების თეორია კვლევის ორიენტირი, ზოგადი საოპერაციო ველია, რომელსაც ყოველთვის ზედმიწევნით არ ვიყენებთ, მაგრამ მუდმივად ვითვალისწინებთ აქ მოყვანილი მრავალფეროვანი პროცესების აღსაწერად და გასაგებად.

კვლევის მიგნებების ზოგადი განხილვა

ყველაზე ზოგადი, ცენტრალური დაკვირვება წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერების გაჩენაა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ერთი მხრივ, წინააღმდეგობის მობილიზების გამრავლება გასაკვირია, ხელის შემშლელი სტრუქტურულ-ინსტიტუციური ფონის პირობებში. მეორე მხრივ კი, თუ გავითვალისწინებთ ვარდების რევოლუციის შემდგომ განვითარების მოდელს და მის ორ მნიშვნელოვან მახასიათებელს – საზოგადოებრივი ჩართულობის უგულებელყოფას და კერძო სექტორის სრულიად შეუზღუდავ/დაურეგულირებელ, შეიძლება ითქვას, აღვირახსნილ გაბატონებას წარმოებასა და ბუნებრივ რესურსებზე – წინააღმდეგობრივი მობილიზება და მისი სიმწვავე საკმაოდ ლოგიკური და გასაგები ხდება.

შესაბამისად, სანამ წინააღმდეგობის პოლიტიკისა და მისი შედეგების უფრო დეტალურ განხილვაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია, დავასახელოთ სტრუქტურულ-ინსტიტუციური ხელის შემშლელი გარემოებები და, ასევე, ის პროცესები, რამაც წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოქმნა განაპირობა. წიგნში აღწერილ ორი სახის ბრძოლას, ერთი მხრივ, მშრომელთა, მეორე მხრივ კი, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დამცველთა წინააღმდეგობრივ მობილიზებას შეიძლება ითქვას, რომ თავ-თავიანთი ხელის შემშლელი გარემოებები ახასიათებდა. საწარმოებში დასაქმებულ მშრომელთა მობილიზების განხილვისას არ შეიძლება, არ ვახსენოთ,

ერთი მხრივ, ზოგად-სტრუქტურული, მეორე მხრივ კი, ინსტიტუციური წინაპირობების განლაგება მობილიზების საწინააღმდეგოდ. სტრუქტურულ ფაქტორებში, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკისთვის ინდუსტრიული წარმოების დაბალი მნიშვნელობა და არსებულ წარმოებაში მუშახელის რაოდენობრივი სიმცირეა ხაზგასასმელი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა მიხედვით, ქვეყანაში დასაქმებული მილიონ შვიდასი ათასიდან მხოლოდ, დაახლოებით, ას ათი ათასი ადამიანია მრეწველობაში დასაქმებული. ხშირ შემთხვევაში მუშახელი საწარმოებისთვის ადვილად ჩანაცვლებადია, განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული სიღარიბისა და უმუშევრობის პირობებში. მშრომელთა მცირერიცხოვნობა, მათი შრომის მარგინალურობა და ადვილად ჩანაცვლება თავისთავად ართულებს მოთხოვნების წამოყენებას და, რაც მთავარია, პროტესტის შემთხვევაში დასახული მიზნების მიღწევას. ინსტიტუციური ხელის შემშლელი ფაქტორები კი ორგვარია. ერთს მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა, კონკრეტულად, შრომის კანონმდებლობა არ იძლევა მშრომელთა უფლებების დაცვის მაღალ გარანტებს. მეორე მხრივ, თავად მუშახელის ინსტიტუციური ძალა – მათი გაერთიანებები და პროფესიული კავშირები სუსტი და დაქსაქსულია.

რაც შეეხება ბუნებისა და კულტურის დამცავ პროტესტს, ზოგადი სტრუქტურულ-ინსტიტუციური ფონი ამ შემთხვევაშიც მძიმეა. წიგნში მოცემული კვლევის მიხედვით, განსაკუთრებით ორი ფაქტორი შეიძლება გამოიყოს. ერთი მხრივ, ზოგადი სოციალური მოწყვლადობისა და ზოგადი ეკონომიკური სისუსტის ფონზე, განვითარების პროექტებთან შეწინააღმდეგება რთული ხდება. სახელმწიფოსა და ინვესტორებისთვის ადვილია წინააღმდეგობის პოლიტიკის დისკრედიტაცია და ბუნებრივი თუ კულტურული რესურსების ექსპლუატაციის გამართლება ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მნიშვნელობის ხაზგასმით. უფრო კონკრეტულად კი, ხშირად ადგილობრივი მოსახლეობა, მათი სოციალური რეპროდუქცია, მართლაც, დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების უხეში ექსპლუატაციის გამწევ საწარმოებში დასაქმებაზე, რაც, თავისთავად, ბუნებრივი გარემოს დასაცავად მობილიზაციის შესაძლებლობას ასუსტებს. მეორე პრობლემა კი კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი გარემოს დასაცავად მობილიზებისთვის ცოდნისა და გამოცდილების უქონლობაა. შეიძლება ითქვას, რომ

არსებული მოძრაობების გამოწვევა ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული მოდელების შესახებ ცოდნის სიმწირეა. შესაბამისად, ეს მოძრაობები ცდილობენ კონკრეტული ადგილებისა და რესურსების, კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლების დაცვას, მაგრამ ამ რესურსების სხვაგვარად გამოყენების, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისა და გარემოს/კულტურის დაცვის ერთმანეთთან შეთავსების შესახებ ცოდნა და დისკუსია ლიმიტირებულია.

თუ ზოგადი ხელის შემშლელი პირობები ასეთი მწვავეა, მაშინ როგორ მოხდა, რომ ბოლო ათწლეულში წინააღმდეგობრივი მობილიზება გამრავლდა და გამრავალფეროვნდა? ამ წიგნში მოცემულ კვლევას და, ასევე, საქართველოს პოლიტეკონომიკური გარდაქმნის შესახებ არსებულ აკადემიურ ცოდნას თუ დავეყრდნობით, სამი ზოგადი მიზეზის გამოყოფა ხდება შესაძლებელი. ერთი, თავად ეკონომიკური განვითარების არადემოკრატიული და ექსპლუატაციური მოდელი გახდა წინააღმდეგობის მობილიზების მიზეზი. მეორე, პოლიტიკური რეჟიმის ფარდობითმა გახსნილობამ და პოლიტიკური შესაძლებლობების გაჩენამ კონკრეტულ პერიოდებში ხელი შეუწყო წინააღმდეგობრივ მობილიზებას. დაბოლოს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თავად წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში ჩართული ჯგუფების მიერ გაწეულმა მუშაობამ, კოალიციების შექმნის მცდელობამ, მობილიზაციის მდგრადობისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა, მობილიზაციის შესახებ დროთა განმავლობაში დაგროვილმა ცოდნამ შესაძლებელი გახადა მობილიზაციის შემთხვევებისა და რეპერტუარების ზრდა.

პირველ დასახელებულ მიზეზს, განვითარების მოდელს საქართველოში თავისი სპეციფიკური მახასიათებლები აქვს, თუმცა, ზოგადად, საუბარი გვაქვს ქვეყნის ეკონომიკის მარკეტიზაციაზე, ან კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებაზე. მარკეტიზაციის მთავარი მახასიათებელი ეკონომიკის პროდუქტული რესურსების – ადამიანის (შრომის), მიწის ან ბუნებრივი გარემოს და ფულის კომოდიფიკაცია (გასაგნება), ანუ ამ რესურსების საბაზრო სივრცეში გაყიდვადობის, საბაზრო ფასებზე დაქვემდებარების პროცესია. იმის მიუხედავად, რომ სოციალისტურიდან კაპიტალისტურ მოწყობაზე გადასვლა საქართველოში, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, თითქოს ადრეულ 90-იან წლებში იწყება, ამ პერიოდის ეკონომიკურ მოწყობას კაპიტალიზმს ვერ ვუწოდებთ. რე-

ალურად 90-იანებში სახელმწიფოს და ასევე საბაზრო ინსტიტუტების სისუსტის პირობებში გარკვეული ინსტიტუციური ვაკუუმი გაჩნდა, დაინგრა არსებული, მაგრამ ახალი ეკონომიკური მოწყობა არ ჩამოყალიბებულა. მარკეტიზაცია საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდგომ იწყება, როდესაც სახელმწიფო გაძლიერდა, დაიწყო კერძო საკუთრების განსაზღვრად ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რესურსებისა და საწარმოების პრივატიზება. მარკეტიზაციას არამხოლოდ საქართველოში არამედ პრინციპში ყველა მარკეტიზაციას დაქვემდებარებულ საზოგადოებაში მოჰყვება ხოლმე წინააღმდეგობა. ქართული კონტესტის სპეციფიკა კი ის არის, რომ მარკეტიზაცია ჩქარი ტემპით და რეგულაციის გარეშე მიმდინარეობდა, რამაც კერძო სექტორს რესურსების ულიმიტო, შეუზღუდავი გამოყენებისა და სრულიად დაუცველი მუშახელის ექსპლუატაციის შესაძლებლობა მისცა. თავისთავად, ის ფაქტორი, რომ მარკეტიზაციის პროცესის დაწყებამდე მოსახლეობა ღარიბი, ეკონომიკა კი განადგურებული იყო, არ აბათილებს მარკეტიზაციის დაწყებით გამოწვეულ სოციალურ, კულტურულ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მძიმე შედეგებს.

მოცემული კვლევის შედეგები, განსაკუთრებით კი წინააღმდეგობის მობილიზაციის გამომწვევი მიზეზების შესწავლა ცხადს ხდის ამ მობილიზაციის სწორედ დაურეგულირებელი მარკეტიზაციის წინააღმდეგ მიმართულ ხასიათს. მშრომელთა შემთხვევაში პრივატიზებული საწარმოების ხელმძღვანელობის მხრიდან მშრომელთა უფლებების ხელყოფა, დათხოვნა, ხელფასების სიმწირე, სამუშაო პირობებისა და უსაფრთხოების დაუცველობა ხდებოდა პროტესტის არსებითი მიზეზი. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის შემთხვევაში კი, აქტივიზმში ჩართული პირები აპროტესტებდნენ რესურსების ისეთ გარდაქმნას და გამოყენებას, ძირითადად, კერძო ინვესტორების მხრიდან, რომელიც ხშირად არსებული კულტურული მემკვიდრეობის განადგურებას, ბუნებრივი გარემოს საცხოვრებლად უვარგისად გარდაქმნას, ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკურ დისლოკაციას, მათი საცხოვრებელი სივრცის, სიმბოლურად თუ სოციალურად მნიშვნელოვანი ადგილების დაკარგვას იწვევდა. ეს ბრძოლა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა და სახელმწიფო თუ კერძო ინტერესების მიერ მარკეტიზაციის ლეგიტიმაციის მთავარ არგუმენტს – ეკონომიკური ზრდის, კომერციული ინტერესის მნიშვნელობას ყველა სხვა ინტერესის, ადამიანის

სოციალური და კულტურული გარემოს შემქმნელი ყველა სხვა ღირებულების გადათელვის, უგულებელყოფის ხარჯზე.

წინააღმდეგობის მობილიზების ზრდის მეორე მიზეზად პოლიტიკური რეჟიმის ზოგადი ღიაობა და კონკრეტულ პერიოდებში პოლიტიკური შესაძლებლობების ზრდა დავასახელეთ. კონკრეტულად, პოლიტიკური შესაძლებლობის ზრდის ან შეკვეცის დეტალების განხილვამდე ორი, დროსა და სივრცეში ფარდობითი საკითხი შეიძლება დავასახელოთ წინააღმდეგობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელად. ერთი, საქართველო სამაგალითო დემოკრატიული სისტემისგან ძალიან შორს არის, მაგრამ იმის ფონზე, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რეგიონული მასშტაბით ბოლო ათწლეულში საკმაოდ მყარი და რეპრესიული ავტორიტარული რეჟიმები ჩამოყალიბდა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც დემოკრატიული ინსტიტუტების მოშლა და ნეოფაშისტური ძალების გაძლიერება მიმდინარეობს, საქართველოს პოლიტიკური სისტემა ფარდობითად საკმაოდ ღია და ნაკლებად რეპრესიულ სისტემად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მეორეც, თავად საქართველოში დროთა განმავლობაში წინააღმდეგობის პოლიტიკის ზრდა არა მხოლოდ ნეგატიურმა მიზეზებმა, არამედ, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად, დადებითმა მოვლენამ, სახელმწიფოს ძლიერების, ძალაუფლების აღსრულების უნარის ზრდამაც განაპირობა. თუ 90-იანებში და 2000-იანების პირველ ნახევარში სახელმწიფო სუსტი და არაფორმალურ, ხშირად კრიმინალურ დაჯგუფებებთან შეზრდილი იყო, 2000-იანების მეორე ნახევრიდან მოყოლებული მოსახლეობის მიერ სახელმწიფო სტრუქტურების ძალაუფლების შედარებით ავტონომიურ ცენტრად აღქმა იწყება. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფო იმდენად მაინც გაძლიერდა, რომ მასთან შეწინააღმდეგებამ, მოთხოვნების წაყენებამ, მნიშვნელობა შეიძინა.

წიგნში მოცემული კვლევა 2010 წლიდან მოყოლებული ამ ზოგადი სურათის დეკონსტრუქციის, დროში ცვალებადი პოლიტიკური შესაძლებლობების დინამიკის აღქმის საშუალებას გვაძლევს. 2010-2012 წლებში, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს სახელმწიფო რეპრესიულობის დონე და მმართველი გუნდის ხელში ძალაუფლების კონსოლიდაციის დონე შემდგომ პერიოდთან შედარებით უფრო მაღალი იყო. ამ პერიოდში წინააღმდეგობის მობილიზების გამოცდილებაც ნაკლებად იყო დაგროვილი. მიუხედავად ასეთი პირობებისა, რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობის

პოლიტიკის წარმოება შესაძლებელი ხდებოდა პოლიტიკური შესაძლებლობის დროებითი ზრდისას, მაგალითად, არჩევნების მოახლოების პერიოდში. 2012 წელს ხელისუფლების ცვლამ, ზოგადად, მოსახლეობაში პოლიტიკური შესაძლებლობების ზრდის მაღალი მოლოდინი გააჩინა. წიგნში შესწავლილი ჯგუფების, მშრომელები და გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის დამცველები არჩევნების შემდეგ განსაკუთრებით აქტიურდებიან. ეს მოლოდინი, თავის მხრივ, მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამართლებული. ახალი მთავრობა, ერთი მხრივ, შეიძლება, ნაკლებად რეპრესიული იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, თავიდან ირიდებდა წარმოქმნილ კონფლიქტებში ჩარევას, მობილიზებულ ჯგუფებთან დიალოგში შესვლას. სახელმწიფოს ასეთმა პოზიციონირებამ ორგვარი შედეგი გამოიღო. ერთი, რიგ შემთხვევებში ამას წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში ჩართული ადამიანების ფრუსტრირება და იმედგაცრუება, შესაბამისად, წინააღმდეგობის დროებითი შენელება მოჰყვა. მეორეც, სხვა შემთხვევებში მოხერხდა სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკით გამოწვეული იმედგაცრუების გადალახვა, და ნაკლებრეპრესიული გარემოს გამოყენება წინააღმდეგობრივი მობილიზაციის შემთხვევების გასამრავლებლად. 2016 წლის დასაწყისიდან მოყოლებული მშრომელთა მობილიზაციის შემთხვევები გახშირდა, და მთავარია, მოხდა ალიანსების ზრდა და კონკრეტული მობილიზების გამომწვევი წუხილის დაკავშირება საყოველთაო სტრუქტურულ მიზეზებთან.

წინააღმდეგობის პოლიტიკის განმსაზღვრელი ბოლო და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი თავად ამ პოლიტიკაში ჩართული ჯგუფებისა და ინდივიდების მრავალწლიანი შრომა და ბრძოლაა. წიგნში მოცემული წინააღმდეგობის პოლიტიკის მწარმოებელი ჯგუფების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე (რომელიც მოიცავს როგორც კონკრეტული წიაღისეულის მოპოვებით ეკოლოგიური მდგომარეობის დამძიმების თუ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის შედარებით არაფორმალურ გაერთიანებებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს, აქტივისტთა ჯგუფებს, პირველად პროფესიულ კავშირებს თუ პროფესიულ კავშირთა გაერთიანებას), რთულია მობილიზებაში ჩადებული მონდომებისა და მობილიზების რეპერტუარების ერთიანი დახასიათება. თუმცა კვლევიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მძიმე სტრუქტურულ-ინსტიტუციურ პირობებშიც კი, აქ აღწერილმა ჯგუფებმა, წარმოებაში ჩართულ-

მა მშრომელებმა და ბუნებრივი და კულტურული რესურსების დამცველმა ჯგუფებმა უდიდესი სამუშაო გაწიეს წინააღმდეგობის პოლიტიკის რეპერტუარების გასამრავალფეროვნებლად, დომინანტური განვითარების ნარატივების საწინააღმდეგო ნარატივების გამოსანახად, კონკრეტული, ლოკალური და კონტექსტუალური წუხილის ზოგად სოციალურ უსამართლობასთან კავშირის ხაზგასასმელად. წლების მანძილზე გამართული მობილიზების შედეგების ყველაზე უკეთესი ასახვა 2016 წელს წარმართული მშრომელთა პროტესტის თვისობრივი განსხვავებულობაა. 2010-იანების დასაწყისთან შედარებით 2016-2017 წლებში საგრძნობი გახდა მშრომელებზე ორიენტირებული და მწყობრი წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოების ზრდა, სამოქალაქო ჯგუფების ერთმანეთთან დაკავშირება, კონკრეტულ შემთხვევებში ძალების გაერთიანება და მედიის მეტი დაინტერესება. შეიძლება ითქვას, რომ: ბოლო წლებში ცხადი გახდა კოლექტიური მობილიზების ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება,

სხვა კითხვაა, რამდენად შეცვალა ამ მობილიზებამ სტრუქტურული გარემო, რამდენად შეამსუბუქა განვითარების არსებული მოდელის შედეგად გაჩენილი საზოგადოებრივი უთანასწორობები. მსგავს კითხვაზე პასუხს არსებული კვლევა ვერ იძლევა, თუმცა შეგვიძლია, ვთქვათ, რომ – ზოგჯერ პოლიტიკური შესაძლებლობების არქონის პირობებში, ზოგჯერ პოლიტიკური შესაძლებლობების გახსნისას ამ შესაძლებლობების დანახვით და გამოყენებით – მობილიზებამ რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს მიაღწია. ერთი, წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოებას ფარდობითად მოეხსნა დევიაციური სტიგმა. ანუ მოხდა პროტესტისა და წინააღმდეგობრივი მობილიზების მეტ-ნაკლები ნორმალიზაცია, მისი მიღება პოლიტიკური დღის წესრიგის განუყოფელ ნაწილად. მეორეც, გაიზარდა სოციალური პრობლემების საჯარო სივრცეში ხილვადობა; დაიწყო ლოკალური პრობლემების საერთო სტრუქტურული გამომწვევი მიზეზების ახსნა და გამოიკვეთა სოლიდარობისა და მხარდაჭერის სივრცეები. დაბოლოს, მობილიზებამ გაზარდა პოლიტიკური შესაძლებლობების სივრცე; ხელისუფლებას ფარდობითად შეუზღუდა პროტესტის სრული უგულებელყოფის ან დროში შენარჩუნებადი მწვავე რეპრესიის შესაძლებლობები. და მგონი, გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს შედეგები ცოტა სულაც არ არის.

ლელა რეხვიაშვილი

მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის მოქმედებები 2010–2016 წლებში

ნაწილი I

შესავალი

კვლევა „მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის მოქმედებები 2010-2016 წლებში“ სწავლობს საქართველოს მასშტაბით იმ კოლექტიური წინააღმდეგობის აქტებს, რომელთა ინიციატორები და ორგანიზატორები სხვადასხვა საწარმოში დასაქმებული მშრომელები იყვნენ. კვლევის მიზანია მშრომელების მიერ დანახული იმ რეალობის რეკონსტრუქცია, აღწერა და ანალიზი, რომელიც მათ კოლექტიური მოქმედების ორგანიზებისკენ, სხვადასხვა ძალაუფლებრივ სტრუქტურასთან დაპირისპირებისკენ, წინააღმდეგობის განსხვავებული სტრატეგიების გამოყენებისა თუ მოთხოვნების წამოყენებისას გარეშე აქტორების მხარდაჭერის მოპოვებისკენ უბიძგებდა.

კვლევითი პუბლიკაცია კოლექტიური მოქმედების უშუალო მონაწილე მშრომელთა მონათხრობს ეყრდნობა, სადაც რესპონდენტების ნარატივები და კოლექტიური მოქმედების შესახებ მათი ისტორიები კვლევის ძირითად წყაროს წარმოადგენს. მონაცემების შეგროვებისას კოლექტიური მოქმედების პროცესებში უშუალოდ ჩართული, ხშირად ლიდერის როლში მყოფი პირების ინტერვიუირება, მათი მძაფრი განცდები და მოგონებები განსაკუთრებულად ორგანულს ხდიდა კვლევის პროცესს, რომლის მიზანიც და უპირატესობაც სწორედაც რომ კოლექტიური მოქმედებების უშუალო მონაწილე და მოვლენათა სრული განვითარების მოწმე მშრომელთა დამოკიდებულების, მათ მიერ დანახული რეალობისა თუ პრობლემად აღქმული ფაქტორების შესწავლა იყო.

კვლევაში გამოყენებული კონცეფტები

კვლევის ინტერესია სოციალური მოძრაობების კონცეპტების გამოყენებით მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის იმ შემთხვევების გამოვლენა და შესწავლა, რომლის დროსაც მშრომელები უპირისპირდებოდნენ ჩაგვრის, ექსპლუატაციისა და სუბორდინირების პრაქტიკას თუ მის გამომწვევ წყაროებს, რათა მოეთხოვათ ცვლილებები და შეემსუბუქებინათ თავიანთი ყოფა. ამ მიზნით, კვლევით პუბლიკაციაში გამოყენებულია

რამდენიმე ანალიტიკურ-თეორიული კონცეპტი, რომლებიც საშუალებას იძლევა, კოლექტიურ მოქმედებებზე გავლენის მქონე ფაქტორების ერთ კატეგორიაში მოქცევისა თუ ერთ კონცეპტამდე დავიწროების ნაცვლად, მოახდინოს მათი გავრცობა, გარეშე თუ შიდა ფაქტორების სახესხვაობის ხაზგასმა და ამ გზით მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის მოქმედებების კომპლექსური ბუნების წარმოჩენა. კვლევით პუბლიკაციაში შეხვდებით ისეთ კონცეპტებს, როგორებიცაა:

- *მობილიზების განმაპირობებელი წუხილი,* რომელიც განსხვავდება ინდივიდუალური წუხილისგან და ფართო ჯგუფის მიერ გაზიარებულ წუხილს წარმოადგენს;
- *მშრომელთა კოლექტიური ორგანიზება და კოლექტიური მობილიზება* ტექსტში განსხვავებული შინაარსით გამოიყენება – კოლექტიური ორგანიზება გულისხმობს იმ აქტივობების ციკლს, რომელსაც მშრომელები კოლექტიურ მობილიზებამდე მიმართავდნენ – წუხილის საჯაროდ არტიკულირება, მოთხოვნების წამოყენება, საწარმოს ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების მოთხოვნა და ა.შ. კოლექტიურ მობილიზება კი გულისხმობს მშრომელთა კოლექტიურ და ღია წინააღმდეგობას პროტესტის, გაფიცვის, მჯდომარე აქციისა თუ დემონსტრაციების ორგანიზების გზით. კოლექტიური მოქმედება კი ამ ორი მოვლენის გამაერთიანებელ ქოლგა კონცეპტს წარმოადგენს.
- *სოციალური სტრუქტურა* გულისხმობს სხვადასხვა ინსტიტუციის, მექანიზმისა თუ ძალაუფლებრივი ერთეულის მტკიცე ერთობას, რომელიც განაპირობებს კონკრეტულ დროსა თუ სივრცეში მოქმედ სოციალურ წესრიგს, ძალაუფლებრივი კავშირების ბუნებას თუ რეალობის სპეციფიკურობას.
- *კოლექტიური იდენტობა* წარმოადგენს „ჩვენ“ კატეგორიას და აგენტობის კოლექტიურად გაზიარებულ შეგრძნებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ფართო ჯგუფის ერთი ინტერესის ქვეშ გაერთიანებას თუ მათ მონაწილეობას წინააღმდეგობის კოლექტიურ მოქმედებებში.
- *კოლექტიური მოქმედების რეპერტუარები* მშრომელთა ორგანიზების, ძალთა კონსოლიდირების, წინააღმდეგობრივ დაპირისპირებაში შესვლისა თუ ერთობლივად მოქმედების სხვადასხვა ფორმას და დრამატურგიას გულისხმობს.

გარდა ჩამოთვლილისა, კვლევით *პუბლიკაციაში ხშირად შეხვდებით ისეთი კონცეპტებს, როგორებიცაა: პოლიტიკური შესაძლებლობა, დისკურსული შესაძლებლობა, რესურსების მობილიზება, კავშირების გაბმა, სოლიდარობის დაფიქსირება* და ა.შ. რომლებიც სოციალური მოძრაობის თეორიაში ფართოდ დამკვიდრებული ტერმინებია და მათი ოპერაციონალიზება თავად პუბლიკაციაში, ტექსტში კონტექსტუალურად ხდება.

თეორიული ჩარჩო

ზემოთ ჩამოთვლილი კონცეპტების გამოყენებით, საკვლევი შემთხვევების შესწავლა იმ პერსპექტივით წარიმართა, რომელიც სცდება კოლექტიური მოქმედებების გამომწვევი მიზეზების ლოკალურ ახსნას და მას მხოლოდ დასაქმების ადგილზე წარმოდგენილ შიდა დინამიკას, ლიდერების როლს თუ მშრომელების მხრიდან მომენტალურად გააზრებულ რეალობას არ უკავშირებს – იქნება ეს მოულოდნელად დამდგარი უსამართლობის მძაფრი განცდის, ჩაგვრისა და ექსპლუატირების ახალი პრაქტიკის დაწესების, თუ ახალი რესურსების გაჩენის საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტები, – არამედ ამ შემთხვევებს ფართო სტრუქტურულ კატეგორიებში ათავსებს, სადაც, გარდა წინააღმდეგობის პროცესში უშუალოდ ჩართული პირებისა, კოლექტიური მოქმედებების წარმოქმნასა თუ მისთვის მიმართულების მიცემაზე ასევე ზემოქმედებს ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა: ქვეყანაში არსებული სოციოეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფოს პოლიტიკა, საკანონმდებლო დონეზე არსებული რეგულაციები, სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა, მშრომელთა მოლაპარაკების ძალა (bargaining power), მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შესახებ არსებული საზოგადოებრივი დისკურსი თუ კერძო მეწარმეთა პოზიციონირება. თავის მხრივ კი ეს კატეგორიები უფრო ზოგადი, მაკროსისტემებით განისაზღვრება, როგორებიცაა გლობალური პოლიტიკა, კაპიტალისტური წარმოების წესი თუ მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის მონაწილე სახელმწიფოთა ძალა, რომელიც, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკას, მათ დღის წესრიგს და ამ სახელმწიფოში მცხოვრები საზოგადოების კეთილდღეობის ხარისხს.

თუმცა ეს მიმართება მაკროსისტემებსა და საზოგადოებას შორის ცალმხრივი არაა. საზოგადოებები, რომელთა კეთილდღეობის დონე ეცემა და სოციალური დაცულობის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს მათ დაცულობას, პერიოდულად დაპირისპირებაში შედიან მათთან შემხებლობაში მყოფ ძალაუფლებრივ სტრუქტურებთან (დამსაქმებელთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, მთავრობასთან, სახელმწიფოს ორგანოებთან და ა.შ.) და მათთან წინააღმდეგობის ბრძოლის გაჩაღებით ცდილობენ კეთილდღეობისა თუ სოციალური დაცულობის მოპოვებას. ამ საააზროვნო პერსპექტივებით აღჭურვილი, შრომითი პროტესტის შესახებ კვლევის თეორიულ ჩარჩოდ კარლ პოლანის მიერ შემოთავაზებული „ორმაგი მოძრაობის“ თეორია იქნა გამოყენებული, რომელიც საზოგადოებაში წარმოქმნილი წინააღმდეგობის პოლიტიკას თუ წინააღმდეგობის კოლექტურ მოქმედებებს, რომელიც მოძრაობის ერთი მხარეა, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალისტური წესრიგისა თუ თავისუფალი ბაზრის ლოგიკის შეუქცევად შეჭრას საზოგადოებრივ სფეროში, რომელიც მოძრაობის მეორე საპირისპირო მხარეა, განიხილავს, როგორც სოციალური მოძრაობებისა თუ საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ისტორიის ფუნდამენტურ საფუძველს. ამ პროცესში კი სახელმწიფოებრივი ინსტიტუციები თუ სახელმწიფოს პოლიტიკა მთავარ გამშუალებელს წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზების ორი სხვადასხვა მიდგომის დაწესებას შორის – ესაა, ერთი მხრივ, ეკონომიკური ლიბერალიზმის, თავისუფალი ბაზრისა და, შესაბამისად, ეკონომიკური სფეროს სოციალურზე დომინირების მიდგომა, მეორე კი – სოციალური დაცულობისა და ბაზრის რეგულირების, რომელიც მეტწილად უზრუნველყოფს საზოგადოების დაცვას კაპიტალიზმის მრავალმხრივი ექსპანსიისგან (Polanyi 1957).

შესაბამისად, მშრომელთა შესწავლილი კოლექტიური მოქმედებები, რომლებიც, ერთი შეხედვით, სპორადულად მიმდინარე და ერთმანეთისგან ატომიზებული შემთხვევებია, და მათ შორის არსებული კავშირის დანახვა ძნელად თუ შესაძლებელი, რეალურად, ერთი ლოგიკის თუ საერთო მოტივის მქონე წინააღმდეგობის აქტების ჯაჭვს წარმოადგენს, სადაც კერძო მეწარმესა თუ სახელმწიფოსთან დაპირისპირება, რეალურად, კაპიტალისტურ წესრიგსა თუ თავისუფალი ბაზრის ლოგიკასთან დაპირისპირებაში შესვლის ტოლფასია.

კვლევითი პუბლიკაციის სტრუქტურა

მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შესახებ კვლევა ოთხ თავად არის ორგანიზებული. პირველი თავი წარმოადგენს 2010 წლიდან 2016 წლამდე ორგანიზებული კოლექტიური მოქმედებების შემთხვევათა მოკლე ქრონოლოგიურ აღწერას, სადაც მიმოხილულია დამსაქმებლისა თუ საწარმოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია, საწარმოებში წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების ისტორია და მათი მონაწილეობა მშრომელთა კოლექტიურ მოქმედებაში, მშრომელთა კოლექტიური მოქმედების ლოკალური მიზეზები, მშრომელთა წუხილი, მათი მოთხოვნები და კოლექტიური მოქმედების შედეგად დამდგარი ცვლილებები.

მეორე თავი სწავლობს მშრომელთა წუხილისა და კოლექტიური მოქმედებების პროვოცირების სტრუქტურულ მიზეზებს. ასევე, იმ გარემოებებს, რომლებიც აფერხებდა კოლექტიური მოქმედებების ეფექტიანობას და ასუსტებდა მშრომელთა ძალას. აქ განხილულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: სახელმწიფოს პოლიტიკა, სოციოეკონომიკური ფონი, შრომისა და სოციალური დაცვის კანონმდებლობა და ა.შ..

კვლევის მესამე თავი სწავლობს მშრომელების კოლექტიური იდენტობის ფორმირების საკითხს და მის მნიშვნელობას კოლექტიური მოქმედების ორგანიზებისა თუ წარმართვისას. მოცემული თავის ფოკუსში ექცევა ისეთი თემები, როგორებიცაა საწარმოს შესახებ კოლექტიურად გაზიარებული წარმოდგენები, მშრომელთა ინტერაქციისა და კომუნიკაციის სივრცეების არსებობა, საწარმოს შიდა ინფრასტრუქტურული მოწყობა თუ საწარმოებში არსებული შრომის ორგანიზების სპეციფიკა, რომლებიც განსაზღვრავს მშრომელთა კოლექტიური იდენტობის ფორმირებას და მათი კონსოლიდაციის დონეს.

კვლევის ბოლო თავში გაანალიზებულია მშრომელთა კოლექტიური მოქმედებებისას გამოყენებული რეპერტუარების ფორმები და მათი შერჩევის განმაპირობებელი ფაქტორები. მოცემული თავი სწავლობს მშრომელთა კოლექტიური მოქმედებისას გამოყენებული რეპერტუარების განსხვავებულ ფორმებს, მშრომელთა წინააღმდეგობაში სტრატეგიული და ტაქტიკური სვლების გამოყენებას და, ასევე, კოლექტიური მოქმედებების რეპერტუართა მოდიფიცირების, მრავალფეროვნებისა და განვითარების დინამიკას.

კვლევითი პუბლიკაციის დასკვნით ნაწილში მოცემულია კვლევის შეჯამება, სადაც თავმოყრილია ყველა მნიშვნელოვანი მიგნება, აღმოჩენა თუ მათი პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც მოცემული კვლევის თავდაპირველ მიზნებს პასუხობს.

კვლევის მეთოდოლოგია

პუბლიკაცია წარმოადგენს თვისებრივი მეთოდის გამოყენებით წარმოებულ კვლევას მშრომელთა ორგანიზებულ კოლექტიურ მოქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც 2010-2016 წლებში მიმდინარეობდა. კვლევა განხორციელდა სამაგიდო მიმოხილვისა და ინტერვიუების მეთოდით, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა დასაქმების რვა სხვადასხვა ადგილზე მშრომელთა ათი კოლექტიური მოქმედების შემთხვევა.

აღნიშნული კვლევა თავს უყრის მშრომელთა კოლექტიური მოქმედების პროცესების მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებებს და შეფასებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა გახდა მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკის წამოწყებისა თუ მასში მონაწილეობის მთავარი მიზეზი, თითოეული ინციდენტის შემთხვევაში; რა გზებით ხდებოდა მშრომელთა ორგანიზება თუ მობილიზება; რა იყო ის ძირითადი წუხილი თუ მოთხოვნა, რომლის ირგვლივაც მშრომელები 2010-2016 წლებში მობილიზდებოდნენ; და რა კავშირი ჰქონდა ამ წუხილს პოლიტიკურ, სოციოეკონომიკურ თუ სტრუქტურულ მოცემულობასთან.

კვლევის საგანი

კვლევა საქართველოს მასშტაბით სწავლობს 2010-2016 წლებში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებებს, სადაც კვლევის საგანი დასაქმების ფორმალურ სექტორში მშრომელთა კოლექტიური მობილიზების შემთხვევებია. პუბლიკაციაში განხილულია ინდუსტრიულ-სამრეწველო, სამთო-მოპოვებით და სატრანსპორტო (რკინიგზა, მეტრო) სექტორებში მიმდინარე მშრომელთა კოლექტიური მოქმედები.

მნიშვნელოვანია იმის განმარტება, რომ კვლევის საგანი განისაზღვრა კვლევის წინასწარ შემუშავებულ მიზანთან შესაბამისობაში, რომლის თანახმადაც, უნდა შერჩეულიყო ისეთი კოლექტიური მობილიზების შემთხვევები, რომლებიც ხასიათდებოდა მწყობრი, ორგანიზებული და სტრუქტურულად გამართული შიდა დინამიკით თუ საჯარო პოზიციონირებით. აქედან გამომდინარე, კვლევის საგნად განისაზღვრა მშრომელთა კო-

ლექტიური მოქმედების ისეთი შემთხვევები, სადაც წარმოდგენილი იყო ფართო ჯგუფში გაზიარებული წუხილი, ერთობლივად წამოყენებული მოთხოვნები, კოლექტიურად გაზიარებული იდენტობა, ერთი ან რამდენიმე გამოკვეთილი ლიდერი და მობილიზების მონაწილეები მოქმედებდნენ კონსოლიდირებული სტრატეგიებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზებული მოქმედებების მიღმაც მშრომელთა არაერთ წინააღმდეგობის მოქმედებას თუ პროტესტს ჰქონია ადგილი საკვლევი პერიოდის განმავლობაში, რომლებიც მოცემული კვლევის საგნის მიღმა დარჩა[1].

საკვლევი შემთხვევების გამოვლენა

საკვლევი შემთხვევების გამოვლენა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე ჩატარდა სამაგიდო კვლევა, რომელიც მოიცავდა მედიამონიტორინგს, მეორადი წყაროების გაცნობას და, ასევე, საკვლევ სფეროში მთავარი აქტორების გამოვლენას. მეორე ეტაპზე გამოვლენილ აქტორებთან, კერძოდ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC), მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა დარგობრივი პროფესიული კავშირისა და პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან მოეწყო პირისპირ ინტერვიუები, საკვლევი შემთხვევების წინარე დაზუსტების მიზნით. შრომის თემაზე მომუშავე აქტორებთან და ექსპერტებთან ჩატარებული პირველადი ინტერვუების საფუძველზე, და ასევე კვლევის საგნიდან გამომდინარე, 2010-2016 წლებში ინდუსტრიულ-სამრეწველო, სამთო-მოპოვებით და სატრანსპორტო (რკინიგზა, მეტრო) სექტორებში საერთო ჯამში გამოვლინდა 19-მდე კოლექტიური მოქმედების შემთხვევა (იხ. **დანართი I**).

1 აღნიშნულს ეხება რკინიგზის ახალი პროფკავშირების ერთ-ერთი ლიდერის განმარტება: „სადაც პროფკავშრი ან მუშების მიერ ორგანიზებული რაღაც ტიპის ერთობა არ იყო, იქ უცებვე ჩაქრა ეს დავები და უცებვე მოგვარდა.. როგორ მოგვარდა, არც ვიცით. შეიძლება უამრავი გამოსვლები იყო ან გზის მშენებლობაზე, ან მილსადენების გაყვანაზე, მაგრამ იმიტომ, რომ არ იციან, როგორ დაქოქონ პროტესტი, როგორ გაერთიანდნენ, რომ გაერთიანება აუცილებელია და არ იციან, როგორი ორგანიზება გაუკეთონ, ეგეთი წინააღმდეგობები მთავრდება ერთ საათში და ორ საათში... ასეთ პროტესტებს ვერც ვერაფერი ვერ მოყვება, შეიძლება დადგნენ მუშები და ერთი ან ორი საათით გზა გადაკეტონ ან მუშაობა გააჩერონ, მაგრამ განვითარება აღარ აქვს და შედეგს ვერ დებენ“.

საკვლევი შემთხვევების შერჩევა

საკვლევი შემთხვევების შეირჩევისთვის, ერთის მხრივ მოხდა შრომის საკითხებზე მომუშავე აქტორების პრეფერენციების გათვალიწინება, ხოლო მეორეს მხრივ კოლექტიური მოქმედებების უშუალო მონაწილე მშრომელების მიერ პრიორიტეტულად დასახელებული შემთხვევების იდენტიფიცირება. შედეგად, სამაგიდო კვლევის, შრომის სფეროში მოღვაწე აქტორებისგან მიღებული საექსპერტო ცოდნის და თავად პროცესების მონაწილე მშრომელთა პირად გამოცდილების ურთიერთდაკავშირების გზით მოხდა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების გამოვლენილი 19 შემთხვევიდან ათი ისეთი შემთხვევის შერჩევა, რომლებიც ყველაზე უკეთ ასახავდნენ ქვეყანაში არსებულ მშრომელთა მდგომარეობის სურათს და მშრომელთა კოლექტიური მოქმედებებისას წამოჭრილი ტენდენციების სახასიათო ილუსტრაციას წარმოადგენდნე (იხ. **ცხრილი 1**).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შემთხვევა, რომელიც 2016 წლის მეორე ნახევარში მოხდა, სოფელ ზვარეში სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებული მშრომელების პროტესტი, ვერ მოექცა შესწავლილ შემთხვევებს შორის, სხვადასხვა რესურსული ლიმიტაციიდან თუ დროითი შეზღუდვიდან გამომდინარე.

მონაცემების შეგროვება და ანალიზი

მონაცემების შეგროვების ეტაპზე, კერძოდ, აპრილი-ივნისის პერიოდში პირველადი მონაცემების შეგროვების მიზნით გამოიკითხა 35 ადამიანი, ჩაღრმავებული პირისპირ ინტერვიუს გზით (იხ. **დანართი II**). კვლევაში მონაწილეობა მიიღეს წინააღმდეგობრივ ქმედებებში უშუალოდ ჩართულმა ადამიანებმა, რომელთა უმეტესობაც საწარმოებში წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრია, ხოლო ზოგიერთი მათგანი – აღნიშნული ორგანიზაციის ყოფილი ან მოქმედი თავჯდომარე. კვლევაში ასევე მონაწილეობდნენ საწარმოებში დასაქმებული ისეთი მშრომელები, რომლებიც კოლექტიური მობილიზების პროცესში არ იყვნენ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების წევრები. კვლევის მონაწილეები მიზნობრივი შერჩევის გზით განისაზღვრა და მათი ვინაობა კონფიდენციალურია.

რაც შეეხება მონაცემების ანალიზის ეტაპს, გამოყენებულ იქნა ინტერვიუების აუდიოჩანაწერების გაშიფვრისა და თემატური კოდირების მეთოდი. საკითხის შესწავლისა და ანალიზის პროცესში ასევე დამუშავდა სხვადასხვა სახის ლიტერატურული მასალა და კვლევითი სტატია. მათ შორის: თეორიული სახელმძღვანელოები სოციალური მოძრაობების შესახებ; თეორიული ლიტერატურა წარმოების, შრომისა და მშრომელთა მდგომარეობის ისტორიული, სოციალური თუ პოლიტეკონომიკური განზომილების შესახებ და, ასევე, კვლევები, ანგარიშები თუ აკადემიური სტატიები საქართველოს სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, შიდამმართველობით თუ სოციოეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ცხრილი 1: შესწავლილი კოლექტური მობილიზების შემთხვევები

#	დროითი პერიოდი	მშრომელთა კოლექტიური მოქმედების შემთხვევ(ები)ა
1	2010	ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოს მშრომელთა კოლექტიური მოქმედება
2	2011	ქუთაისის მეტალურგიული საამქროს მშრომელთა კოლექტიური მოქმედება
3	2012-2013	ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოს მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების ციკლი
4	2012	ჭიათურის მაღაროებსა და ქარხანა-ფაბრიკებში დასაქმებულ მშრომელთა კოლექტიური მოქმედება
5	2012-2013-2014	საქართველოს რკინიგზაში მშრომელთა კოლექტიური მოქმედების შემთხვევების ციკლი
6	2014	კაზრეთის კარიერებზე და ქარხანა-ფაბრიკებში დასაქმებულ მშრომელთა კოლექტიური მოქმედება
7	2014	ჭიათურის მაღაროებსა და ქარხანა-ფაბრიკებში დასაქმებულ მშრომელთა კოლექტიური მოქმედება
8	2016	ქსნის მინის ტარის ქარხნის მშრომელთა კოლექტიური მოქმედება
9	2016	ტყიბულის შახტებსა და ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებულ მშრომელთა კოლექტიური მოქმედება
10	2016	თბილისის მეტროს მემანქანეთა კოლექტიური წინააღმდეგობის პოლიტიკა

1. მშრომელთა კოლექტიური მოქმედების შემთხვევების შესწავლა — მშრომელთა წუხილი და მოთხოვნები

მშრომელები 2010 წლიდან 2016 წლამდე განსხვავებული მიზეზებით ორგანიზდებოდნენ, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მათი წუხილი დაბალ ანაზღაურებას, შრომის მძიმე პირობებსა და შრომითი კანონმდებლობის თუ შრომის ბაზრის ლიბერალიზაციას უკავშირდებოდა. მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ისინი კოლექტიურ მოქმედებებში ებმებოდნენ და სხვადასხვა ძალაუფლებრივ ინსტიტუციასთან შედიოდნენ დაპირისპირებაში. კოლექტიური მოქმედებებისას მშრომელთა წინააღმდეგობის ეფექტურობას ქვეყანაში არსებული სოციოკონომიკური მოცემულობა, კოლექტიური მოქმედებების ორგანიზებისთვის დაწესებული ბარიერები და საწარმოებზე მათი მაღალი ფინანსური დამოკიდებულება განაპირობებდა. ამას ემატებოდა, ერთი მხრივ, მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული საბანკო ვალდებულებები[2] (საბანკო თუ სამომხმარებლო სესხები, იპოთეკა, განვადება და ა.შ.), რომელიც მშრომელებს ყოველთვიურ ფულად შენატანს ავალდებულებდა, ხოლო მეორე მხრივ, გაფიცვისას მათი ფინანსური შემოსავლით უზრუნველყოფის არარსებული თუნდაც მინიმალური გარანტიები, როგორიცაა საგაფიცვო ფონდის მიერ სამუშაოს გაცდენილი დღეების ნაწილობრივი კომპენსირება, თუ საწარმოს დავალდებულება ანაზღაურების უწყვეტობასთან დაკავშირებით.

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკისა და ისტორიის მკვლევარი სტივენ ჯონსი, 2013 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ საქართველოში 90-იანი წლებიდან დაწყებულ შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტი-

2 საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2015 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიო ქვეყნებს შორის მე-4 ადგილზეა, კომერციული ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის რაოდენობით, სადაც 1000 ადამიანიდან, მათ დაანგარიშებით, 680-ს საბანკო ვალდებულება აკისრია. იხ: Borrowers from commercial banks (per 1,000 adults), International Monetary Fund, Financial Access Survey, 2015

კის რესტრუქტურიზაციის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ე.წ. ტრანზიციის შემდეგ მშრომელთა მდგომარეობა საქართველოში სამმა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანმა ტენდენციამ განსაზღვრა: უკონტროლო დეინდუსტრიალიზაციამ, უმუშევრობის ინტენსიურმა ზრდამ და არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობისა თუ თვითდასაქმებულთა რაოდენობის მაღალმა წილმა. აღნიშნული გარემოება კი, მისი განმარტებით, ამძიმებდა მშრომელების უფლებრივ მდგომარეობას და ასუსტებდა მათ სტრუქტურულ ძალას (ჯონსი 2013).

აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან 2016 წლამდე უმუშევრობის დონე საქართველოს მასშტაბით 16.3%-იდან 11.8%-მდე შემცირდა[3], თუმცა, ამის მიუხედავად, კვლავ მაღალი დარჩა თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რომელმაც 2016 წელს დასაქმებული მოსახლეობის 57.6% შეადგინა[4]. დასაქმებულად მოხსენიებული მოსახლეობიდან კი მხოლოდ 42,4% იყო გაფორმებული დაქირავებულ მშრომელად, რომელთაგან 45,0% სოფლის მეურნეობის სექტორში იყო დასაქმებული, 43,6% – სერვისის სექტორში და მხოლოდ 11.3%_ ინდუსტრიულ სექტორში[5] (იხ. **ფიგურა 1**), სადაც თვიური ანაზღაურება სხვა სექტორებთან შედარებით უფრო მაღალი იყო, თუმცა, თუ მას ერთ შინამეურნეობაზე საშუალო თვიური ხარჯის 2016 წლის სტატისტიკას შევადარებთ, ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებული მშრომელის თვიური ანაზღაურება მის შესაძლო ხარჯს მაინც ჩამორჩებოდა. უმუშევრობის მაღალ დონესა და დაბალ ანაზღაურებასთან ერთად მაღალი რჩებოდა სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის რაოდენობაც[6], რამაც, 2016 წლის მონაცემებით, ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის 16,9%, ხოლო სოფლად მცხოვრებთა 25,5% შეადგინა[7].

3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202016_GEO.pdf

4 იქვე

5 Employment by sector – ILO modelled estimates, Nov. 2016

6 2017 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაიწყო სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლების გამოქვეყნება. აბსოლუტური სიღარიბის მეთოდოლოგია ეფუძნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ „საბაზისო მოთხოვნილებების მეთოდს“. საბაზისო მოთხოვნილებების მეთოდი ითვალისწინებს სიღარიბის ზღვრის განსაზღვრას შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის მონაცემების საფუძველზე. სიღარიბის ზღვრის გაანგარიშება ეფუძნება შრომისუნარიანი მამაკაცისთვის რეკომენდებული კალორიების მინიმალური რაოდენობის ღირებულებას (წყარო: საქსტატი).

7 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

ფიგურა 1. დასაქმებული მოსახლეობის განაწილება



შესაბამისად, დასაქმების ადგილებზე მაღალი კონკურენცია, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ სოციალურად დაუცველ მშრომელთა დიდი რაოდენობა და მძიმე სოციოეკონომიკური მდგომარეობა ასუსტებდა რეალურ სექტორში (კერძოდ, ინდუსტრიულ და სატრანსპორტო) დასაქმებულთა სოციალურ თუ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მათ სტრუქტურულ ძალას. სტივენ ჯონსი წერს: „თუ გავითვალისწინებთ სამსახურის უზრუნველყოფაში ასეთ ვარდნას, დაბალ ხელფასებს და არასათანადო დაცულობას, მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ არ ჩნდება მოსახლეობაში პროტესტის გრძნობა შრომითი პირობებისა თუ ხელფასების გამო. დამსაქმებელთან დაპირისპირება სახიფათო იქნება მომსახურისთვის“ (ჯონსი 2013, 180). ჯონსის ამ ვარაუდს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჯერ კიდევ 2010 წლიდან წარმოქმნილი მშრომელთა წინააღმდეგობების მოქმედებები, სადაც მშრომელები შეუძლებლობის პირობებში, ძალთა კონსოლიდირებით და გარე აქტორების მხარდაჭერით, ახერხებდნენ ძალაუფლებრივ სტრუქტურებთან დაპირისპირებაში შესვლას, მოთხოვნების წამოყენებას და, გარკვეულ შემთხვევებში, მათ დაკმაყოფილებასაც კი. შესაბამისად, მშრომელთა კოლექტიურად წამოწყებული წინააღმდეგობები და სამართლიანობისა თუ კეთილდღეობისთვის ბრძოლის პო-

ტენციალი, მიუხედავად ისტორიული პერიოდისა თუ სოციოეკონომიკური მოცემულობისა, ყოველთვის რჩებოდა ძალაუფლებრივი წესრიგის შერყევისა თუ ახალი წინააღმდეგობის კერების გაჩენის საფრთხედ.

კვლევამ ცხადყო, რომ 2010-2016 წლებში საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილ საწარმოებში მშრომელები არაერთხელ იყვნენ კოლექტიური მოქმედების ინიციატორები. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა დაპირისპირება საწარმოს ადმინისტრაციასთან, უსამართლობის განცდა, მოლოდინის გაცრუება, შიში, დაუცველობა და ა.შ. არაერთხელ გამხდარა ფართომაშტაბიანი მობილიზების მიზეზი. კვლევის მოცემული ნაწილი სწორედ ამ შემთხვევებს მიმოიხილავს, როდესაც ანალიზისთვის ცენტრალურ კონცეპტად მშრომელებში ინდივიდუალურად წარმოქმნილი წუხილის კოლექტიურ წუხილად გარდაქმნის პროცესია გამოყენებული – შრომითი პროტესტის შემთხვევაში, ისევე, როგორც სოციალური მოძრაობისას, წუხილი მშრომელებში თავდაპირველად ინდივიდუალურ დონეზე წარმოიქმნება და შემდეგ ფართო ჯგუფში გაზიარების კვალდაკვალ ხდება მისი გარდაქმნა კოლექტიურ წუხილად, რაც საბოლოო ჯამში უბიძგებს მშრომელებს, ჩაერთონ კოლექტიურ წინააღმდეგობაში და მოითხოვონ ცვლილებები (D. Snow 2013). მოცემულ თავში შესწავლილია მშრომელთა ორგანიზებისა თუ მობილიზების განმაპირობებელი წუხილი, კოლექტიური მოქმედებებისას მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები და შედეგები. დამატებით შესწავლილია საწარმოებში თუ დასაქმების ადგილზე წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების როლი და ჩართულობა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებებში.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები

ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც იმერეთის მხარის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ ზესტაფონში მდებარეობს, 1300 კვ.მ-ზე მეტ ტერიტორიაზეა განფენილი[8]. საწარმოს პრივატიზება 2003 წელს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე პირდაპირი

8 ზაზანაშვილი, ნანო; კალანდარიშვილი, ლევან. საქართველოს ინდუსტრიული მემკვიდრეობა. ჭიათურა-ზესტაფონი-ფოთის ინდუსტრიული წრედი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, თბილისი, 2015.

მიყიდვის ფორმით ავსტრიულ კომპანია „დისიემზე“ (DCM DEKOmetal international Trading Gmbh) განხორციელდა[9]. ის 2006 წლიდან შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელობაში იყო რეგისტრირებული, ხოლო დღეის მდგომარეობით, მას შპს „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი“ ფლობს. ფეროშენადნობთა ქარხანა რეგიონში ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია, 1800-მდე დასაქმებულით[10].

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

რესპონდენტების თანახმად, ფეროშენადნობთა ქარხანაში *პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია*[11] „სოლიდარობა“ თავდაპირველად 2007 წელს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC), მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა *დარგობრივი პროფესიული კავშირის*[12] ხელშეწყობით და ინიცირებით დაფუძნდა. „სოლიდარობა“ 2008 წელს დაიშალა და მის ბაზაზე საწარმოს ადმინისტრაციამ შექმნა ე.წ. „ყვითელი პროფკავშირები“[13], რომელიც დღემდე მოქმედებს და ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. ამის მიუხედავად, 2009 წელს ზესტაფონის ფეროში პროფკავშირების გაერთიანების (GTUC) ინიცირებით, ხელახლა დაარსდა ზესტაფონის *პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია,* რომელიც, რესპონდენტების განმარტებით, მალევე გაფორმდა მაღალი ლეგიტიმაციის მქონე მუშათა დამოუკიდებელ გაერთიანებად. ახალი პირველადი პროფკავშირუ-

9 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №321 2003 წლის 29 ივნისი, თბილისი.

10 წყარო: კომპანიის ვებგვერდი – http://www.gaalloys.com/index.php/about-gaa/gm/zestafoni;

11 პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც ნებაყოფლობით აერთიანებს ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მომუშავე პროფკავშირის წევრებს, მოქმედებს შესაბამისი პროფესიული კავშირის წესდებით და პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის დებულებით. წყარო: საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ; მუხლი 3. ძირითადი ცნებები

12 პროფესიული კავშირი, რომელიც ნებაყოფლობით აერთიანებს საქართველოს ეროვნული მეურნეობის ერთი ან რამდენიმე მონათესავე დარგის საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში მომუშავე პროფკავშირის წევრებს და მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. წყარო: საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ; მუხლი 3. ძირითადი ცნებები

13 საწარმოს ან კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი მუშათა გაერთიანება, რომელიც მართული ან გაკონტროლებულია საწარმოს ხელმძღვანელების თუ ადმინისტრაციის მიერ და არ წარმოადგენს მუშათა დამოუკიდებელ გაერთიანებას. მსგავსი მუშათა გაერთიანება არ წარმოადგენს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულ თუ მხარდაჭერილ მუშათა კავშირს, ხოლო გარკვეულ ქვეყნებში კომპანიებში ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილი მუშათა გაერთიანების შექმნა კანონდარღვევად არის მიჩნეული (იხ. ILO-ს კონვენცია 98, პუნქტი 2 -http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312243)

ლი ორგანიზაციის შექმნის შემდეგ ამ გაერთიანების წევრები და ლიდერები ეტაპობრივად დაეუფლენ პროფკავშირული საქმიანობის სხვადასხვა თანამედროვე ცოდნას თუ პრაქტიკას. *„ვერც ერთი ორგანიზება ვერ მოხდებოდა, იმიტომ, რომ ამას ყოველთვის უნდა რესურსი, შემზადება, ცოდნა. სწორედ პროფკავშირული მუშაობით გააქტიურდა ხალხი“* აცხადებს აქ წარმოდგენილი ადგილობრივი პროფკავშირების დამფუძნებელი და კომიტეტის წევრი.

2010 წლის მშრომელთა მობილიზების შემთხვევა

2010 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ადგილი ჰქონდა მშრომელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოლექტიური მობილიზების შემთხვევას, რომელსაც რეპონდენტები მოიხსენიებენ, როგორც „უპრეცედენტოს“: *„ეს გაფიცვა იყო უპრეცედენტო, მანამდე მსგავსი ტიპის პრეცედენტი არ ყოფილა, რომ ესე ეფექტურად დაგეგმილიყოს ყველაფერი, სულ რაღაც 3 დღეში მოვგვარდით, მოთხოვნების უმეტესობაც დაგვიკმაყოფილეს, და თან ორი განთავისუფლებული თანამშრომლიც სამსახურში დაგვაბრუნეს“* (რესპოდენტი #6)

ზესტაფონში 2010 წლის კოლექტიური ორგანიზების მთავარი მიზეზი ორი „უდანაშაულო“ მშრომელის უმიზეზო და გაუფრთხილებელი გათავისუფლება გახდა. რესპონდენტების განცხადებით, იმ პერიოდში პროფკავშირების ლიდერებმა ეს გარემოება ეფექტიანად გამოიყენეს. ისინი აქტიურად ჩაებნენ მშრომელთა ორგანიზების პროცესში, სადაც სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლების ინდივიდუალურ წუხილზე აპელირებით, შექმნეს სხვა წუხილის არტიკულირების სივრცეც: *„პირველ აპრილს სრულიად გაუფრთხილებლად დაითხოვეს სამსახურიდან ორი თანამშრომელი – ერთი იყო სასაწყობე მეურნეობაში და მეორე მუშაობდა საკაზმე საამქროში. ამათ დათხოვნის გამო დავიწყეთ მობილიზება. ამით უკმაყოფილების ყუთს თავი მოვხადეთ და იქიდან ჯინი ამოვარდა“* (რესპოდენტი #7)

კოლექტიური წუხილის გაზიარებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა საწარმოს მშრომელებს შორის წლების განმავლობაში აკუმულირებული ინდივიდუალური წუხილი დაუცველობის შეგრძნებასთან, დაბალ და არასაკმარის ანაზღაურებასა თუ უსამართლობის სისტემურ განცდას-

თან დაკავშირებით. სწორედ ამ გარემოებას ითვალისწინებდნენ მშრომელთა მობილიზებაში ჩართული აქტორები, როდესაც ინდივიდუალური წუხილის გარდაქმნას ცდილობდნენ მობილიზების განმაპირობებელ წუხილად:

> „ჩვენ ამისთვის [მობილიზებისთვის] იმ დროს გამოვიყენეთ წამხედურობის რესურსი, წამხედურობა-წამბაძველობა – აი, იმან თუ გააკეთა, მოდი, მეც გავაკეთებ; იმას თუ არ ეშინია, მე რატომ უნდა მეშინოდეს? იმხელაზე წამოიწია მესიჯმა „ჩვენ არ გვეშინია“ და ისე იმოქმედა, რომ ყველანი ჩვენსკენ წამოიყვანა, უნდოდა-არ უნდოდა, ქალიან-კაციანად ყველა გარეთ გამოვიდა. ყველამ გაითავისა, რომ ხვალ შეიძლება თვითონ ყოფილიყო გაუფრთხილბლად განთავისუფლებული და რომ ეს საერთო საფრთხეს წარმოადგენდა“ (რესპოდენტი #8)

საბოლოო ჯამში, 2010 წლისთვის ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში დაიწყო მშრომელთა საყოველთაო გაფიცვა, სადაც *ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენდა 1) გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენა, 2) ხელფასის ზრდა, 3) სამუშაო პირობების გაუმჯობესება, 4) უვადო ხელშეკრულებების გაფორმება და 5) ღამის საათების განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება.* პროფესიული კავშირების ეფექტიანი მუშაობის, მშრომელთა საყოველთაო ჩართულობისა და გაფიცვის ლიდერების მიერ პროცესების სწორად წარმართვის შედეგად, გაფიცვის ორგანიზებიდან მალევე, მე-3 დღეს მშრომელებსა და ადმინისტრაციას შორის შედგა შეთანხმება, რომლითაც მშრომელთა მოთხოვნების უმეტესობა დაკმაყოფილდა – ხელფასის და საპრემიო განაკვეთის კორექტირება, ღამის საათების ანაზღაურების 6%-ით გაზრდა, უკლებლივ ყველა თანამშრომელთან უვადო ხელშეკრულების გაფორმება და გაფიცვისას გაცდენილი სამუშაო დღეების ანაზღაურება.

2012–2013 წლების მშრომელთა მობილიზების შემთხვევა

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში 2012 და 2013 წლის კოლექტიური მობილიზების შემთხვევები, რესპონდენტების განცხადებით, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოქმედებებია. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს გაფიცვისას, ისევე, როგორც 2010-ში, პროცესებში აქტიურად იყო ჩართული პირველადი პროფესიული ორგანიზაცია, თუმცა 2012 წლის შემთხვევაში გაფიცვა არაპროფკავშირელი მშრომელების მიერ იყო ინიცირებული:

> „2012-ში პროფკავშირი არ ყოფილა მოთავე, ხალხიდან წამოსული იყო ეს მუხტი, დაგროვილი იმ უკმაყოფილების ფონზე, რომ ხელფასები ძან დაბალი იყო და სამუშაო პირობები ძან მძიმე. უბრალოდ მერე ჩვენ [პროფკავშირის წარმომადგენლებმა] ამას გავუკეთეთ ხელმძღვანელობა, რომ კანონის ფარგლებში ჩამჯდარიყო და არ დარღვეულიყო კანონი. [..] 2013 წლის შემთხვევაში კი პროფკავშირის ჩართულობით მოხდა გაფიცვის ორგანიზება“(რესპოდენტი #9)

2012 წელს მობილიზების განმაპირობებელი წუხილი დაბალი ანაზღაურება გახდა: *„ხელფასი იყო მთავარი წუხილი. 2010 წლის გაფიცვაზე მოხდა ხელფასის 23% მატება, მაგრამ 2012-ში ეს ზრდა უკვე არაფერს არ ნიშნავდა“* (რესპოდენტი #9). იქვე სხვა რესპონდენტიც 2012 წლის მობილიზების საკითხს შემდეგი დეტალებით განმარტავს: *„ფაქტიურად ხალხმა თვითონ დაგეგმა ყველაფერი. ეს დაიგეგმა ავტობუსში, რომელიც სოფლებიდან მოდიოდა. დაგეგმა მეორე ბრიგადამ, რომელსაც ცხოვრებაში არ დაუგეგმია არაფერი, რადგან ყოველთვის პირველი ბრიგადა იყო საქმის დამწყები“* (რესპოდენტი #10) რესპონდენტების განცხადებით, მოცემულ შემთხვევაში 8 საათზე დაანონსებული გაფიცვა იმავე დღეს 5 საათზე დასრულდა ხელფასის 25% და პრემიის 10%-ით ზრდის შეთანხმებით. თუმცა, ამის მიუხედავად, მიღწეულ შეთანხმებას მოგვიანებით სრული აღსრულება არ მოჰყოლია:

„იქ {მოლაპარაკების მაგიდასთან} მაინც მოხდა ერთი ჩეპე, რომ ამ [პრემიის] 10%-ზე არ ჩამოვიდა ხელმოწერილი დოკუმენტი. მე ყოველთვის ვაპელირებდი მყარ გარანტიებზე, რომ იყოს ხელმოწერილი დოკუმენტი. ანუ გადააგდეს ხალხი ამ 10%-იან მატებაზე, 10%-იან პრემიერებაზე გადააგდეს.. და ამას მოყვა მერე 2013-ის გაფიცვაც“ (რესპოდენტი #10)

როგორც ციტატიდან ირკვევა, 2013 წლის მობილიზების განმაპირობებელი ფაქტორი 2012 წელს მიღწეული შეთანხმების დარღვევა გახდა. გარდა ამისა, რესპონდენტების განმარტებით, მშრომელთა მობილიზებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საწარმოს მხრიდან სატრანსპორტო მომსახურების შეწყვეტის მუქარამ და კოლექტიური შეთანხმების გაფორმების გაჭიანურებამ. ფეროშენადნობთა ქარხნის მშრომელებში ამ ახლად გენერირებული წუხილის მობილიზების წუხილად გარდაქმნას პირველადი პროფკავშირების ორგანიზაციის ჯგუფი შეეცადა და ისინი 2013 წლის იანვრიდან მშრომელთა კოლექტიური ორგანიზების პროცესში ჩაერთვნენ. რესპონდენტების განცხადებით, 2013 წლის გაფიცვის მთავარი ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელსაც მშრომელებმაც აუბეს მხარი და მაისში საწარმო გაიფიცა.

2013 წლის საგაფიცვო პროცესმა 2 კვირაზე მეტხანს გასტანა. გაფიცვიდან მხოლოდ მე-12 დღეს გამოთქვა ადმინისტრაციამ მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობაზე თანხმობა[14]. *შეთანხმება შედგა კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებაზე, საპრემიო სისტემის 8,6%-ით გაზრდაზე, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების 1.5-ჯერ მომატებასა და მშრომელთა სადაზღვევო პაკეტის გაუმჯობესებაზე, ასევე, საწარმოს ადმინისტრაცია დასთანხმდა სატრანსპორტო მომსახურების შენარჩუნებას.*

მეორე მხრივ, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების მიღმა დარჩა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, 2013 წლის 2-კვირიანი გაფიცვისას გაცდენი-

14 მნიშვნელოვანი გარემოება 2013 წლის მშრომელთა კოლექტიური მოქმედების მოვლენებთან დაკავშირებით იყო საწარმოს ადმინისტრაციის მხრიდან წინასწარი მზაობა გაფიცვასთან დაკავშირებით: „ფსიქოლოგიურად ისინი [საწარმოს ადმინისტრაცია] ჩვენზე მეტი მომზადებულები დაგვხვდნენ. იმათმაც უკვე გამოიმუშავეს იმუნიტეტი, რომ, რაც უფრო მეტხანს გააჭიანურებდნენ, მით უფრო გატყდებოდა პროტესტი“ (რესპოდენტი #6).

ლი დღეების ანაზღაურება, რის შესრულებაზეც ადმინისტრაციამ უარი განაცხადა. რესპონდენტების თქმით, ამ გარემოებამ, კერძოდ, *„მყისიერი სარგებლის დაკარგვამ“,* მშრომელებში დაჩრდილა მიღწეული შედეგების მნიშვნელობა და უარყოფითად იმოქმედა გაფიცვასა და კოლექტიურ მოქმედებასთან დაკავშირებულ განწყობაზე. სწორედ ეს გარემოება გახდა, რესპონდენტების თანახმად, 2016 წლის მაისში ფეროშენადნობთა ქარხანაში დაანონსებული გაფიცვის ჩაშლის ერთ-ერთი მიზეზი, სადაც, მიუხედავად წინასწარ გაწეული სამუშაოებისა, გაფიცვა მაინც ვერ შედგა.

შეჯამება

ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში მშრომელთა მობილიზებას, ძირითადად, განაპირობებდა წუხილი დაბალ ანაზღაურებაზე, შრომის პირობებსა და საპრემიო განაკვეთზე. მშრომელები ასევე აქტიურად იბრძოდნენ ზეგანაკვეთური შრომის, ღამის საათებისა და სადღესასწაულო დღეებში მუშაობის ზეგანაკვეთური ანაზღაურების მოპოვებისთვის. ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოს მშრომელთა მობილიზების შემთხვევებში აქტიურად იყო ჩართული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, თუმცა ხშირ შემთხვევაში რადიკალური მოქმედებების ინიციატივა რიგით მშრომელებში გენერირდებოდა. ზესტაფონში კოლექტიურ მოქმედებაში ჩართული მშრომელები ხშირად აღწევდნენ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, თუმცა ზოგჯერ მაინც უწევდათ საწყისი მოთხოვნების კორექტირება და შედარებით მცირე შეთავაზებებზე დათანხმება.

ქუთაისის ყოფილი მეტალურგიული საამქროს მშრომელთა კოლექტიური მოქმედება

იმერეთის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ ქუთაისში არსებული მეტალურგიული საამქრო „ჰერკულესი“, რომელიც ქალაქ ქუთაისის ყოფილი ბეტონის საწარმოს ბაზაზე შეიქმნა, 2009 წლის სექტემბერში ამოქმედდა[15]. აქ კერძო მესაკუთრედ ქართულ-ინდური კომპანია შპს „ევრაზიან სტილსი“ იყო წარმოდგენილი და ის 500-მდე ადამიანს ასაქმებ-

15 http://www.2tv.ge/ge/news/view/1670.html

და, რომელთაგან, რესპონდენტების თანახმად, 150 ინდოეთის მოქალაქე იყო, ხოლო დანარჩენი როგორც ადგილობრივი, ქუთაისის რეგიონის მკვიდრი, ასევე სხვადასხვა რეგიონიდან წარმოდგენილი მშრომელები. რესპონდენტების განცხადებით, საწარმოში ყოველთვის იკვეთებოდა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ინტერესები, რომლებიც პერიოდულად სტუმრობდნენ საწარმოს და მუშაობის პროცესს მედიაპიარისა თუ პირადი ინტერესებისთვის იყენებდნენ.

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

ქუთაისის მეტალურგიულ საამქროში წუხილი 2010 წლიდან გაჩნდა და ის თავდაპირველად არსებული სახელფასო ბადის შეცვლას დაუკავშირდა, რაც დასაწყისში მშრომელებისთვის სასურველ პირობას ქმნიდა იქ დასაქმებისთვის, თუმცა მას შემდეგ, რაც 2009 წლის ბოლოს ფინანსური მართვა ახალმა ადმინისტრაციულმა ჯგუფმა გადაიბარა, 2010 წლიდან ხელფასმა ინტენსიურად დაიწყო კლება. ამის საპასუხოდ რამდენიმე თვეში საამქროში სპონტანურად გაიმართა მშრომელთა პირველი კოლექტიური წინააღმდეგობა, რომელიც ადმინისტრაციამ მალევე ჩაახშო, ხოლო იქ წარმოდგენილ ლიდერთა და გაფიცვის მოთავეთა ნაწილს 20-დღიანი პატიმრობა შეეფარდა. რესპონდენტის განცხადებით, სპონტანურად მობილიზებულთა მთავარი წუხილი ხელფასის კლება იყო: *„ხელფასების მატებაზე კი არ იყო მოთხოვნა, რაც ქონდა ხალხს დანიშნული, ის მაინც რომ აეღოთ, მაგაზე იყო საუბარი და ამის გამო გამოვიდა ერთ დაძახებაზე ყველა გარეთ [გარეთ გამოსვლაში იგულისხმება გაფიცვა]“* (რესპოდენტი #2)

2010 წლის მოვლენების შემდეგ საამქროს მშრომელებს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC) მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა დარგობრივი პროფესიული კავშირის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და 2010 წლის აგვისტოში საამქროში შეიქმნა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, სადაც თავდაპირველად 60 მშრომელი გაერთიანდა. ამ ახლად შექმნილმა მშრომელთა ერთობამ, რამდენიმე გამოკვეთილ ლიდერთან ერთად და დარგობრივი პროფკავშირების დახმარებით, აქტიურად დაიწყო პროფკავშირული საქმიანობა, მშრომელებისთვის მათი უფლებების გაცნობა, შეხვედრების

ორგანიზება, ახალი წევრების მიზიდვა, ინდივიდუალური წუხილის ფართო ჯგუფებში განხილვა და დიალოგების გამართვა. პარალელურად პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია ოფიციალური პროცედურების დაცვით შეეცადა საწარმოს ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების წარმოებას. მთავარ საკითხებად წამოყენებული იყო შემდეგი მოთხოვნები: *1) საწყისი სახელფასო ბადის დაბრუნება, 2) შრომითი პირობების გაუმჯობესება, 3) სველი და სასადილო წერტილების მოწყობა და 4) სამუშაო გრაფიკის დარეგულირება*[16].

2011 წლის მშრომელთა მობილიზების შემთხვევა

მოლაპარაკების წარმოებისა და მედიაციის გზით საკითხის გადაჭრის მცდელობის მიუხედავად, რესპონდენტების თქმით, ადმინისტრაცია მშრომელთა წუხილს სრულიად უგულებელყოფდა, რაც კიდევ უფრო მეტად ძაბავდა ვითარებას: *„კომუნიკაცია კი არა, პასუხს არ გაგცემდა არავინ ელემენტარულად. ბოლოს ამდენი წერილების გზავნის მერე მართლა არაფერს არ ვთხოვდით, უბრალოდ გამოდით გველაპარაკეთ-თქო, ვწერდით. აი, ეს კომუნიკაციის ნაკლებობა და არად ჩაგდება გახდა კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც დაძაბა სიტუაცია“* (რესპოდენტი #1)

გარდა კომუნიკაციის დეფიციტისა, ვითარების ესკალაცია გამოიწვია 2-საათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვის შემდეგ (სადაც თავდაპირველად მშრომელთა მცირე ჯგუფი იღებდა მონაწილეობას) ადმინისტრაციის მხრიდან იმ თანამშრომლთა სამსახურიდან დათხოვნამ, რომელთა უმეტესობა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრებს წარმოადგენდნენ და წინააღმდეგობის პროცესების ლიდერებად იდენტიფიცირდებოდნენ:

16 სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებით რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ სამუშაო პროცესი იყო 24-საათიანი, სადაც ცვლები 12 საათის განმავლობაში უწყვეტად მუშაობდნენ. აღნიშნულ არაადამიანურ შრომის გრაფიკთან დაკავშირებით, რესპონდენტების განცხადებით, ცვლის ჯგუფებში მშრომელებს თავის არიდების შიდა მექანიზმები ჰქონდათ შემუშავებული:
„თუ სამსახურიდან ერთი-ორი დღით დათხოვნა გინდოდა, გამორიცხული ამბავი იყო, იმდენი საბუთები უნა შეგვესო, იმდენ ვინმეს უნდა მოეწერა ხელი, და მერე ან გაგიშვებდნენ ან არა და ამასობაში ის ერთი-ორი დღეც გადოდა. ამიტომ ასეთ შემთხვევებში შიგნით გვქონდა მოლაპარაკებული, რომ ერთმანეთის საშვები მიგვქონდა პერიოდულად, შესასვლელთან მაინც იმხელა რიგი იყო ხოლმე და ეს უფროსებიც სახეზე ვერ გვცნობდნენ, ჩაგდები იმის [ვინ სამსახურს აცდენდა] საშვს, და არ გიფიქსირდებოდა გაცდენა“ (რესპოდენტი #2)

„მას შემდეგ, რაც პროფკავშირების კომიტეტი შეიკრიბა და დამტკიცდა, მალევე დაორგანიზდა გამაფრთხილებელი 2-საათიანი გაფიცვა და ამის შემდეგ ადმინისტრაცია 10-მდე წევრს ანთავისუფლებს სამსახურიდან. ეს უფრო მეტად ძაბავს სიტუაციას, აქ დიალოგზე საუბარი უკვე შეუძლებელი გახდა. ეს იყო პიკი ზუსტად, 13 სექტემბრის დილა, როდესაც დაიწყო გაფიცვა და 3 დღე გაფიცულები ვიყავით“ (რესპოდენტი #3)

შესაბამისად, წუხილი ხელფასზე, მძიმე შრომითი პირობებზე, ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის დეფიციტსა და თანამშრომლთა უმიზეზოდ გათავისუფლებაზე გახდა ქუთაისის მეტალურგიულ საამქროში გაფიცვის დაანონსების მიზეზი, რომელიც 2011 წლის სექტემბერში გაიმართა. აღნიშნულ პროცესებს საწარმოში ახლად შექმნილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია და დარგობრივი პროფკავშირების წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ.

გაფიცვიდან მესამე დღეს, რესპონდენტების განცხადებით, საწარმოს ესტუმრა იმერეთის გუბერნატორი, ქუთაისის საპატრულო პოლიციის უფროსთან ერთად და სწორედ მათი ვიზიტიდან რამდენიმე საათში პოლიციამ მიიღო განკარგულება გაფიცულთა აქციის დარბევის შესახებ. დარბევის პროცესში 40-მდე გაფიცული რამდენიმე საათით დააკავეს და აქცია დაშალეს. ამასთან, რესპონდენტების განცხადებით, საწარმოს თანამშრომლებს დაშინებისა და მუქარის გზით აიძულეს, მომდევნო დღეს გამოცხადებულიყვნენ სამსახურში და გაეგრძელებინათ მუშაობა:

„დარბეული აქციიდან ზოგი სახლში წავიდა და უკან დაედევნენ, მანქანაში ჩისვეს და საწარმოში დატოვეს, მუშაობა გააგრძელეთო... მე სახლში მომაკითხეს პოლიციის თანამშრომლებმა, ღამის ორ საათზე, ხვალ ან გამოცხადდები სამსახურში ან ციხეში გიკრავთ თავსო, მთავრობიდან გვაქვს დავალება მიღებულიო“ (რესპოდენტი #4)

მიუხედავად გაფიცვის დარბევისა და მშრომელთა დაპატიმრებისა, რესპონდენტები მაინც მიუთითებენ რიგ პოზიტიურ შედეგებზე. მათი თქმით, 2011 წელს ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მშრომელებმა

თავიანთი ინიციატივით, *„ქვევიდან წამოსული პროტესტით, ყოველგვარი მართვის თუ პარტიული ინტერესის გარეშე, საქმე აქამდე [გაფიცვამდე] მივიყვანეთ“* (რესპოდენტი #1)

მოგვიანებით, 2014 წელს, საწარმოს ყადაღა დაედო და დაიხურა, ხოლო საამქროს ხელმძღვანელობას დაეკისრა ჯარიმების გადახდა 2011 წლის მოვლენების შედეგად დაზარალებული იმ მშრომელებისთვის, რომლებმაც სასამართლოს გზით გააგრძელეს ბრძოლა. ასევე ქუთაისის მეტალურგიულ საამქროში შექმნილმა პირველადმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელიც საამქროში წარმოქმნილი გაფიცვისას კონსოლიდირდა, საწარმოს მიღმაც გააგრძელა საქმიანობა, „იმერეთის მეტალურგიული პროფკავშირების“ სახელით. რესპონდენტების განცხადებით, ისინი მომდევნო 4 წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს მასშტაბით მიმდინარე სხვადასხვა შრომით პროტესტში და უზრუნველყოფდნენ სხვა გაფიცული მშრომელების მხარდაჭერას:

> „იმერეთის მეტალურგიულმა პროფკავშირებმა, რომელსაც ქუთაისის მოვლენების დროს ჩაეყარა საფუძველი, კიდევ 4 წელი იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში უამრავი სასამართლო პროცესი გვაქვს მოგებული იმერეთის რეგიონში, დანარჩენ საქართველოშიც თუ სადმე რამე გაფიცვა ხდებოდა, ყველას მხარდაჭერას ვუცხადებდით და ჩვენს ცოდნას, გამოცდილებას ვთავაზობდით (რესპოდენტი #2)

შეჯამება

ქუთაისის მეტალურგიულ საამქროში მშრომელებს წუხილი საწარმოს დაფუძნებიდან მალევე გაუჩნდათ. თავდაპირველად მშრომელები პირველადი და დარგობრივი პროფკავშირების მხარდაჭერით შეეცადნენ საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრას, თუმცა ამის საპასუხოდ ისინი ადმინისტრაციის მხრიდან საკითხის იგნორირებას წააწყდნენ. ამას დაემატა მშრომელთა გარკვეული ნაწილის „სადამსჯელო“ გათავისუფლება, რაც, საბოლოო ჯამში, მასობრივ მობილიზებასა და გაფიცვაში გადაიზარდა. გაფიცვამ ვერ უზრუნველყო მშრომელების მოთხოვნების დაკმაყოფილება, არამედ ის დარბევითა და მშრომელთა დაკავებით დასრულდა. მი-

უხედავად ამისა, მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის აღნიშნული აქტი მნიშვნელოვანი პრეცედენტი გახდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, რის შემდეგაც მხარდაჭერა და სოლიდარობა ქართველი მშრომელების მიმართ განსაკუთრებით გაზარდეს.

ჭიათურის მაღაროებსა და ქარხანა–ფაბრიკებში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები

იმერეთის მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქ ჭიათურის დაფუძნება და შემდგომ მისი განვითარება ისტორიულად მანგანეზის მოპოვებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული და სამრეწველო წარმოების განვითარებას უკავშირდება (ზაზანაშვილი და კალანდარიშვილი 2015). საწარმოს თავდაპირველ პრივატიზებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაცია არსებობს, თუმცა ოფიციალურად 2007 წელს გასხვისდა, როდესაც ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაიგეგმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ვარციხეჰესისა და ჭიათურის საწარმოების ერთიან საწარმოო ციკლში გაერთიანებისა და მისი ერთ მფლობელზე გასხვისების ინიციატივა[17]. დღეის მდგომარეობით, ჭიათურაში მანგანეზის მადნის ამოღება შვიდ მაღაროში და რვა ღია კარიერულ ობიექტზე მიმდინარეობს. მოპოვებული მადნის ნაწილი ზესტაფონის ფეროშენადნობ და სხვა დამამუშავებელ ქარხნებში იგზავნება, კულტივაციისთვის, ხოლო ნაწილი ჭიათურაში წარმოდგენილი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატების კომპლექსში მუშავდება. ჭიათურა მონოწარმოების რეგიონს წარმოადგენს და აქ 3500-მდე არის დასაქმებული სხვადასხვა მაღაროში, საამქროში თუ ღია კარიერზე. ისევე, როგორც ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატები, ზესტაფონის ფერო-შენადნობთა ქარხანაც, 2006 წლიდან შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო დღეის მდგომარეობით, კერძო მესაკუთრედ „ჯეორჯიან ამერიქან ელოისია“ რეგისტრირებული[18].

17 პრივატიზების ფარული მხარეები, „მწვანე ალტერნატივა“, თბილისი 2014.

18 ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმო და გარემოსდაცვითი პრობლემები, „მწვანე ალტერნატივა“ და „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), თბილისი 2016.

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

ჭიათურაში მშრომელთა მობილიზების 2 მნიშვნელოვან შემთხვევას ჰქონდა ადგილი, 2012 და 2014 წლებში. 2014 წლისგან განსხვავებით, 2012 წელს კოლექტიური მოქმედების შემთხვევისას ჭიათურაში არ იყო წარმოდგენილი საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC) წევრი პირველადი პროფესიული ორგანიზაცია, რისი მიზეზიც პროფკავშირების გაერთიანების (GTUC) წარმომადგენლებსა და ადგილობრივ პირველად ორგანიზაციას შორის წარსულში მომხდარი კონფლიქტი გახდა. თუმცა 2012 წლის საგაფიცვო პროცესების დასრულების შემდეგ ჭიათურაში, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC) მხარდაჭერით, ხელახლა დაფუძნდა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც დღემდე მოქმედებს . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ამ პირველადი ორგანიზაციისა, ჭიათურაში მოქმედებს კიდევ 2 სხვა პროფკავშირული ორგანიზაცია , რომელთაც რესპოდენტები „ყვითელი პროფკავშირების“ სახელით მოიხსენიებენ და ადმინისტრაციის მიერ მართულ და მათდამი ლოალურად განწყობილ ორგანიზაციად მიიჩნევენ.

2012 წლის მშრომელთა მობილიზების შემთხვევა

ჭიათურელი მშრომელები კოლექტიური მოქმედების პირველ პრეცედენტს 2000 წელს იხსენებენ, როდესაც მშრომელთა მობილიზება ხელფასების დაგვიანებას მოჰყვა. ამ პერიოდში საწარმო ჯერ კიდევ სახელმწიფოს ბაზაზე არსებობდა და არ იყო პრივატიზებული. ამის შემდეგ, 2005 წელსაც მოხდა კოლექტიური მოქმედების , ორგანიზება, რაც ერთ-ერთი ინჟინერ-თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნას მოჰყვა, თუმცა, რესპონდენტების თანახმად, აღნიშნული პროტესტი ვერ დასახელდება მუშათა ორგანიზებული კოლექტიური მოქმედების აქტებად, რადგან ისინი მხოლოდ ინდივიდუალური წუხილის მქონე ცალკეულ ჯგუფს აერთიანებდა და სწრაფი ლიკვიდურობით ხასიათდებოდა.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვან პროტესტად, ჭიათურელი მშრომელები ასახელებენ 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მუშათა კოლექტიურ მოქმედებას, რომელიც შუქრუთის მაღაროზე ტრანსპორტის უბანზე დასაქმებული ღამის ცვლის 150-მა მუშამ წამოიწყო და შემდეგ ის

სწაფადვე გავრცელდა შუქრუთისა და ითხვისის მაღაროებზე დასაქმებულ მშრომელებს შორის. 150-კაციანი ჯგუფის პროტესტის მიზეზი ხელმძღვანელთან დაპირისპირება გახდა, თუმცა რესპონდენტები სხვა დამატებით გარემოებაზეც მიუთითებენ: *„იმის გამო, რომ ოქტომბრის არჩევნების მერე საქართველოში მასიურად დაიწყო გაფიცვები, ამ ნაპერწკალის გარეშეც [დაპირისპირება ხელმძღვანელთან] იგრძნობოდა დამუხტულობა მაღაროებზე, რომელიც, ადრე თუ გვიან, მაინც გადაიზრდებოდა მუშების საყოველთაო პროტესტში“* (რესპოდენტი #16)

რესპონდენტების განცხადებით 2012 წლის პროტესტი სპონტანურად წარმოიქმნა და ინდივიდუალურად გაჩენილი წუხილი ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე გარდაიქმნა ორგანიზების განმაპირობებელ წუხილად, მოიცვა ისეთი საკითხები, როგორებიც იყო: წუხილი მძიმე შრომის პირობებზე, დაბალ ანაზღაურებაზე, ადმინისტრაციის მიერ შრომის პროცესის მართვის პრაქტიკასა და ა.შ. გარდა ამ წუხილისა, რესპონდენტების თანახმად, 2012 წელს სპონტანური პროტესტის ფართომასშტაბიან მოქმედებად გაფორმება ქვეყნის მასშტაბით მშრომელთა პროტესტების ჯაჭვმაც განაპირობა:

> „დაძაბული ფონი რომ იყო [საწარმოში], ეს ფაქტი იყო. თან ახალი ხელისუფლება იყო მოსული, და ხალხს მიეცა სტიმული, რომ შეიძლებოდა ამ ხელისუფლებას რაღაცნაირად შემოეხედა ხალხისკენ. იქ ტყიბული იყო დაძაბული, რკინიგზა იფიცებოდა, მგონი, მეტროც გაიფიცა და ერთმანეთს რომ აჰყვა ეს ჯაჭვი, ხალხს მართლა გაუჩნდა ის განცდა, რომ შეიძლებოდა ჭიათურაშიც მომხდარიყო ცვლილება“ (რესპოდენტი #17).

საპროტესტო ტალღის გაჩენიდან მალევე მშრომელებმა თვითორგანიზებულად შექმნეს საგაფიცვო საბჭო, სადაც ადგილობრივების მიერ მხარდაჭერილი ლიდერები გაერთიანდნენ. იმის გამო, რომ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლები საგაფიცვო პროცესების მიღმა აღმოჩდნენ, მოლაპარაკებას კომპანიის ადმინისტრაციასთან სწორედ საგაფიცვო საბჭო აწარმოებდა. *გაფიცულებს ჰქონდათ შემდეგი მოთხოვნები: 1) ანაზღაურების ზრდა, 2) შრომითი პირობების გაუმჯობესე-*

ბა; 3) საწარმოსა და დანადგარების ტექნიკური განახლება; 4) ღამის საათებისა და ზეგანაკვეთური შრომის განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება; 5) მშრომელების სპეცტანსაცმლით მომარაგება; 6) სადღესასწაულო დღეებში მუშაობის განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება; 7) კვების საკითხის (ე.წ. პაიკა) გამოსწორება; 8) სამუშაო გრაფიკის რეგულირება; 9) ზეგანაკვეთურიშრომის განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება; 10) საწარმოს არსებული ადმინისტრაციის დათხოვნა და ახალი ადმინისტრაციული ჯგუფის დანიშვნა; 11) სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც ჭიათურის საწარმოს ფინანსურ და შრომითი უსაფრთხოების საკითხებს შეისწავლიდა; 12) გაფიცვისას გაცდენილი დღეების ანაზღაურება და ა.შ.

მოთხოვნებს შორის, რესპონდენტების განცხადებით, ყველაზე პრიორიტეტული იყო ხელფასების 100%-იანი ზრდა, შრომის პირობების გაუმჯობესება და სადღესასწაულო დღეების პერიოდში მუშაობის განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება. თუმცა, იმის გამო, რომ საგაფიცვო პროცესი გაჭიანურდა, მოთხოვნა ხელფასის 100%-იანი ზრდის თაობაზე გაფიცვის მიმდინარეობისას რამდენჯერმე შეიცვალა, საბოლოოდ კი გაფიცვიდან 24-ე დღეს გაფორმდა შეთანხმება ხელფასის მხოლოდ 9%, ხოლო პრემიის 23%-ით ზრდაზე. შეთანხმება, ასევე, გაცდენილი დღეების ანაზღაურებასაც ითვალისწინებდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ისეთ მნიშვნელოვან მოთხოვნებს, როგორებიც იყო საწარმოში საგამოძიებო კომისიის შექმნა, ღამის საათების, სადღესასწაულო საათების თუ ზეგანაკვეთური შრომის განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება და ასევე ადმინისტრაციული ჯგუფის შეცვლა, შესრულება არ მოჰყვა.

2014 წლის მშრომელთა მობილიზების შემთხვევა

2014 წელს ჭიათურის 2-კვირიანი საგაფიცვო შემთხვევა, მსგავსად 2012 წლისა, სპონტანურად წარმოიქმნა, ამჯერად – ჭიათურის ცენტრალურ გამამდიდრებელ ქარხანაში (შემდგომში: *ცოფი #1*), თუმცა რესპონდენტების განცხადებით, „ხალხის მოთხოვნით“ გაფიცვას მალევე ადგილობრივი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია ჩაუდგა სათავეში: *„ხალხმა თქვა, რომ არ გვინდა, წინა გაფიცვის მსგავსად დამოუკიდებელი საბჭო გვყავდესო, ხალხის მოთხოვნა იყო ჩვენი პროფკავშირები ჩადგომოდა ამ ამბავს სათავეში“* (რესპოდენტი #18)

აღსანიშნავია, რომ გაფიცვის პროვოცირება უსამართლობის განცდამ განაპირობა, რაც დაკავშირებული იყო ხელფასის მოულოდნელ შემცირებასთან: *„იმ თვეში განახევრებული ხელფასები დაარიგეს და მოგვიანებით ეს ადმინისტრაციამ გეგმის შეუსრულებლობით ახსნა“* (რესპოდენტი #19). აღნიშნულმა გარემოებამ მყისიერად წარმოქმნა საწარმოში ორგანიზების განმაპირობებელი წუხილი, რომელიც 24 საათის განმავლობაში საწარმოებსა და მაღაროებში გავრცელდა. სწორედ 2014 წელს დაფიქსირდა, რესპონდენტების თქმით, ყველაზე ფართომასშტაბიანი გაფიცვა ჭიათურაში, სადაც ერთ დღეს 3000-მდე მშრომელი გამოვიდა ხელფასის 50%-იანი ზრდისა და შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. იქვე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მშრომელების ძალთა მაღალი კონსოლიდაციისა, გაფიცვის დინამიკა მალევე დაეცა და, საბოლოოდ, გაფიცვიდან მეორე კვირის დასაწყისში სულ რაღაც 150 ადამიანი მონაწილეობდა პროტესტებში. საგაფიცვო პროტესტების დინამიკის შესუსტება, რესპონდენტების განცხადებით, უმეტესწილად ხელისუფლების პოზიციონირებამ განაპირობა, რომელიც 2012 წლის შემთხვევისგან განსხვავებით, განზე გადგა და ღიად დისტანცირდა დავაში მონაწილეობისგან :

> „2012 ხელისუფლებიდან სხვადასხვა ეშელონის და წონის თანამდებობის პირები სტუმრობდნენ ჭიათურას, დიდი ვერაფერი ხეირი მაშინაც, მაგრამ თავს მაინც ხომ იწუხებდნენ? 2014-ში კიდევ თავიც არ შეუწუხებიათ, რას ამბობდნენ, იცი? – კერძო მესაკუთრის საქმეებში არ ვერევითო, მაგრამ ეს ხალხი ვისი არის, ვიღაც ინვესტორის ხომ არ ვართ ჩვენ, ხო სახელმწიფოსი ვართ ჩვენც?“ (რესპოდენტი #19)

ასევე, რესპონდენტების განმარტებით, გაფიცვას დამატებით დაბრკოლებას უქმნიდა ჭიათურაში წარმოდგენილი 3 სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაციის არსებობა. ამ გარემოებების ფონზე, საბოლოო ჯამში გაფიცულებმა ხელფასების მხოლოდ 7%-იან ზრდას მიაღწიეს, რამაც ისევე, როგორც 2012 წლის შემთხვევაში, ამჯერადაც იმედგაცრუება გამოიწვია ჭიათურელ მშრომელებში.

შეჯამება

ჭიათურის კოლექტიური მოქმედებებისას მშრომელები უმეტესად უსამართლობის მძაფრი განცდის ფონზე, სპონტანურად მობილიზდებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდნენ კოლექტიური მოქმედებისთვის მეტ-ნაკლებად ორგანიზებულ ფორმას. მშრომელთა მობილიზების განმაპირობებელი წუხილი ძირითადად დაბალ ხელფასს და სახელფასო დანამატების არარსებობას უკავშირდებოდა, თუმცა, ამასთან ერთად, მშრომელთა დღის წესრიგში იდგა საწარმოში წარმოდგენილი ადმინისტრაციული ჯგუფის დათხოვნისა და ფინანსური საგამოძიებო ჯგუფის შექმნის მოთხოვნაც. მშრომელთა გაფიცვები, სტიქიური ბუნების გამო, მალევე კარგავდა თავდაპირველ მუხტს და იმედგაცრუებით სრულდებოდა. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ჭიათურაში მონოწარმოების ასპექტი – იმის გამო, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობისთვის ჭიათურმანგანუმის საწარმო დასაქმების ერთადერთ და უალტერნატივო ადგილს წარმოადგენდა, ხოლო მშრომელთა და მათი ოჯახების უმეტესობის ფინანსური მდგომარეობა დიდწილად დამოკიდებული იყო საწარმოს მუშაობაზე, აღნიშნული გარემოება შრომითი დავებისას გამართული მოლაპარაკების პროცესში საწარმოს ადმინისტრაციას ერთმნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა, მშრომელთა მოლაპარაკების ძალას კი ასუსტებდა.

საქართველოს რკინიგზაში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები

სს „საქართველოს რკინიგზა“ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაარსებული საწარმოა, რომლის აქციათა 100%-ს 2011 წლის შემდეგ საპარტნიორო ფონდი განკარგავს[19]. რკინიგზის სტრუქტურის მიხედვით, მის ცენტრალურ დეპარტამენტს წარმოადგენს სატვირთო გადაზიდვების ფილიალი, რომელიც დაკავშირებულია სალოკომოტივო და სავაგონო დეპარტამენტებსა და ოთხკატეგორიან რკინიგზის სადგურებთან[20]. საქართველოს მასშტაბით რკინიგზა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია.

19 საპარტნიორო ფონდის ვებ-გვერდი, ვინ ვართ ჩვენ: http://www.fund.ge/who-we-are

20 საქართველოს რკინიგზის ვებ-გვერდი, სტრუქტურა: http://railway.ge/?action=page&p_id=427&lang=geo

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

რესპონდენტების თანახმად, საქართველოს რკინიგზაში მშრომელთა გააქტიურების ტალღა 2012 წლის არჩევნებამდე დაიწყო. ამავე წლის იანვარში პირველად გასაჯაროვდა რკინიგზაში არსებული მძიმე სამუშაო პირობები და მდგომარეობა, როდესაც რკინიგზის სალოკომოტივო დეპოს სამსახურში დასაქმებულმა ერთ-ერთმა მშრომელმა ინტერნეტსივრცეში გამოაქვეყნა ბლოგ-პოსტი[21], რომელშიც ის რკინიგზის საწარმოში არსებულ მძიმე შრომით და სოციალურ რეალობას ამხელდა. აღნიშნულ ბლოგპოსტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებისა და მედიის მხრიდან. ავტორის განმარტებით, ბლოგ-პოსტის მიზანი იყო *„რკინიგზელების მკვდარი პერიოდიდან გამოღვიძება“* (რესპოდენტი #23)

აღსანიშნავია, რომ მშრომელთა „გამოღვიძებას“ წინ უძღოდა ცვლილებები რკინიგზის პროფკავშირში, როდესაც მოხდა პროფკავშირების გაერთიანებიდან ე.წ. ძველი, „საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის“ თავდაპირველად გაჯანსაღების მცდელობა, თუმცა შემდეგ, 2013 წლისთვის მისი გარიცხვა პროფკავშირების გაერთიანების (GTUC) რიგებიდან. ამასთან დაკავშირებით რესპონდენტი განმარტავს:

> „2012 წლამდე რა პროფკავშირიც იყო, ეს იყო ჩვეულებრივი სადამსჯელო ორგანო. ატერორებდნენ ხალხს, რომ მათ რიგებში გაერთიანებულიყვნენ და საწევროები ეხადათ. თუ არ გაწევრიანდებოდი, მაშინ რამეს მოგიძებნიდნენ, პირად საქმეში ჩაგიწერდნენ და გაგაშავებდნენ. აი, ეგეთი საზედამხედველო ორგანო იყო და არა უფლებადაცვითი ორგანიზაცია მაშინდელი პროფკავშირი. შესაბამისად, როდესაც ეს პროფკავშირები დაიშალა, ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ“ (რესპოდენტი #24).

ძველი პროფკავშირების გაერთიანებიდან გარიცხვისა და საჯარო დისკრედიტაციის პარალელურად, 2013 წლის ზაფხულის პერიოდში ახალი პროფკავშირული ორგანიზაცია „რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი“ დაფუძნდა. აღსანიშნავია, რომ ახალი პროფკავშირი იმ აქტიურმა წევ-

21 ილია ლეჟავა, კრავთა ღაღადი: გთხოვთ, მამუშაოთ კუთვნილი 8 საათის ნაცვლად, 12 საათი; 18.01.2012; ilovanski.wordpress.com

რებმა და ლიდერებმა დააფუძნეს, რომლებიც 2012 წლის დასაწყისში ცდილობდნენ „საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის“ გაჯანსაღებას. შედეგად, 2012 წელს დაწყებული პროფკავშირების იდეის და მისი მუშაობის „გაჯანსაღების“ პროცესი გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა რკინიგზის მშრომელთა მობილიზების გააქტიურებისთვის. რესპონდენტების განცხადებით, პროფკავშირებში *„ახალი ხალხის, ახალი თაობის“* მოსვლის შემდეგ, რკინიგზაში მალევე წარმოიქმნა მშრომელთა მობილიზების პირველი კერები, 2013 და 2014 წლის მშრომელთა კოლექტიურ მოქმედებებს კი უშუალოდ „რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების“ მიერ იყო ინიცირებული და მართული.

2012 წელს მშრომელთა მობილიზების შემთხვევები

2012 წელს მშრომელთა პირველი მობილიზების შემთხვევა ლიანდაგის სარემონტო სამშენებლო სამმართველოს ბროწეულას მექანიზებულ ბაზაზე მოხდა: *„ჩვენი [პროფკავშირების] ამ ერთწლიანი მუშაობის და ორგანიზინგის შემდეგ, პირველი პროტესტი დაიწყო და პირველი მერცხლები აღმოჩნდნენ ბროწეულას მექანიზირებულ ბაზაზე მომუშავე 140-კაციანი ჯგუფი, რომლებიც ლიანდაგების სარემონტო სამუშაოებს ახორციელებდნენ“* (რესპოდენტი #27). ძირითადი წუხილი, რამაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბროწეულაში დასაქმებული მშრომელების მობილიზება განაპირობა იყო მძიმე სამუშაო და საცხოვრებელი პირობები, დაბალი ანაზღაურება და დაურეგულირებელი სამუშაო გრაფიკი: *„ბროწეულას ბაზაზე მშრომელები ჯარისკაცებივით არიან, ცხოვრობენ ვაგონებში. ლიანდაგების დაგებაა მათი სამუშაო და რომ იწყებენ, სანამ არ დააგებენ ერთ მონაკვეთს, მანამდე ვერ ბრუნდებიან სახლებში“* აცხადებს რესპონდენტი და განმარტავს, რომ აქ დასაქმებულ მშრომელებს გაუსაძლის პირობებში უწევდათ მუშაობა და ცხოვრება, არ იყვნენ მომარაგებულნი სპეცტანსაცმელით და სამუშაო იარაღებით, ამასთან, მათი ანაზღაურება იყო ძალიან მცირე/მწირი გარდა კოლექტიური წუხილის არსებობისა, მობილიზების განმაპირობებელ ფაქტორად, რესპონდენტები ასევე ასახელებენ პროფკავშირების წინარე სამუშაო შეხვედრებს ბროწეულას მექანიზებულ ბაზაზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან, სადაც მშრომელთა უფლებებსა და რკინიგზაში არსებულ პრობლემებზე დისკუსიები იმართებოდა. 2012 წლის აგვის-

ტოს პირველ ნახევარში ბროწეულას ბაზაზე დასაქმებული მშრომელები გაიფიცნენ *1) ხელფასების მატების და 2) სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით.* გაფიცვა მალევე, ერთ დღეში დასრულდა და შედეგად პროტესტის მონაწილეებს 100 ლარით (ხელფასის 25%) გაეზარდათ ხელფასი და ასევე მიაღწიეს შეთანხმებას, სამუშაო თუ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თაობაზე.

ბროწეულას გაფიცვის წარმატებული შემთხვევის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრის ბოლოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან კოლექტიურ მოქმედებას გაუწიეს ორგანიზება რკინიგზელმა მშრომელებმა, საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილი რკინიგზის სადგურების გაჩერებით, 2-საათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვისას. მობილიზების განმაპირობებელი წუხილი, რამაც რკინიგზის მშრომელთა სრულმასშტაბიანი მონაწილეობის წინაპირობა შექმნა, დაკავშირებული იყო მძიმე სამუშაო და სოციალურ პირობებთან, 2006 წლამდე არსებული სახელფასო დანამატების გაუქმებასთან, დაურეგულირებელ სამუშაო გრაფიკსა და იმ ზოგად პრაქტიკასთან, რომელიც რკინიგზის საწარმოს მშრომელებში შიშისა და სუბორდინაციის განცდას იწვევდა:

> „ადმინისტრაცია საპოლიციო კადრებით იყო დაკომპლექტებული, შიშს და ტერორს თესავდნენ რკინიგზაში. ასევე 2012 წლის არჩევნებთან დაკავშირებით რკინიგზა მთლიანად ჩართეს საარჩევნო პროცესში, გინდოდა არ გინდოდა, უნდა დამორჩილებოდი, გვატერორებდნენ. პარტ-აქტივისტები ვიყავით ფაქტიურად და დაგვატარებდნენ სტადიონიდან სტადიონზე აქციებში ადგილების შესავსებად. ამიტომ, 2012-ში ზოგადი მოთხოვნა ხომ იყო, სისტემა უნდა დაინგრეს ქვეყანაში, ჩვენი გვქონდა მოთხოვნა, სისტემა უნდა დაინგრეს რკინიგზაშიც, ვითხოვდით, რომ სისტემა უნდა შეიცვალოს რკინიგზაში“ (რესპოდენტი #23)

2012 წლის გამაფრთხილებელი აქციის შემდეგ, რესპონდენტების თანახმად, ინტენსიურად დაიწყო მოლაპარაკებები რკინიგზის ადმინისტრაციასთან, რის შედეგადაც მრავალი პრობლემა გადაიჭრა:

„ახალმა პროფკავშირებმა ძალიან კარგად დაიჭირა პროცესები ხელში. ჯერ ბროწეულაზე და შემდეგ საყოველთაოს [2-საათიანი საყოველთაო გამაფრთხილებელი გაფიცვა] დროს. ადმინისტრაცია მზად იყო, ყველაფერზე დათანხმებულიყო. მოლაპარაკების შედეგად გაიზარდა ელმავლის მემანქანეების ხელფასი, აღმოიფხვრა სახელფასო უთანასწორობა ელმავლის მემანქანესა და მის თანაშემწეს შორის, ღამის საათებზე და სადღესასწაულო დღეებში მუშაობაზე განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება დაწესდა. საბოლოო ჯამში, ჩვენ 37 მილიონი ლარი დავატოვებინეთ ამ პერიოდში რკინიგზელებისთვის რკინიგზას“ (რესპოდენტი #25)

თუმცა გადაუჭრელი რჩებოდა სხვა არაერთი მოთხოვნა, მათ შორის: 1) 2006 წელს გაუქმებული სახელფასო დანამატების ხელახალი შემოღება, წელთა ნამსახურობის, სტაჟის, თანრიგისა და კლასის მიხედვით; 2) შრომის გრაფიკის რეგულირება; და 3) ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება. ასევე მოთხოვნილი 4) მე-13 თვის საპრემიო ხელფასის საკითხის განხილვა. სწორედ ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის საფუძველზე, წამოიქმნა 2013 და 2014 წლების კოლექტიური მოქმედების შემთხვევები.

2013 და 2014 წლების მობილიზების შემთხვევები

საქართველოს რკინიგზაში მიმდინარე პროტესტის ციკლი ერთიან ჯაჭვურ პროცესს წარმოადგენს, მსგავსი წუხილების ირგვლივ ორგანიზებით: *„2012-ის, 2013-ის და 2014 წლის გაფიცვები ერთმანეთზე არის მიბმული. იმის გამო, რომ 2012 წელს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, მოხდა 2013 წლის გაფიცვა, და ანალოგიურად, 2014 წელსაც. ეს სამივე შემთხვევა ერთია, ერთი პროცესია“* განმარტავს რესპონდენტი და იქვე აღნიშნავს:

„მოთხოვნები 2013 წელს იგივე იყო, რაც 2012 წელს, და იგივე მოთხოვნა იყო 2014-შიც. არაფერი ამ მხრივ არ შეცვლილა. ერთ წრეზე ვტრიალებდით და მუდმივად დაპირებული ცვლილებების გამო გვიწევდა ბრძოლა. ეს ბრძოლაც რამე სიახლეს კი არ ემსახურებოდა, მანამდე არსებული სახელფასო ბადის დაბრუნება და დანამატების ხელახალი შემოღება იყო მთავარი წუხილი“ (რესპოდენტი #26)

თუმცა, წუხილისა და მოთხოვნების ერთგვაროვნების მიუხედავად, აღნიშნული გაფიცვების ციკლის შემთხვევები მაინც განსხვავდებოდა შედეგებისა და შიდა დინამიკის თვალსაზრისით ერთმანეთისგან.

2013 წლის გაფიცვა, ისევე, როგორც 2012 წლის, მშრომელთა ფართომასშტაბიან პროტესტს წარმოადგენდა, სადაც ძირითადად, რესპოდენტების განცხადებით, აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზის სადგურებზე დასაქმებული მშრომელები იყვნენ ჩართულები, ხოლო 2014 წლის შემთხვევაში, პროტესტი შედარებით მცირე მასშტაბიანი იყო და მასში ძირითადად დასავლეთ საქართველოს სადგურებზე დასაქმებულები მონაწილეობდნენ:

> „2014 წელს ყველა ობიექტი არ ჩაერთო, მარტო ის, სადაც ძლიერი პროფკავშირები იყო წარმოდგენილი. ბათუმი, მაგალითად, მთლიანად გაჩერებული იყო, სამტრედიის სალიანდაგო სამსახური, ფოთში სალიანდაგო სამსახური. სხვა პატარ-პატარა ობიექტები და თბილისის სალოკომოტივო დეპო, ხაშურის სალიანდაგო სამსახური და ელექტრომომარაგება..“ (რესპოდენტი #24).

2014 წლის კოლექტიური მობილიზების შედარებით მცირე მასშტაბების მიუხედავად, გაფიცულებმა მაინც მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას, რის თაობაზეც ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს:

> „2014 წლის გაფიცვით ჩვენ ხელ-ფეხი შევუკარით რკინიგზას, რომ ხელფასები დაეკლოთ ჩვენთვის. ამ პერიოდში ტენდენციურად მიდიოდა ხელფასების დაკლება – ჯარში ხელფასები დააკლეს, პოლიციაში ხელფასები დაეკლეს, საჯარო სექტორში თითქმის ყველგან შემცირებები იყო და ხელფასებს აკლებდნენ. ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებდა მთავრობაში, იმისია რკინიგზაც და თავისუფლად შეეძლოთ ჩვენთვისაც ხელფასების დაკლება. ხელფასის მატება კი არა, რომ არ დააკლდეს იმისთვის ვიბრძოდით“ (რესპოდენტი #23)

ამასთან ერთად, 2014 წლის გაფიცვის შემდეგ მემანქანეთა ხელფასი კლასობრივი პოზიციის მიხედვით გაიზარდა (I კლასის მემანქანეს 150,

II-ს 100-ით, ხოლო III-ს 50 ლარით გაეზარდა ხელფასი) და შედგა შეთანხმება 50%-იანი პრემიის დარიცხვის თაობაზეც[22].

შეჯამება

საქართველოს რკინიგზა 2012 წლიდან მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა, მშრომელთა მობილიზებისა და კოლექტიური მოქმედებების ორგანიზების თვალსაზრისით. რკინიგზაში მშრომელთა აქტიურობა პირდაპირ იყო დაკავშირებული აქ წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის გააქტიურებასა და ახალი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნასთან. რკინიგზაში მშრომელების კოლექტიურ მოქმედებაში მონაწილეობას განაპირობებდა წუხილი დაბალ სახელფასო და საპრემიო განაკვეთთან დაკავშირებით და, ასევე, 2006 წლამდე არსებული სახელფასო ბადის გაუქმებასთან, რომელიც სხვადასხვა სახის დანამატისა და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ რკინიგზის კოლექტიური მობილიზების შემთხვევები მუდმივად ექცეოდა მეინსტრიმული მედიის ყურადღების ცენტრში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მშრომელთა წინააღმდეგობის შესახებ დისკურსის გაძლიერებას და სხვა მშრომელების ცნობიერების ამაღლებას ქვეყნის მაშტაბით.

კაზრეთის საწარმოში მშრომელთა კოლექტიური მოქმედება[23]

ქვემო ქართლის მხარის ბოლნისის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი დაბა კაზრეთის წარმოშობა და განვითარება მარნეულის რეგიონში არსებულ მადნეულის საბადოს მრეწველობის განვითარებას უკავშირდება. დღესდღეობით კაზრეთში დაახლოებით 4300 ადამიანი ცხოვრობს, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 90% აქ წარმოდგენილ

22 პრემიების დარიგებასთან დაკავშირებით რესპონდენტები აცხადებენ, რომ პრემია რეალურად მხოლოდ იმათ მიიღეს, ვინც გაფიცვაში არ მონაწილეობდა; ხოლო ისინი, ვინც გაფიცვაში მონაწილეობდნენ, გაცდენილი 9 დღის ანაზღაურებაზე უარი ეთქვათ. ეს თითქმის იმავე ოდენობის თანხის დაქვითვას გულისხმობდა, რაც აღნიშნულმა 50%-იანმა პრემიამ შეადგინა.

23 თუ სხვა მობილიზების შემთხვევების შესწავლისას 4 და მეტ რესპონდენტთან ხდებოდა ინტერვიუს ჩაწერა, შემთხვევის სრულფასოვანი შესწავლის მიზნით, მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ 2 რესპონდენტთან მოხერხდა გასაუბრება, ხოლო დანარჩენი მონაცემები მედიამონიტორინგისა და სხვა მეორად წყაროებზე დაყრდნობით შეგროვდა.

ოქროსა და სპილენძის მომპოვებელ საწარმოებშია დასაქმებული. კაზრეთში სამთო-მოპოვებით საქმიანობას 2012 წლამდე სს „მადნეული“ და შპს „კვარციტი“ აწარმოებდა, ხოლო 2012 წელს, მფლობელის გამოცვლის შემდეგ, აღნიშნულ კომპანიებს სახელი გადაერქვათ და დღევანდელი მდგომარეობით, კაზრეთის საბადოებზე ოქროსა და სპილენძის შემცველი მადნების მოპოვება-გადამუშავების სამუშაოებს „არემჯი გოლდი“ და „არემჯი კოპერი“ აწარმოებს. ორივე საწარმოში, ჯამში, 3000-მდე ადამიანია დასაქმებული[24][25].

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

კაზრეთის საწარმოებში მშრომელთა კოლექტიური ორგანიზება 2013 წელს დაიწყო და 2014 წელს გაგრძელდა. ორივე შემთხვევაში მშრომელების ინტერესებს იცავდნენ და მხარდაჭერას უცხადებდნენ აქ წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC), წევრებს წარმოადგენდნენ. როგორც რესპონდენტები აცხადებენ, კაზრეთში ამ პერიოდში წარმოდგენილი იყო ორი დარგობრივი პროფკავშირის ქვეშ არსებული 3 პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია:

> „აქ სამი პირველადი პროფკავშირი იყო წარმოდგენილი. ერთი იყო მაღაროში ტრანსპორტის პროფკავშირი, მეორე იყო მუშათა პროფკავშირი კარიერზე და ერთი იყო დაბლა, ფაბრიკაში დასაქმებული მშრომელებისთვის... სამივე იყო პირველადი და ისინი საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებას ექვემდებარებოდა“ (რესპოდენტი #22)

თუმცა 2014 წლის საგაფიცვო პროცესების შემდეგ აქ უკიდურესად დაეცა პროფკავშირული ორგანიზაციის რეპუტაცია და მათდამი ნდობა, რაც, რესპონდენტების თანახმად, საგაფიცვო პროცესში მონაწილე პროფკავშირების გაერთიანების (GTUC), დარგობრივი პროფკავშირებისა და აქ

24 სახელმძღვანელო ოქროს მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისთვის. „მწვანე ალტერნატივა“, თბილისი 2010.

25 ბოლნისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი; მსხვილი საწარმოები http://bolnisi.gov.ge/biznesi/msxvili-satsarmoebi

წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ განაპირობა. ამას, ასევე, თან დაერთო საწარმოს ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომები, ხელი შეეშალა და დისკრედიტაცია მოეხდინა ყველა შესაძლო პოტენციალისთვის, რომელიც პროფკავშირების განახლებას და მისი რეპუტაციის აღდგენას მოემსახურებოდა. საბოლოო ჯამში კი, 2014 წლის მოვლენების შემდეგ კაზრეთში ყველა სახის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია დაიშალა და აქ დღემდე არ არსებობს მისი განახლების ან ხელახლა დაფუძნების რესურსი.

2014 წლის მშრომელთა მობილიზების შემთხვევა

კაზრეთის საწარმოებში დასაქმებული მშრომელების კოლექტიური მობილიზება 2013 წლის ნოემბერში დაიწყო, როდესაც 11 ამფეთქებელი *1) შრომის პირობების გაუმჯობესებისა და 2) ხელფასის 50%-იანი გაზრდის მოთხოვნით, სპონტანურად გაიფიცა.* მალევე, მცირე ჯგუფს მთელი საწარმო აჰყვა და გაფიცვამ 9 დღეს გასტანა: *„2013 წლის ნოემბერში მოხდა სულ პირველად გაფიცვა, ამფეთქებლები გაიფიცნენ და მერე ყველამ სოლიდარობა გამოვუცხადეთ, ყველას ერთი მოთხოვნა გვქონდა – ხელფასის 50%-ით მატება“* – აცხადებს რესპონდენტი და ამ პერიოდში მშრომელებში წუხილის მოჭარბებას კვარციტის მოპოვების განახლებას უკავშირებს:

> „1975 წელში რომ დაიწყეს აქ მუშაობა, თავიდან მხოლოდ სპილენძს ამუშავებდნენ. მაშინ კვარციტს მოიპოვებდნენ და ის, რაც სპილენძს არ შეიცავდა, საწყობდებოდა. ეს დასაწყობებული კვარციტი კიდევ ოქროს შეიცავდა. 1997 წელს დაიწყეს ოქროს ქარხნის მშენებლობა, რომელიც 1999 წელს უკვე მოქმედებაში შევიდა. სწორედ ამ დროს ამოიღეს ეს დასაწყობებული კვარციტი, ფქვავდნენ და ციანიდის დასხმის შედეგად ოქროს იღებდნენ. კვარციტის ხელახალი მოპოვება გაფიცვებიდან ცოტა ხნით ადრე დაიწყეს, აქამდე სულ დასაწყობებულს ამუშავებდნენ... ამან განსაკუთრებით დაუმძიმა მშრომელებს შრომა, ახალი სამუშაო დაემატათ ფაქტიურად“ (რესპოდენტი #21)

2013 წელს მშრომელთა მასშტაბური კოლექტიური მობილიზების სამართავად საწარმოს ადმინისტრაციამ მოლაპარაკებების წარმოება წამოიწყო. მათ მიერ შეთავაზებული პირობის თანახმად, მშრომელების მოთხოვნის დაკმაყოფილება და ხელფასის 50%-იანი ზრდა 2014 წლის იანვრიდან მოხდებოდა. ამასთან, ადმინისტრაცია მზადყოფნას გამოთქვამდა გაფიცვის პერიოდში გაცდენილი დღეების ანაზღაურებასა და მე-13 ხელფასის დანიშვნაზე. ამ პირობებთან დაკავშირებით მშრომელებს ალტერნატიული პოზიცია ჰქონდათ:

> „დასაწყისში ადმინისტრაციასთან ვერ ვრიგდებოდით 50% ხელფასის ზრდაზე და მაშინ ეგეთი რაღაც მოვიფიქრეთ – მე-13 ხელფასი, რაც უნდა მოეცათ, იმის გადანაწილება ვთხოვეთ ნოემბრის და დეკემბრის თვეზე, იმ ორ თვეზე, რაც უნდა მოგვეცადა, სანამ ხელფასები გაგვეზრდებოდა, რაზეც ჩამომართვეს ხელი და დათანხმდნენ. ეს პირობა შეასრულეს კიდევაც“. (რესპოდენტი #21)

თუმცა მალევე, იანვრიიდან ხელფასის გაზრდის პირობა ადმინისტრაციამ დაარღვია, რადგან ამ შეთანხმებას საწარმოს ზემდგომმა მმართველებმა მხარი არ დაუჭირეს, ხოლო შეთანხმების ერთ-ერთი მხარე, კერძოდ, საწარმოს მაშინდელი დირექტორი და მისი ჯგუფი სამსახურიდან გაათავისუფლეს:

> „ახალ დირექტორად დაგვინიშეს მოულოდნელად, მერე მასთან დავიწყეთ შეხვედრები, მაგრამ უარი განგვიცხადეს უკვე მიღწეული შეთანხმების აღსრულებაზე, ვერ მოგიმატებთო ხელფასს. ამიტომ ჩვენ დავწერეთ განცხადება, წინასწარ, მივეცით 21 დღიანი ვადა და 2014 წლის 14 იანვარს ხელახლა გავიფიცეთ“. (რესპოდენტი #21)

მშრომელთა კოლექტიური მობილიზება 2014 წლის დასაწყისში განახლდა. აღნიშნულ გაფიცვას, 2013 წლის შემთხვევისგან განსხვავებით, ორგანიზებული სახე ჰქონდა და ის საწარმოში წარმოდგენილ პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებთან იყო კოორდინირებული. რესპონდენტების თანახმად, 2014 წლის კოლექტიური მობილიზების განმაპირობე-

ბელი ფაქტორი 2013 წელს მიღწეული შეთანხმების დარღვევა გახდა, ხელფასის 50%-ით გაზრდას შესახებ. , შესაბამისად. 2014 წელს მშრომელების მოთხოვნები შემდეგი იყო: 1) ხელფასის 50%-ით გაზრდა; 2) შრომითი პირობების გაუმჯობესება; 3) მშრომელების სპეცტანსაცმლით მომარაგება 4) სამუშაო ადგილების კეთილმოწყობა და სასადილო თუ სველი წერტილების გამართვა; 5) მშრომელთა კონტროლისა და შევიწროების პრაქტიკის აღმოფხვრა[26]. 2014 წლის მოთხოვნებს ასევე დაემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა, კერძოდ, 21 იანვარს ადმინისტრაციის მიერ 184 მშრომელის სამსახურიდან მოულოდნელად გათავისუფლების ბრძანების გაუქმება:

> „2014 წლის 21 იანვარი იყო, როდესაც 180-მდე კაცს მოგვივიდა წერილი, რომ განთავისუფლებული ვიყავით სამსახურიდან. ეს იმიტომ, რომ პირველი გაფიცვისას [2013 წლის ნოემბერში ორგანიზებული გაიცვა] გვითხრეს, თბილისში უნდა წამოხვიდეთ მუშებიო, მაშინ ყაჩაღიანს უფლებას არ აძლევდნენ, რომ აეფეთქებინათ [საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტი] და მუშაობა დაეწყოთ, და ამათი [ადმინისტრაციის] არგუმენტი იყო, რომ თუ ყაჩაღიანზე მუშაობას არ დავიწყებთო, კომბინატს უჭირს და ხალხის განთავისუფლება მოგვიწევსო. ჩვენ ამაზე არ წავედით, ძეგლი იყო და რატომ უნდა აფეთქებუ-იყო? ლიდერებმა ვუთხარით მუშებს, რომ ამაზე არ წასულიყვნენ, ანუ გამოდიოდა, რომ თითქოს ჩვენ მუშები პროტესტის ნიშნად უნდა ჩავსულიყავით თბილისში, რომ მოგვეცით ყაჩაღიანი, რომ აფეთქდეს და დავიწყოთ მუშაობა, რომ ხელფასი ავიღოთ... იმის სანაცვლოდ, რომ არ წავედით, 180 კაცი, ვინც ლიდერები ვიყავით სამსახურიდან განგვათავისუფლეს“ (რესპოდენტი #21).

ციტატიდან იკვეთება, რომ მშრომელთა 2014 წლის კოლექტიური მოქმედებების პარალელურად მიმდინარეობდა საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის

26 აღნიშნულ პრაქტიკასთან დაკავშირებით კაზრეთელი რესპონდენტი განმარტავს:
„უშიშროების სამსახური ძალიან ავიწროვებდა ხალხს. მუშა ეხლა ღამე რომ მუშაობს და შეიძლება წათვლიმოს, ესენი მიდიოდნენ ჩუმად და სურათს უღებდნენ, მერე მის ხელმძღვანელთან შეჰქონდათ და სამსახურიდან ანთავისუფლებდნენ – რატომ გძინავსო... ზემოდან კლანჭებით გვადგნენ, ხალხის დაშინება და ამით მათი გაჩუმება უნდოდათ.“

შენარჩუნებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პროტესტი. საწარმოს ადმინისტრაციას სურდა საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის მიდამოებში არსებული კვარციტის საბადოს ათვისება და წარმოების გაფართოება. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციის მხრიდან იყო მცდელობა, საყდრის-ყაჩაღიანის ძეგლის დანგრევის ლეგიტიმაციისთვის მშრომელთა უკმაყოფილება გამოეყენებინათ, სადაც მშრომელთა გაფიცვა კულტურული ძეგლის შენარჩუნების ირგვლივ წამოწყებულ მოძრაობას დაუპრისპირდებოდა. თუმცა, იმის გამო, რომ აღნიშნულ პროვოკაციაში მშრომელები არ ჩაერთვნენ, საწარმოს ადმინისტრაციამ ისინი „სადამსჯელო“ მოტივებით გაათავისუფლა სამსახურიდან და მიზეზად კომპანიაში არსებული ფინანსური პრობლემები დაასახელაც, რამაც, რესპონდენტების განცხადებით, კიდევ უფრო გაამწვავა მშრომელთა პროტესტი.

საბოლოოდ, მშრომელებსა და საწარმოს ადმინისტაციას შორის შეთანხმება მხოლოდ გაფიცვის წამოწყებიდან 41-ე დღეს შედგა, რომლის მთავარი ინიციატორიც, რესპონდენტების თანახმად, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC) წარმომადგენლები იყვნენ. შეთანხმება ითვალისწინებდა გათავისუფლებული თანამშრომლებიდან მხოლოდ 80 მათგანის აღდგენას, ხოლო დანარჩენი თანამშრომლებისთვის ორი თვის კომპენსაციის გაცემას და მათ სარეზერვო პერსონალად გაფორმებას, ასევე ხელფასის მხოლოდ 15%-იან ზრდას, მშრომელების ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის განახლებას და საწარმოს მიერ ვალდებულების აღებას სპეციალური კომისიის შექმნის თაობაზე, რომლის ფუნქციაც მშრომელებში ინდივიდუალურად არსებული წუხილისა და შრომითი დავის გადაჭრაზე ზრუნვა იქნებოდა. მშრომელები მიღწეულმა შეთანხმებამ და მოთხოვნების მხოლოდ მინიმუმის დაკმაყოფილებაზე დათანხმებამ იმედგაცრუებული და ფრუსტრირებული დატოვა. დამატებით კი, ამასთან ერთად, საწარმოს ნაკისრი ვალდებულებების უმეტესი ნაწილი არ აღუსრულებია და შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ აღსრულდა.

შეჯამება

გარდა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ძეგლის ირგვლივ განვითარებული მოვლენებისა, კაზრეთის 2014 წლის კოლექტიური მოქმედების პროცესზე სხვა ბევრმა ფაქტორმა იქონია გავლენა, რამაც, საბოლოო

ჯამში, განაპირობა უპრეცედენტოდ ხანგრძლივი გაფიცვის პერიოდი. აქ მშრომელების ძირითადი წუხილი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ საწარმოებსა თუ კომპანიებში, დაბალ ხელფასსა და მძიმე შრომით პირობებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, ამასთან ერთად, 2014 წლის გაფიცვის წამოწყებაში დიდი როლი ითამაშა მშრომელთა „სადამსჯელო“ გათავისუფლებამ.

აღსანიშნავია, რომ კაზრეთის კოლექტიურ მოქმედებებში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა თემაზე მომუშავე აქტივისტური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პროფკავშირული გაერთიანება. თუმცა, ამის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, მშრომელთა ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი გაფიცვა, რომელსაც მხარდაჭერას საზოგადოების ფართო ჯგუფებთან ერთად კაზრეთელი მოსახლეობაც აქტიურად უცხადებდა, მშრომელთა დიდი იმედგაცრუებით დასრულდა და ვერ უზრუნველყო ცვლილებები.

ქსნის მინის ქარხანაში მშრომელთა კოლექტიური მოქმედება

მცხეთა-მთიანეთის მხარის, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსანში მინის ტარის მწარმოებელი ქარხანა სს „მინა“ 1997 წლიდან თურქულ სამრეწველო ჰოლდინგის, „შიშეჯამის“ შემადგენლობაშია. საწარმო ქართული და უცხოურ კომპანიებისთვის ამზადებს მინის ტარას, საკვები პროდუქტების, სასმელი და მინერალური წყლის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებისა და ასევე ფარმაცევტული თუ კოსმეტიკური დანიშნულების პროდუქციისთვის. თურქული კომპანია ერთ-ერთი ლიდერია ევროპის მინის ბაზარზე და 10-ზე მეტი საწარმოს მფლობელია თურქეთის, რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს მასშტაბით[27]. 2014 წლის მონაცემებით, მინის ტარის წარმოებამ 65 674 ტონა შეადგინა. ხოლო 2015 წელს, ახალი ღუმლის დამატების შედეგად, წარმოება 113%-ით გაიზარდა[28]. საწარმოში 280-მდე ადამიანია დასაქმებული (ადმინისტრაციული პერსონალის ჩათვლით).

27 კომპანიის ვებგვერდი, კატეგორია: ჩვენს შესახებ. http://www.sisecamcamambalaj.com/ka/about-us/company-profile

28 კომპანიის ვებგვერდი, კატეგორია: ჩვენს შესახებ. http://www.sisecamcamambalaj.com/ka/about-us/company-profile

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

ქსნის მინის ტარის საწარმოს მშრომელების გააქტიურება თავდაპირველად 2012 წელს დაბალი ანაზღაურებისა და გაუმჭვირვალე პრემიალური სისტემის საფუძველზე დაიწყო და მშრომელთა 3-დღიან გაფიცვაში გადაიზარდა, რის შემდეგაც პროცესები საწარმოს ადმინისტრაციასა და აქ წარმოდგენილ პირველად პროფესიულ კავშირს შორის მოლაპარაკების რეჟიმში მოექცა. თუმცა, იმის გამო, რომ ამ პერიოდში საწარმოში წარმოდგენილი პროფკავშირული ორგანიზაცია მშრომელებს შორის ნდობით არ სარგებლობდა და საწარმოს ადმინისტრაციის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებაში იყო შემჩნეული, რესპონდენტების განცხადებით, მოლაპარაკების პროცესი მშრომელებში პოზიტიურ მოლოდინს არ აღძრავდა. ამ ყველაფრის ფონზე, 2012 წლის მოვლენების შემდეგ მშრომელებმა დატოვეს პროფკავშირის რიგები და ქსნის საწარმოში წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია დაიშალა:

> „ის პროფკავშირი სხვა რამეს ემსახურებოდა, და ხალხი იყო მისთვის მხოლოდ სარჩული. ეს პროფკავშირი დასაწყისშივე გაყვითლებული იყო და ადმინისტრაციას ემსახურებოდა. ხალხში ამის გამო უკმაყოფილება დაგროვდა და დაგროვდა და ბოლოს ხალხმაც დაიწყო გამოსვლა, თავისით დაიშალა ის პროფკავშირები“ (რესპოდენტი #30)

დაშლილი პროფკავშირების ბაზაზე, პროფკავშირული იდეების მხარდამჭერმა დანარჩენმა მშრომელებმა თვითორგანიზებულად შეძლეს პროფესიული კავშირის ორგანიზაციის განახლება, სადაც ახალი სახეები გაწევრდნენ, ახალი ლიდერები შემოიკრიბნენ და განახლებული ძალებით დაიწყეს მუშაობა. მათ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC), მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა დარგობრივი პროფესიული კავშირი უჭერდა მხარს.

2016 წლის მშრომელთა მობილიზების შემთხვევა

მშრომელთა მასშტაბური კოლექტიური მობილიზება ქსნის მინის ტარის საწარმოში, 2012 წლის შემდეგ, 2016 წლის თებერვალში მოხდა, რაც, რესპონდენტების განმარტებით, გამოირჩეოდა საგაფიცვო პროცედურების მწყობრი ხასიათითა და მაღალი ორგანიზებულობით. აღნიშნულ პროცესებს ქსნის საწარმოში 2012 წელს დაშლილი პროფკავშირის ბაზაზე შექმნილი, განახლებული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია უძღვებოდა. რესპონდენტები 2016 წლის მობილიზების განმაპირობებელ წუხილზე საუბრისას განმარტავენ:

> „ჯერ კიდევ 2013 წელს გავამზადეთ კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი და წარვუდგინეთ დირექტორს. მისი პასუხი იყო ასეთი – მე მეორე ღუმელი უნდა ავაშენო, 2015 წელში ამ ღუმელს გავუშვებთ და მერე ყველას იმაზე მეტად გვეშველება, ვიდრე თქვენ გგონიათ და ვიდრე კოლექტიურ ხელშეკრულებით მიიღებთო“ (რესპოდენტი #29)

წამოყენებულ პირობას მშრომელები დასთანხმდნენ და კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება 2015 წლამდე გადაავადეს, თუმცა 2015 წლის მაისში, ახალი ღუმლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ადმინისტრაციის მხრიდან გაცემულ დაპირებას აღსრულება არ მოჰყვა, არამედ, პირიქით, მისმა წარმოებაში შესვლამ გაუორმაგა მშრომელებს მუშაობის მოცულობა და ინტენსივობა. სწორედ აღნიშნული გარემოება, კერძოდ, სამუშაო პროცესისა და მოცულობის გაზრდა, მშრომელების ორმაგი დატვირთვით მუშაობა და ხელფასის კვლავ საწყის მარჟაზე შენარჩუნება, ამასთან, კოლექტიური შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით პირობის დარღვევა გახდა მშრომელებისა და მათთან ერთად პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის გააქტიურების წინაპირობა.

თავდაპირველად მშრომელები მედიაციისა და მოლაპარაკების გზით შეეცადნენ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელიც გულისხმობდა: *1) ხელფასის 30%-იან ზრდას, 2) კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას, 3) გამჭვირვალე პრემიალური სისტემის შემოღებას და 4) ადგილობრივი პროფკავშირისათვის სამუშაო სივრცის გამოყოფას:*

„2016 წლის გაფიცვამდე, მთელი 2015 წელი მიდიოდა მოლაპარაკების პროცესი. სისტემატურად დავიწყეთ მუშაობა, შეხვედრები, წერილების დაგზავნა. ბოლოს მედიაციის პროცესი დაინიშნა, რის შემდეგაც, ნება იბოძა დირექტორმა და დაჯდა მოლაპარაკების მაგიდასთან. ამის გამო, თავიდან ვფიქრობდით, რომ გაფიცვამდე არ მივიდოდა საქმე და მოლაპარაკება შედგებოდა, თუმცა ესე ვერ მოხდა.“ (რესპოდენტი #30)

მას შემდეგ, რაც მშრომელებმა მოლაპარაკების ყველა რესურსი ამოწურეს, გაფიცვა მათთვის უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენდა: *„გაფიცვა არ გვინდოდა, ყველას კარგად გვესმოდა, რომ უკიდურესი ფორმა იყო, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველას დააზარალებდა, თუმცა სხვა გზა არ დაგვიტოვეს“* (რესპოდენტი #31)

მშრომელთა გაფიცვის პროცესმა დაახლოებით 1 თვეს გასტანა. რესპონდენტები განმარტავენ, რომ, მიუხედავად მაღალი ორგანიზებულობისა, გაფიცვის პროცესი ეფექტიანად მაინც ვერ წარიმართა, გაჭიანურდა და საბოლოოდ, გაფიცვის 29-ე დღეს მშრომელები იძულებულები გახდნენ, მინიმალურ შემოთავაზებაზე დათანხმებულიყვნენ, ამ შეთანხმების სამომავლო გადახედვისა და შეთავაზებების გაუჯობესების პირობით. გაფიცვის შედეგად, ხელფასის 30%-იანი ზრდის ნაცვლად, მოხდა მისი 7,5%-იანი მატება, ხოლო კოლექტიური შეთანხმების გაფორმება გადაიდო ერთი წლის ვადით[29].

შეჯამება

ქსნის მინის ტარის საწარმოში მომხდარი მშრომელთა კოლექტიური მობილიზების შემთხვევა მნიშვნელოვანი მაგალითია, თუ როგორ ცდილობდნენ მშრომელები მოლაპარაკებისა და მედიაციის გზით წამოეყენებინათ მოთხოვნები და მოეთხოვათ ცვლილებები ანაზღაურებასთან, საპრემიო სისტემის სქემასა თუ კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმე-

29 2017 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრებმა საბოლოოდ შეძლეს კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება. შეთანხმება ითვალისწინებს ზეგანაკვეთური შრომის დამატებითი ტარიფით ანაზღაურებას, 1-იდან 3 შვილამდე ყოლის შემთხვევაში (18 წლის ასაკამდე) სახელფასო დანამატის დანიშვნას, უვადო ხელსეკრულების გაფორმებას და საპრემიო სისტემის გამართვას.

ბასთან დაკავშირებით, თუმცა, მიუხედავად მათი მცდელობებისა, მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო და ისინი იძულებულნი გახდნენ, მიემართათ პროტესტის რადიკალური ფორმისთვის – გაფიცვისთვის. საგაფიცვო პროცესში მშრომელებს სოლიდარობას სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფი და პროფკავშირული გაერთიანება უცხადებდა, ხოლო თავად საგაფიცვო პროცესი განსაკუთრებული ორგანიზებულობით გამოირჩეოდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, მოლაპარაკების პროცესი ადმინისტრაციის მხრიდან მაინც გაჭიანურდა და ისეთი შედეგიანი არ აღმოჩნდა მშრომელებისთვის, როგორი მოლოდინიც დასაწყისში ჰქონდათ.

ტყიბულის შახტაში დასაქმებულ შრომელთა კოლექტიური მოქმედება

ქალაქ ტყიბულში, რომელიც იმერეთის მხარეში მდებარეობს და ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს, ქვანახშირის საბადოები ექსპლუატაციაში 1846 წელს შევიდა, ხოლო საბჭოთა კავშირის პერიოდში აქ 4 შახტი და ერთი ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა მუშაობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება შეწყდა და მხოლოდ 2006 წელს განახლდა შპს „საქნახშირის“ (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) წარმოების ფარგლებში[30]. ტყიბულში დღესდღეობით ძიძიგურისა და მინდელის სახელობის შახტებში მიმდინარეობს სამთო-მოპოვებითი სამუშაოები, ხოლო 2009 წლიდან ამუშავდა ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა. 2012 წლის მონაცემებით, ტყიბულში 500 000 ტონა ქვანახშირი მოიპოვეს, ხოლო 2020 წლისთვის, რესპონდენტების განცხადებით, საწარმო წელიწადში 1.5 მილიონი ტონის მოპოვებას გეგმავს. ტყიბულში, სადაც სამთო-მოპოვებითი საქმიანობა ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი დარგია, „საქნახშირს“ 1000-მდე მშრომელი ჰყავს დასაქმებული ორ შახტზე და ერთ ქვანახშირის გამამდიდრებელ ქარხანაში[31].

30 გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში; „მწვანე ალტერნატივა“, 2015. გვ: 7-16

31 იგივე, გვ: 12

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

ბოლო წლების განმავლობაში ტყიბულში კოლექტიური მობილიზების თავდაპირველ შემთხვევას მშრომელები 2012 წლის ნოემბერში მინდელის შახტზე იხსენებენ, როდესაც მეშახტეები პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის მხარდაჭერით და ხელმძღვანელობით 2 დღის განმავლობაში იყვნენ გაფიცულები. გაფიცვის მიზეზი საწარმოდან 500-მდე მშრომელის გათავისუფლების საშიშროება და ხელფასების ტენდენციური კლება გახდა. *გაფიცული მშრომელების ძირითადი მოთხოვნები 2012 წლის გაფიცვისას იყო: 1) შპს „საქნახშირის“ დირექტორის თანამდებობიდან დათხოვნა, 2) ხელფასის კლების შეჩერება, 3) უკლებლივ ყველა მშრომელთან კონტრაქტის გახანგრძლივება და 4) საწარმოში არსებული სამუშაო სტანდარტისა თუ ფინანსური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის შექმნა.* გაფიცვის მე-3 დღეს შეთანხმება შედგა ხელფასის კლების შეჩერებასა და მშრომელებთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე. შეთანხმების მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა,ასევე, ხელფასების ყოველწლიური ინდექსაციის ვალდებულება, რომელიც, საბოლოოდ, საწარმომ არ აღასრულა. ხელშეკრულების აღსრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი აქ წარმოდგენილ პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას არ უწარმოებია და საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ 2016 წელს ტყიბულის გაფიცვის პერიოდში დადგა. ამ მოვლენებამდე რესპონდენტები ვერ იხსენებენ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის მხრიდან რამე სახის აქტიურობას თუ პროფკავშირული პოლიტიკის გატარებას, რაც მშრომელთა პროფკავშირებში გაერთიანებას, კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვას თუ მშრომელთათვის სხვადასხვა სახის მხარდაჭერას გულისხმობს. უფრო მეტიც, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ 2016 წლის მოვლენებამდე არსებული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია საწარმოს ადმინისტრაციისადმი ლოალურ დამოკიდებულებაში შეიმჩნეოდა, რაც მშრომელებში ბევრ კითხვებს აჩენდა და მათ უნდობლობას იწვევდა. 2016 წელს კოლექტიური მობილიზების მოვლენების შემდეგ კი აღნიშნული გაერთიანება რეორგანიზდა და მისი რიგები ახალმა ლიდერებმა შეავსეს.

2016 წლის მშრომელთა მობილიზების შემთხვევა

2012 წლის მოვლენებიდან დაახლოებით ოთხ წელიწადში, 2016 წლის თებერვალში, ტყიბულში კიდევ ერთხელ მოხდა მშრომელთა კოლექტიური მობილიზება, რომელიც თავდაპირველად ტრანსპორტის უბანზე დასაქმებულმა 20-კაციანმა ჯგუფმა წამოიწყო:

> „პირველი სმენა, ტრანსპორტის უბნის 20-კაციანი ბრიგადა აღარ წავედით სმენაში, გამოვედით შახტიდან გარეთ, ეს ყველას ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. ჩვენი სმენის გარდა, ყველა წავიდა [ყველამ გააგრძელა მუშაობა] შახტაში, მაგრამ უკვე მეორე სმენა არავინ აღარ წავიდა სმენაში. ამის შემდეგ სახლებში არ წავედით, არ დავიშალეთ და დავიწყეთ გაფიცვა“ (რესპოდენტი #15)

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ტყიბულის პროტესტი სპონტანურად დაიგეგმა და ის ადგილობრივი პირველადი პროფკავშირის ორგანიზაციასთან არ იყო კოორდინირებული, არამედ მუშათა თვითორგანიზებული ჯგუფის მიერ ინიცირდა.

ტყიბულის შახტზე პირველი ცვლის 20-კაციანი ჯგუფის მიერ ინიცირებული პროტესტი მალევე გავრცელდა სხვა ცვლასა და ჯგუფებში დასაქმებულ მშრომელებზე. რესპონდენტების თანახმად, ტრანსპორტის უბანში დასაქმებული მშრომელები გაიფიცნენ ხელფასის გაზრდის მოთხოვნით: *„150 კაცი ითხოვდა დაახლოებით 50 ლარით ხელფასის გაზრდას, რაც გაუწელეს თვეობით, და ამათმაც აღარ მოითმინეს მეტი“* (რესპოდენტი #11) გარდა ამისა, კოლექტიურად იყო წარმოდგენილი წუხილი დაბალ ანაზღაურებასთან, მძიმე სამუშაო პირობებსა და ადმინისტრაციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. კიდევ ერთი გარემოება, რამაც განსაკუთრებით გაამწვავა მშრომელთა უკმაყოფილება 2016 წლის იანვარში ინიცირებული საკანონპროექტო ცვლილება იყო, ტყიბულისთვის მთიანი რეგიონის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით, რაც ტყიბულის მოსახლეობისთვის საშემოსავლო გადასახადიდან 10%-იანი შეღავათის გაუქმებას გულისხმობდა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მშრომელთა მობილიზების დასაწყისში, მიუხედავად კოლექტიურად გაზიარებული წუხილის არსებობისა, საგა-

ფიცვო პროცესების ეფექტიანობა საფრთხის ქვეშ იდგა იმის გამო, რომ მოვლენები არ იყო კოორდინირებული და ინფორმაციის გაცვლისა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესები არ იყო კონსოლიდირებული:

> „გაფიცვის მესამე დღეს მეშახტეება ნელ-ნელა დაიწყეს დაშლა. ზოგი სახლებში წავიდა, ზოგმაც მუშაობა გააგრძელა. მე მაშინ ძან ცოტა ადამიანი მიცნობდა იქ.. არ მინდოდა, მუხტი დაცემულიყო და ამიტომ დავუწყე შეკრებილებს საუბარი ძალიან მარტივ ჭეშმარიტებებზე, რომ ჩვენი უკან დახევა ნიშნავდა ჩვენს უფრო უარეს მდგომარეობაში ჩაგდებას.. აქ მოხდა ის, რომ რაღაც ნაწილი ადამიანების შახტაში ჩავიდა სამუშაოდ. ანუ ერთი ბრიგადა მოტყუებით შეიყვანეს და იქ ერთი ბრიგადის სამუშაოზე დაბრუნება იმას ნიშნავდა, რომ დანარჩენიც შევიდოდა სამუშაოდ. ამიტომ დავრეკეთ შიგნით შახტაში და ის ბიჭებიც დაბრუნდნენ უკან, შუა სმენიდან უკან გამოვიდნენ, ამის შემდეგ ლიდერებიც გამოჩდნენ და საბჭოც შეიკრიბა, მაგრამ თავიდან ძალიან გართულდა მოვლენების ხელში აღება.. მიზეზი, რატომაც მე აღმოვჩნდი ლიდერი ის იყო, რომ მანამდე ვიაქტიურე, თორემ სათქმელი იქ ძალიან ბევრს ჰქონდა. ასევე ძალიან ბევრი იყო სათქმელი, იმაზე მეტიც კი იყო სათქმელი, ვიდრე ეს ამ 16 დღის განმავლობაში ითქვა“ (რესპოდენტი #13)

რესპონდენტების ნარატივებიდან ირკვევა, რომ წუხილის გაზიარება, საკომუნიკაციო არხების გამოძებნა და საერთო მოთხოვნების ირგვლივ მობილიზება მშრომელებმა გაფიცვის პროცესშივე დაიწყეს, რამაც მობილიზების მასშტაბები უფრო მეტად გაზარდა და ის საყოველთაო კოლექტიურ მოქმედებად გააფორმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიური მოქმედების დასაწყისში ტყიბულში წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია მოვლენებში ჩართული არ ყოფილა, თუმცა გაფიცვის ორგანიზებიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მშრომელებს საქართველოს პროფკავშირულმა გაერთიანებამ (GTUC) და მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა დარგობრივმა პროფკავშირებმა გამოუცხადა მხარდაჭერა.

ტყიბულის მეშახტეების სპონტანურად წამოწყებულმა საყოველთაო გაფიცვამ 16 დღეს გასტანა. *მშრომელების მთავარ მოთხოვნებს წარ-*

მოადგენდა: 1) ხელფასის 30-40%-იანი ზრდა, 2) შრომითი პირობების გაუმჯობესება, 3) ტყიბულისთვის მთის სტატუსის მოხსნის გაუქმება, 4) მშრომელების სპეცტანსაცმელითა და სამუშაო იარაღებით მომარაგება, 5) შახტში უსაფრთხოების ნორმების გამოსწორება და დაცვა, ასევე სველი და სასადილო წერტილების მოწესრიგება. აღსანიშნავია, რომ გაფიცვაში გარდა მეშახტეებისა, ასევე აქტიურად მონაწილეობდა ქალაქ ტყიბულის მოსახლეობა და ისინი სოლიდარობის ნიშნად მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებსა თუ დემონსტრაციებში. ტყიბულის მეშახტეთა კოლექტიურ მოქმედებებში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები აქტივისტური ჯგუფები, სტუდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციები. გაფიცვა ფართოდ გაშუქდა სხვადასხვა მედიასაშუალებით და მას აქტიური გამოხმაურება ჰქონდა ინტერნეტსივრცესა თუ სოციალურ ქსელებში.

საბოლოო ჯამში, ტყიბულის მშრომელთა ფართომასშტაბიანი და უპრეცედენტოდ პოპულარული გაფიცვა მე-16 დღეს ადმინისტრაციასა და მშრომელთა შორის შეთანხმების გაფორმებით დასრულდა. მოლაპარაკების პროცესში, გარდა ორი მხარისა, ასევე ჩართულნი იყვნენ ბიზნესომბუდსმენი, ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი და გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე. შეთანხმება გაფორმდა ხელფასის 10%-იან მატებაზე, შრომითი უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებასა და გაცდენილი დღეების ნაწილობრივ ანაზღაურებაზე. გარდა ამისა, მოხდა თავდაპირველად არსებული საგადასახადო შეღავათების აღდგენა, რომელიც ტყიბულს ე.წ. მთის კანონის გაუქმებამდე ჰქონდა , რაც საშემოსავლო გადასახადის 20% დაბეგვრის ნაცვლად, მხოლოდ 10% დაბეგვრას ითვალისწინებდა.

შეჯამება

ტყიბულის კოლექტიური მობილიზება გამოირჩეოდა სპონტანურობით და თავად საგაფიცვო პროცესში მშრომელთა თვითორგანიზებით. მშრომელების წუხილი ძირითადად განპირობებული იყო დაბალი ანაზღაურებით, არაადამიანური შრომის პირობებით, რომელსაც ასევე დაემატა ტყიბულისთვის მთიანი რეგიონის სტატუსის მოხსნაც. ეს განსაკუთრებით მძიმედ დააწვა აქ მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთა ძირითადი შემოსავალი შახტებში მუშაობა იყო. ამ ერთიანად აკუმუ-

ლირებულმა წუხილებმა პროტესტში ჩართვის სურვილი არა მხოლოდ საწარმოში დასაქმებულ მუშებში გააჩინა, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც აჰყვა მცირე ჯგუფის მიერ სპონტანურად წამოწყებულ და შემდგომ მასობრივ გაფიცვაში გადაზრდილ კოლექტიურ მოქმედებებს. თუმცა, მიუხედავად მაღალი სოლიდარობის, ფართომასშტაბიანი მოქმედებებისა თუ მაღალი საპროტესტო მუხტისა, მშრომელთა მოლოდინი ბოლომდე ვერ გამართლდა და საწარმომ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები, სამომავლოდ გადახედვის პერსპექტივით. ამის მიზეზი მოლაპარაკების პროცესში საწარმოს ადმინისტრაციის უპირატესობა და მშრომელთა მოლაპარაკების ძალის სისუსტე გახდა, რასაც ტყიბულში არსებული მონოწარმოება, მძიმე სოციალური გარემო და ერთადერთი რეალური დამსაქმებლის ინტერესების პრივილეგირება განაპირობებდა.

თბილისის მეტროს მემანქანეთა კოლექტიური მოქმედება

თბილისში მეტროს მშენებლობა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გადაწყდა, 1951 წელს, ხოლო 1966 წლიდან ის ექსპლუატაციაში შევიდა[32]. 2009 წლიდან თბილისის მეტრო და თბილისის მუნიციპალური ავტობუსების კომპანიები გაერთიანდა თბილისის სატრანსპორტო კომპანიად, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი თბილისის მერიაა. კომპანიაში, საერთო ჯამში, დასაქმებულია 5600-მდე ადამიანი, რომელთაგან 2800 თბილისის მეტროს თანამშრომელია. თავად მეტროპოლიტენში 12 სხვადასხვა სამსახურია წარმოდგენილი, რომელთაგან ერთ-ერთი მეტროს მემანქანეთა სამსახურია, სადაც 200-მდე მემანქანე თბილისის 22 მეტროს სადგურს დილის 6:00-დან ღამის 00:00-მდე ემსახურება[33].

32 თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი – თბილისის ტრანსპორტის ისტორია, 2017. http://ttc.com.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=56#

33 თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი, კატეგორია „ჩვენს შესახებ“, ქვეკატეგორია „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“, 2017. http://ttc.com.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=72

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

თბილისის მეტროში მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის შემთხვევები ძირითადად მემანქანეთა სამსახურს უკავშირდება: *„მეტროში არსებობს 12 სხვადასხვა სამსახური და დამოუკიდებლად თითოეულს შეუძლია გააჩეროს მეტრო, თუმცა აქ წინააღმდეგობის თემაზე ისტორია რაც დაწერილა, ყოველთვის დაუწერია მემანქანეებს, არასოდეს სხვა სამსახურს. ყოველთვის მემანქანე აკეთებდა გასაკეთებელს“* (რესპოდენტი #34). დღესდღეობით კოლექტიური წინააღმდეგობის მოქმედებების პროცესში მნიშვნელოვან აქტორს წარმოადგენს დამოუკიდებელი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია „ერთობა 2013“, რომელიც მეტროს მემანქანეებმა 2013 წლის მაისში დააარსეს. აღსანიშნავია, რომ მემანქანეთა ეს გაერთიანება არ წარმოადგენს თბილისის მეტროპოლიტენში წარმოდგენილ „მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის“ პირველად ორგანიზაციასთან აფილირებულ კავშირს, არამედ სრულებით დამოუკიდებელად დაარსებული, უშუალოდ მემანქანეთა ინიციატივით შექმნილი პროფკავშირული ერთობაა. მემანქანეთა პროფკავშირული ორგანიზაციის „მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირიდან“ გამოყოფის ძირითადი მიზეზი გახდა შიდა განხეთქილება, რაც რესპონდენტების განცხადებით, განაპირობა მეტროს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ლოალურმა დამოკიდებულებამ კომპანიის ადმინისტრაციის მიმართ:

> „დამოუკიდებელი პროფკავშირი ადმინისტრაციის მაღალ პირებს და ხელმძღვანელებს არ უნდა აერთიანებდეს თავის რიგებში. იქ კიდევ პირდაპირ ყველა გამგეობის წევრი არის ან სამსახურის უფროსი ან ხელმძღვანელი.. ამის გამო, როდესაც ვინმე დასაქმებული დაიჩაგრება და როდესაც უნდა, რომ პროფკავშირებს მიმართოს, იქ ისევ მის უფროსთან უწევს მისვლა, ანუ, ვინც ჩაგრავს, ისევ ის გამოდის მისი დამცველიც.“ (რესპოდენტი #34)

„მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირიდან“ განსხვავებით, „ერთობა 2013“ არ არის საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC) წევრი ორგანიზაცია , რაც რესპონდენტების განც-

ხადებით, აზრთა სხვადასხვაობამ და პროფკავშირული პოლიტიკის წარმოების განსხვავებულმა შეხედულებებმა განაპირობა. რესპონდენტები განმარტავენ, რომ „ერთობა 2013“ წარმოადგენს *„აბსოლუტურად დამოუკიდებელ ორგანიზაციას“,* რომელიც 200-მდე მემანქანეს აერთიანებს.

2010 წლის მემანქანეთა კოლექტიური წინააღმდეგობის აქტები

მეტროს მემანქანეთა კოლექტიური წინააღმდეგობის აქტები 2006 წელს შრომით ურთიერთობებში შესული რიგი ცვლილების დამტკიცებასთან დაკავშირებით წარმოიქმნა:

> „2006 წელში მიშას ხელისუფლების დროს გააუქმეს ყველა დანამატი – ღამის საათები, მძიმე და მავნე პირობები, კლასები, თანრიგები. შრომის კანონი შეიცვალეს და ერთ ბადეში მოაქციეს ყველაფერი. თან ის იყო, რომ დადებითი კუთხით წარმოაჩინეს ეს ცვლილება – ტარიფი თუ იყო იმ დროს 1 ლარი, ამ დანამატების ხარჯზე გახადეს 2 ლარი, მაგრამ სინამდვილეში დანამატებიანად მაშინ ადიოდა 3 ლარამდე. გამოვიდნენ და თქვეს, რომ ხელფასი გავზარდეთ 20%-ითო, სინამდვილეში კი ჯამური ხელფასი 50%-ით შემცირდა დანამატების გაუქმების გამო“ (რესპოდენტი #35)

დანამატების გაუქმებასთან დაკავშირებით წუხილს თანაბრად იზიარებდნენ თბილისის მეტროს სხვადასხვა სამსახურში დასაქმებული მშრომელები, თუმცა ამის თაობაზე მხოლოდ მემანქანეთა გაერთიანება ახერხებდა ადმინისტრაციასთან პოლიტიკურ დაპირისპირებაში შესვლას. მათი პროტესტის ღიად დაფიქსირება და ადმინისტრაციასთან კონფრონტაცი ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო:

> „2010-ში მემანქანეები ერთ ღამეში შევიკრიბეთ და შევუთვალეთ ადმინისტრაციას, რომ ვსიო, ხვალ მატარებელი აღარ გავა, თუ ამ დანამატებს არ აღდგენთ. [..]ზუსტად 10 წუთში ასე 80 კაცი, შავფორმიანი, ნიღბებით და იარაღებით დაგვადგა თავზე. მერე აღარავის ქონდა გაფიცვაზე ლაპარაკის თავი“ (რესპოდენტი #35)

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2012 წელს მეტროს მემანქანეებმა კვლავ გააქტიურეს წინააღმდეგობის პოლიტიკა. ისინი ადმინისტრაციასთან აქტიური მოლაპარაკების გზით მოითხოვდნენ ცვლილებებს და მათ დღის წესრიგში დაყენებას. აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგად მათ დაუკმაყოფილდათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა, მძიმე და საშიშ პირობებში მუშაობის დანამატის თაობაზე – მავნე პირობებში მშრომელებისთვის 50-ლარიანი, ხოლო საშიშ პირობებში მშრომელებისთვის 75- ლარიანი დანამატის ამოქმედება 2012 წლიდან შევიდა ძალაში. ამის შემდეგ მემანქანეებმა დაიწყეს მოთხოვნების წამოყენება წელთა ნამსახურების მიხედვით სახელფასო დანამატის შემოღებასა და ღამის საათების განსხვავებული ტარიფით ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

2016 წლის მემანქანეთა კოლექტიური ორგანიზება

მეტროს მემანქანეებმა 2016 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში ღია წინააღმდეგობის პოლიტიკა გააჩაღეს და კოლექტიური ორგანიზება წამოიწყეს *3 ძირითადი მოთხოვნის ირგვლივ: 1) ხელფასის 20%-იანი ზრდა, 2) ღამის საათებზე ორმაგი ანაზღაურების დაწესება და 3) წელთა ნამსახურების დანამატის შემოღება:*

> „პირველი მარტი იყო 2016 წლის, როცა პირველი აქცია მოვაწყვეთ მეტრო „დიდუბესთან“. ჟურნალისტები და ბრიფინგიც ჩავატარეთ, რათა საზოგადოება ჩაგვეყენებინა საქმის კურსში. პარალელურად გამაფრთხილებელი განცხადებები შევიტანეთ ჯანდაცვის სამინისტროში, მერიაში და სატრანსპორტოს ადმინისტრაციაში, მოვითხოვეთ ჯანდაცვის სამინისტროდან მედიატორის ჩართვა. რეალურად, შრომის კანონი ჩვენ არ გვავალდებულებდა მედიატორის მოთხოვნას, მაგრამ ამით ვაჩვენეთ საზოგადოებას, რომ პირველ რიგში ჩვენ ვიყავით მზად ამ პრობლემების მოგვარებისთვის, თუ მოლაპარაკება შედგებოდა“ (რესპოდენტი #35)

მოლაპარაკების ვადის ამოწურვის გამო, ადმინისტრაციამ სასამართლოს გზით ერთი თვით გადაავადა მშრომელთა გაფიცვის უფლების გამოყენები:

„როდესაც ჩვენ დავაანონსეთ გაფიცვის თარიღი და ის 21 დღე ამოწურა მედიატორმა, ამის შემდეგ კიდევ ითხოვა დამატებითი ორი კვირა, რა თქმა უნდა, ის ორი კვირაც მივეცით, მაგრამ ვერაფერს ვერ მივაღწიეთ ამ პერიოდშიც. ამის შემდეგ უკვე ოფიციალურად 8 აპრილს გადიოდა სრული ვადა. 7 აპრილს ჯერ არ ვიცოდით 8-ში ჩვენ გავიფიცებოდით თუ არა. უკვე 7 აპრილს მოგვიტანეს სასამართლო განჩინება და გაფიცვის ერთთვიანი გადადება მოხდა სასამართლოს საშუალებით“ (რესპოდენტი #34)

სწორედ ამ ერთთვიან პერიოდში გაფორმდა შეთანხმება მხარეებს შორის. წამოყენებული მოთხოვნებიდან მოხდა წელთა ნამსახურების დანამატის შემოღება, ღამის საათებში მუშაობის ტარიფის 20%-ით გაზრდა, ხოლო ხელფასის გაზრის შესახებ მოთხოვნის გადახედვა 2017 წლისთვის გადავადდა.

შეჯამება

მეტროს მემანქანეების წუხილი, რასაც შემდგომ მათი წინააღმდეგობის პოლიტიკის გააქტიურება მოჰყვა, დაკავშირებული იყო 2006 წლამდე არსებული სახელფასო დანამატის განახლებასთან, და ასევე დაბალ ანაზღაურებასთან. ისინი კოლექტიური წინააღმდეგობისას მიმართავდნენ მოლაპარაკებასა და მედიაციას, რომლის შედეგადაც არაერთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მიაღწიეს. მიუხედავად ამ პრაქტიკისა, 2016 წელს მათ მაინც მოუწიათ უფრო აქტიური ზომების მიღება, რაც გულისხმობდა მეტროს მემანქანეთა მიერ გაფიცვის დაანონსებას. იმის გამო, რომ მეტროს მემანქანეები მაღალი პროფილის და უალტერნატივო ცოდნისა თუ გამოცდილების მქონე კადრებს წარმოადგენდნენ, რომელთა გათავისუფლება თუ ჩანაცვლება ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებდა, მათ წინააღმდეგობის მოქმედებებს მყისიერი რეაგირება და საკითხის მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნება მოჰყვა.

2. სტრუქტურული ფაქტორების გავლენა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებებზე

სოციალური პროტესტის შესწავლისას თეორეტიკოსები თუ მკვლევრები მიუთითებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკითხის ანალიზისთვის სტრუქტურული კატეგორიების გათვალისწინება (Porta 2015, Pevin and Cloward 1979). შრომის კანონმდებლობა, პოლიტიკური შესაძლებლობა, სახელმწიფოში არსებული სოციალური დაცვის გარანტიები თუ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი ქმნის იმ საერთო სტრუქტურულ მოცემულობას, რომელიც ერთნაირ პირობებს უქმნის როგორც ტყიბულში დასაქმებულ მეშახტეებს, ასევე თბილისის მეტროში მომუშავე მემანქანეებს, თუ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დასაქმებულ მშრომელებს. ინდივიდუალურად თუ ლოკალურად წარმოქმნილი წუხილი უსამართლო მოპყრობაზე, ექსპლუატაციისა თუ ჩაგვრის პრაქტიკაზე კატალიზატორის ფუნქციას ასრულებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აკუმულირებული წუხილის სააშკარაოზე გამოსატანად და მისი სისტემური ბუნების წარმოსაჩენად.

კვლევითი პუბლიკაციის მოცემული თავი ცდილობს მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების წარმოქმნის მიზეზების დაკავშირებას ფართო პოლიტიკურ თუ სტრუქტურულ კატეგორიებთან. გაანალიზდება ის ოთხი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც განაპირობებდა მშრომელთა წინააღმდეგობის ძალას და გავლენას ახდენდა კოლექტიური წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმართვაზე. ესენია: ეკონომიკური პოლიტიკა, „რადიკალური წესრიგის“ პოლიტიკა, შრომითი ურთიერთობების ლიბერალური პოლიტიკა და ფიქციური ინსტიტუციების არსებობა, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი. აღნიშნული ტენდენციების ანალიზისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მოცემულ თავში იდენტიფიცირებული სტრუქტურული ფაქტორების გავლენა და მათი მნიშვნელობა დინამიკური და ცვალებადი იყო, მათი მოქმედების ხარისხი იცვლებოდა წლების განმავლობაში, ერთი საპროტესტო მოქმედებიდან მეორემდე.

ეკონომიკური პოლიტიკა

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვანი კომპონენტია მშრომელთა კეთილდღეობის, მათი სოციალური დაცულობისა თუ ეკონომიკური აქტივობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლა კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა იმდენად, რამდენადაც გაანალიზდებოდა, თუ რა გავლენა ჰქონდა მას მშრომელთა მდგომარეობის განსაზღვრაზე და როგორ განაპირობებდა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების სპეციფიკას.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის განხილვისას სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი სტაგნაცია განიცადა, სადაც თავდაპირველად ინსტიტუციების რღვევა, შემდეგ მოდერნიზაციის წარუმატებელი პოლიტიკა, ბოლოს კი, ვარდების რევოლუციის შემდეგ, რადიკალური ცვლილებების პოლიტიკას განხორციელდა (ჯონსი 2013, 265). ამ ყველაფერმა ერთად კი განაპირობა ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის მაღალი დონე, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში თვითდასაქმებულთა მაღალი წილი, დასაქმების ადგილებზე არსებული მაღალი კონკურენცია და ქვეყნის ეკონომიკაში არადივერსიფიცირებული ინდუსტრიული წარმოება, რომელიც წლების განმავლობაში ასუსტებდა მშრომელთა ძალას და დამსაქმებლის წინააღმდეგ კოლექტიური მოქმედებების ორგანიზების შესაძლებლობას[34].

2007-2011 წლების ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხასიათდებოდა სახელმწიფოს მხრიდან რადიკალური დერეგულაციით, ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური კონკურენციის მაღალი წილით და ეკონომიკური განვითარების არამდგრადობით, განსაკუთრებულად ამძიმებდა მშრომელთა მდგომარეობას, ზრდიდა უთანასწორობას და მშრომელებს თავისუფალ საბაზრო ლოგიკაზე დამოკიდებულს ხდიდა, სადაც მინიმუმამდე იყო დაყვანილი სოციალური დაცულობის, შრომის უსაფრთხოებისა და სტაბილური დასაქმების გარანტიები (Jobelius 2011).

2010-2011 წლებში კოლექტიური მოქმედებებისას მშრომელთა წუხილის შესწავლა სწორედ ამ პოლიტიკის შედეგებზე მიუთითებს, სადაც კოლექტიური მოქმედების მონაწილეები უმტესად დაუცველობას, ეკონომი-

34 მეტი ინფორმაციისთვის გაეცანით ამავე პუბლიკაციაში: I თავი მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შემთხვევების შესწავლა _ მშრომელთა წუხილები და მოთხოვნები (შესავალი)

კურ მოწყვლადობას და განვითარების დომინანტური დისკურსიდან მათ ექსკლუზიას აპროტესტებდნენ:

> „საწარმოო პროცესი და საწარმოს მიერ მოგების ნახვა დამოკიდებული იყო ადამიანების ფიზიკური მუშაობაზე, არათუ ზუსტ ტექნოლოგიურ გათვლებზე. ზედმეტი მუშაობა უწევდა მუშას, რომ საწარმოს მესაკუთრეს სარგებელი ენახა, გადასახადები გადაეხადა, ამით ეკონომიკას პროგრესი განეცადა და ქვეყანა განვითარებულიყო. ეს განვითრება კიდევ ჩვენი ზედმეტი მუშაობის ხარჯზე უნდა მიღწეულიყო“ (რესპოდენტი #8)

ამასთან ერთად, მშრომელთა სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობა, თავის მხრივ, მათ პოლიტიკურ გათიშულობას თუ დემოკრატიული პროცესებიდან გარიყვასაც განაპირობებდა. აღნიშნული წლების ეკონომიკური პოლიტიკის დახასიათებისას სტივენ ჯონსი წერს:

„საქართველოს ხელმძღვანელობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ გაამძაფრა ადამიანის სოციალური და ეკონომიკური გარიყვა და გაართულა მისთვის სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელება [..] საქართველოს ეკონომიკურ კრიზისს ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაში აქვს ფესვები გამდგარი“ (ჯონსი 2013, 262-63).

რაც შეეხება მომდევნო წლების ეკონომიკურ პოლიტიკას, 2012 წელს ახალი ხელისუფლების მცდელობა, გაეტარებინა რე-რეგულირების პოლიტიკა, შედეგიანი ვერ აღმოჩნდა (Diakonidze 2016). ისევე, როგორც 2012 წლამდე, კვლავ გადაუჭრელ პრობლემად დარჩა უმუშევრობის, თვითდასაქმებულთა მაღალი წილის, უთანასწორობისა თუ სიღარიბის საკითხები. შრომით ურთიერთობაში გაჩენილი სხვადასხვა რეგულაციისა და სტანდარტების მიუხედავად, მშრომელები კვლავ მწვავედ განიცდიდნენ ლიბერალური შრომითი ურთიერთობების შედეგებს[35].

გარდა ამისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც განსაკუთრებულად ასუსტებდა ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებული მშრომელების ძალას, მათი საწარმოებზე მაღალი ფინანსური დამოკიდებულება იყო.

35 მეტი ინფორმაციისთვის გაეცანით: II თავი _ შრომითი ურთიერთობების ლიბერალური პოლიტიკა და და ფიქციური ინსტიტუციები

ქვეყნის ეკონომიკაში არადივერსიფიცირებული ინდუსტრიული წარმოება და წარმოების ერთეული სექტორების არსებობა შეუძლებელს ხდიდა ისეთ მონოწარმოების რეგიონებში, როგორებიცაა ტყიბული, ჭიათურა და კაზრეთი, ალტერნატიული საწარმოების გაჩენას, დასაქმების ადგილების დივერსიფიცირებას და ერთი საწარმოს პირობებში კონცენტრირებული ფინანსური კაპიტალის გადანაწილებას[36]. ეს კი, თავის მხრივ, ასუსტებდა მშრომელთა კოლექტიური მოლაპარაკების ძალას, რადგან ისინი ფინანსურად მხოლოდ ერთი საწარმოს რჩებოდნენ მიბმულები. აღნიშნული გარემოების უარყოფით გავლენაზე მიუთითებს მონოწარმოების რეგიონებში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შემთხვევების შესწავლაც, რომელსაც 2014-2016 წლებში ჰქონდა ადგილი. ჭიათურაში, კაზრეთსა თუ ტყიბულში მშრომელთა ფინანსური დამოკიდებულება საწარმოებზე იმდენად მაღალი იყო, რომ მათი ფართომასშტაბიანი, მასობრივი თუ საზოგადოების მხრიდან აქტიურად მხარდაჭერილი კოლექტიური მოქმედებებიც ვერ გახდა საწარმოს ერთპიროვნული ძალის დაბალანსების წინაპირობა და ვერ უზრუნველყო მშრომელების მიერ წარმოყენებული მოთხოვნების აღსრულება.

„რადიკალური წესრიგის“ პოლიტიკა

გარდა სოციოეკონომიკური მოწყვლადობისა თუ დერეგულირების პოლიტიკის შედეგად შექმნილი ბარიერებისა, 2010-2011 წლებში საქართველოს კონტექსტში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების წარმოქმნას სახელმწიფო დონეზე დამკვიდრებული საპოლიციო თუ რეპრესიული რეჟიმიც აფერხებდა. ამის მაგალითია ქუთაისში 2011 წელს მშრომელთა მობილიზების უკანონო დარბევა, როდესაც ხელისუფლებამ პოლიციის გზით დაარბია მშრომელთა მშვიდობიანი აქცია და შედეგად შეზღუდა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების წარმოქმნის სამომავლო პერსპექტივები.

2010-2011 წლებისგან განსხვავებით, 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შედეგად შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა მოცემულობამ, თა-

36 აღნიშნულ საკითხს ეხება ასევე თორნიკე ჩივაძის მიერ Medium-ის პლატფორმაზე 2017 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნებული წერილი „უთანასწორობის ორი წყარო“

ვის მხრივ, ხელი შეუწყო კოლექტიური მოქმედებების ახალი ტალღის წარმოქმნას, სადაც მშრომელთა კოლექტიური მოქმედების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი პოლიტიკური მოცემულობის ცვლილება, მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ მაღალი მოლოდინის გაჩენა და წლების განმავლობაში დაგროვილი უსამართლობის კოლექტიურად გაზიარებული განცდა გახდა. 2012 წლიდან გააქტიურებული მშრომელთა აფეთქებები კიდევ ერთხელ ადასტურებდა წინა წლებში მოქმედი ხელისუფლების „რადიკალურ წესრიგზე" საყოველთაო უკმაყოფილებას (Waal 2011), რომელიც წლების განმავლობაში განაპირობებდა მშრომელთა სტრუქტურული ძალის სისუსტეს, მათი კონსოლიდირების შეუძლებლობას და ქმნიდა ისეთ წესრიგს, სადაც განსაკუთრებულად მაღალი იყო უთანასწორობის, სოციალური მოწყვლადობისა და ადამიანთა დემოკრატიული პროცესებიდან ექსკლუზიის ხარისხი. მეტროს მემანქანეები ამ ცვლილებასთან დაკავშირებით აღნიშნავენ:

> „2010 წელს იმ დონეზე მივედით, რომ გაფიცვა გამოვუცხადეთ, შევიკრიბეთ ერთ ღამეს მეტროში და შევუთვალეთ ადმინისტრაციას, რომ ვსიო, ხვალ მატარებელი აღარ გავა, თუ ამ რაღაცებს არ გააკეთებთ, ანუ დანამატების აღდგენაზეა საუბარი. იმ ღამესვე ვთხოვეთ ერთ ადვოკატს ჩვენთან მოსულიყო და როგორც კი მოვიდა, გვითხრა, რომ თქვენ თუ ახლა მატარებელს არ გაიყვანთ, გააჩერებენ ეგენი მეტროს [მთავრობისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები], ერთი საათი, ორი საათი, სამი საათი, ერთ 15 კაცს, ვინცა ხართ ძირითადები, სამშობლოს ღალატში დაგადანაშაულებენ და თქვენ რომ სამშობლოს მოღალატეები იქნებით, დამერწმუნეთ დანარჩენი 70 მემანქანე დაჯდება მატარებელზე, იმიტომ, რომ დაინახავენ, თქვენ რა დღეში ჩაგაგდესო. ამიტომ გვირჩია იმ კაცმა, რომ შეეშვით ამ ეტაპზე გაფიცვასო, და ამ საუბარში რომ ვიყავით ზუსტად, ესე 80 კაცი, შავფორმიანი, ნიღბიანი, იარაღებით შემოგვივარდა მეტროში... ანუ ამ კაცმა რომ თეორიულად ეს რაღაცა აღნიშნა, ზუსტად 10 წუთში დაიწყეს განხორციელება უკვე და რაღა გაფიცვაზე იქნებოდა საუბარი." (რესპოდენტი #35)

რაც შეეხება ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მეტროს მემანქანეების გააქტიურებას და „რადიკალური წესრიგის“ პოლიტიკის ცვლილებას, ამასთან დაკავშირებით იგივე რესპონდენტი აღნიშნავს:

> „2012 წლის არჩევნების შემდეგ ეტაპობრივად მოგვეცა საშუალება, დაგვეწყო ამ დანამატების აღდგენის მოთხოვნაზე საუბარი... ანუ, ხელისუფლება როგორც კი შეიცვალა, ჩვენ უკვე დავიწყეთ ამ წართმეულ დანამატებზე აქტიურად მიწოლა. ჩვენ გააქტიურებაში მთავარი ამბავი ის იყო, რომ ხელისუფლება შეიცვალა და პოლიტიკური სივრცე განიმუხტა, თორემ იგივე ადმინისტრაცია იყო 2014 წლამდე.“ (რესპოდენტი #35)

შრომითი ურთიერთობის ლიბერალური პოლიტიკა და „ფიქციური“ ინსტიტუციები

სხვადასხვა კვლევის თანახმად, შრომითი ურთიერთობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის ლიბერალიზაცია 2004 წლიდან დაიწყო, – გადასახადების შემცირებით, სახელმწიფოს კეთილდღეობის პოლიტიკაში შეზღუდვების დაწესებით, სხვადასხვა სახის ეკონომიკური თუ შრომითი რეგულაციების გაუქმებით და მასობრივი პრივატიზებით (დიაკონიძე 2016). აღნიშნულ პერიოდში სოციალური და შრომის პოლიტიკის მკვლევრის, ანა დიაკონიძის კვლევითი სტატიის თანახმად, გაუქმდა, შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში მონაწილე სხვადასხვა სააგენტო ასევე – ისეთი კანონები, როგორებიც იყო: კანონი დასაქმების შესახებ და კანონი სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ხოლო 2006 წელს გაუქმდა შრომის ინსპექცია. ცვლილებები შევიდა შრომის კანონში, რის შედეგადაც ის დამსაქმებლისთვის უფრო მოქნილი გახდა, ხოლო დასაქმებულის დაცულობა მინიმუმამდე შეამცირა. ამავე პერიოდში გარდაიქმნა მშრომელთა სახელფასო ანაზღაურებისა თუ სახელფასო დანამატის რეგულირების სქემაც.

აღნიშნული ცვლილებები, რაც შრომითი ურთიერთობების უკიდურეს ლიბერალიზაციას, სახელმწიფოს მონაწილეობის მინიმიზაციასა და ბიზნესის კეთების გამარტივებას ემსახურებოდა, არაერთხელ გამხდარა

მშრომელთა კოლექტიური მოქმედების წინაპირობა. მაგალითისთვის, ზესტაფონში – 2010 წელს და ქუთაისის ჰერკულესის ქარხანაში – 2011 წელს კოლექტიური მოქმედების განმაპირობებელი მიზეზი, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, თანამშრომლთა უმიზეზო გათავისუფლება იყო, რაც არსებითად ლიბერალური შრომითი კანონმდებლობით იყო ხელდასმული და მშრომელებში კიდევ უფრო ამძაფრებდა დაუცველობისა თუ მოწყვლადობის გრძნობას. აღნიშნული კანონმდებლობა სხვადასხვა წყაროში მოხსენიებულია, როგორც დასაქმებულთათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მტრულად განწყობილი კანონმდებლობა (Jobelius 2011), რომელიც დამქირავებელს საშუალებას აძლევდა, ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან. შრომის ლიბერალური კანონის მიმართ ზოგად უკმაყოფილებაზე მიუთითებს, ასევე, 2007-2011 წლებში სასამართლოში შესული შრომითი დავების მიმოხილვაც, სადაც ყველაზე ხშირად სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ სამუშაო ადგილზე აღდგენასთან ან იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიმართავდნენ (საჩალელი 2012).

რკინიგზასა და თბილისის მეტროში მიმდინარე 2012, 2013, 2014 თუ 2016 წლის კოლექტიური წინააღმდეგობის მოქმედებებიც უმეტესწილად 2006 წელს განხორციელებული შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. მშრომელები 2006 წლამდე არსებული სახელფასო ბადის აღდგენას, სახელფასო დანამატის განახლებას, ზეგანაკვეთური შრომის გაზრდილი ტარიფით ანაზღაურებას და სხვა სოციალური დაცულობის გარანტიების აღდგენას მოითხოვდნენ.

შრომის კანონმდებლობის რევიზია და გარკვეული ცვლილებები შრომითი ურთიერთობებში მხოლოდ 2012 წლიდან, არჩევნების შემდეგ ხელისუფლების ცვლილების კვალდაკვალ განხორციელდა. 2012-2013 წლებში ახალი ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები ლიბერალური შრომითი ურთიერთობების რეგულირებასთან დაკავშირებით შეიძლება, ერთი შეხედვით, რე-რეგულირების პოლიტიკის მცდელობად იქნეს წაკითხული. ამ პერიოდში შევიდა შრომის კოდექსში ცვლილებები[37], რო-

37 საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ, 2013 http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---ilo_aids/documents/legaldocument/wcms_361982.pdf

მელმაც უფრო მეტი რეგულაციები დააწესა მშრომელთა დაცულობისთვის – გამკაცრდა სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურები, გაძლიერდა მშრომელთა ადმინისტრაციული დაცულობა, შეიზღუდა შრომითი ურთიერთობის ზეპირი სახით გაფორმების პრაქტიკა და შეიქმნა კოლექტიური შრომითი დავის მედიაციის მექანიზმი. შრომის კოდექსში შესული ცვლილებებით, ასევე შეიქმნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური დიალოგის სისტემის განვითარებას სოციალურ პარტნიორებსა და სახელმწიფოს შორის (Bagnardi 2015, 61-62). გარდა ამისა, მოცემულ პერიოდში ასევე შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის ფუნქციად შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების ნებაყოფლობითობაზე დაფუძნებული მონიტორინგი განისაზღვრა.

თუმცა, მიუხედავად ცვლილებებისა, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული რე-რეგულირების პოლიტიკა უმეტესწილად ფიქციურ ხასიათს ატარებდა და მან ვერ უზრუნველყო შრომის ურთიერთობებში რეალური ცვლილებების გატარება თუ მშრომელთა დაცულობის ზრდა. ამ საკითხს ეხმაურება ანა დიაკონიძის კიდე ერთი კვლევითი სტატია „ფიქციური ინსტიტუციები და რე-რეგულირების გამოწვევა საქართველოს რესპუბლიკაში“, სადაც ავტორი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რე-რეგულირებისა და ახლად შექმნილი ინსტიტუციების ეფექტიან მუშაობას იმ პირობებში, როდესაც ზოგადი პოლიტიკის დონეზე არ მომხდარა სისტემური ცვლილებების გატარება და აღნიშნული ინიციატივები ერთჯერად, ცალკეულ თუ მცირე მასშტაბის რეფორმებად განხორციელდა: „საქართველოს მსგავს ლიბერალური ბაზრის ეკონომიკის პირობებში, ცალკეული მცდელობები, მომხდარიყო მშრომელთა მაღალი ჩართულობისა და კოორდინირების უზრუნველყოფა, არსებითად ფუჭ მცდელობებად დარჩა, რადგან ინდუსტრიული პოლიტიკის სისტემა არ იძლეოდა ამის საფუძველს“ (Diakonidze 2016, 161). გარდა ამისა, პირადი გამოცდილების საფუძველზე საუბრობს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა დარგობრივი პროფესიული კავშირის ყოფილი თავჯდომარე, თამაზ დოლაბერიძეც:

> „მშრომელთა აფეთქებებმა გამოაჩინა, რომ ის სამედიაციო მექანიზმები, რომლებიც შეიქმნა... იმ სახის შრომის ინსპექტირების მექანიზ-

> მები, რომლებიც გაიწერა, სინამდვილეში არ მუშაობს და არ არის გამართული. მათი შექმნა და ამოქმედება ფორმალურად მოხდა, ამ მექანიზმებით მუშები ვერ სარგებლობენ.“.

დამატებით კი, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტიც, ისევე როგორც სხვა ინსტიტუციები, კიდევ ერთი არაქმედითი მექანიზმი აღმოჩნდა შრომითი უფლებების დაცვისა და ზედამხედველობის თვალსაზრისით[38]. კვლევაში „შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში“ ვკითხულობთ, რომ შრომის ინსპექტირების მანდატი უკიდურესად ლიმიტირებულია და მათი უფლებამოსილება მხოლოდ უსაფრთხოებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის საკითხებით არის შემოფარგლული, თუმცა თავად ეს კომპონენტიც არ არის ეფექტიანი, რადგან „დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მყისიერი საფრთხის აღმოჩენის ან დაშავება/გარდაცვალების შემთხვევაშიც კი დეპარტამენტი სრულიად მოკლებულია ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობას“[39].

პროფკავშირული ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება

2010-2016 წლებში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შესწავლამ გამოავლინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკაში ისეთი აქტორების როლი, როგორებიცაა პროფკავშირული ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის, აქტივისტური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიაში მოღვაწე საჯარო ინტელექტუალები თუ სხვა. 2012 წელი გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა, პროფკავშირებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების თვალსაზრისით, თუმცა თავად 2012 წლის მშრომელთა მასობრივმა

38 მეტი ინფორმაციისთვის გაეცანით ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევას: „შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში“, ავტორები: თათულ ჭუბაბრია, ლელა გვიშიანი, სალომე ჯოხაძე; თბილისი, 2017.

39 იგივე, გვ: 155

პროტესტმა კარგად წარმოაჩინა, თუ რამდენად სუსტი იყო ეს ერთობები 2012 წლამდე.

სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული პროფკავშირული გაერთიანება ახალი როლის ძიებაში იყო. მათი ძალების დასუსტებას, ერთი მხრივ, 90-იან წლებში მიმდინარე შრომის ბაზრის სტრუქტურული ცვლილება და უმუშევართა თუ თვითდასაქმებულთა მაღალი დონე განაპირობებდა, ხოლო მეორე მხრივ, „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლების მხრიდან მათ მიმართ ღიად დეკლარირებული ომი, რომლის შედეგადაც პროფკავშირების კონფედერაციას აღნიშნულ წლებში ჩამოერთვა დიდი რაოდენობით ქონება და მკვეთრად შეუმცირდა ფინანსური რესურსები (ჯონსი 2013, 178-84). ამასთან ერთად, 2006 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები არა მარტო შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაციას განაპირობებდა, არამედ ასევე აფერხებდა პროფკავშირულ საქმიანობასაც – პროფკავშირის შექმნა, სულ ცოტა, 100-ზე მეტი წევრის ხელმოწერით იყო შესაძლებელი, გაფიცვის ხანგრძლივობის მაქსიმალური ვადა 90 დღემდე იყო შეზღუდული, ხოლო არალეგალური გაფიცვის ორგანიზება 2-წლიანი პატიმრობით ისჯებოდა. ასევე, აღნიშნულ პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მშრომელებს სამსახურიდან ითხოვდნენ პროფკავშირული აქტივობის გამო (Jobelius 2011). ამას ემატებოდა საწარმოებსა და კომპანიებში ე.წ. ყვითელი პროფკავშირების შექმნის გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც საწარმოს ადმინისტრაციის მხრიდან მართულ და გაკონტროლებულ მუშათა კავშირს წარმოადგენდა. ყვითელი პროფკავშირები ასუსტებდა დამოუკიდებელ, პირველად პროფკავშირულ ერთობებს და მუშათა დაშინებისა თუ წახალისების გზით ახერხებდა მათი რიგების შემცირებას.

პროფკავშირული გაერთიანებების სისუსტის ფონზე, 2012 წელს წარმოქმნილი მშრომელთა მასობრივი აფეთქებები, მიუხედავად მათი მასშტაბურობისა, რეალური ცვლილებების გამოწვევის თვალსაზრისით იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ საწარმოებში არსებული ლოკალური საკითხების გადაჭრაც ვერ უზრუნველყო. ამის მაგალითია ჭიათურის 2012 წლის მშრომელთა მასობრივი მობილიზების შემთხვევა, რომელშიც პროფკავშირული გაერთიანების, დარგობრივი პროფკავშირების ან პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები არ იყვნენ

ჩართულები და პროცესებს ლოკალურად შექმნილი საგაფიცვო საბჭო უძღვებოდა, რისი მიზეზიც პროფკავშირული ორგანიზაციების მიმართ მაღალი უნდობლობა იყო. ამ კოლექტიური მოქმედების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად რესპონდენტები, სწორედაც რომ, პროფკავშირების მიმართ უნდობლობას და აქედან გამომდინარე, გაფიცულების მიერ მათი პროცესებიდან გამორიცხვას ასახელებენ:

> „იმის გამო, რომ ხალხის მიერ მოხდა ინიციატივის საკუთარ თავზე აღება და მათ არ მიიკარეს პროფკავშირი, ბოლოს ალალბედზე იყო საქმე მინდობილი. უნდოდათ, რომ ამ ჯიკაო-ჯიკაობით გამოსულიყო საქმე. ამან გამოიწვია ის, რომ 24 დღე გაჭიანურდა პროცესები. საგაფიცვო კომიტეტის თავჯდომარე დიდად ვერაფერს აგვარებდა – ერთ-ერთი ლიდერი მაღაროში მჯდომიარე აქციისთვის შევიდა, მეორე ტრესტის წინ იდგა.. ამ 24-დღიანი დაქანცულობის და დაღლილობის შემდეგ არაფერი არ გამოვიდა. ბოლოს ხალხიც დანებდა, თავიდან 40% შემოგვთავაზეს და მაგას არ დავთანხმდით და მერე 9%-ზეც კი თანახმანი ვიყავით, ოღონდაც დასრულებულიყო. და ეს ყველაფერი მოხდა ვიღაცეების „პოხონდრიების“ [იმპულსური სურვილების] გულისთვის“ (რესპოდენტი #16)

გარდა ამისა, იმის გამო, რომ ჭიათურაში წარმოდგენილი იყო სამი სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაცია, ხოლო მათგან ორი ე.წ. ყვითელ პროფკავშირებად მოიხსენიებოდა, ეს სისტემატურად განაპირობებდა მშრომელთა ჯგუფებში განხეთქილებების წარმოქმნას და მათი ინტერესების დაპირისპირებას.

2012 წლის შემდეგ პროფკავშირებმა შეძლეს ძალების მოკრება და გაძლიერება. დღეის მდგომარეობით, საწარმოთა უმეტესობაში (გარდა კაზრეთისა) წარმოდგენილია პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები, რომელთა უმრავლესობაც (გარდა თბილისის მეტროს მემანქანეთა პროფკავშირებისა) საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების წევრ ორგანიზაციას წარმოადგენს. საწარმოებში ძლიერი და დამოუკიდებელი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნამ და პროფკავშირელი მშრომელების აქტიურმა გადამზადებამ მნიშვნელოვანი წვლილი

შეიტანა მშრომელთა ცნობიერების ამაღლებაში, საორგანიზაციო უნარების გამომუშავებაში და შეამზადა საფუძველი აღნიშნულ საწარმოებში მშრომელების მხრიდან წინააღმდეგობის პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის. 2012 წლის შემდეგ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ღიად და აქტიურად დაიწყეს შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაციის საჯარო კრიტიკა, წამოაყენეს ინიციატივა შრომის კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით და აქტიურად მოითხოვდნენ პროფკავშირული საქმიანობის ხელისშემშლელი ბარიერების აღმოფხვრას სახელმწიფოსა და საწარმოს დონეზე (Bagnardi 2015, 56-60).

თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, უნდა აღინიშნოს, რომ მაინც დღემდე სუსტი რჩება პროფკავშირული ორგანიზაციების გავლენა და მათი ძალა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებებისა თუ მოლაპარაკების პროცესში. ასევე, უკიდურესად დაბალია საზოგადოების მხრიდან პროფკავშირული ორგანიზაციების მიმართ ნდობის ხარისხიც[40], რაც პროფკავშირების მხრიდან ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოების ნდობის მოპოვებასთან დაკავშირებით უფრო სისტემური სამუშაოების აუცილებლობაზეც მიუთითებს.

2012 წლის შემდეგ, გარდა პროფკავშირული ორგანიზაციების გაძლიერებისა, შრომის პოლიტიკის გარდაქმნის მოთხოვნით, ასევე გააქტიურდა სამოქალაქო საზოგადოებაც, რომელიც ღიად და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანად გარდაიქმნა სამოქალაქო საზოგადოების როლი, მშრომელთა მხარდაჭერისა და გაძლიერების თვალსაზრისით. მშრომელთა საკითხებით დაინტერესებული აქტივისტური ჯგუფების გაჩენა და გააქტიურება, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის აღმოჩენა შესაძლოა, პოლიტიკური ველის გახსნას, რეპრესიული და საპოლიციო რეჟიმის შესუსტებას და საჯარო პოლიტიკის წარმოების არეალების გაფართოებას დავუკავშიროთ. მოცემული ცვლილება მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის გაძლიერებისა და წახალისების თვალსაზრისით. ისეთი პრაქტიკის დამკვიდრება, როგორიც იყო სოლიდარობის საჯაროდ გამოხატვა,

40 Survey of Public Opinion in Georgia February 22 – March 8, 2017. International Republican Institute http://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation_georgia_2017.03-general.pdf

ცალკეული მხარდასაჭერი აქციების ორგანიზება, ფინანსური რესურსების მოხალისეობრივი შეგროვება და მშრომელთა პროტესტში აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვან მხარდაჭერად იყო აღქმული კოლექტიურ მოქმედებებში ჩართული მშრომელების მიერ.

თუმცა, როგორც პროფკავშირული ორგანიზაციებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვისაც ასევე რთული გამოწვევა აღმოჩნდა მშრომელებისთვის სისტემური და ცვლილებებზე მიმართული მხარდაჭერის აღმოჩენა. მათი სოლიდარობის აქტები ნაკლებ სისტემური და უმეტესად რეაქციული, დროში შეზღუდული და სპორადული იყო. თუმცა, ამის მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიურობა, მათი პოლიტიკური ხედვა თუ გამოცდილება წლების განმავლობაში ვითარდებოდა, იხვეწებოდა და უფრო მეტ მნიშვნელობასაც იძენდა მშრომელებისთვის.

შეჯამება

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შესწავლამ ქვეყანაში არსებული მაკროპოლიტიკისა თუ სტრუქტურული ფაქტორების ფონზე ცხადყო, რომ მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკის შემთხვევები წარმოადგენდა, არა ინდივიდუალურ ან ცალკეულ შემთხვევებს, რომელთა მიზეზებიც მხოლოდ საწარმოში ლოკალურად დაწესებულ შრომის ორგანიზებისა და დამსაქმებლის მიერ დაწესებული შრომითი ურთიერთობების შიდა სპეციფიკაში უნდა ვეძიოთ, არამედ მომდინარეობდა სახელმწიფო დონეზე წარმოებული სისტემური და განგრძობითი პოლიტიკიდან, რომელიც ერთგვაროვნად მიემართებოდა სხვადასხვა სექტორში, საწარმოსა თუ პოზიციებზე დასაქმებულ მშრომელებს.

ამასთან ერთად, 2010 წლიდან 2016 წლამდე არსებული კონტექსტის შესწავლამ ეკონომიკის, შრომითი კანონმდებლობისა თუ მშრომელთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცულობის თვალსაზრისით, წარმოაჩინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მშრომელთა მდგომარეობის განსაზღვრისთვის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის მიდგომა, რამდენად გაზარდა მშრომელთა დაუცველობა და მოწყვლადობა შრო-

მითი ურთიერთობების ლიბერალიზაციის აქტიურმა ფაზამ და რამდენად რთული აღმოჩნდა რე-რეგულირების პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელება იმ პირობებში, როდესაც ინიციატივებსა და ცვლილებებს მხოლოდ ერთჯერადი და არასისტემური ხასიათი ჰქონდა და არ გულისხმობდა ცვლილებების სისტემურ, ფუნდამენტურ გატარებას. შესაბამისად, წუხილი დაუცველობის, მოწყვლადობის, განვითარების დომინანტური დისკურსიდან გამოთიშულობისა თუ ძალთა სისუსტის შესახებ წარმოადგენდა, მშრომელებში ფართოდ და საყოველთაოდ გავრცელებულ წუხილს რომლის პირველწყაროც არა ცალკეულ შემთხვევებში ან მოვლენებში უნდა გვეძებნა, არამედ ქვეყნაში წლების განმავლობაში გატარებულ პოლიტიკასთან კავშირში უნდა განგვეხილა.

ბოლოს კი, ისეთი მნიშვნელოვანი რესურსის გაჩენა, როგორიცაა პროფკავშირული ორგანიზაციების გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება, დიდ როლს თამაშობდა მშრომელების წინააღმდეგობის პოლიტიკის შემთხვევების წარმოქმნაში, განსაკუთრებით კი 2012 წლის შემდეგ, როდესაც საჯარო პოლიტიკური ველის არეალი და სამოქალაქო ჩართულობის ხარისხი განსაკუთრებით გაიზარდა. ამავე პერიოდში გააქტიურდნენ აქტივისტური ჯგუფები, არამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო ინტელექტუალები თუ სხვა სამოქალაქო საზოგადოების წევრები მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკის მხარდასაჭერად. ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფართოვდა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის პოლიტიკა და პოტენციალი, რომელთა მდგრადი და სტაბილური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად აძლიერებდა რეგონების საწარმოებში დასაქმებულ მშრომელებს და პროფკავშირების პირველად ორგანიზაციებს.

3. კოლექტიური იდენტობის წარმოქმნა და მისი როლი მშრომელთა მობილიზებისა თუ ორგანიზების შემთხვევებში

წინა თავში მიმოხილული იყო ის ძირითადი წუხილი თუ მოთხოვნა, რის საფუძველზეც წლების განმავლობაში მობილიზდებოდნენ მშრომელები, ასევე – ის სტრუქტურული განზომილებები, რომლებიც განაპირობებდა მშრომელთა ძალას და კოლექტიური მოქმედებების ეფექტიანად წარმართვას. ამ საკითხების მიმოხილვასთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ ახერხებდნენ მშრომელები ინდივიდუალური წუხილიდან საერთო ინტერესზე შეჯერებას, ინდივიდებიდან კოლექტივის შექმნას და ერთი ინტერესის ქვეშ გაერთიანებას. მოცემული თავი სწორედ ამ საკითხს შეეხება, კერძოდ, თუ როგორ ხდებოდა მშრომელებში *კოლექტიური იდენტობის* წარმოქმნა, რომელიც საბოლოოდ კოლექტიურობის განცდას უღვივებდა მშრომელებს. ამ მიზნით, თავის დასაწყისში მიმოხილული იქნება ის გარემოებები, რომელიც ხელს უწყობდა თუ ხელს უშლიდა მშრომელებში *კოლექტიური იდენტობის* წარმოქმნას, ხოლო შემდეგ განიხილება, თუ რა როლს თამაშობდა *კოლექტიური იდენტობა* მშრომელთა კოლექტიური მოქმედების პროცესებში.

რას გულისხმობს *კოლექტიური იდენტობის* კონცეპტი და რა შინაარსით გამოიყენება სოციალური მოძრაობებისა თუ შრომითი პროტესტის კონტექსტში? აკადემიური ლიტერატურა განმარტავს, რომ კოლექტიური იდენტობა ჩნდება ადამიანთა ინტერაქციის პროცესში, როდესაც სოციალურ კავშირებს ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა და ღირებულება, ხოლო ამ კავშირების მონაწილე ადამიანებს უჩნდებათ ერთგვაროვანი აღქმა მათი სტატუსის, მდგომარეობისა თუ სიტუაციის მიმართ (Polletta and Jasper 2001). სოციალური მოძრაობების შემთხვევაში კოლექტიურად გაზიარებული იდენტობა განაპირობებს მის წევრებში ერთნაირი დამოკიდებულების წარმოქმნას მოძრაობის მიზნისა თუ მისი მნიშვნელობის

შესახებ, რომელიც ჯგუფის მონაწილეებს შორს იწვევს ურთიერთსოლიდარობის განცდას და შეგრძნებას , რომ მათი კერძო თუ ჯგუფური კეთილდღეობა დამოკიდებულია ფართო კოლექტივის თუ თავად ამ მოძრაობის ბედზე (Gamson 1991). რაც შეეხება მშრომელებს, დასაქმების ადგილებზე კოლექტიური იდენტობის წარმოქმნას მნიშვნელოვანწილად კომუნიკაცია და ინტერაქცია განაპირობებს, ხოლო იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს კოლექტიური იდენტობის ქვეშ მოქმედების წამოწყება, უნდა არსებობდეს შიდა ჯგუფური სოლიდარობა, გაჩნდეს მოწინააღმდეგე მხარის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება, რაც ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფს საშუალებას მისცემს ერთმანეთთან კომუნიკაციისა დამყარების, წუხილის გაცვლისა და საერთო ინტერესის ქვეშ გაერთიანების (Taylor and Dyke 2004). მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ კოლექტიურობის განცდა შესაძლოა, წინასწარვე არ იყოს მოცემული და თავად წინააღმდეგობის ან პროტესტის პროცესში გაჩნდეს, ეს განცდა ადამიანთა ფართო ჯგუფმა გაიზიაროს და შემდგომ ამგვარად ფორმირებული კოლექტიური იდენტობის ქვეშ დაიწყოს წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოება (Taylor და Dyke 2004, 270).

საქართველოში 2010-2016 წლებში მიმდინარე შრომითი პროტესტის შესწავლამ მშრომელთა კოლექტიურ იდენტობაზე დაკვირვებით გამოავლინა ის ოთხი ძირითადი ფაქტორი, რაც მნიშვნელოვანი იყო მშრომელებში კოლექტიურობის განცდის გაღვივებისა და საერთო იდენტობის კონსტრუირების თვალსაზრისით. ეს ფაქტორებია: 1) საწარმოს შესახებ კოლექტიურად გაზიარებული წარმოდგენა; 2) მშრომელთა ინტერაქციისა და კომუნიკაციისთვის სივრცეების არსებობა; 3) საწარმოს ინფრასტრუქტურული მოწყობა და 4) საწარმოებში დამკვიდრებული შრომის შიდა ორგანიზების სპეციფიკა.

საწარმოს შესახებ კოლექტიურად გაზიარებული წარმოდგენა

იმ საწარმოების უმეტესობა, სადაც მშრომელთა კოლექტური მოქმედებას აღინიშნა, წარმოების ხანგრძლივი ისტორიით გამოირჩევა. ჭიათურის მაღაროებში , კაზრეთის საბადოებსა და ტყიბულის შახტებში მოპოვებითი სამუშაოები ჯერ კიდევ გვიან მე-19 და მე-20 საუკუნეებში დაიწყო. სა-

ქართველოს რკინიგზამაც მე-19 საუკუნეში დაიწყო მოქმედება , ხოლო ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმო 1933 წლიდან შევიდა ექსპლუატაციაში. თბილისის მეტრო შედარებით უფრო გვიან, 1960-იან წლებში ამოქმედდა, ხოლო ქსნის მინის ტარის საწარმომ მუშაობა კომპანია „შიშეჯამის“ ხელმძღვანელობით 1997 წლიდან დაიწყო. გამონაკლისს წარმოადგენს ქუთაისის მეტალურგიული საწარმო, რომელიც ყველაზე გვიან, 2009 წელს ამოქმედდა. უმეტესობა ამ საწარმოებისა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ რეგიონისა თუ ქალაქ-სოფლის განვითარებასთან, სადაც ისინი მდებარეობს, განაპირობებს რა აქ მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების წესსა თუ მათ სოციალურ ფორმაციას.

ზესტაფონის შემთხვევაში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშაობა *„მამებიდან შვილებს გადაეცემათ“,* ხოლო ტყიბულში მეშახტეობა „ჩესტს“ [წოდებას, სტატუსს] წარმოადგენს: *„ხალხისთვის და მშრომელებისთვის შახტიორი არის ადამიანი, რომელიც ოჯახის გულისთვის, თავისი მეგობრების და ნათესავების გულისთვის, თავისი მომავლის არსებობის გულისთვის, მიწის ქვეშ 300-400 მეტრზე ჩადის და არ იცის, იქიდან ცოცხალი ამოვა თუ არა. შახტიორობა არის ჩესტი“. საქართველოს რკინიგზის შემთხვევაში, მემანქანეობა ყოველთვის* სახალხოდ დაფასებულ პროფესიად მიიჩნეოდა, კაზრეთსა და ჭიათურაში კი მომპოვებით-გადამამუშავებელი საწარმოები საყოველთაო დასაქმების ადგილებია, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილია დასაქმებული. ყველა ეს გარემოება კი საწარმოების მიმართ ქმნიდა გარკვეულ კოლექტიურად გაზიარებულ წარმოდგენას, როგორც საზოგადოებრივი, სახალხო საწარმოსი, სადაც დასაქმებული მშრომელებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საწარმოს „ბედთან“: *„ხალხში ეგრე არის გამჯდარი, შახტა თუ არ იქნა, ქალაქი კვდება“* აღნიშნავს ტყიბულის მცხოვრები, შახტზე დასაქმებული რესპონდენტი. ანალოგიურ კოლექტიურად გაზიარებულ წარმოდგენაზე საუბრობს ფეროშენადნობთა საწარმოს მშრომელიც:

> „ფერო სახალხო დაწესებულებაა, რომელსაც ადმინისტრაცია კი მართავს, მაგრამ ხალხს ვერ აკონტროლებს. აქ არსებობს ხალხის [მშრომელების] მიერ დაწესებული რაღაც ზღვარი, რასაც არავიან

> არ გადააბიჯებს. ხალხის კეთილდღეობა პირდაპირაა დაკავშირებული საწარმოზე. ამის გამო უკმაყოფილების მუხტი შეიძლება ცალ-ცალკე გროვდება, მაგრამ რაღაც მომენტი ის ერთიანად აუცილებლად ამოხეთქვას“ (რესპოდენტი #6)

ქსნის საწარმოში დასაქმებული მშრომელები საწარმოში დამკვიდრებულთა მჭიდრო კავშირსა და ერთიანობის შეგრძნებაზე მიუთითებენ: *„წლებია, ხალხი ერთად მუშაობს, მეზობელი სოფლებიდან ვართ ყველა. ხალხში ერთიანობის განცდა არსებობს, მათ წარმოდგენაში ქსნის საწარმო ერთი დიდი ოჯახივითაა და ამ ოჯახის ბედ-იღბალი მინის ტარის საწარმოებზეა დამოკიდებული“ (რესპოდენტი #31).*

ჭიათურასთან დაკავშირებით კი, სადაც მანგანეზის მოპოვება-გადამუშავება დასაქმების ძირითადი ალტერნატივაა, ხოლო აქ წარმოდგენილი კერძო მეწარმე „ჯორჯიან ამერიქან ელოიზი“ ჭიათურის მასშტაბით მიწისა და სამთო მინაკუთვნის 16 430 ჰექტარს ფლობს, სადაც საერთო ჯამში 3 000-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს[41], არა მხოლოდ საწარმოს მშრომელების კეთილდღეობას, არამედ ჭიათურის მოსახლეობის „ბედსაც“ განსაზღვრავს. ამის გამო, ადგილობრივ მოსახლეობას და საწარმოს მშრომელებს აქ წარმოდგენილი კერძო მესაკუთრის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ და ისინი მთავარ მოწინააღმდეგედ მანგანეზის საბადოებისა და ქარხანა-ფაბრიკების მფლობელ კერძო მესაკუთრეს მიიჩნევდნენ:

> „ამათ ხელში [ჯორჯიან ამერიქან ელოიზის] ინგრევა ქალაქი. თუ ჭიათურის ლიკვიდაციის გეგმა სადმე არსებობს, მოდი, ჩვენც გვითხრან მოსახლეობას, თუ არა და აქ [ჭიათურაში] ცხოვრების გაგრძელება არაფრით არ შეიძლება. მშრომელისთვის კი არა, ჩვეულებრივი მოსახლეობისთვის საარსებო პირობები აღარ არის. დამტვერიანება, წყლის დაბინძურება, მიწიდან მანგანეზს რომ იღებს, იმ მიწის რეკულტივაციას არ ახდენს.. კი დაუწერა სახელმწიფომ ჯარიმა რამოდენიმეჯერ, მაგრამ არ იხდის და რა გინდა, რომ ქნა?! წარმოიდგინე ეხლა, ეს კომპანია სახელმწიფოს რომ ეურჩება, ჩვენ რას გვიზამს?! დასაქმებული ხარ თუ არ ხარ, ყველანი ექსპლუტაციაში ვართ!“ (რესპოდენტი #19)

41 „მწვანე ალტერნატივა“: http://greenalt.org/old/map/text/chiaturmanganumi/chiaturmanganumi.html

კვლევის შედეგად გამოვლენილი შემთხვევების შესწავლა და რესპონდენტების ინტერვიუები ცხადყოფს ადამიანთა ფართო ჯგუფების მიერ სოციალური მოცემულობისა თუ საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ერთგვაროვან აღქმას. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ამ ჯგუფებს შორის ურთიერთსოლიდარობის გაჩენას და მათ კონსოლიდირებას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა ბრძოლების გადაკვეთისა და მათი კოლექტიური იდენტობის ქვეშ წინააღმდეგობრივი პოლიტიკის წარმოებისთვის მხოლოდ კოლექტიურად გაზიარებული წარმოდგენები შესაძლოა, საკმარისი არ აღმოჩნდეს, არამედ მნიშვნელოვანია სხვა რესურსების არსებობაც.

მშრომელთა ინტერაქციისა და კომუნიკაციის სივრცეების არსებობა

რამდენადაც მშრომელები უმეტესად სამუშაო პროცესში ხვდებიან ერთმანეთს, როდესაც მათი დრო და საკომუნიკაციო თემატიკა, ძირითადად, სამუშაო საკითხებით თუ შესასრულებელი დავალებებით არის შემოფარგლული, ამ პირობებში არსებითი ხდება სხვა ალტერნატიული გადაკვეთის სივრცეები, სადაც მშრომელები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესს მიღმა შეძლებენ მნიშვნელოვანი თემების განხილვას, წუხილის გაზიარებას და საერთო მოთხოვნებზე შეჯერებას. ამ თვალსაზრისით, კვლევის პროცესში რესპონდენტებმა დაასახელეს ძირითადად სამი სახის საკომუნიკაციო და ინტერაქციის სივრცეები, რომლებიც პირობითად შეიძლება *ფორმალურ, თვითორგანიზებულ და არაფორმალურ სივრცეებად მოიხსენიებოდეს .*

ინტერაქციისა და კომუნიკაციის ფორმალურ სივრცედ, რესპონდენტები საწარმოს ხელმძღვანელობის მხრიდან ინიცირებულ აქტივობებს თუ მათ მიერ გამოყოფილ სივრცეებს ასახელებენ. მაგალითად, რკინიგზის ელ. დეპოს ობიექტზე დასაქმებული მშრომელები აღნიშნავენ, რომ აქ ადმინისტრაციის მიერ დაწესებულია ე.წ. „მემანქანის დღე“, როდესაც რკინიგზაში დასაქმებული მემანქანეები დროის გარკვეულ მონაკვეთში იკრიბებიან, ხვდებიან ადმინისტრაციულ ჯგუფს და შეუძლიათ თავიანთი პრობლემების წამოყენება, ერთმანეთში განხილვა თუ მათთვის მნიშვნელოვანი

საკითხების აქტუალიზება. ასევე ფორმალურ სივრცედ შეიძლება განვიხილოთ საწარმოებში პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციისათვის ადმინისტრაციის მხრიდან გამოყოფილი ფართი, სადაც პროფკავშირის თავმჯდომარე კომიტეტთან ერთად მართავს შეკრებებს, სხვადასხვა საკითხის განსახილველად იწვევს საწარმოს მშრომელებს და დიალოგის რეჟიმში ხდება პრობლემების, წუხილისა თუ მოთხოვნების ურთიერთგაზიარება. ასეთი ფართებით სარგებლობენ ჭიათურის, ზესტაფონის, ქსნის, ტყიბულის, რკინიგზისა და მეტროს მემანქანეების პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები. ფორმალური ინტერაქციისა და კომუნიკაციის სივრცის თვალსაზრისით, განსხვავებული ვითარებაა კაზრეთში, სადაც პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, დღეის მდგომარეობით, არ მოქმედებს და არც სხვა შეკრებისა და კომუნიკაციის ფორმალური სივრცის არსებობა დასტურდება, ხოლო ქუთაისის მეტალურგიულ საამქროში საწარმოს ადმინისტრაცია არათუ უზრუნველყოფდა მშრომელებს ფორმალური სივრცის ფართით, არამედ, რესპონდენტების თანახმად, პირიქით მიზანმიმართულად ახშობდა მშრომელთა ყველა ტიპის კავშირსა თუ გაერთიანებებს.

საწარმოთა უმეტესობაში მშრომელთა ინტერაქციისა და კომუნიკაციის ფორმალური სივრცეების არსებობის მიუხედავად, რესპონდენტები განმარტავენ, რომ კოლექტიური მოქმედებების ორგანიზებისას მშრომელები კომუნიკაციისა და ინტერაქციისთვის ყველაზე ეფექტიანად ე.წ. თვითორგანიზებულ სივრცეებს იყენებდნენ. ქსნის მინის ტარის საწარმოს მშრომელებისთვის ასეთ თვითორგანიზებულ სივრცეს საწარმოს სასადილო ოთახი თუ ქარხნის გარე ეზო წარმოადგენდა. ქუთაისის მეტალურგიულ საამქროში ინტერაქცია-კომუნიკაციის აქტები ძირითადად *„ქარხნის ეზოში, ხის ჩრდილის ქვეშ“* და საწარმოს მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით მგზავრობისას ხდებოდა. ზესტაფონში კი თვითორგანიზებული სივრცეები, ძირითადად, ცვლების გადაბარებისა და ასევე ტრანსპორტით მგზავრობისას იქმნებოდა. გარდა ამისა, კიდევ ერთ-ერთ თვითორგანიზებულ სივრცეს წარმოადგენდა უშუალოდ გაფიცვისა თუ პროტესტის აქტები, სადაც სხვა ფორმალურ სივრცეებს მოკლებული მშრომელთა ჯგუფები ეწეოდნენ წუხილის საჯაროდ არტიკულირებას, სხვა მშრომელებისთვის პროცესებში ჩართვისკენ მოწოდებას და ამის პარალელურად კოლექტიური

იდენტობის წარმოებას. ყველაზე ცხადად ეს პროცესი, როდესაც გაფიცვის პირობებში მოხდა თვითორგანიზებული სივრცეების შექმნა, აღინიშნა კაზრეთისა და ტყიბულის მშრომელთა კოლექტიური მოქმედებისას. ამასთან დაკავშირებით ტყიბულელი რესპონდენტი ტყიბულის გაფიცვისას შექმნილ თვითორგანიზებულ სივრცეზე საუბრობს:

> „ჩვენ მანამდე არც ერთი არ ვიცნობდით ერთმანეთს [ტყიბულის პროტესტის მონაწილეები გაფიცვამდე არ ვიცნობდით ერთმანეთს], მარტო გამარჯობა-გაგიმარჯოთი. ყველას გვქონდა პროტესტი, ისეთი რაღაცეები ხდებოდა შახტაში, მაგრამ ამას ჩვენთვის ვინახავდით. მერე გაირკვა, რომ რომელიღაცა ჯგუფმა დაიწყო პროტესტი, მივედი დავჯექი ბიჭებთან, ვინც გაფიცულები ყვნენ და დავიწყეთ ძალიან ელემენტარულზე ლაპარაკი, სიტყვით გამოსვლები, ადმინისტრაციასთან საჯაროდ დაპირისპირება. ყველამ მივხვდით, რომ აქ უკან დახევა არ შეიძლებოდა, უფრო და უფრო მეტი ხალხი გვემატებოდა, ყველას ერთი საწუხარი გვქონდა – ხელფასები, სამუშაო პირობები.. ბოლოს ერთიანობა, რომ შედგა, მერე უკვე უფრო მივაწექით“

იმავეს აღნიშნავს კაზრეთის საწარმოში დასაქმებული რეპონდენტიც, როდესაც განმარტავს, რომ 2013 წელს აფეთქების უბანზე დასაქმებული მშრომელების მცირე ჯგუფის გაფიცვამ შექმნა ის სივრცე, სადაც მშრომელებმა შეძლეს წუხილზე ღიად საუბარი, კოლექტიური ინტერესების ქვეშ გაერთიანება, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო 2014 იანვრისთვის კაზრეთის საწარმოში მშრომელთა საყოველთაო გაფიცვისთვის ნიადაგის შემზადებას.

რაც შეეხება არაფორმალურ სივრცეებს, ამ კონტექსტში რესპონდენტები საუბრობენ უმეტესად ერთმანეთში გაბმულ სხვადასხვა ნათესაურ, მეგობრულ თუ მეზობლურ ურთიერთობაზე, რაც მათ საშუალებას აძლევდა, საწარმოს გარეთ დაეგეგმათ შეხვედრები, განეხილათ მათთვის საჭირბოროტო საკითხები და დაეკავშირებინათ ინდივიდუალური ბრძოლები. არაფორმალური საკომუნიკაციო სივრცეის ეფექტიანი გამოყენება, კოლექტიური იდენტობის შესაქმნელად, ძირითადად, ჭიათურაში, ტყიბულსა

და კაზრეთში ხდებოდა, სადაც მოსახლეობაში არსებობდა მჭიდრო სოციალური კავშირები და ნაცნობობა. თუმცა ამ რეგიონების მიღმაც, ნახევრად ურბანულ თუ ურბანულ დასახლებებშიც – ქსანსა და მის მიმდებარე სოფლებში, ქუთაისსა და თბილისში – კვლავ აქტიურად ხდებოდა არაფორმალური ურთიერთობებისა და საწარმოში გაფორმებული სოციალური კავშირების დასაქმების ადგილის გარეთ აქტუალიზება და გამოყენება.

საწარმოს ინფრასტრუქტურული მოწყობა

დასაქმების ადგილების ინფრასტრუქტურული მოწყობა და მათთვის დამახასიათებელი სივრცით-გეოგრაფიული განლაგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მშრომელებში კოლექტიური იდენტობის კონსტრუირებისთვის. იმავეს აღნიშნავს საზოგადოებრივი გეოგრაფიის მკვლევარი პაულ რატლეჯიც, გეოგრაფიისა და სოციალური მოძრაობების ურთიერთკავშირზე წერისას, როდესაც აღნიშნავს, რომ განსხვავებულ სივრცეებში მყოფ ადამიანებს განსხვავებული იდენტობა, გამოცდილება და პოლიტიკური ცნობიერება უყალიბდებათ. რატლეჯი აღნიშნავს, რომ სივრცეები გეოგრაფიული განლაგების მიხედვით განსხვავებულადაა დაკავშირებული ვრცელ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულიქსელებთან. მისი განმარტებით, კოლექტიურ მოქმედებაში მონაწილეთა კოლექტიური იდენტობა და ცნობიერება სწორედ ამ ქსელებთან ინტერაქციის პროცესში ყალიბდება, ხოლო თავად ინტერაქციის ინტენსივობასა და მის ხარისხზე სივრცითი ფაქტორები ახდენს გავლენას (Routledge 2015).

სივრცით-გეოგრაფიული ფაქტორის შესასწავლად საინტერესოა ჭიათურისა და ზესტაფონის მაგალითების განხილვა _- გეოგრაფიული განლაგების მიხედვით, ზესტაფონს უფრო მეტად ცენტრალური მდებარეობა აქვს . მას საქართველოს რკინიგზის ხაზები და დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ტრასა კვეთს, მაშინ, როდესაც ჭიათურა იზოლირებულია ცენტრალური სატრანსპორტო თუ სატრანზიტო ქსელებიდან და უფრო მეტადაა ჩამოშორებული ქვეყნის სხვა ეკონომიკური აქტივობიდან. რესპონდენტების განმარტებით, ეს გარემოება მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღნიშნული დასახლებების შიდა პოლიტიკური თუ სოციოეკონომიკური დინამიკის განსაზღვრასა და ქვეყნის მაშტაბით აღ-

ნიშნული ქალაქის რეპრეზენტაბელურობაში. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ამ ქალაქებში საწარმოების შიდა ინფრასტრუქტურული მოწყობა წარმოადგენს _- ფეროშენადნობთა ქარხანა ერთ ტერიტორიულ ერთეულზეა განფენილი, მაშინ, როდესაც ჭიათურის მაღაროები და ფაბრიკა-ქარხნები სხვადასხვა ტერიტორიულ წერტილში მდებარეობს. ამ კომპონენტის გათვალისწინებით, ზესტაფონელი და ჭიათურელი რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ ფეროშენადნობი საწარმოს მშრომელები უფრო მეტად ორგანიზებულები და კოლექტიურები არიან, ვიდრე ჭიათურელი მშრომელები, ეს კი იმ პირობებში, როდესაც ორივე საწარმოში ერთი საერთო კერძო მეწარმეა წარმოდგენილი და შესაბამისად შრომის ანაზღაურება, შრომითი პირობები თუ დამსაქმებლის დამოკიდებულება დასაქმებულებისადმი ორივეგან მსგავსია. ამასთან დაკავშირებით ფეროშენადნობთა საწარმოს მშრომელი აღნიშნავს:

> „ფეროში მობილიზების საშუალებები უფრო არსებობს და მარტივიც არის. აქ ისე ხდება, რომ ყველა ერთი საწარმოს ჭერის ქვეშ ვართ და თავისთავად ინფორმაციის გაცვლა და უკმაყოფილების გაზიარება უფრო ადვილად ხდება.. ჭიათურაში მშრომელთა მობილიზება ძალიან ძნელია. მაღაროები ერთმანეთისგან შორის არის განლაგებული, დიდ დისტანციაზე.. ფეროში იმიტომ, რომ ერთ დიდი ჯგუფად არიან შეკრულები, ერთი საერთო საწარმოს გამო, ხალხიც უფრო მებრძოლი არის, ერთმანეთთან უკმაყოფილების გაზიარება ყოველთვის არის შესაძლებელი, რაც უფრო და უფრო მეტ ადამიანს აქეზებს ბოლოს. ჭიათურაზე კი რომ ვილაპარაკოთ, აქ, ამ მხრივ, არანაირი გამოცდილება არ არსებობს.. მე არ მსმენია, რომ იქ დიდი ჯგუფი ერთმანეთთან განიხილავენ საკუთარ წუხილებს და მოთხოვნებს, რადგან ეს უბრალოდ დიდ განფენილ სივრცეზე და დაქსაქსული საწარმოების თუ მაღაროების პირობებში თითქმის შეუძლებელია. იგივეა კაზრეთშიც, არც კაზრეთში არ არსებობს ამის შესაძლებლობა, რადგან იქაც თითქმის იგივე ტიპის მოწყობაა“.

ანალოგიურად სვამს საკითხს ჭიათურაში დასაქმებული და აქ წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრიც:

„ფეროშენადნობთა ქარხანა არის ერთი შემოღობილი საწარმო, ჭიათურაში კიდევ ასეთი ცალკეული, შემოღობილი საწარმო, 7 მაღარო და 5 გამამდიდრებელი ფაბრიკაა, რომლებიც 10-15 კილომეტრით დაშორებულად არიან ერთმანეთისგან, ცალ-ცალკე არიან დაქსაქსულები. აქ მომუშავე ადამიანების ერთად თავმოყრა კიდევ წარმოუდგენელია.. მით უმეტეს, ამ სხვადასხვა საწარმოებშიც ზოგი იმ დროს მუშაობს, ზოგი ამ დროს, ვერ გაიგებ.. ზესტაფონში კიდევ ერთი გრაფიკია, 4 ბრიგადაა და გაცილებით ორგანიზებულები არიან და, შესაბამისად, უფრო ადვილად ახერხებენ მობილიზებას“.

ჭიათურა-ზესტაფონის შემთხვევების გარდა, სხვა საწარმოებშიც სხვადასხვა დოზით მოქმედებდა სივრცით-გეოგრაფიული და შიდა ინფრასტრუქტურული მოწყობების ფაქტორი. ქსნისა და ქუთაისის საწარმოებში, ფეროშენადნობთა საწარმოს მსგავსად, ერთი ტერიტორიული ლოკაციის ფარგლებში მიმდინარეობდა მშრომელთა ინტერაქცია, რაც, რესპონდენტების განცხადებით, მათში კოლექტიურობის შეგრძნებას ადვილად აღვივებდა. რაც შეეხება ტყიბულსა და კაზრეთს, ეს საწარმოები უფრო მეტად იმეორებს ჭიათურის ინფრასტრუქტურულ მოდელს, სადაც მოპოვებითი და გადამამუშავებელი საწარმოები სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულზე, ერთმანეთისგან დისტანციურად არის განლაგებული, რაც, თავის მხრივ, აბრკოლებდა მშრომელთა დიდი ჯგუფების ინტერაქციას, საერთო იდენტობის კონსტრუირებას და ერთიანი კოლექტივის ჩამოყალიბებას. რკინიგზის შემთხვევაში კი, მისი განფენილობისა და დივერსიფიცირებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, კოლექტიურობის განცდა დასაწყისში მხოლოდ ერთი სამსახურის ფარგლებში ჩნდებოდა შემდეგ კი ან ვრცელდებოდა სხვა სამსახურებზეც, ანდაც პროტესტი მხოლოდ ლოკალურად მიმდინარეობდა.

შესაბამისად, გარდა საწარმოსთან დაკავშირებით შექმნილი კოლექტიური წარმოდგენისა და სხვადასხვა ინტერაქციის თუ კომუნიკაციის სივრცეის არსებობისა, საწარმოს ლანდშაფტურ-ინფრასტრუქტურული სახესხვაობა დიდწილად განაპირობებდა მშრომელებში კოლექტიური იდენტობის ფორმირების შესაძლებლობას. ერთმანეთისგან შორი-შორს განლაგებული საწარმოები, დასაქმების ადგილზე მშრომელთა სხვადასხ-

ვა ჯგუფის ინტერაქციის შესაძლებლობის სიმწირე და სივრცით-ინფრასტრუქტურული გათიშულობა მშრომელებში კავშირების გაბმისა და წუხილის გაზიარებისთვის სხვადასხვა სახის ბარიერს ქმნიდა.

საწარმოებში დამკვიდრებული შრომის შიდა ორგანიზების სპეციფიკა

მშრომელებში კოლექტიური იდენტობის კონსტუირებისთვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, დასაქმების ადგილებზე არსებული შრომის შიდა ორგანიზების სპეციფიკა რაც გულსხმობს ადამიანური რესურსების გადანაწილების, ანაზღაურების დაწესების, მშრომელთა დაწინაურებისა თუ მშრომელთა ჯგუფის დაკომპლექტების შიდა საწარმოო სახესხვაობებს.

ამ პერსპექტივით საკითხის შესწავლისას საწარმოებში შრომის ორგანიზების ისეთი სპეციფიკები გამოვლინდა, რომლებიც ხელს უშლიდა მშრომელთა გაერთიანებას და საერთო მოთხოვნებსა თუ კოლექტიურ ინტერესზე შეჯერებას. მათ შორის, ყველაზე გავრცელებული იყო *ერთსა და იმავე პოზიციაზე დასაქმებული მშრომელებისათვის განსხვავებული ანაზღაურების გაცემა,* რაც ხშირად ხდებოდა ერთ საწარმოში დასაქმებულ მშრომელებს შორის კონფლიქტის საბაბი. ამაზე საუბრობს ტყიბულელი რესპონდენტი:

> „როცა 2014-ში დავიწყე მუშაობა თავიდან ყველაზე დაბალ ანაზღაურებიან სამსახურზე, ზედაპირზე ვმუშაობდი, „აპრაკინს“ ეძახიან, მაშინ გავიგე, რომ ხელფასები არის არათანაბარი. მე მქონდა 300 ლარი და იგივე სამუშაოზე ვინც მუშაობდა, იმას ქონდა 350 ლარი _ანუ რამოდენიმე კაცი შეეძლოთ შტატში ჩაესვათ ამ ხელფასით. მე ავდექი და ჩემს უფროსთან შევედი, მეთქი მე არ გავაკეთებ ამ სამუშაოს, ჩემზე მაღალი ხელფასები ჰქონიათ ამათ [სხვა მუშებს] და ესენი ამუშავეთ მეთქი. [..] ხელფასების ესეთი უსამართლო გაცემა ვიღაცა მუშებს შორის კი არა, ძმებს შორისაც ხდებოდა უთანხმოების მიზეზი“

აღსანიშნავია, რომ ტყიბულის გარდა, იგივე პრობლემა ჰქონდათ კაზრეთის, ქსნის, ჭიათურისა და ქუთაისის საწარმოებში.

ხელფასების „უსამართლო“ განაწილების გარდა, მშრომელთა შიდა დაპირისპირებას და საერთო ინტერესებზე შეჯერების შეუძლებლობას ასევე შრომის მოცულობისა თუ ინტენსივობის უთანასწოროდ გადანაწილება, მშრომელთა გარკვეული ნაწილის დაწინაურებისას გამოყენებული ნეპოტისტური პრაქტიკა, და ერთ საწარმოში დასაქმებულთა მკვეთრად განსხვავებული ანაზღაურებაც განაპირობებდა. რკინიგზის საწარმოსთან დაკავშირებით ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

> „რკინიგზაში, მაგალითად, როცა რაღაც პროცენტით ხელფასების მატებას ითხოვ, ეს განსხვავებულად უმატებს ხელფასს მემანქანეებს, სარკინიგზო მუშებს და ლიანდაგებების მონტიორებს, და ასეთ პირობებში კი თვითონ შიდა დაპირისპირებაც მიდის.. ძალიან განსხვავებული ტარიფით ეძლევათ ადამიანებს ხელფასები, რაც ართულებს შიგნით მათ გაერთიანებას“.

კვლევისას იდენტიფიცირებული შრომის შიდა ორგანიზების სპეციფიკები: 1) ერთსა და იმავე პოზიციაზე დასაქმებულთა განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება; 2) არათანაბრად გადანაწილებული შრომის მოცულობა თუ ინტენსივობა 3) დაწინაურებისას გამოყენებული ნეპოტისტური პრაქტიკა; 4) სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულებს შორის მკვეთრად განსხვავებული სახელფასო განაკვეთი მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნიდა მშრომელთა კონსოლიდირებისთვის, კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებისა და ბრძოლების გაერთიანებისთვის. ამ დაბრკოლებების გადასალახავად კი, უშუალოდ საგაფიცვო პროცესის დაგეგმვისას თუ კოლექტიური ორგანიზების პროცესში, მშრომელები მიმართავდნენ ისეთ ხერხს, როგორიცაა საგაფიცვო კომიტეტში მშრომელების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების გაწევრიანება, ყველაზე დაბალ პოზიციაზე დასაქმებული მშრომელების ინტერესების პრიორეტიზება, მოთხოვნების წამოყენების პროცესში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულ მშრომელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და ა.შ.

შეჯამება

2010-2016 წლებში მიმდინარე შრომითი პროტესტის შესწავლა ცხადყოფს, რომ მშრომელებისთვის უმეტესწილად სწორედ დასაქმების ადგილები წარმოადგენდა ორგანიზების ძირითად კერას, ხოლო ძლიერი კოლექტიური იდენტობის განცდა მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნიდა მშრომელთა მობილიზების ხელშეწყობაში. საწარმოს მიმართ კოლექტიურად გაზიარებული შეხედულებები საშუალებას აძლევდა მშრომელებს და მოსახლეობას, მოეხდინათ საერთო მოწინააღმდეგის იდენტიფიცირება და მასთან დაპირისპირება, თუმცა, ამასთან ერთად, მშრომელთა გაერთიანებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ინტერაქციისა და წუხილის გაზიარების უწყვეტი პროცესიც, რესპონდენტების განცხადებით, უმეტესწილად – საერთო ავტობუსებით მგზავრობისას, შესვენებების დროს, ცვლების გადაბარების პერიოდში. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციისთვის გამოყოფილი სივრცეც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა მშრომელების ფართო ჯგუფებს შორის კომუნიკაციის დასამყარებლად და საერთო წუხილის გაზიარებისთვის. ამასთან ერთად, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც დასაქმების სივრცის გარეთაც, სხვადასხვა არაფორმალური კავშირის გამოყენებით ხვდებოდნენ მშრომელები ერთმანეთს და განიხილავდნენ მნიშვნელოვან საკითხებს.

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ საწარმოს ინფრასტრუქტურული მოწყობა და ამ საწარმოებში დამკვიდრებული შრომის შიდა ორგანიზების სპეციფიკა შესაძლოა, მნიშვნელოვანი ბარიერი გამხდარიყო მშრომელთა შორის კავშირების გასაფორმებლად და ერთიანობის შეგრძნების გასაღვივებლად, თუმცა ამ ბარიერების გადასალახავად, მშრომელები სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ხშირად ახერხებდნენ საერთო ენის გამონახვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელთა კოლექტიური მოქმედების შემთხვევების შესწავლისას არ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, როდესაც მშრომელთა წინააღმდეგობის კერა ერთ კონკრეტულ საწარმოს გასცდა და სხვადასხვა საწარმოში დასაქმებულების ბრძოლის ველის გაერთიანება განაპირობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბება, წუხილის დაკავშირება თუ საერთო ინტერესის ქვეშ გაერთიანება ერთი კონკრეტულ საწარმოს ფარგლებს ვერ სცდებოდა

და მხოლოდ ლოკალურად მიმდინარეობდა. სხვადასხვა საწარმოში დასაქმებული მშრომელების წუხილის ერთგვაროვნებისა და ზოგ საწარმოში სამუშაოს სპეციფიკის მსგავსების მიუხედავადაც, მშრომელები მაინც ვერ ახერხებდნენ ერთმანეთს შორის მჭიდრო კავშირის გაბმას, საერთო იდენტობის ქვეშ გაერთიანებას და საერთო წინააღმდეგობის პოლიტიკის წამოწყებას.

4. მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების რეპერტუარის შერჩევა

საპროტესტო მოქმედებისას კოლექტიური წინააღმდეგობის მონაწილეები, როგორც წესი, სხვადასხვა სახის რეპერტუარს იყენებენ, რათა წამოაყენონ მოთხოვნები და მიაღწიონ დასახულ მიზანს. რეპერტუარის შერჩევას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, იქნება ეს ჯგუფის სპეციფიკა, დასახული მიზანი თუ გარე მოცემულობა. სოციალური მოძრაობების თეორიაში რეპერტუარის კონცეპტი, რომელიც სინამდვილეში თეატრალური მეტაფორაა და სოციალურ მეცნიერებაში ჩარლზ ტილიმ დაამკვიდრა, წარმოადგენს წინააღმდეგობის მოქმედებების შესასწავლ ანალიტიკურ საშუალებას, რომელსაც წინააღმდეგობის პოლიტიკაში ჩართული პირები ირჩევენ, რათა წამოაყენონ მოთხოვნები და იბრძოლონ კოლექტიური ინტერესის დაკმაყოფილებისთვის (Tilly, Contentious Performances 2008). კოლექტიური წინააღმდეგობის პროცესში აქტორებმა შესაძლოა გამოიყენონ ლობირებისა თუ დარწმუნების კონვენციური რეპერტუარები, ასევე ისეთი კონფრონტაციული რეპერტუარი, როგორიცაა დემონსტრაციების, გაფიცვებისა თუ მჯდომარე აქციების ორგანიზება ან მოხდეს რადიკალური რეპერტუარების ინიცირება, როდესაც ხდება გარკვეული სახის მატერიალური თუ ეკონომიკური ზიანის მიზანმიმართული გამოწვევა.

ლიტერატურის თანახმად, რეპერტუარის შერჩევაზე ისეთი ფაქტორები ახდენს გავლენას, როგორებიცაა ისტორიული მოცემულობა, კულტურული და პოლიტიკური გარემო თუ დემოკრატიულობის ხარისხი (Tilly and Tarrow, Contentious Politics 2015)რეპერტუარების შესწავლისას . მკვლევრები ასევე მიუთითებენ ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა სოციოეკონომიკური მოცემულობა, პოლიტიკური შესაძლებლობის არსებობა, ჯგუფის მიერ პოტენციური მხარდამჭერების შემოკრების პოტენციალი და ა.შ. (Taylor და Dyke 2004, 271-278, Tarrow 1993). თუ აქამდე პუბლიკაციის სხვადასხვა თავში მიმოხილული იყო კოლექტიურ მობილიზებამდე არსებული წინარე მიზეზები, ფართო სტრუქტურული მოცემულობა თუ კოლექ-

ტიური მოქმედებების ხელის შემშლელი ან ხელის შემწყობი გარემოებები, მოცემულ თავში შესწავლილი იქნება ის რეპერტუარები, როელებიც უშუალოდ კოლექტიური მოქმედების დროს და მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოების პროცესში გამოიყენებოდა.

რეპერტუარების შესწავლისას ასევე გაანალიზდება ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდა უკვე წარმოქმნილი წინააღმდეგობის მოქმედებებში მშრომელების მიერ რეპერტუარების შერჩევისა და მისი წარმოების სტრატეგიას. დამატებით კი, მშრომელთა მობილიზების შემთხვევების სრული სურათის წარმოსაჩენად, მიმოიხილება საწარმოს ადმინისტრაციის მხრიდან პროცესის სამართავად და მის დასარეგულირებლად გამოყენებული კონტრმოქმედებები.

ამ მიზნით, კვლევის პროცესში გამოვლინდა ის ძირითადი ხუთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენდა 2010-2016 წლებში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებებისას რეპერტუარების შერჩევაზე, რადიკალიზების ფორმებსა თუ მათ ეფექტიანობაზე. ესენია:

1) კოლექტიურ მოქმედებაში ჩართული მშრომელების განწყობა და მოლოდინი;
2) სახელმწიფოს პოზიციონირება და პოლიტიკური გარემო;
3) პროფკავშირების გაერთიანებების ჩართულობის ხარისხი
4) აქტივისტური ჯგუფების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობა.
5) საწარმოს ადმინისტრაციის პოზიციონირება;

მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით, 2010-დან 2016 წლამდე იდენტიფიცირებული შრომითი პროტესტი, რომელთა საერთო რაოდენობამ 6-წლიან პერიოდში 19 კოლექტიური მობილიზების (ან მობილიზების მცდელობის) შემთხვევას მიაღწია (იხ: ფიგურა 2), დაჯგუფდა სამ განსხვავებულ ციკლად: 2010-2011 წლის საპროტესტო მოქმედებები, 2012-2014 წლის საპროტესტო მოქმედებები და 2016 წელს მომხდარი საპროტესტო მოქმედებები. პროტესტის ციკლების მიხედვით, დაჯგუფების მიზანი კონკრეტული დროის პერიოდში ინიცირებული რეპერტუარების მიზეზებისა და მოტივების სიღრმისეული ანალიზია.

ფიგურა 1. კოლექტიური მოქმედებები წლების მიხედვით
სამთო–მოპოვებითო, სამრეწველო და სატრანსპორტო სექტორებში სექტორებში



პოსტ–რევოლუციური პერიოდის კოლექტიური მოქმედებები (2010–2011 წლები)

2010-2011 წლის საპროტესტო ციკლი სხვა შემთხვევებისგან რიგი მახასიათებლებით განსხვავდება. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით მაღალი იყო საპოლიციო კონტროლისა თუ რეპრესირების საყოველთაო პრაქტიკა, რაც ზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას და ქვევიდან წამოსული ინიციატივების რეალურ პოლიტიკაში გატარების შესაძლებლობას. საზოგადოების მხრიდან მაღალი იყო უნდობლობა ისეთი ინსტიტუციების მიმართ, როგორებიცაა მთავრობა, სასამართლო, მედია თუ სხვა დამოუკიდებელი ტიპის ინსტიტუციები. ასევე,იზღუდებოდა პროფკავშირული საქმიანობისა და აქტივობის შესაძლებლობა. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას და აქტივისტურ ჯგუფებსა თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი წარმომადგენლობითობა დავიწროებული იყო მცირე რაოდენობის აქტორებამდე, რომლებიც წინააღმდეგობის პოლიტიკის გატარების ერთადერთ ალტერნატიულ, თუმცა სუსტ აქტორებად მიიჩნეოდნენ. ამის პარალელურად, მშრომელების მხრიდან განსაკუთრებით მაღალი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს თუ დიპლომატიური სექტორს შიდა პოლიტიკურ ლანდშაფტზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით. აღნიშნულ პერიოდში ცენტრალურ ხელისუფლებაში კონცენტრირებული ძალაუფლების მაღალი ხარისხი განსაკუთრებულ დარტყმას აყენებდა დემოკრატიული მმართველობის პრინცი-

პებს, რომლის მსხვერპლი როგორც რიგითი მოსახლეობა თუ მშრომელები, ასევე ბიზნესსექტორი თუ კერძო მეწარმეებიც იყვნენ.

კვლევის ფარგლებში 2010-2011 წლებში სამი კოლექტიური მოქმედება გამოვლინდა. მათგან ორი შემთხვევა – ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოში 2010 წელს მომხდარი 3-დღიანი გაფიცვა და 2011 წელს ქუთაისის მეტალურგიულ საამქროში ამავე ხანგრძლივობის გაფიცვა მოცემული პუბლიკაციისთვის შერჩეულ საკვლევ შემთხვევებს წარმოადგენს. კოლექტიური მობილიზების ეს ორი შემთხვევა სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან რეპერტუარებისა თუ რადიკალიზების ფორმების თვალსაზრისით – 2010 წლის შემთხვევას ზესტაფონელი რესპონდენტები ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ გაფიცვად მოიხსენიებენ, მაშინ, როდესაც 2011 წლის ქუთაისის გაფიცვა დარბევით და მშრომელთა დაპატიმრებით დასრულდა[42]. მიუხედავად ამ განსხვავებისა, აღნიშნული კოლექტიური მობილიზების შემთხვევებისას შერჩეული რეპერტუარების შესწავლა ცხადყოფს 2010-2011 წლების ერთგვაროვან და ერთმნიშვნელოვან სპეციფიკას.

კოლექტიური მოქმედებისას შერჩეულ რეპერტუარებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზესტაფონისა და ქუთაისის შემთხვევები განსხვავებული რეპერტუარებით წარიმართა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოში 2010 წელს მიმდინარე წინააღმდეგობის პოლიტიკისას კოლექტიური მოთხოვნების წამოყენება ისეთი რეპერტუარებით ხორციელდებოდა, როგორებიცაა საყოველთაო გაფიცვა, საწარმოსთან გამართული აქციები და საწარმოო პროცესის პარალიზება, ხოლო ქუთაისის 2011 წლის მოვლენებში გამოყენებული რეპერტუარები მაღალი კონფრონტაციულობით გამოირჩეოდა – მშრომელებმა გაფიცვის დაანონსების დღიდანვე მიმართეს პროტესტის უკიდურეს ფორმას – შიმშილობას; ჰქონდათ მცდელობა, ქარხნის ტერიტორიაზე გაეშალათ კარვები და დაეწესებინათ 24-საათიანი მორიგეობა, რათა საწარმოში გარეშე, დროებით დაქირავებული მშრომელები არ შეეყვანა ადმინისტრაციას. ქუთაისის შემთხვევაში გაფიცვისას ხშირი იყო ლიდერების მხრიდან სიტყვით გამოსვლა და მოწოდებები, ხოლო პროტესტის დი-

42 Human Rights Watch, World Report 2012 – Events of 2011, გვ: 462

ნამიკის შესანარჩუნებლად გამოიყენებოდა პატრიოტული შემართების სიმღერები და მუსიკა . რეპერტუარების ამგვარ განსხვავებას ფაქტორთა სახესხვაობა განაპირობებდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, რეპერტუარების შერჩევისა თუ განსხვავებული სტრატეგიების გამოყენების ძირითადი განმსაზღვრელი, 2010-2011 წლებში, სახელისუფლებო პოლიტიკის მაღალი გავლენა იყო.

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკისა და ისტორიის მკვლევარი სტივენ ჯონსი წიგნში „საქართველო – პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ მოცემული პერიოდის სახელისუფლებო პოლიტიკას „ინტერვენციული ნეოლიბერალიზმის“ სახელით მოიხსენიებს და საუბრობს „სააკაშვილის ხელისუფლების“ მხრიდან ხალხის ტერორისთვის გამოყენებულ საპოლიციო რეჟიმზე, ხოლო ბიზნესის ტერორისთვის – „მტაცებლური ფინანსური პოლიციის“ მექანიზმზე (ჯონსი 2013, 260), რაც, ერთი მხრივ, ზღუდავდა სახალხო პოლიტიკურ აქტივობას, ხოლო მეორე მხრივ, საწარმოების საქმიანობას ხელისუფლების სისტემატურ ინტერვენციებს უქვემდებარებდა. აღნიშნულს ადასტურებს 2010 და 2011 წლებში მომხდარი მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შესწავლაც.

2010-11 წლებში მაღალი სახელისუფლებო კონტროლი, საპოლიციო რეჟიმი და კერძო საწარმოო პროცესში მათ ხისტი თუ არაფორმალური ინტერვენციის პრაქტიკა, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენდა პოლიტიკური მოცემულობის, მშრომელთა მოლოდინის, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობისა და საწარმოს კონტრმოქმედებების თუ პოზიციონირების განსაზღვრაზე. ქუთაისის 2011 წლის შემთხვევასთან დაკავშირებით კოლექტიური მოქმედების მონაწილე აღნიშნავს*: „მაშინ ისეთი პერიოდი იყო, რომ ქუჩაში გამოსვლის და პროტესტის გამოხატვა ყველას ეშინოდა. 26 მაისის დარბევა ახალი მომხდარი იყო.. შეკრება და პროტესტი ხმამაღლა არ უნდა გეხსენებინა“.* ხოლო 2010 წელს ზესტაფონის გაფიცვის მონაწილე მათი პროტესტის დარბევისგან *„გადარჩენას“* ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირებს: *„პოლიციის დარბევისგან ჩვენ წინასაარჩევნო მდგომარეობამ გადაგვარჩინა. ხელისუფლებას უნდოდა, რომ კარგად გამოჩენილიყო და ამისთვის ყველაფერი გააკეთეს“.*

აღნიშნულ პერიოდში კოლექტიური მოქმედებების მონაწილე მშრომელთა მოლოდინი ქუთაისისა და ზესტაფონის შემთხვევაში მკვეთრად

განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თუ ქუთაისის შემთხვევაში მშრომელების მოლოდინი წარმატების მიღწევასთან დაკავშირებით დაბალი იყო, 2010 წელს ზესტაფონში მშრომელებს ჰქონდათ განცდა, რომ მათი პროტესტი შედეგს გამოიღებდა: *„ადამიანები ელოდნენ, რომ უნდა მომატებოდათ ხელფასი, რადგან ცხოვრების დონე, ასე თუ ისე, იწევდა ქვეყნის მასშტაბით. მოლოდინი იყო, რომ რაღაც შეიცვლება, არჩევნებია, სახელმწიფო სხვა რელსებზე შეიძლება შედგეს, შენდება და რაღაცეები კეთდება“* (რესპოდენტი #10). დადებითი განწყობის საბაბს ზესტაფონის კოლექტიური მოქმედების შემთხვევაში, რესპონდენტების თანახმადვე, განაპირობებდა 2010 წლის მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც მშრომელებში მაღალი პოლიტიკური შესაძლებლობის მოლოდინს აჩენდა. თუმცა, ამის მიუხედავად, რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ მათი მოლოდინი მხოლოდ ვარაუდებზე იყო დაფუძნებული და ხელისუფლების მხრიდან რეპრესიული მექანიზმების გამოყენების შიში დიდი იყო:

> „მაშინ (2010 წელს) ეგრე იყო, უნდა წასულიყავი რისკზე. არავინ იცოდა, რა ბედი გელოდა – დაგარბევდნენ, დაგაპატიმრებდნენ თუ ქარხანას საერთოდ დაგიხურავდნენ, მაგრამ შეიძლება წარმატებისთვისაც მიგეღწია. და თუ არ გარისკავდი, დარჩებოდი 300-ლარიანი ხელფასის შემხედვარე თვიდან თვემდე“ (რესპოდენტი #8)

რაც შეეხება 2011 წელს ქუთაისის კოლექტიურ მობილიზებაში მონაწილე მშრომელების უარყოფით განწყობას, მას ახლო წარსულში 26 მაისის მიტინგის დარბევაში ხელისუფლების პოზიციონირება[43] განაპირობებდა, რაც ზღუდავდა მშრომელებში პოლიტიკური შესაძლებლობის გამოყენების მოლოდინს. ამასთან ერთად, დამატებით ბარიერად იყო აღქმული მშრომელების მიერ ქუთაისის საამქროს მმართველობაში სახელისუფლებო ფიგურების ღია მონაწილეობა, რაც ხაზს უსვამდა მაღალჩინოსნების პირდაპირ ინტერესს საწარმოს მოქმედების პროცესში.

ასეთ პირობებში, ქუთაისის კოლექტიური მოქმედების პროცესში, მშრომელების ერთ-ერთ სტრატეგიულ გათვლას საერთაშორისო ორგანიზაცი-

43 Human Rights Watch, World Report 2012 – Events of 2011, გვ: 459-460.

ების მხარდაჭერის მოპოვება წარმოადგენდა, თუმცა, რესპონდენტების თანახმად, მიუხედავად ამ მოლოდინისა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოცხადებულმა სოლიდარობამ ვერ უზრუნველყო მშრომელთა გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების დაცვა თუ მათი უსაფრთხოება. ზესტაფონის კოლექტიური მობილიზების შემთხვევაში, რესპონდენტების განცხადებით, მოვლენების განვითარებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვისა თუ მხარდაჭერის მოპოვების აუცილებლობა არ დამდგარა გაფიცულთა დღის წესრიგში.

რესპონდენტების განმარტებით, 2010-2011 წლებში სირთულეს წარმოადგენდა გაფიცვის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების თუ აქტივისტთა ჯგუფებისგან სოლიდარობისა და მხარდაჭერის მოპოვება, რადგან საჯარო სივრცე დახშული იყო პოლიტიკური აქტივობისთვის. ქუთაისის მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ გაფიცვისას მათთან *„პოლიციის გარდა, საერთოდ არავინ არ მოსულა“*. ანალოგიურ გარემოებაზე მიუთითებენ 2010 წელს ზესტაფონის შემთხვევაშიც, სადაც მშრომელები განმარტავენ, რომ აღნიშნულ პერიოდში აქტივისტთა ჯგუფები თუ მხარდამჭერები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ პოლიტიკურ ველში: *„ამ დროს ჯერ სად იყვნენ აქტივისტები და ეს ჯგუფები [რიტორიკულად]?! ისინი [აქტივისტური ჯგუფები და გარე მხარდამჭერები] მერე, უფრო გვიან გამოჩნდნენ...“*. ასევე პასიური როლი ჰქონდათ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

რაც შეეხება პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მათი აქტივობა და მშრომელებისადმი მხარდაჭერის აღმოჩენა 2010-2011 წლებში უკიდურესად იზღუდებოდა ხელისუფლების მხრიდან გატარებული ანტიპროფკავშირული პოლიტიკის გამო. თუმცა, ამის მიუხედავად, ქუთაისის შემთხვევაში პროფკავშირების გაერთიანებისა და დარგობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ასევე, მოკლე პერიოდში შექმნილმა პირველადმა პროფკავშირულმა გაერთიანებამ (შემდგომ ცნობილია, როგორც *იმერეთის მეტალურგიული პროფკავშირი*) გადამწყვეტი როლი ითამაშა კოლექტიურ მოქმედებებში. პროფკავშირების მიერ შეგულიანებულმა ქუთაისის საამქროს მშრომელებმა შეუძლებლობის პირობებში შეძლეს მასშტაბური მობილიზების ორგანიზება და გაფიცვის დაანონსება. რაც შეეხება ზესტაფონის კოლექტიური მობილიზების შემთხვევას, აქ პროფკავშირული

გაერთიანებისა თუ დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ცენტრალური როლი არ უთამაშიათ, თუმცა დიდი იყო ადგილზე წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ჩართულობა კოლექტიური მოქმედების ორგანიზების, სტრატეგიების განსაზღვრისა და მიზნის დასახვის პროცესში.

საწარმოს ადმინისტრაციის მხრიდან გამოყენებული კონტრმოქმედებების თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ მათი ფაქტორიც ორივე შემთხვევაში განსხვავებული იყო, თუმცა ამ ფაქტორის განსაზღვრაზეც სახელისუფლებო დონეზე გატარებული პოლიტიკა მოქმედებდა. კერძოდ, ქუთაისის 2010 წლის მოვლენებში საწარმოს ადმინისტრაცია გაფიცულების მოთხოვნების უგულებელყოფის პოლიტიკას მიმართავდა, რასაც მშრომელები საწარმოში წარმოდგენილი ადმინისტრაციის დაბალი აგენტობით და სახელისუფლებო ძალების მაღალი ინტერვენციით ხსნიდნენ – *„იქ ბოლოს ადმინისტრაციას არავინ არაფერს ეკითხებოდა, მაღლა [სახელისუფლებო დონეზე] წყდებოდა ჩვენი ამბავი და ამათ დიალოგიც რომ ნდომოდათ, მაინც ვერაფერს იზამდნენ“.* ხოლო ზესტაფონის კოლექტიური მოქმედების შემთხვევაში ადმინისტრაცია, ხელისუფლების მხრიდან არაფორმალური ჩარევისა და *„მთავრობიდან წარმოსული მაღალი ზეწოლის“* გამო, იძულებული გახდა, მოლაპარაკებაზე წასულიყო და მშრომელების პირობები დაეკმაყოფილებინა. ხელისუფლების არაფორმალური, თუმცა აქტიური ჩარევა კი მოახლოებული არჩევნებით აიხსნებოდა.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 2010-11 წელს მობილიზების შემთხვევებისას გამოყენებული რეპერტუარების შერჩევა განპირობებული იყო სტრუქტურულად ერთგვაროვანი, თუმცა ფაქტორების დონეზე წარმოდგენილი განსხვავებული სპეციფიკით. ამის მიუხედავად, რეპერტუარების შესწავლისას იდენტიფიცირებული სტრუქტურული გარემოებებისა თუ ტენდენციების ერთგვაროვნება იძლევა საშუალებას, რომ 2010-11 წელს მშრომელთა მობილიზების შემთხვევები, მიუხედავად მათი რეპერტუარისა თუ რადიკალიზების ფორმების განსხვავებისა, ერთიან ციკლად დაჯგუფდეს. ისეთი სტრუქტურული გარემოებები, როგორებიც იყო დემოკრატიული ინსტიტუციების დისფუნქცია, საპოლიციო და რეპრესიული რეჟიმი, ხელისუფლების შეუზღუდავი ძალაუფლება და სისტემატური იტერვენციები, თავის მხრივ, განსაზღვრავდა რეპერტუარების შერჩევაზე

ზემოქმედი ფაქტორების თავისებურებებს – 1) კოლექტიურ მოქმედებებში ჩართული მშრომელების განწყობა თუ მოლოდინი დამოკიდებული იყო არა მათ მიერ დაგეგმილი წინააღმდეგობის მოქმედებების ეფექტიანობისა თუ ძალის წინასწარ განსაზღვრაზე, არამედ პოლიტიკური მოცემულობის აღქმასა თუ ვარაუდებზე; 2) სახელმწიფოს პოზიციონირება და პოლიტიკური გარემო განისაზღვრებოდა ერთპიროვნული მმართველობით; 3); პროფკავშირების გაერთიანებისა და დარგობრივი პროფკავშირების ჩართულობა გაკონტროლებული იყო სამთავრობო დონეზე, ხოლო მათი მუშაობის თავისუფლება უკიდურესად იზღუდებოდა; 4) საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და, ასევე, აქტივისტთა ჯგუფების ჩართულობაც მშრომელთა წინააღმდეგობის მოქმედებაში მინიმალური იყო, ხოლო მათი პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა უკიდურესად დაბალი. 5) საწარმოს ადმინისტრაციის პოზიციონირება პირდაპირ უკავშირდებოდა ხელისუფლების მხრიდან წამოსულ დირექტივებს და მათი ხისტ ინტერვენციებს.

ხელისუფლების ტრანზიციის პერიოდის კოლექტიური მოქმედებები (2012–2014 წლები)

2012-2014 წლებში მშრომელთა კოლექტიური მობილიზებისას შერჩეული რეპერტუარებისა და რადიკალიზების ფორმების შესწავლა ამ პერიოდის სპეციფიკურობას ავლენს. 2012 წლის არჩევნების მოახლოება, და ასევე არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილება, მშრომელებში საპროტესტო ტალღის გაჩენის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა. ამაზე მიუთითებს საზოგადოებრივი აზრის კვლევები[44] *და რესპონდენტების ნარატივები 2012 წლის მობილიზების შემთხვევებთან დაკავშირებით. პოლიტიკური გუნდის ცვლილებამ მშრომელებში უპრეცედენტოდ მაღალი მოლოდინი გააჩინა სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასა და საწარმოებში წარმოდგენილი ადმინისტრაცი-*

44 საზოგადოებრივი განწყობის ცვლილებას ადასტურებს IRI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედარებითი ანალიზი 2011 და 2013 წლების კვლევებს შორის. თუ 2011 წელს ლეგალური დემონსტრაციები და გაფიცვა მხოლოდ 38% და 31% გამოკითხულისთვის იყო მისაღები, ხოლო 55% და 61% მას მიუღებელად ასახელებდა (ამავე თანმიმდევრობით), 2013 წლისთვის ლეგალური დემონსტრაცია, როგორც სამოქალაქო პროტესტის დაფიქსირების ფორმა, ადამიანთა თითქმის გაორმაგებული რაოდენობისთვის _ 64%-ისთვის ხდება მისაღები, ხოლო 32%-ისთვის მიუღებელი, რაც შეეხება გაფიცვას, მას გამოკითხულთა 59% ასახელებს, როგორც მისაღები პოლიტიკური აქტის ფორმას, 37%-ისთვის კი კვლავ მიუღებელი რჩება.

ული ჯგუფის შეცვლასთან დაკავშირებით, რაც რესპონდენტებისთვის ახალი სამთავრობო გუნდის მთავარ დაპირებასთან _- „სამართლიანობის“ აღდგენასთან იგივდებოდა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური გარემოს გარდაქმნა პირდაპირ არ აისახა მშრომელთა მდგომარეობის გარდაქმნასა და მათ მიერ „ქვევიდან“ ინიცირებული ცვლილებების რეალურ პოლიტიკაში გატარებაზე. პოლიტიკური მოცემულობის ცვლილებამ, ერთი მხრივ, განაპირობა რეპრესიის შესუსტება, ხელისუფლების ხისტი ინტერვენციების შეწყვეტა კერძო მეწარმეთა საქმიანობაში, თუმცა ვერ უზრუნველყო მშრომელთა მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება.

2012-2014 წლებში საერთო ჯამში 9-მდე კოლექტური მოქმედების შემთხვევა აღინიშნა. მათგან მოცემული კვლევის საგანს 5 შემთხვევა წარმოადგენს: 1) ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოში 2012-2013 წლის გაფიცვები; 2) რკინიგზაში მიმდინარე 2012-2013-2014 წლების საგაფიცვო ჯაჭვი; 3) ჭიათურის 2012 და 4) ჭიათურის 2014 წლის კოლექტიური მოქმედებები და 5) კაზრეთის ოქროსა და სპილენძის საბადოებზე 2014 წლის ფართომასშტაბიანი გაფიცვები.

აღნიშნული პერიოდის კოლექტიური მოქმედებები, 2010-2011 წლების კოლექტიურ მოქმედებებთან შედარებით, განსხვავებული სახის საპროტესტო რეპერტუარებითა თუ რადიკალიზების ფორმებით გამოირჩეოდა, რასაც ხელს უწყობდა ახლად გაჩენილი პოლიტიკური შესაძლებლობა, პოლიტიკური მოცემულობის ცვლილება და მშრომელებში მოლოდინის გაჩენა. ამას ადასტურებს ამ პერიოდში კოლექტიური მოქმედებების უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობაც (იხ. ფიგურა 2).

ამ ცვლილებების ფონზე მიმდინარე მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები ხასიათდებოდა მაღალი სიხშირით, რაც განპირობებული იყო მთავრობის ცვლილების შედეგად პოლიტიკური ველის გახსნით, საპოლიციო ტერორისა და რეპრესიის შესუსტებით თუ მშრომელებში წლების განმავლობაში აკუმულირებული წუხილის ერთიანი და მასობრივი აფეთქებით. ამასთან, თუ 2010-2011 წლებში მობილიზების რეპერტუარების განსაზღვრაზე განსაკუთრებულ როლს სახელმწიფოს პოზიციონირებისა და პოლიტიკური მოცემულობის ფაქტორი თამაშობდა, 2012-2014 წლებში რეპერტუარს უმეტესად მშრომელებში ახალი სახის მოლოდინის გაჩენა განსაზღვრავდა: *„ხალხში გაჩნდა განცდა, რომ რაღაცა შეიცვლებოდა.*

აღარ ეშინოდა ხალხს, გაბრაზებული იყო, გამწარებული იყო, მაგრამ არ ეშინოდა. გაუჩნდათ განცდა, რომ ერთად დგომით და ამ გაფიცვით, შეიძლება, რაღაცას მივაღწიოთო, ჩვენი ხმა გავაგონოთო, რომ იქნებ მოგვხედოს ახალმა მთავრობამო" – საუბრობს ჭიათურის 2012 წლის გაფიცვების მონაწილე.

აღნიშნული პერიოდის შემდეგ გააქტიურდა პროფკავშირული ორგანიზაციები _- როგორც პროფკავშირების გაერთიანება, ასევე დარგობრივი და პირველადი მშრომელთა პროფესიული კავშირები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ 2012 წელს განხორციელებულ საპროტესტო მოქმედებებში მათი როლი ჯერ კიდევ სუსტი იყო. ასევე გაძლიერება დაიწყეს აქტივისტთა ჯგუფებმა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რის შედეგადაც მათ მხრიდან აქტიურად დაიწყო მშრომელთა კოლექტიური მოქმედების მიმართ სოლიდარობის გამოხატვა და პროცესში მონაწილეობა.

სწორედ ამ ფაქტორების ზეგავლენით, აღნიშნულ პერიოდში, ადგილი ჰქონდა, წინა წლებთან შედარებით, უფრო მასშტაბურ და მასობრივ კოლექტიური მოქმედების რეპერტუარებს, როდესაც მშრომელები საწარმოს ადმინისტრაციის წინ გამართული აქციებით, ქალაქში ხალხმრავალი დემონსტრაციების ორგანიზებით თუ დედაქალაქში, სხვადასხვა პოლიტიკური მნიშვნელობის ლოკაციებზე (პარლამენტში, პრეზიდენტის სასახლეში, კანცელარიასა და ა.შ.) პროტესტის გამოსახატავად დაგეგმილი ხმაურიანი აქციებით ქმნიდნენ მშრომელთა წინააღმდეგობრივი პოლიტიკის ახალ პრეცედენტებს.

ზემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკების გარდა, 2012-2014 წლებში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების რეპერტუარები გამოირჩეოდა რადიკალიზების ახალი ფორმებით. აღნიშნული პერიოდის საპროტესტო ციკლი მოიცავდა მჯდომიარე აქციებს მაღაროებში, ცენტრალური სატრანსპორტო გზებისა თუ სარკინიგზო ლიანდაგების გადაკეტვის მცდელობებს, და ასევე ქვეყნის სტრატეგიული ობიექტის, საქართველოს რკინიგზის 2-საათიან პარალიზებას. კოლექტიური მოქმედებების ამგვარი რადიკალიზმი გამომდინარეობდა, ერთი მხრივ, საჯარო პოლიტიკური არეალების გაფართოებით და ცვლილებების გატარების ღრმა რწმენით, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს ახალი პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავდა შრომით დავაში თავისი ინტერვენციების მინიმიზებას და

სახელმწიფოს პასიურობას დავის გადაწყვეტის პროცესში, რაც, თავის მხრივ, მშრომელებს უბიძგებდა უფრო რადიკალური თუ კონფრონტაციული წინააღმდეგობის რეპერტუარების შერჩევისა და ამით სახელმწიფოს დავის პროცესში იძულებით ჩართვისკენ: *„კერძო სექტორია, ჩვენ ვერ ჩავერევით პოზიცია დაიჭირეს“* – აღწერს ზესტაფონის საწარმოს მშრომელი 2013 წლის გაფიცვისას ადგილობრივი გამგეობისა და ხელისუფლების პოზიციას, რამაც მშრომელებში პროცესების რადიკალიზების მოტივები წარმოშვა და ისინი სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტის, სარკინიგზო ლიანდაგების გადაკეტვას შეეცადნენ, რათა ხელისუფლების ყურადღება მიექციათ. თუმცა, საერთო ჯამში, ხელისუფლების პოზიციონირების რადიკალურმა ცვლილებამ მშრომელები ფრუსტრაციასა და სასოწარკვეთილებაში ჩააგო. ჭიათურელი რესპოდენტი 2014 წლის გაფიცვასთან დაკავშირებით საუბრობს:

> „ახალი მთავრობის პოზიცია 2012 წლიდან მოყოლებული არის ძალიან ცუდი – ეს არის ყველაფერზე წაყრუების პოლიტიკა. ანუ – იყვიროს ადამიანმა, ჩვენ მოვისმინოთ, ვუქნიოთ თავი ამ ყველაფერს და შემდეგ ამაზე რეაგირება არ მოვახდინოთ. ეს ნიჰილიზმს იწვევს მათში [მშრომელებში], რაც მერე გროვდება, გროვდება და უკმაყოფილება კი არა, უბრალოდ იმის განცდა ეუფლება, რომ რაც არ უნდა გავაკეთო, მაინც არაფერი გამოვა“

2012-2014 წლის საპროტესტო მოქმედებები ასევე გამოირჩეოდა საწარმოს ადმინისტრაციის მხრიდან გამოყენებული კონტრმოქმედებების თვალსაზრისითაც. თუ 2010-2011 წლებში საწარმოს ადმინისტრაცია კოლექტიური წინააღმდეგობის პროცესში გადაწყვეტილებებს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან არაფორმალური ინტერვენციის შედეგად გაცემული დირექტივების შესაბამისად იღებდა, სადაც ხელისუფლება ზოგჯერ ხისტად, ზოგჯერ კი სხვადასხვა სარგებლის შეთავაზებით თუ ინტერესთა დაკმაყოფილების გზით ახერხებდა საწარმოს ადმინისტრაციის მართვას და მათი კონტრმოქმედებების პოლიტიკის რეგულირებას, რათა სწრაფად და რაც შეიძლება მოკლე ვადებში აღმოეფხვრა მშრომელთა კოლექტიური მობილიზების პრეცედენტი, 2012 წლიდან საწარმოს წარ-

მომადგენლებს უფრო მეტი „თავისუფლება“ მიეცათ, სადაც სახელმწიფო აღარ მოქმედებდა დირექტივების გაცემისა თუ ინტერვენციების ფორმატით. შესაბამისად, 2012-2014 წლებში საწარმოს ადმინისტრაციის მხრიდან გამოყენებული კონტრმოქმედებების რეპერტუარიც მრავალფეროვანი გახდა – მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების ჩასახშობად ისინი მიმართავდნენ ისეთ კონტრმოქმედებებს, როგორებიცაა გვერდზე გადგომა, მოვლენების იგნორირება, საწარმოო პროცესის უწყვეტობის იმიტირება თუ მოლაპარაკებების გაჭიანურება. ასევე ხშირი იყო საწარმოს დახურვის შესახებ მუქარის გავრცელება, რასაც განსაკუთრებით მწვავედ აღიქვამდნენ მშრომელები მონოწარმოების მქონე რეგიონებში, სადაც აღნიშნული კომპანიები დასაქმების ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენდა.

ჭიათურის 2012 წლის კოლექტიური მოქმედების მაგალითი კარგად წარმოაჩენს 2012 წლიდან გაჩენილ ახალ ტენდენციას, რომელიც უკავშირდებოდა კოლექტიური მოქმედებისას რეპერტუარების გამრავალფეროვნებას, მშრომელების მიერ გამოყენებული სტრატეგიების გართულებას, ახალი მხარდამჭერების შემოკრებას თუ სახელმწიფოსა და საწარმოს ადმინისტრაციის პოზიციონირების ცვლილებას. კერძოდ, ჭიათურაში პროცესები საყოველთაო გაფიცვის ორგანიზებით და საწარმოების პარალიზებით დაიწყო, რის შემდეგაც იმართებოდა საპროტესტო აქციები კომპანიის ადმინისტრაციის შენობასთან (ე.წ. ტრესტთან) და ქალაქის ცენტრში. გარკვეული პერიოდის შემდეგ მშრომელების ერთი ჯგუფის მიერ ინიცირდა მაღაროზე მჯდომარე აქციის გამართვა, რაც ახალი რადიკალური რეპერტუარის ინიცირებას წარმოადგენდა. შედეგად, შუქრუთის მაღაროში მჯდომარე აქციით ჭიათურელმა მშრომელმა ქალებმა და კაცებმა პროტესტის ნიშნად მიწისქვეშ 2 კვირაზე მეტი დრო დაჰყვეს, რათა მოეთხოვათ საწარმოში რადიკალური ცვლილებების გატარება, წლების განმავლობაში დაგროვილი წუხილის რადიკალური გზით დაფიქსირება და, ასევე, გაფიცვის დინამიკის შენარჩუნება. გარდა ამ რეპერტუარებისა, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მშრომელთა სხვა ჯგუფების მიერ აქციების ორგანიზება ქვეყნის დედაქალაქშიც, სადაც ლოკაციებად შერჩეული იყო პარლამენტის შენობა და პრეზიდენტის რეზიდენცია, *„რათა ხმა ცენტრისთვის*

პირადად მიგვეწვდინა“ – აცხადებს ჭიათურის მოვლენების მონაწილე რესპონდენტი.

ჭიათურის 2012 წლის მოვლენები ასევე გამოირჩეოდა აქტივისტური ჯგუფებისა თუ ინდივიდუალური აქტივისტების საჯარო სივრცეში გამოჩენით და მშრომელთა გაფიცვისთვის სოლიდარობის გამოცხადებით. რესპონდენტები იხსენებენ სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფისა თუ სტუდენტების მხარდაჭერის ფაქტებს:

> „თბილისში აქციაზე ფემინისტი ქალები მოვიდნენ, თავზე კასკები ეხურათ და ისე აპროტესტებდნენ ჩვენთან ერთად.. მოვიდნენ სტუდენტები, „ლაბორატორია 1918-ის“ მონაწილეები ბანერებით და პოსტერებით ხელში.. ისეთი ახალგაზრდები იყვნენ, ჩვენი გასაჭირი რომ ესმოდათ და გულთან ახლოს მიჰქონდათ.“

2012-2014 წლების კოლექტიური მოქმედებების სპეციფიკაში გასარკვევად, ასევე კვლევისთვის, საინტერესო და სახასიათო შემთხვევას წარმოადგენს კაზრეთის 2014 წლის კოლექტიური მოქმედება, რომელიც საწარმოში დასაქმებულმა ე.წ. „ამფეთქებლების“ მცირე ჯგუფმა წამოიწყო. საწარმოს ადმინისტრაციამ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების გააქტიურების თავიდან ასაცილებლად, გაფიცულთა მცირე ჯგუფს მოლაპარაკების ფორმატი შესთავაზა, თუმცა აღნიშნული შემთხვევის პროცესში გამოყენებული მოლაპარაკების რეპერტუარი მალევე შეიცვალა, მას შემდეგ, რაც მოლაპარაკების პროცესში ჩართული ადმინისტრაციული ჯგუფი, საწარმოს მფლობელების დირექტივით, ახალი ჯგუფით ჩანაცვლდა. აღნიშნულმა ცვლილებამ ჩიხში შეიყვანა მოლაპარაკების პროცესი, რის შემდეგაც მშრომელებმა საყოველთაო გაფიცვას და საწარმოო პროცესის პარალიზებას მიმართეს.

მშრომელთა პროტესტს მალევე შეუერთდა კაზრეთის ადგილობრივი მოსახლეობა, უპირობო სოლიდარობით. ასევე, აღნიშნულ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფი თუ არასამთავრობო ორგანიზაცია – *„მოჰქონდათ გიტარა, კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, გვართობდნენ.. მუშა და არა მონა – ამ ლოზუნგით გვამხნევებდნენ“.* – ამბობს კაზრეთის მოვლენების

მონაწილე რესპონდენტი, სტუდენტების მხარდასაჭერ მოქმედებებთან დაკავშირებით.

კაზრეთის კოლექტიური მოქმედების შემთხვევაში გამოყენებულ რეპერტუართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიური მოქმედებების განმავლობაში რამდენჯერმე გაიმართა ფართომასშტაბიანი აქციები თბილისში, პარლამენტის შენობასთან და დემონსტრაციული მსვლელობა დედაქალაქის ქუჩებში. სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და ახალი რეპერტუარების შერჩევით ხდებოდა საგაფიცვო პროცესების საზოგადოებრივი აქტუალიზება და მშრომელთა წუხილის შესახებ საჯარო დისკურსის გაჩენა. ამისთვის მშრომელები აქტიურად ჩნდებოდნენ სახელმწიფო ტელევიზიებსა და მეინსტრიმ მედიების რეპორტაჟებსა თუ გადაცემებში.

კაზრეთის მოვლენებისას მშრომელებისთვის მთავარ დაბრკოლებას, ერთი მხრივ, საწარმოს ადმინისტრაციისა და, მეორე მხრივ, ხელისუფლების პოზიციონირება წარმოადგენდა, რაც, თავის მხრივ, უბიძგებდა მშრომელებს რადიკალური რეპერტუარების გამოყენებისკენ. საწარმოს ადმინისტრაცია სხვადასხვა არგუმენტით უარს აცხადებდა მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, არ შედიოდა მოლაპარაკების პროცესში და უფრო მეტიც, მიმართავდა ე.წ. განზე გადგომის (Sidestepping) კონტრმოქმედებას (Balsiger 2015), სადაც ის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის ძირითად არგუმენტად საწარმოს ფინანსურ პრობლემებს და წარმოების დაბალ პროდუქტიულობას ასახელებდა[45]. ამასთან, რესპონდენტების თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან აშკარად იგრძნობოდა საწარმოს მესაკუთრეებისადმი ლოალური დამოკიდებულება და მათდამი მაღალი მხარდაჭერა:

> „ხალხს ახალი მთავრობის იმედი ჰქონდა. ვფიქრობდით, რომ თუ ბოლო-ბოლო ყველა გადაგვივლიდა, ესენი მაინც მოგვხედავდნენ და ჩვენს მხარეს დაიჭერდნენ, მაგრამ ბოლოს ყველანი მივხვდით,

45 ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად კი კაზრეთის საწარმოს წარმომადგენლები ხელისუფლებას სთხოვდნენ საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის აფეთქებას, რომლის მიდამოებშიც კვარციტის მოპოვებისთვის ახალი კარიერის გახსნა ჰქონდათ დაგეგმილი. მათი განცხადებით კი, აღნიშნული ახალი კარიერი და წარმოების გაფართოება მათ ფინანსურ პრობლემებს გადაჭრიდა და შეძლებდნენ მშრომელთა მოთხოვნების უზრუნველყოფას.

> რომ, რაც მთავრობას უნდოდა, ყველაფერი ისე გაკეთდა.. ბოლოს სულ ყველა მაგას გვეუბნებოდა, მთავრობის იმედი როგორ გქონდათო?“.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 2012-2014 წელს მშრომელთა განსაკუთრებული გააქტიურება პირდაპირ უკავშირდებოდა ხელისუფლების ცვლილებას და ამის შედეგად გაჩენილ მოლოდინს. მშრომელების გარდა, ახალმა პოლიტიკურმა მოცემულობამ ასევე გააქტიურა სამოქალაქო საზოგადოება, აქტივისტური ჯგუფები და სტუდენტები. ამასთანავე, სატელევიზიო მედიამ აქტიურად დაიწყო მშრომელთა პროტესტის გაშუქება და მათი წუხილისთვის ეთერის დათმობა[46], რაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში სოციალური თემატიკის გაშუქებისადმი გაზრდილ მოთხოვნასაც შეიძლება დავუკავშიროთ[47]. თუმცა ახალი პოლიტიკური შესაძლებლობის გაჩენა და გაზრდილი სახალხო პოლიტიკის აქტები პირდაპირ კავშირში არ აღმოჩნდა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, რადგან ხელისუფლების მიერ გატარებული ცვლილებები არ იყო საკმარისი სტრუქტურულად მოცემული სოციალური, ეკონომიკური თუ შრომითი პრობლემების გადასაჭრელად. სწორედ ამ გარემოებებს ავლენს 2012-2014 წლის კოლექტიური მოქმედებები და მშრომელთა მიერ შერჩეული რეპერტუარების შესწავლა, სადაც: 1) კოლექტიურ მოქმედებაში ჩართული მშრომელების განწყობა და მოლოდინი ერთმნიშვნელოვნად განპირობებული იყო ახალი ხელისუფლებისადმი ნდობით, რაც მშრომელებში მათი რეალობის ცვლილების მოლოდინს ქმნიდა. აღნიშნულ პერიოდში მშრომელების მოლოდინის რამდენჯერმე იმედგაცრუების მიუხედავად, მათ 2014 წლამდე მყარი რწმენა ჰქონდათ ცვლილებების გატარების შესაძლებლობის შესახებ; 2) სახელმწიფოს პოზიციონირება და პოლიტიკური გარემო იყო ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აღნიშნული პერიოდის სპეციფიკას განსაზღვრავს. აღნიშნული ცვლილე-

46 რესპონდენტების უმრავლესობა ხაზს უსვამდა პირველი არხის გადაცემის „რეალური სივრცის“ მაღალ მნიშვნელობას, სადაც, მათი განცხადებით, ხშირად შუქდებოდა მშრომელთა და შრომითი დასვენების საკითხები.

47 დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დაკვეთით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა: „რა როლს უნდა ასრულებდნენ ჟურნალისტები საქართველოში“ 2013 და 2015 წლების შედარება.

ბის შედეგად, ერთი მხრივ, შეიცვალა პოლიტიკური მოცემულობა, თუმცა მან მაინც ვერ უზრუნველყო მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციოეკონომიკური მოცემულობის ხელშესახები გარდაქმნა; 3) 2012-2014 წლის პერიოდი გამოირჩეოდა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების გააქტიურებითა და მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების დიდი მხარდაჭერით; 4) აღნიშნული პერიოდი ასევე გამოირჩეოდა საჯარო სივრცეში აქტივისტური ჯგუფების გამოჩენით. აღსანიშნავია, რომ ყოველ მომდევნო წელს ეს ჯგუფები კიდევ უფრო მეტად ძლიერდებოდნენ და უფრო მეტ გამოცდილებას თუ ცოდნას აგროვებდნენ. ანალოგიურად გააქტიურდა არასამთავრობო ორგანიზაციებიც და მათი როლიც გაიზარდა მშრომელთა მხარდასაჭერად თუ გასაძლიერებლად. ასევე, თავის პირვანდელ ნიშას ინარჩუნებდა საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რომლებიც კოლექტიური მოქმედების მონაწილეთათვის აქტუალობას არ კარგავდნენ და კვლავ მნიშვნელოვან აქტორებად მიიჩნეოდნენ. 5) აღნიშნული პერიოდი გამოირჩეოდა საწარმოს ადმინისტრაციის პოზიციონირების ცვლილებითაც, სადაც მათი აგენტობა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების პრეროგატივები გაიზარდა, რაც თავის მხრივ ზრდიდა მათ პრივილეგიებს მოლაპარაკების პროცესში, განსაკუთრებით კი მონოწარმოების რეგიონებში;

ახალი სამთავრობო პოლიტიკის პერიოდის კოლექტიური მოქმედებები (2016 წელი)

2016 წლის კოლექტიური მოქმედებების შესწავლა რეპერტუარებსა თუ რადიკალიზმის ფორმებზე დაკვირვებით ცხადყოფს მოცემული პერიოდის განსხვავებულ სპეციფიკას. თუ მანამდე შრომითი პროტესტი პოლიტიკური შესაძლებლობის გაჩენის შედეგად, ამა თუ იმ მთავრობისადმი ნდობით თუ უნდობლობით იყო მოტივირებული, 2016 წლისთვის აღინიშნებოდა სოციალური შინაარსის შრომითი აფეთქებები, რომლის დროსაც მშრომელებმა თუ პროცესების მონაწილე სხვა ჯგუფებმა ღიად დაიწყეს ხელისუფლების შრომისა და სოციალური პოლიტიკის კრიტიკა, დერეგულირებული ეკონომიკის პირობებში მშრომელთა დაცულობის მინიმალური გარანტიების გაპროტესტება, პოლიტიკის ცვლილებაზე ორიენტირებული მოთხოვნების გაჟღერება და ა.შ. ასევე, შრომითი პროტესტი სამოქალაქო

საზოგადოების წარმომადგენლებისა თუ აქტივისტური ჯგუფებისთვის მნიშვნელოვან პლატფორმად გადაიქცა სახელმწიფო პოლიტიკისა თუ სოციოეკონომიკური მოცემულობის კრიტიკისთვის, სადაც ისინი გაფიცული მშრომელების მხარდაჭერის პარალელურად აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ „ბიზნესდიქტატურას", შრომითი პირობების დაბალ სტანდარტებს თუ საწარმოო პროცესის ინსპექტირების არაეფექტიან მექანიზმებს. აღნიშნული პერიოდის კოლექტიური მოქმედებების რეპერტუარების შესწავლა ავლენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მოცემულ პერიოდში გარე აქტორების მხარდაჭერა, მათ შორის, პროფკავშირული გაერთიანების, აქტივისტური ჯგუფებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. რაც შეეხება რადიკალიზების ფორმებს, 2016 წლის საპროტესტო ციკლში ისინი ძირითადად უკავშირდებოდა რეალური ცვლილებების გამოწვევას და სოციოეკონომიკური ფონის გარდაქმნას, რაც მშრომელთა მხოლოდ ლოკალური თუ ინდივიდუალური პრობლემების გადაჭრის მაგიერ, სტრუქტურულად დამკვიდრებული მიდგომისა თუ პოლიტიკის ცვლილებას საჭიროებდა. აღნიშნულ პირობებში მშრომელთა პროტესტის შესახებ არსებული დისკურსი სრულებით გარდაიქმნა, ცალკეულად წარმოქმნილ შრომით დავებს გასცდა და სოციალური შინაარსი შეიძინა.

2016 წელს, საერთო ჯამში, 5-მდე კოლექტიური წინააღმდეგობის მოქმედება იდენტიფიცირდა, საიდანაც 3 გარდაიქმნა კოლექტიური მობილიზების ფართომასშტაბიან შემთხვევად, ხოლო ორი მათგანი არ/ვერ გაფორმდა მშრომელთა კოლექტიური მობილიზების აქტად[48]. მათ შორის იყო ქსნის მინის ტარის ქარხნის, ტყიბულის შახტისა და მეტროს მემანქანეების წინააღმდეგობის მოქმედებები, რომლებიც კვლევითი პუბლიკაციისთვის შესასწავლ შემთხვევებს წარმოადგენს. აღნიშნული კოლექტიური მოქმედების შემთხვევებში რეპერტუარების ინოვაციურობა და რადიკალიზების ფორმები განსხვავდებოდა წინა წლებისგან. ეს განსხვავება შესაძლოა, 2012-2014 წლების კოლექტიური მოქმედებების შემდეგ მშრომელთა განწყობის ცვლილებას, ახალი ხელისუფლების მიმართ იმედგაცრუებას და შრომისა თუ სოციალური პოლიტიკისადმი კრიტიკული აზრის გაჩენას დავუკავშიროთ, რამაც შედეგად მშრომელთა კოლექტიური მოქმედებე-

48 ზესტაფონის 2016 წლის კოლექტიური წინააღმდეგობა კოლექტიურ მობილიზებად ვერ გარდაიქმნა, ხოლო თბილისის მეტროს შემთხვევაში მედიაციის გზით მოხდა მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. დეტალური ინფორმაციისთვის გაეცანით I თავს.

ბის მნიშვნელობის გადააზრება მოიტანა: *„ყველაფრისგან დაღლილები ვფიქრობდით, რომ არაფერს აზრი აღარ ჰქონდა. ისინი [2012 წლამდე არსებული ძველი ხელისუფლება] გაიფიცებოდი და ციხეში გაყუდებდა, ესენი [ახალი ხელისუფლება] არც კი დაეძებენ, რას იზამდი, თითქოს მათ არ ეხებოდა ეს ყველაფერი“* – აცხადებს ერთ-ერთი რესპონდენტი. აღსანიშნავია, რომ 2016 წლამდე მშრომელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ სოციალური ყოფის გაუმჯობესების მოლოდინი, რაც, რესპონდენტების განმარტებით, განაპირობა ახალი ხელისუფლების მმართველობის დასაწყისში გატარებულმა ცვლილებებმა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღებასთან, შრომის კოდექსის ცვლილებასა თუ შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, მშრომელებს ეს მოლოდინი გაუქარწყლდათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღნიშნული ხელისუფლების მე-2 ვადით არჩევის პერიოდში ისინი კვლავ მძიმე სოციოეკონომიკურ მდგომარეობას აპროტესტებდნენ და ხელფასებისა თუ შრომითი პირობების მინიმალური გამოსწორებისთვის იბრძოდნენ. ამ ნიადაგზე მშრომელების იმედგაცრუება ე.წ. ფეთქებადმა განწყობამ ჩაანაცვლა, რომელმაც პიკს 2016 წელს მიაღწია და შედეგად ე.წ. „სოციალური შინაარსის აფეთქებები“ გამოიწვია.

2016 წელს, ისევე, როგორც 2012 წლიდან მოყოლებული, კვლავ ღია იყო სახალხო პოლიტიკური სივრცე თუ კოლექტიური მოქმედებების ორგანიზების პოლიტიკური შესაძლებლობა. თუმცა მძიმე სოციოეკონომიკური ფონის გამო, მშრომელების მხრიდან კოლექტიური მოქმედებების ორგანიზება მაღალ რისკთან იყო ასოცირებული. ამას განაპირობებდა მშრომელებში მასობრივად გავრცელებული საბანკო ვალდებულებები, მათი და მათი ოჯახების საწარმოებზე მაღალი ფინანსური დამოკიდებულება თუ საგაფიცვო ფონდის არარსებობა[49], რომელიც გაფიცვის პერიოდში მათ ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. ყველაფერი ეს კი ასუსტებდა მშრომელთა მოლაპარაკების ძალას და წინააღმდეგობის აქტების ეფექტიანობას. ამ პირობებში კი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათი პროტესტის მაღალ საზოგადოებრივ მხარდაჭერას, სახელმწიფოს როლს და მის წარმომადგენლობითობას საწარმოს ადმინისტრაციასთან დაპირისპირების

49 საგაფიცვო ფონდი 2017 წლის სექტემბერში დაარსდა. საგაფიცვო ფონდის მიზანია, გაფიცვის პერიოდში უზრუნველყოს პროფკავშირების წევრი მუშების ფინანსური მხარდაჭერა და გაფიცვის პერიოდში მუშაობის გაცდენილი დღეების გარკვეული პროცენტული მარჯით კომპენსირება.

პროცესში. სწორედ ეს გარემოებები უბიძგებდა მშრომელებს 2016 წლის მოვლენებში გამოეყენებინათ ისეთი რეპერტუარები, რომლებიც, ერთი მხრივ, საზოგადოების ფართო ჩართულობას და მათი პროტესტის აქტუალიზებას განაპირობებდა – აქტიური კამპანიის წარმოება სოციალურ ქსელებში, სატელევიზიო სივრცის აქტიური გამოყენება, სოციალური და პოლიტიკური შინაარსის მწვავე განცხადებები და ასევე ისეთი რადიკალური რეპერტუარები, როგორიც იყო, მაგალითად, საწარმოს შენობებში შეჭრა, მისი დაკავების მიზნით თუ თბილისის მეტროს სადგურების გაჩერებისა და ამით დედაქალაქის პარალიზების დაანონსება.

ამასთან ერთად, 2016 წლის საგაფიცვო ციკლი გამოირჩეოდა აქტივისტური ჯგუფებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებულად მწყობრი და ორგანიზებული პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავდა პროტესტის მონაწილე მშრომელების მიმართ არა მხოლოდ სოლიდარობას, არამედ პროცესებში აქტიურად მონაწილეობას და მშრომელების სხვადასხვა ცოდნით, გამოცდილებით თუ რესურსებით აღჭურვას. აქტორების ამდაგვარი ჩართულობა შრომით პროტესტში განაპირობებდა რეპერტუარების მრავალფეროვნებას, მის ეფექტიანობას და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას შრომით პროტესტთან დაკავშირებით.

ასევე, ახალი პოლიტიკური პერსპექტივებით გამოირჩეოდა პროფკავშირული გაერთიანების მუშაობაც. თუ აღნიშნულ პერიოდში, ისევე, როგორც წინა წლებში, გაფიცვების კანონიერი გზით წარმართვა მათი მუშაობის ძირითად მოდუსს წარმოადგენდა, ამასთან ერთად, მათ გააძლიერეს კონფრონტაციულ მოქმედებებში მშრომელთა მხარდაჭერისა და მათ მიმართ უპირობო სოლიდარობის გამოცხადების ხარისხიც.

2016 წლის სპეციფიკაში გასარკვევად ქსნის და ტყიბულის მოქმედებების ანალიზი საინტერესო სურათს იძლევა. ქსნის შემთხვევაში აღინიშნა მაღალი ორგანიზებული კოლექტიური მოქმედება, სადაც მშრომელები თავდაპირველად მედიაციის გზით ცდილობდნენ დავის გადაჭრას და კოლექტიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, თუმცა მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებისთვის ყველანაირი რესურსი ამოიწურა და მედიაციის მექანიზმმა შედეგი ვერ გამოიღო, მშრომელებმა საყოველთაო გაფიცვას მიმართეს – საწარმოსთან აქციების გამართვით, კარვების გაშლით, სიტყვით გამოსვლითა და მოწოდებების რეპერტუარით. პროცესს უძღვებოდა

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია. პროცესებში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებისა და დარგობრივი პროფკავშირების წარმომადგენლები.

გარდა პროფკავშირების მხარდაჭერისა, ქსნის მინის ტარის საწარმოს გაფიცულებს სოლიდარობას ისეთი ჯგუფები უცხადებდნენ, როგორებიცაა: თვითორგანიზების ქსელი, „მწვანე მუშტი“, ახალგაზრდა მწვანეები, ირიბი მოქმედების კიბერთეატრი, ურბანრეაქტორის კოლექტივი და ორგანიზაციები: „შენ დემოკრატიისთვის“ თუ ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)[50]. მათი აქტიური ჩართულობით მოხდა ქსნის მშრომელთა გაფიცვის მხარდასაჭერი აქციის ორგანიზება თბილისში, სახელწოდებით, „არა ბიზნესდიქტატურას“[51], რომელზეც აქტივისტები სიტყვით მიმართავდნენ მთავრობის წარმომადგენლებს, აგროვებდნენ თანხას გაფიცულების მხარდასაჭერად და მათი საკვები პროდუქტებით მომარაგების მიზნით. ქსნის მოვლენების მონაწილე რესპონდენტი ხაზგასმით იხსენებს სხვადასხვა ჯგუფისგან გამოხატული სოლიდარობის აქტების დიდ მნიშვნელობას: *„სოლიდარობას რომ დიდი ძალა აქვს, დავრწმუნდით.. მას დიდი შედეგი აქვს გაფიცვის შენარჩუნებისთვის და გამძლეობის მომატებისთვის, რაც აუცილებელია წარმატების მისაღწევად“.*

რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიციონირებას და პოლიტიკურ მოცემულობას, ამასთან დაკავშირებით, ქსნის პროცესების მონაწილე კიდევ ერთი რესპონდენტი საუბრობს:

> „ქსანში მიმდინარე გაფიცვების პარალელურად მედიაციის პროცესი მიმდინარეობდა თბილისის მეტროსთან, გაფიცვა წამოიწყეს ტყიბულში, იქ ზესტაფონი და ჭიათურაც დაძაბული იყო. მთელი ქვეყანა გვიყურებდა, ჩვენ დავიძირებოდით თუ გავაკეთებდით იმას, რისთვისაც გავიფიცეთ. ხელისუფლებას ეს არ აწყობდა.. „ეკონომიკა ვერ აიტანს“ ფორმატით მუშაობდნენ ესენი [ხელისუფლების წარმომადგენლები] და ხვდებოდნენ, რომ ჩვენი წარმატება დომინოს ეფექტივით გადაედებოდა სხვებს და ამ სოციალურ აფეთქებებს ვეღარ შეაკავებდნენ შემდეგ“.

50 http://netgazeti.ge/life/95367/

51 https://www.youtube.com/watch?v=O27hz_BpkOY

აღნიშნულ ციტატაში ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება შრომითი პროტესტის მიმართ, სადაც მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკა არსებული ეკონომიკური სტაბლურობისა და სოციალური წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ იყო მიჩნეული. ეს გარემოება მშრომელებს კიდევ უფრო მეტად უბიძგებდა კონფრონტაციული მოქმედებისკენ, რომლის დროსაც ისინი გამოდიოდნენ კრიტიკული განცხადებებით სახელმწიფოს პოლიტიკის წინააღმდეგ და მიმართავდნენ კოლექტიური მოქმედების რადიკალიზების სხვადასხვა ფორმას, რაც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა საზოგადოების დიდი მხარდაჭერის მოპოვებას და ამის შედეგად სახელმწიფოს მიმართ უფრო მეტი წნეხის გაჩენას, ხოლო მეორე მხრივ, საწარმოს ადმინისტრაციისთვის მატერიალური ზიანის გაზრდას და ამით მათ დათმობაზე წამოყვანას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს ადმინისტრაციის პოზიციონირება მნიშვნელოვან წინააღმდეგობის ფაქტორს ქმნიდა გაფიცულებისთვის. ქსნის შემთხვევაში კონტრმოქმედებების სახით აღინიშნებოდა მოლაპარაკების პროცესის მიზანმიმართული გაჭიანურება, მინიმალური შეთავაზებების წამოყენება, დაბალი ფინანსური შესაძლებლობების არგუმენტებით მანიპულირება და ასევე წარმოების შეწყვეტის მუქარა. ეს ყველაფერი განაპირობებდა პროტესტის მუხტის შესუსტებას, შიშს და სასოწარკვეთას. ამაზე საპასუხოდ კი ლიდერები ცდილობდნენ მუხტის შენარჩუნებას და კონფრონტაციის გაზრდას:

> „მე-19 დღე იყო და ხალხმა დაიწყო დაშლა. ადმინისტრაცია ამისთვის ყველაფერს ცდილობდა – თურქეთიდან ჩამოიყვანეს სპეციალისტები, ვითომდა თქვენს გარეშე ავამუშავებთო ღუმელებს, მაგრამ იმათმა თავი ვერ დაადგეს, მერე ხმა გაავრცელეს საწარმოს დავხურავთო.. რომ შევატყვე, მუხტი ვარდებოდა, ავედი სცენაზე და ხალხს მივმართე, რომ უკვე კაი ბლომად შევტოპეთ, ყველამ ერთად შევტოპოთ, და თუ გავალთ ნაპირზე ან ყველა მშრალი გავიდეთ, ან ყველა სველი გავიდეთ. ისე არა, რომ ბოლოს ერთი კაცის სათრევი გახდეს საქმე-მეთქი. ყველა მიხვდა, რას ვგულისხმობდი და მომდევნო დღეს იმდენივე ხალხი დამხვდა გაფიცვაზე, რაც დასაწყისში იყო“ (რესპოდენტი #29)

ქსნის შემთხვევისგან განსხვავებით, ტყიბულის მოვლენები, რომელიც დროში დაემთხვა ქსნის გაფიცვას, სპონტანურად წარმოიქმნა. აქ, ისევე, როგორც ქსანში, კოლექტიური მოქმედებებისას მშრომელთა განწყობას მძაფრი უსამართლობა და იმედგაცრუება განსაზღვრავდა, რამაც განაპირობა მცირე ჯგუფში გაჩენილი პროტესტის ფართომასშტაბიან საყოველთაო გაფიცვაში გადაზრდა. წლების განმავლობაში დაგროვილმა წუხილმა და მძიმე სოციალურმა ფონმა განაპირობა მშრომელთა განწყობის ფეთქებადობა, სადაც მეშახტეები გაუცნობიერებლად აღმოჩნდნენ ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი პროტესტის ინიციატორები:

> „თუ რამე გაკეთდა და თუ რამეს მივაღწიეთ, ეს იყო მხოლოდ ჩვენი ალოგიკურობის შედეგი, მარტო შემართულობაზე დამოკიდებული და არა რაციონალურად გადადგმული თუ გაზომილი ნაბიჯების შედეგი.. ყველაფრით გვჯაბნიდნენ, გვაშინებდნენ, წუხილებს გვიხშობდნენ, მაგრამ, როგორც კი ნაპერწკალი გაჩნდა, მერე ყველაფერმა ერთად ამოხეთქა“.

იმის გამო, რომ ტყიბულში გაფიცვის პროცესი სპონტანურად წარმოიქმნა და ის არაკანონიერად მიიჩნეოდა, მოვლენების დასაწყისში პროფკავშირულმა გაერთიანებამ და პირველადმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ თავი შეიკავეს გაფიცულების ღია მხარდაჭერისგან. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი კოლექტიური მოქმედების რეპერტუარების რადიკალიზებას და უფრო მეტად კონფრონტაციული და სტიქიური გახადა.

აღსანიშნავია, რომ ტყიბულის კოლექტიური მოქმედებები განსაკუთრებულად გამოირჩეოდა აქტივისტური ჯგუფების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სტუდენტების ჩართულობით და მონაწილეობით. იმის გამო, რომ ტყიბულში კოლექტიური მოქმედების დასაწყისში პროფკავშირული ორგანიზაციები არ იყვნენ წარმოდგენილები, მოცემული ნიშა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და აქტივისტურმა ჯგუფებმა დაიკავეს. მშრომელები განსაკუთრებულად იხსენიებენ ისეთ აქტორებს, როგორებიც არიან: ლუიზა ლაფერაძე, ლევან ლორთქიფანიძე, ლინა ღვინიანიძე, დღევანდელი „აუდიტორია 115-ის“ წევრები, „მწვანე მუშტისა“ და „ახალგაზრდა მწვანეების“ ჯგუფის წევრები, „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ წარმომად-

გენლები. გარდა ამ ჯგუფებისა, მშრომელთა მხარდამჭერებს შორის იყვნენ ფემინისტი ქალები და უმცირესობის უფლებებზე მომუშავე აქტივისტები, საუნივერსიტეტო სივრცეებში მოღვაწე აკადემიკოსები და ა.შ. ასევე, საპროტესტო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა ჩართულობა კიდევ უფრო მეტად ამძაფრებდა ტყიბულის მოქმედების სოციალური აფეთქების ხასიათს.

ამ ყველაფერთან ერთად, ტყიბულში მშრომელთა კოლექტიური მოქმედების პროცესში განსაკუთრებით მაღალი იყო ინფორმაციის გავრცელებისა და მედიაგაშუქების მნიშვნელობა, რომელიც, თავის მხრივ, რეპერტუარების მრავალფეროვნებასაც განაპირობებდა. კერძოდ, განსაკუთრებით დიდი იყო ინტერნეტისა და სოციალური ქსელის როლი ინფორმაციის გასავრცელებლად და მხარდამჭერების შემოკრებისთვის: *„აუცილებლად გვჭირდებოდა ფლაგების გაშლა და ყველა პოზიციის აღება, სადაც ჩვენს ინტერესებს გავატარებდით, ამიტომ ერთი ადამიანი თავიდან ბოლომდე სოციალურ ქსელებს და ფეისბუქს მივუჩინეთ, რამაც დიდი როლი ითამაშა ინფორმაციის გატანაში და მხარდაჭერის მოპოვებაში“.* – აღნიშნავს ტყიბულის მოვლენების ერთ-ერთი ლიდერი. მშრომელები აქცენტს აკეთებდნენ პროტესტის მასშტაბურობასა და სახალხოობაზე – ფართომასშტაბიან აქციებსა და სახალხო შეკრებებზე ქალაქის ცენტრში, საწარმოს ადმინისტრაციის ეზოში თუ ხალხმრავალ დემონსტრაციებზე ქალაქის მასშტაბით.

რაც შეეხება რეპერტუარების რადიკალიზების ფორმებს, ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საწარმოს ადმინისტრაციის შენობაში შეჭრის შემთხვევა, რასთან დაკავშირებითაც ტყიბულელი რესპონდენტი საუბრობს:

> „ჯერ იმით აშინებდნენ ხალხს, რომ არაკანონიერი გაფიცვა არისო, შემდეგ დაიწყეს საუბარი კონსერვაციაზე და შახტების დახურვაზე, ბოლოს კომუნისტებს გვეძახოდნენ.. მოკლედ ყველაფერი ცადეს, რომ ჩვენი დისკრედიტირება მოეხდინად და ჩაეხშოთ პროტესტი. ვეძახოდით და გარეთ არ გამოდიოდნენ, პასუხს ველოდებოდით და ხმას არ გვცემდნენ, არაფრად გვაგდებდნენ. თან აჭიანურებდნენ პროცესს, რომ დუხი დავარდნილიყო.. ხოდა ამაზე პასუხი იყო ჩვენი შეჭრაც, რამაც უფრო მეტად მოხოდა [გააძლიერა] ხალხი და მომდევნო დღეს ორჯერ მეტი ადამიანი დაგვიდგა გვერდში“

პროტესტის ამდაგვარი რადიკალიზება სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციამ განაპირობა – ერთი მხრივ, კოლექტიური მოქმედების დასაწყისში არაკანონიერად სახელდებული გაფიცვა მშრომელებს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებდა და ისინი ნაკლებად იზღუდავდნენ თავს მოვლენების კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართვით. ამასთან, პროცესის ლიდერების განმარტებით, იმის გამო, რომ მოვლენების განვითარებას პროგრესული სახე ჰქონდა, პროცესი „მოითხოვდა“ გარკვეულ კულმინაციურ სცენარს, რომელიც სახელმწიფოს წარმომადგენლებისა თუ ადმინისტრაციისთვის ერთგვარი ნიშანი უნდა ყოფილიყო პოზიციების დათმობისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის.

ისევე, როგორც ქსნის შემთხვევაში, ტყიბულის მოვლენებშიც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საწარმოს მიერ გამოყენებული კონტრმოქმედებები და კონტრრეპერტუარები, სადაც ისინი ცდილობდნენ პროტესტის ლიდერების მარგინალიზებას და რიგითი მშრომელების მათ წინააღმდეგ განწყობას, ასევე – შახტების კონსერვაციის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას თუ სამუშაო პროცესის უწყვეტობის სიმულაციას. ქსნის შემთხვევების მსგავსად, ტყიბულის საწარმოს ადმინისტრაციამაც გამოიყენა მოლაპარაკებების გაჭიანურების, მინიმალური შეთავაზებისა თუ ფინანსური რესურსების სიმცირის არგუმენტი, სადაც მთავარი აქცენტი კეთდებოდა იმაზე, თუ რამდენად დაბალი ხარისხის იყო ტყიბულის ქვანახშირის სახეობა და რამდენად რთული იყო მისი რეალიზების შედეგად ფინანსური მოგების ნახვა. აღნიშნული ტექნიკური თუ ფინანსური სახის არგუმენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რიგითი მშრომელების განწყობაზე, რომელთა გაბათილებასაც ლიდერები ვერ ახერხებდნენ, ინფორმაციაზე ხელმიუწვდომობისა თუ სპეციფიკური ცოდნის უქონლობის გამო.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის საპროტესტო ციკლი გამოირჩეოდა მშრომელთა გააქტიურების ახალი ტალღით, სადაც პროტესტის რაოდენობა 2012 წელს მომხდარ შემთხვევებს გაუტოლდა (იხ. ფიგურა 2). ამ პერიოდში მშრომელების მთავარ წუხილად კვლავ დაბალი ანაზღაურება, შრომის მძიმე პირობები და სოციალური სიდუხჭირე რჩებოდა, თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, პროტესტი მნიშვნელოვნად იყო დატვირთული სახელმწიფოს მიერ გატარებული

შრომისა და სოციალური პოლიტიკის კრიტიკით. მშრომელთა რეპერტუარებისა თუ რადიკალიზების ფორმების განსაზღვრაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა აქტივისტური ჯგუფებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებულად მწყობრი პოლიტიკა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, აღნიშნული პერიოდი, მიუხედავად მშრომელთა ორგანიზების განსხვავებული ფორმებისა, ერთგვაროვანი სპეციფიკით ხასიათდებოდა, სადაც: 1) მშრომელთა განწყობა ნაკლებად განისაზღვრებოდა ხელისუფლების მიმართ მაღალი მოლოდინით თუ პოლიტიკური შესაძლებლობის გამოყენების რწმენით. აღნიშნულ პერიოდში ისევე, როგორც 2012 წელს, მშრომელთა აფეთქებებს უსამართლობისა და იმედგაცრუების განცდა განაპირობებდა, თუმცა, თუ 2012 წელს ეს აფეთქებები უფრო მეტად პოლიტიკური შინაარსის იყო და „სამართლიანობის აღდგენის“ მოტივით ხდებოდა, 2016 წელს მშრომელების პროტესტმა სოციალური დატვირთვა და შინაარსი შეიძინა; 2) 2016 წელს სახელმწიფოს პოზიციონირება ბევრად უფრო არათანმიმდევრული იყო, ვიდრე 2012-2014 წლებში, როდესაც ისინი ერთმნიშვნელოვნად გაემიჯნენ დავაში მონაწილეობას. 2016 წელს კოლექტიური მობილიზების შემთხვევებში კი სახელმწიფოს წარმომადგენლები დავაში ჩართვის ინტენსივობასა და საჯარო გამოხმაურებებს საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე საზღვრავდნენ. კერძოდ, იმის გამო, რომ ტყიბულის შემთხვევა ქსანთან შედარებით უფრო მეტი საზოგადოებრივი ინტერესით გამოირჩეოდა, აქ სახელმწიფოს წარმომადგენლების ჩართულობა გაცილებით უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე ქსანში; 3) 2016 წლის პერიოდში პროფკავშირულმა გაერთიანებამ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებისას პოლიტიკური მიდგომა განაახლა. კერძოდ, თუ ქსნის შემთხვევაში ისინი რადიკალიზების გარეშე, მწყობრი პოლიტიკის გატარებით ცდილობდნენ მშრომელების მხარდაჭერას, ტყიბულის კოლექტიური მოქმედება გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა მათ მიერ გატარებული პოლიტიკის გადასააზრებლად, რის შემდეგაც პროფკავშირების გაერთიანებამ აქტიურად დაიწყო მშრომელთა კონფრონტაციული პოლიტიკის მხარდაჭერა, საწარმოს ადმინისტრაციასთან რადიკალურ დაპირისპირებაში შესვლა და სახელმწიფოსთან წი-

ნააღმდეგობის პოლიტიკის გაჩაღება[52]; 4) 2016 წელი ყველაზე მეტად გამოირჩეოდა აქტივისტური ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მწყობრი და ორგანიზებული პოლიტიკის თვალსაზრისით. საჯარო სივრცეში გაჩენილმა ჯგუფებმა, ინდივიდებმა თუ ორგანიზაციებმა არა მხოლოდ მშრომელებთან გააბეს ინტენსიური კავშირი, არამედ ერთმანეთს შორისაც. აღნიშნულ პერიოდში მშრომელთა მხარდამჭერებს შორის გამოჩნდნენ არა მხოლოდ სოციალურ თუ შრომის საკითხებზე მომუშავე აქტივისტები, არამედ ქალთა, უმცირესობათა თუ სხვა მომიჯნავე თემებით დაინტერესებული პირებიც. ამ ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების ხელთ არსებული თეორიული ცოდნა თუ ექსპერტიზა მნიშვნელოვან ინტელექტუალურ რესურსს წარმოადგენდა მშრომელებისთვის სტრატეგიების შერჩევის, გადაწყვეტილებების მიღებისა თუ რეპერტუარების შერჩევის პროცესში; 5) 2016 წლისთვის საწარმოს ადმინისტრაციის პოზიციონირება და მათ მიერ გამოყენებული კონტრმოქმედებები ბევრად უფრო განვითარდა და უფრო დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა მშრომელებს. ამის მიზეზად კი შესაძლოა, მივიჩნიოთ (ისევე, როგორც სხვა აქტორების შემთხვევაში) მათ მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების პროცესში კონტრმოქმედების შესახებ;

შეჯამება

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებისას გამოყენებული რეპერტუარების შერჩევა და მშრომელთა სტრატეგიული გადაწყვეტილებები სხვადასხვა ტენდენციასა თუ ფაქტორების ზეგავლენაზე მიუთითებდა, რისი ანალიზიც ცხადყოფს, თუ როგორ ძლიერდებოდა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების დინამიკა, როგორ იზრდებოდა მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და როგორ გარდაიქმნა ის მშრომელთა ინდივიდუალური თუ ლოკალური წუხილიდან

52 პროფკავშირების მიერ მათივე პოლიტიკის გადააზრების სანიმუშაოდ, საინტერესო შემთხვევებს წარმოადგენს სოფელ ზვარეში, გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებული მშრომელებისა და რუსთავის აზოტის 75 თანამშრომლის გათავისუფლების შედეგად მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკის შემთხვევები, როდესაც პროფკავშირების გაერთიანებისა და დარგობრივი პროფკავშირების წარმომადგენლები ღიად კონფრონტაციული რეპერტუარებით უპირისპირდებოდნენ საწარმოს ადმინისტრაციას და მოუწოდებდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლებს პროცესში ჩართვისკენ.

ფართო საზოგადოებრივ თუ სოციალური დატვირთვის მქონე მოვლენად. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC), მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა დარგობრივი პროფესიული კავშირის ყოფილი თავჯდომარე, თამაზ დოლაბერიძე იმავე დაკვირვებაზე მიუთითებს:

> „ჩემი დაკვირვებით, 2012 წლის პროტესტები არ იყო მარტო სოციალური აფეთქებები, ეს უფრო მეტად იყო ხალხის მხრიდან დანახული პოლიტიკურ პროცესებზე რეაქცია. ერთადერთი ფერო იყო, სადაც პროტესტი ივნისში, არჩევნებამდე მოხდა, თორე ყველა დანარჩენი გაფიცვა მოხდა არჩევნების შემდეგ, ანუ, როცა მთავრობა შეიცვალა. ეს გაფიცვები ატარებდა გარკვეულ პოლიტიკურ ნიშნებს – ადამიანებმა დაინახეს, რომ მთავრობაში რადიკალური ცვლილებები მოხდა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია საწარმოებში ადმინისტრაციის ცვლილება, რომლებიც მშრომელებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიასთან ასოცირდებოდნენ და ამის გამო, ახალი მთავრობისთვის ხმის მისაწვდენად, დაიწყეს აქტიურად ხმაური.. რაც შეეხება 2016 წლის გაფიცვებს, ეს სუფთა სოციალური თემატიკის მშრომელთა აფეთქებები იყო – გავიდა უკვე რამოდენიმე წელი, ახალი მთავრობა კარგა ხანია მოსულია, მაგრამ მაინც არაფერი იცვლება.. თან საწარმოებში იმატა შემცირებებმა, წინა მთავრობის პირობებში გაბერილი კადრების რეორგანიზაციამ, ამას დაემატა მაღალია ინფლაციის დონე, რამაც უფრო დაამძიმა სოციალური ფონია.. მუშებისთვის ერთი სიმახინჯე მეორე სიმახინჯემ შეცვალა“.

გარდა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შესახებ დისკურსის ცვლილებისა, ასევე იცვლებოდა მშრომელთა სტრატეგია და ბრძოლის ტაქტიკა, რეპერტუარი თუ რადიკალიზების ფორმები. თუ დასაწყისში მშრომელები ინდივიდუალურად, შიდა ჯგუფური კონსოლიდაციის ხარჯზე ცდილობდნენ კერძო მეწარმეებთან დაპირისპირებას, მოგვიანებით მათ გააფართოვეს მხარდამჭერებისა და თანამებრძოლების რიგები. პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, მათ ბრძოლაში მონაწილეობდნენ აქტივისტური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ადგი-

ლობრივი მოსახლეობა. ასევე, ვითარდებოდა მშრომელთა სტრატეგია საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფასა და დისკურსული შესაძლებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. ბოლო წელს კოლექტიური მოქმედებებისას ისინი აქტიურად იყენებდნენ ტელევიზიას თუ მედიაპლატფორმებს, სოციალურ ქსელს, ინფორმაციის გასავრცელებელ ავტონომიურ გზებს, სადაც ისინი თანამედროვე ტექნოლოგიების (სმარტფონების, ვიდეოკამერების, კომპიუტერების) გამოყენებით ახერხებდნენ ფართო საზოგადოებისთვის ხმის მიწვდენას და ინფორმაციის ალტერნატიული წყაროს უზრუნველყოფას.

მშრომელთა ბრძოლის სტრატეგიებისა თუ რეპერტუარების გამრავალფეროვნების პარალელურად, ასევე იცვლებოდა საწარმოს ადმინისტრაციის კონტრმოქმედებები და მათი ცოდნა მშრომელთა კოლექტიური მოქმედებისას გამოსაყენებელ სტრატეგიებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიციონირებას, ბოლო წლების შემთხვევების შესწავლა ავლენს, რომ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებისადმი საზოგადოებრივი ინტერესისა და წნეხის ზრდის პარალელურად, იზრდებოდა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მგრძნობელობა მშრომელთა საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა ამის მიუხედავად, მათი მხრიდან პროცესების დასარეგულირებლად გადადგმული ნაბიჯები მაინც ერთჯერად და გამონაკლის აქტებად იკითხებოდა, რადგან ის არ ატარებდა სისტემურ, და პოლიტიკურად მდგრად ხასიათს, არამედ კონკრეტული საკითხების მოგვარებისა და მშრომელთა კოლექტიური წინააღმდეგობის დროული აღმოფხვრისკენ იყო მიმართული.

დასკვნა

მასობრივი პრივატიზაცია, ეკონომიკის სფეროში რეგულაციების მოშლა და შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაცია მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი აღმოჩნდა მშრომელებისთვის. 2003 წელს რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების მოდერნიზაციის პროექტმა ეკონომიკური განვითარების ისეთი მიდგომა დაამკვიდრა ქვეყნის მასშტაბით, რომელმაც დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები თუ რიგითი მშრომელები პროგრესისა და განვითარების იდეის მიღმა დატოვა. 2010 წლიდან წარმოქმნილი მშრომელთა პროტესტი სიღარიბის, უთანასწორობისა თუ ძალაუფლებრივი ასიმეტრიის ფონზე მიმდინარეობდა. არა მხოლოდ სოციალურ თუ ეკონომიკურ კრიზისში იყო ქვეყანაში, არამედ რეპრესიისა და საპოლიციო რეჟიმის გამოყენებით შეზღუდული იყო საჯარო პოლიტიკის სივრცე და დემოკრატიულობის ხარისხიც. 2012 წელს არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილება გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა მშრომელთა მდგომარეობის გარდაქმნისთვის, პოტენციალის გაჩენის თვალსაზრისით, თუმცა მშრომელებს მოლოდინი ცვლილებასთან დაკავშირებით მალევე გაუცრუვდათ, მას შემდეგ, რაც გააცნობიერეს, რომ ხელისუფლების მიერ პოლიტიკის გარდაქმნა მის ფუნდამენტურ გადააზრებას არ გულისხმობდა, რომელიც წლების განმავლობაში იწვევდა დაუცველობის, გათიშულობისა თუ უძლურების განცდას მშრომელებში. ამ ფონზე, 2010-2016 წლებში მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების კვლევამ აჩვენა, თუ როგორ და რა ხერხებით უპირისპირდებოდნენ მშრომელები ძალაუფლებრივი ერთეულების მხრიდან დაწესებული ჩაგვრის, ექსპლუატაციის, გათიშულობისა თუ სოციალური ექსკლუზიის პრაქტიკას პოსტრევოლუციურ (2010-2011), ხელისუფლების ტრანზიციის (2012-2014) და ახალი სამთავრობო პოლიტიკის გაფორმების (2014-2016) პირობებში. აღსანიშნავია, რომ კვლევისას მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების შესახებ ისტორიის რეკონსტრუქცია მშრომელების მიერ დანახულ, აღქმულ თუ არტიკულირებულ რეალობაზე დაყრდნობით განხორციელდა.

დასაწყისში კვლევა ვრცლად მსჯელობს, როგორ სოციალურ თუ პოლიტიკურ მოცემულობაში უწევდათ მშრომელებს კოლექტიური მოქმედებე-

ბის ორგანიზება. ერთის მხრივ, საპოლიციო კონტროლისა და რეპრესია, ხოლო მეორეს მხრივ სოციალური მოწყვლადობის მაღალი დონე მინიმუმამდე ამცირებდა წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოებისა და შემდეგ მისი ეფექტიანად წარმართვის შესაძლებლობას. 2010-2016 წლებში მშრომელთა წინააღმდეგობის პოლიტიკის შემთხვევების ისტორიულმა რეკონსტრუქციამ აჩვენა, რომ კოლექტიური მოქმედებები წლების განმავლობაში განსხვავებულად ფორმირდებოდა სხვადასხვა ფაქტორის, მოცემულობისა თუ კონტექსტის კვალდაკვალ. მოულოდნელად გაცნობიერებული უსამართლობის განცდა, პოლიტიკური მოცემულობის ცვლილება, საწარმოს ადმინისტრაციული ჯგუფის ან საწარმოში დაწესებული სახელფასო პოლიტიკის ცვლილება, მაღალი მოლოდინი პოტენციურ ცვლილებებთან დაკავშირებით თუ ძლიერი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის არსებობა რამდენიმეა იმ მრავალ ფაქტორს შორის, რომლებიც ცალკეულად თუ კომბინაციაში გავლენას ახდენდნენ მშრომელთა გადაწყვეტილებაზე კოლექტიური მოქმედებების ინიცირებასთან ან მასში ჩართვასთან დაკავშირებით. თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ შრომითი პროტესტის წარმოქმნისა და წარმართვის განსხვავებული სცენარების მიუხედავად, მშრომელთა წუხილი და მოთხოვნები 2010 წლიდან 2016 წლამდე უმეტესად ერთგვაროვანი შინაარსის იყო და ისეთ საკითხებს უკავშირდებოდა, როგორებიცაა: დაბალი ანაზღაურება, მძიმე შრომის პირობები, შრომის არარეგულირებული ინტენსივობა, ზეგანაკვეთური შრომის აუნაზღაურებლობა, სოციალური დაცულობის მინიმალური გარანტიები და საწარმოს ადმინისტრაციის მხრიდან აპრობირებული ჩაგვრისა თუ ექსპლუატირების პრაქტიკა . ამასთან ერთად, მშრომელების მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაუყოვნებლივ, დროში გაწელილ თუ ნაწილობრივ დაკმაყოფილებას სხვადასხვა გარეშე თუ შიდა ფაქტორი განაპირობებდა, მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური შესაძლებლობის არსებობა, მშრომელთა მოლაპარაკების ძალა, მხარდამჭერების შემოკრების პოტენციალი, კერძო მეწარმის პოზიციონირება, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის თუ ჩაურევლობის პოლიტიკა და და სხვა.

შრომითი პროტესტის შესწავლისას სტრუქტურული ფაქტორების ანალიზმა გამოავლინა ის ბარიერები, რომელიც ზიანს აყენებდა მშრომელ-

თა მდგომარეობას, ასუსტებდა მათ სტრუქტურულ ძალას და ძალაუფლებრივ სისტემებზე დაქვემდებარებულს ტოვებდა მათ. მშრომელთა წუხილი ექსკლუზიაზე, სოციალურ მოწყვლადობაზე, ჩაგვრისა და კონტროლის პრაქტიკაზე, დემოკრატიული პროცესებიდან გამოთიშვაზე დიდწილად ქვეყანაში დამკვიდრებული სოციალური დაცულობის გარანტიების უკიდურესად შემცირებით, ეკონომიკური პოლიტიკის დერეგულაციით, შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაციით იყო განპირობებული. მშრომელთა წუხილისა და მოთხოვნების ანალიზმა სტრუქტურული კატეგორიების ფონზე შესაძლებელი გახადა მშრომელთა წინააღმდეგობის მოქმედებების უფრო ფართო კატეგორიებში მოთავსება, სადაც შრომის საკითხებზე წინააღმდეგობის პოლიტიკის ანალიზი ერთ საწარმოში არსებულ, ლოკალურად მიმდინარე პროცესებზე მშრომელთა რეაქციული დაპირისპირების ამხსნელებს გასცდა. შედეგად, კვლევამ აჩვენა, რომ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები მიემართებოდა არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ დამსაქმებელს, თუ ერთ კონკრეტულ საწარმოში დამკვიდრებულ შრომითი ურთიერთობების შიდა სტანდარტებს, არამედ მშრომელები ღია წინააღმდეგობაში შედიოდნენ ისეთ ფართო პოლიტიკურ თუ სტრუქტურულ ტენდენციებთან, როგორებიცაა დაბალი სოციალური ფენის ექსპლუატაცია, დაუცველობისა და მოწყვლადობის საკანონმდებლო დონეზე გაფორმება, ადამიანთა აუნაზღაურებელი ან დაბალანაზღაურებადი შრომის ფასად ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, დემოკრატიული ინსტიტუციების დისფუნქცია, სახელმწიფოს ჩაურევლობისა თუ მინიმალური რეგულაციების პოლიტიკა, რესურსების არათანაბარი და უსამართლო გადანაწილება და ა.შ.

ამასთან ერთად, 2010 წლიდან 2016 წლამდე მშრომელთა წინააღმდეგობის მოქმედებების ფართო სტრუქტურულმა შესწავლამ აჩვენა, რომ მშრომელები კოლექტიური მოქმედებების ორგანიზებისას არა მხოლოდ თავიანთი მინიმალური სოციალური თუ ეკონომიკური კეთილდღეობის რისკის ფასად მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის პოლიტიკაში, არამედ ზოგ შემთხვევაში თავიანთი ფიზიკური უსაფრთხოების ფასადაც კი მზად იყვნენ, მოეთხოვათ ცვლილებები და გარდაექმნათ არსებული რეალობა. რაც შეეხება მშრომელთა მოლაპარაკების ძალას (bargaining power), აღნიშნული კატეგორია ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოად-

გენს მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების პროცესში, როდესაც ვითარების დასარეგულირებლად ადმინისტრაცია სთანხმდება მოლაპარაკების წარმოებას, მშრომელთა მოთხოვნების განხილვას და სთავაზობს თავის პირობებსაც. . კვლევამ აჩვენა, რომ მშრომელთა მოლაპარაკების ძალა სუსტი და მყიფე იყო, რადგან არ იყო გამყარებული სტრუქტურულ დონეზე საკანონმდებლო აქტებით, სახელმწიფოს პოლიტიკით თუ შრომითი ურთიერთობის დაბალანსებული მიდგომით. გაფიცვის პროცესში მშრომელთა მოლაპარაკების ძალა ისეთი რელატიური ფაქტორებით განისაზღვრებოდა, როგორებიცაა: გაფიცულთა მხარდამჭერების რაოდენობა, პოლიტიკური შესაძლებლობის არსებობა, საწარმოზე მშრომელების მხრიდან მიყენებული ზიანის ოდენობა, გაფიცულ მშრომელთა სამსახურებრივი პოზიცია და ა.შ. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მშრომელთა მოლაპარაკების ძალის განსაზღვრაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს, თუ რამდენად მოახერხებდნენ გაფიცულები თავიანთი პროტესტის საჯარო დისკურსში შეტანას და მასთან დაკავშირებით საჯარო აზრის ფორმირებას.

კოლექტიური იდენტობის წარმოებისა და მისი მნიშვნელობის კვლევამ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების წარმოქმნისა თუ მიმდინარეობის პროცესში მნიშვნელოვანი პერსპექტივები შესძინა საკვლევ თემას, რომელშიც საწარმოს შესახებ ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული წარმოდგენები, დასაქმების ადგილების სივრცულ-ინფრასტრუქტურული მოწყობა თუ შრომის შიდა ორგანიზების პრაქტიკა საგულისხმო ფაქტორებად იდენტიფიცირდა მშრომელთა მობილიზების, კონსოლიდირებისა თუ კავშირების გაბმის პოტენციალის თვალსაზრისით. საკითხის შესწავლისას კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რამდენ სირთულესთან იყო დაკავშირებული მშრომელებისთვის გაფიცვების ორგანიზება და შემდგომ მისი შენარჩუნება ძალაუფლების ასიმეტრიის ისეთ პირობებში, როგორშიც მმართველი ორგანოების მიერ დაწესებული მართვისა და კონტროლის პრაქტიკა გათიშულობისა და შიდა დაპირისპირების წინაპირობას სისტემურად ქმნიდა მშრომელებში, ხოლო სტრუქტურული მოცემულობა შეუძლებელს ხდიდა წუხილისა და მოთხოვნების მოლაპარაკების გზით დაკმაყოფილებას. შესაბამისად, მშრომელებისთვის ღია დაპირისპირებაში შესვლა და წუხილის კოლექტიური თუ საჯარო არტიკულაცია ერთა-

დერთ ალტერნატივას წარმოადგენდა, სადაც გარკვეულ შემთხვევებში თავად გაფიცვის პროცესი ხდებოდა ხოლმე წუხილის გაზიარების, საერთო მოთხოვნებზე შეჯერებისა თუ კოლექტიური იდენტობის კონსტრუირების ველი.

კვლევის პროცესში მშრომელთა კოლექტიური მოქმედების შემთხვევების რეტროსპექტულმა წაკითხვამ აჩვენა, რომ წლების განმავლობაში, გარეშე კონტექსტის გარდაქმნისა და კოლექტიური მოქმედებების მონაწილე მშრომელთა მოლოდინის ცვლილების პარალელურად, იცვლებოდა და მრავალფეროვნებას იძენდა მშრომელების მიერ კოლექტიური მოქმედების პროცესში გამოყენებული წინააღმდეგობის რეპერტუარები, სტრატეგია თუ ტაქტიკა . თუ თავდაპირველად, კოლექტიური მოქმედებებისას მხოლოდ კონვენციური და ე.წ. „რუტინული“ სახის რეპერტუარებს აღმოვაჩენთ, როგორებიცაა აქციები, დემონსტრაციები თუ მასობრივი შეკრებები, მოგვიანებით მშრომელთა რეპერტუარებმა უფრო ფართო სპექტრი მოიცვა, სადაც მშრომელები სხვადასხვა მიზნის მისაღწევად იყენებდნენ პროტესტის რადიკალიზების სხვადასხვა ფორმას, ცდილობდნენ, წინააღმდეგობის მოქმედების შესახებ ალტერნატიული დისკურსი შექმნას და მათ მხარდასაჭერად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდას.

ასევე, რეპერტუარების შერჩევის ტენდენციებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მშრომელთა კოლექტიური მოძრაობების შინაარსობრივი დატვირთვა წლების განმავლობაში მოდიფიცირდებოდა და უფრო და უფრო ფართო შინაარსს იძენდა. კერძოდ, თავდაპირველად, 2010-2011 წლებში მშრომელთა წუხილისა და მოთხოვნების ძირითად აქცენტს საწარმოში არსებული ჩაგვრის, კონტროლის, ექსპლუატირებისა და დაუცველობის პრაქტიკის აღმოფხვრა წარმოადგენდა, როდესაც მშრომელები სახელმწიფო რეპრესიისა და პოლიციური რეჟიმის პირობებში ვერ ახერხებდნენ თავიანთი მოთხოვნების გავრცობას და მისთვის პოლიტიკური თუ სოციალური შინაარსის მინიჭებას. 2012-2014 წლებში მშრომელთა მასობრივი აფეთქებები უმეტესად პოლიტიკური მოცემულობის ცვლილებით, ახალი მოლოდინით თუ ცვლილებების შესაძლებლობის ღრმა რწმენით იყო განპირობებული. ამ პერიოდში მშრომელები გამოდიოდნენ უმეტესად, სამართლიანობის აღდგენის, საწარმოს მართვაში ჩართული ად-

მინისტრაციული ჯგუფის გათავისუფლების, საწარმოში დამკვიდრებული შრომის პოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილების მოთხოვნით, რამაც პოლიტიკური შინაარსი შეიძინა, თუმცა ის მაინც ვიწრო ჭრილში განიხილავდა შრომის პოლიტიკის ცვლილებას თუ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. 2016 წლიდან კი მშრომელთა კოლექტიური მოქმედების ტალღის განახლება და სამოქალაქო საზოგადოების დიდი გამოხმაურება იმ ზოგადი კონტექსტით იყო განპირობებული, რომლითაც მშრომელებმა თავიანთ წუხილსა და მოთხოვნებს სოციალური და ფართო პოლიტიკური მნიშვნელობა შესძინეს და დაიწყეს საუბარი ისეთ ზოგად პრაქტიკაზე, როგორიც იყო: მშრომელთა მძიმე მდგომარეობა, შრომის პოლიტიკის ცვლილების მოთხოვნა, დაურეგულირებელი ბაზრის დომინაცია საზოგადოებრივ სფეროზე, დაბალი კლასის მშრომელების სისტემური ექსპლუატაცია თუ კერძო ინტერესის დაუბალანსებელი უპირატესობა საჯარო ინტერესზე.

სოციალური მოძრაობების კვლევისას მკვლევრები თუ თეორეტიკოსები ცდილობენ, ახსნან ის მიზეზშედეგობრივი კავშირები, რაც პროტესტის წარმოქმნას, მშრომელთა წინააღმდეგობას და მასობრივ სოციალურ მოძრაობებს განაპირობებს. მთავარი კითხვა ამ თვალსაზრისით არის ის, თუ რატომ მოქმედებენ კოლექტიურად ადამიანები ერთ შემთხვევაში და რატომ არ უჩნდებათ მათ პროტესტი სხვა შემთხვევებში. საქართველოს კონტექსტში 2010-2016 წლებში მიმდინარე მშრომელთა წინააღმდეგობის მოქმედების კვლევა ამ კითხვაზე ცხად პასუხს არ იძლევა, რადგან იაზრებს, რომ მშრომელთა მიერ კოლექტიური მოქმედებების შესახებ ინიციატივის გაჩენა, მის რეალიზებაზე მუშაობა და ბოლოს განხორციელება კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი მოქმედებების, მიზეზების, ემოციებისა თუ შიდა მუხტის ერთობლიობას უკავშირდება, რომელიც შესაძლოა, ყველაზე გამართული მეცნიერული მიდგომისთვისაც რთულად მოსახელთებელ და აღსაწერ ხდომილებათა ციკლად დარჩეს. საქართველოში მომხდარ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, ახალმა პოლიტიკურმა შესაძლებლობამ, რომელიც უკავშირდებოდა ხელისუფლების ცვლილებას, მმართველი პარტიის ახალი ძალით ჩანაცვლებას, სახალხო პოლიტიკური მონაწილეობის ველის გახსნას თუ დისკურსული შესაძლებლობის გაჩენას, ერთი მხრივ, წაახა-

ლისა მშრომელთა წინააღმდეგობის მოქმედებების სიხშირე და ინტენსივობა, თუმცა ამის საფუძველზე დასკვნის გამოტანა, რომ მათი წარმოშობა მხოლოდ ამ ცვლილებით იყო განპირობებული, არაზუსტი ანალიზი იქნებოდა. კონტრარგუმენტად ისეთი კოლექტიური მოქმედების შემთხვევების მოყვანა გამოდგებოდა, რომლებიც პოლიტიკური მოცემულობის ერთგვაროვნებისა თუ გადახალისების გარეშე, ანდაც პოლიტიკური შესაძლებლობის არარსებობის პირობებშიც კი, ახერხებდნენ კოლექტიური მოქმედებების ორგანიზებას და წუხილის ირგვლივ კონსოლიდირებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საუბარი მშრომელთა წინააღმდეგობის მოქმედებებს ეხება, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პროფკავშირული ორგანიზაციების როლის და მხარდაჭერის საკითხი. შემთხვევების შესწავლამ აჩვენა, რომ როგორც მშრომელთა კოლექტიური მოქმედების აქტები განიცდიდა წლების განმავლობაში პროგრესს და განვითარებას, ამის პარალელურად ვითარდებოდა პირველადი, დარგობრივი თუ გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციებიც, რომლებიც უფრო მეტი პრაქტიკული გამოცდილების, შესაძლო სტრატეგიების თუ სვლების წინასწარი განჭვრეტითა უფრო და უფრო ეფექტიანად ახერხებდნენ მშრომელთა მხარდაჭერის უზრუნველყოფას და ძლიერი კოლექტივის ფორმირებას. თუმცა, ამის მიუხედავად, წლების განმავლობაში სახელმწიფოს დონეზე დეკლარირებული ანტიპროფკავშირული პოლიტიკა, მშრომელებსა და ფართო საზოგადოებაში პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი დაბალი ნდობა, საწარმოებში ყვითელი პროფკავშირების არსებობის გავრცელებული პრაქტიკა და სხვა სტრუქტურული ფაქტორები მნიშვნელოვანწილად ასუსტებდა პროფკავშირული ორგანიზაციების გავლენას და მათ ძალას, კოლექტიური მოქმედებისას მშრომელთა მხარდაჭერის თვალსაზრისით, სადაც მშრომელებისთვის პროფკავშირების გაერთიანებისა თუ დარგობრივი პროფკავშირების ჩართულობით განპირობებული მაღალი მოლოდინი მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და სასურველი შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით არაერთხელ გაცრუებულა. ამის მიუხედავად, საწარმოებში წარმოდგენილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები მნიშვნელოვან ფუნდამენტს ქმნიდნენ მშრომელთა ორგანიზებისა და მობილიზების თვალსაზრისით. კვლევამ აჩვენა, რომ საწარმოებში პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები

განსაკუთრებით გააქტიურდა და „გაჯანსაღდა“ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როდესაც პროფკავშირული საქმიანობისა და პოლიტიკის აქტივობისთვის სივრცე უფრო მეტად გაიხსნა.

დაბოლოს, კვლავამ აჩვენა, რომ მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი პლატფორმა ხდებოდა აქტივისტურ ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა სამოქალაქო საზოგადოებთვის. მათ მიერ გატარებული, მშრომელებზე ორიენტირებული პოლიტიკა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა როგორც თავად მშრომელების გასაძლიერებლად, ასევე სხვადასხვა სამოქალაქო აქტორებს შორის კავშირების დასამყარებლად, ფართო საზოგადოებრივი წუხილის იდენტიფიცირებისთვის, საზოგადოებრივი პოლიტიკის წარმოებისა და ალტერნატიული დისკურსის გაჩენისთვის, რომელიც არა მხოლოდ შრომის, არამედ სოციალური დაცვის, ეკონომიკური განვითარებისა თუ საზოგადოებრივი პროგრესის საკითხებსაც ეხებოდა. შესაბამისად, მშრომელთა კოლექტიური მოქმედებები არა მხოლოდ მშრომელთა მდგომარეობის შესახებ კრიტიკული აზრის შექმნისა და არსებული პოლიტიკის გადააზრებისთვის იყო მნიშვნელოვანი, არამედ ხელშესახებ ცოდნას და გამოცდილებას აგროვებდა წინააღმდეგობის პოლიტიკის გაძლიერებისა და სოციალური მოძრაობების გაჩენისთვის.

ბიბლიოგრაფია

Bagnardi, Francesco. „The Changing Pattern of Social Dialogue in Europe and the Influence of ILO and EU in Georgian Tripartism.“ Caucasus Social Science Review (CSSR) 2.1 (2015).

Balsiger, Philip. „Managing Protest: The Political Action Repertoires of Corporations.“ Porta, Donatella Della and Mario Diani. The Oxford Handbook os Social Movements. Oxford University Press, 2015. 635-667.

Diakonidze, Ana. „Superficial institutions and challenges of re-regulation in the Republic of Georgia.“ Caucasus Survey 4.2 (2016): 149-164. <https://www.academia.edu/26698382/Caucasus_Survey_Superficial_institutions_and_challenges_of_re-_regulation_in_the_Republic_of_Georgia>.

Gamson, William. „Commitment and Agency in Social Movements.“ Sociological Forum (1991): 27-50.

Human Rights Watch. „World Report 2012: Georgia, Events of 2011.“ 2011. <https://www.hrw.org/world-report/2012/country-chapters/georgia>.

Jobelius, Matthias. „Economic Liberalism In Georgia – A Challenge for EU Convergence and Trade Unions.“ 2011.

Pevin, Frances Fox and Richard A. Cloward. Poor People's Movement: Why they succeed, how they fail. Vintage Books, 1979.

Polanyi, Karl. The Great Transformation: The Political and Economic Origins of Our Time. London: Beacon Press, 1957. 1944.

Polletta, Francesca and James Jasper. „Collective Identity and Social Movements.“ Annual Review of Sociology 27 (2001): 283-305.

Porta, Donatella della. Social movements in times of austerity – bringing capitalism back into protest analysis. Cambridge: Polity Press, 2015.

Routledge, Paul. „Geography and Social Movements.“ Porta, Donatella Della and Mario Diani. The Oxford Handbook of Social Movements. Oxford University Press, 2015. 383-395.

Snow, David. „Grivances, individual and mobilizing .“ Snow, David, et al. The Wiley Blackwell Encyclopedia of SOcial and Political Movements. Wiley-Blackwell, 2013. 288-289.

Tarrow, Sidney. „Cycles of Collective Action: Between Moments of Madness and the Repertoire of Contention.“ Social Science History 17.2 (1993): 281-307.

Taylor, Verta and Nella Van Dyke. „Get up, Stand up“: Tactical Repertoires of Social Movements.“ David A. Snow, Sarah A. Soule, Hanspeter Kriesi. The Blackwell Companion to Social Movements. Blackwell Publishing Ltd, 2004. 262-293.

Tilly, Charles and SIdney Tarrow. Contentious Politics. New York: Oxford University Press, 2015.

Tilly, Charles. Contentious Performances. New York: Cambridge University Press, 2008.

Waal, Thomas De. Georgia's Choices – Charting a Future in Uncertain Times. Washington : Carnegie Endowment for International Peace, 2011.

ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი(EMC) და მწვანე ალტერნატივა. ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმო და გარემოსდაცვითი პრობლემები. თბილისი, 2016.

დიაკონიძე, ანა. „საერთაშორისო რეიტინგები თუ რეფორმატორთა იდეები: რითი აიხსნება შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია საქართველოში?“ ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი დეკემბერი 2016.

ზაზანაშვილი, ნანო and ლევან კალანდარიშვილი. საქართველოს ინდუსტრიული მემკვიდრეობა. ჭიათურა-ზესტაფონი-ფოთის ინდუსტრიული წრედი. თბილისი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, 2015.

მწვანე ალტერნატივა. ბუნებრივი რესურსების მართვა და ელიტური კორუფციის ხელშემწყობი ფატორები. კვლევა. თბილისი: მწვანე ალტერნატივა, 2015.
– გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. ანგარიში. თბილისი: მწვანე ალტერნატივა, 2015.
– პრივატიზების ფარული მხარეები. თბილისი: მწვანე ალტერნატივა, 2014.
– სახელმძღვანელო ოქროს მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისთვის. თბილისი: მწვანე ალტერნატივა, 2010.

საქართველოს ინდუსტრიის სექტორის მიმოხილვა. დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება / სუფთა ენერგიის პროგრამა. მიმოხილვა. თბილისი: USAID; Winrock, 2017.

საჩალელი, სოფიო. დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივი მოშლით გამოწვეული დავები 2007-2011 წლებში. თბილისი, 2012.

ჯონსი, სტივენ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013.

ჭუბაბრია, თათული, ლელა გვიშიანი and სალომე ჯოხაძე. შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017.

კულტურული და ბუნებრივი გარემოს დასაცავად გაჩენილი სოციალური პროტესტი 2010–2016 წლებში

ნაწილი II

შესავალი

კულტურული და ბუნებრივი გარემოს დასაცავად გაჩენილ სოციალურ პროტესტს იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ის განვითარებას აფერხებს. ასეთ დროს განსაკუთრებით მწვავე და ხშირია წინააღმდეგობაში ჩართულ პირთა მიმართ კრიტიკა რეგრესულობის შესახებაც.

კვლევის მოცემული ნაწილის მიზანია იმ კოლექტიური მობილიზების შემთხვევების შესწავლა, როდესაც ადამიანები თავიანთი სოციალური, კულტურული უფლებების, გარემოს დაცვისა თუ მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებას ცდილობენ. აქვე, საინტერესოა, თუ რა ხარისხით აქვს საქართველოში მსგავს სოციალურ პროტესტს ემანსიპატორული საწყისები, მოთხოვნა პროგრესზე და იმგვარი წინააღმდეგობის სახე, რომელიც სიღარიბით გამოწვეულ ეკონომიკურ არგუმენტებსაც დაუპირისპირდება. კვლევის მოცემული ნაწილის ამოცანაა ისიც, რომ საფუძველი ჩაეყაროს განვითარების ტრანსფორმაციული მოდელების კვლევას.

კვლევა სოციალურ პროტესტს პირველ რიგში იმ თეორიული სკოლიდან აანალიზებს, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განვითარების ისეთ განმარტებას, რაც უგულებელყოფს მოთხოვნებს სოციალურ კეთილდღეობაზე. დამატებით, მოცემული კვლევის ინტერესია ბუნებრივი და კულტურული გარემოს დასაცავად წარმართული წინააღმდეგობის ანალიზი, სოციალური მოძრაობების თეორიის მიხედვით. აქ მთავარი ყურადღება ეთმობა იმის განსაზღვრას, თუ რა სახით ხდება სამართლებრივ თუ პოლიტიკურ სისტემებთან დაპირისპირება და ორგანიზება. მოცემული კვლევა კონტრიბუციაა ლიტერატურაში, რომელიც ე.წ. მონოკულტურულ განვითარებას აკრიტიკებს. ასევე, ნაშრომი ცდილობს უთანხმოების პოლიტიკის თეორიის გავრცობას ჩვენი ქვეყნის მაგალითზე.

თვისებრივი კვლევის გზით მოცემულ ტექსტში გაანალიზებულია ოთხი შემთხვევა, რომელთაგან ორი ჰიდრორესურსებისა და მადნეულის ათვისების შემთხვევებში გაჩენილ გარემოსდაცვით პროტესტს შეეხება, ორი კი ურბანული იერსახისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად გაჩენილს.

კვლევაში შესწავლილია რესპონდენტების შეფასებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო კოლექტიური უთანხმოების საგანი თითოეული ინციდენტის შემთხვევაში; რა ხერხებს იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობა და წინააღმდეგობაში ჩართული სხვა ჯგუფები საერთო წუხილის საჯარო სივრცეში დაფიქსირებისთვის; და თუ რა ტიპის სოციოეკონომიკურმა სტრუქტურამ ან განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკამ განაპირობა წინააღმდეგობის წარმოქმნა.

საკვლევ პერიოდს წარმოადგენს 2010-2016 წლებში ორგანიზებული პროტესტი. დამატებით იქნა შესწავლილი 2017 წლის შემთხვევებიც, რომელიც წინარე პერიოდში დაწყებული საქმიანობის გავრცობას წარმოადგენდა.

კვლევა განიხილავს, სოციალური პროტესტის, როგორც მიმდინარე, ასევე ორგანიზებული წინააღმდეგობის დასრულებულ მაგალითებს. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში აღწერილ გარკვეულ შემთხვევებში მოსახლეობის წინააღმდეგობა ამ დრომდე არ არის ფორმალიზებული და ინსტიტუციონალიზებული; აქტივისტთა ქმედებები ხშირად რეაქციულია, პროტესტი სპონტანური, საორგანიზაციო ბირთვი კი ამორფული. მიუხედავად ამისა, თითოეულ შემთხვევაში იმ ფაქტმა, რომ პროტესტს განგრძობითი თუ განმეორებადი ხასიათი ჰქონდა, ამ პროცესების სიღმისეული შესწავლა შესაძლებელი გახადა.

ნიშანდობლივია ასევე ისიც, რომ კვლევაში შესწავლილი კოლექტიური მობილიზების შემთხვევების ნაწილი ძირითადი მედიასაშუალებებისა და საჯარო პოლიტიკური დისკურსისთვის ხილვადი არც ყოფილა. ამის გამო გასაუბრება წარმოებდა თითოეული სოციალური პროტესტის წარმოშობის ადგილზე და დამატებით გამოიკითხა წინააღმდეგობის ორგანიზებაში დედაქალაქიდან დისტანციურად ჩართული აქტივისტები თუ ექსპერტები.

კვლევა ოთხ თავად არის ორგანიზებული. პირველი თავი მსჯელობს სამეგრელო-ზემო-სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გამო გაჩენილ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობაზე, რომელიც დროში შენარჩუნებულია და განგრძობადი ხასიათი აქვს. ამასთან, ეს შემთხვევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა, მისი რეპერტუარის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. კვლევის მეორე თავი წიაღისეულის მოპოვებით დაბინძურებულ კე-

რებს შეეხება, კერძოდ, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში, სადაც წინააღმდეგობის გაჩენისთვის მყარი საფუძველი არსებობს, მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო. მოცემული თავი აღწერს, თუ რამდენად დაბალია პოლიტიკური შესაძლებლობები წინააღმდეგობის გაჩენისა თუ მისი გავრცობისთვის ამ რეგიონებში ეკონომიკური ფაქტორებისა და წიაღისეულის მომპოვებელ კომპანიებზე მოსახლეობის სრული ფინანსური დამოკიდებულების გამო. კვლევის მომდევნო, მესამე თავი აღწერს წინააღმდეგობას ბათუმში, რომელსაც სხვადასხვა პროფესიული წრის აქტივისტთა გაერთიანების სახე აქვს. კვლევა შეისწავლის ამ გაერთიანების კონკრეტულ პერფომანსებს და ქალაქის ცენტრალურ უბნებში ისტორიული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ორგანიზებულ კოლექტიური მობილიზების შემთხვევებს. ბოლო თავი აღწერს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის საყდრისი-ყაჩაღიანის დასაცავად წარმართულ წინააღმდეგობას ბოლნისის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული შემთხვევა სხვადასხვა რეგიონიდან აქტივისტთა ჯგუფების გაერთიანების, შემდეგ კი ლიკვიდირებული სოციალური კამპანიის ყველაზე მკაფიო მაგალითია.

თეორიული ჩარჩო

ტექსტში წარმოდგენილი წინააღმდეგობის გაანალიზებისთვის მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პორტუგალიელი მკვლევრის ბოავენტურა დე სოუზა სანტოსის კრიტიკა ე.წ. მონოკულტურული განვითარების შესახებ (სანტოსი, 2004). სანტოსის მიხედვით, განვითარების მონოკულტურულობა იმას გულისხმობს, რომ განვითარება მხოლოდ მოდერნიზაციის პროცესის შედეგად დამდგარ რეალობად მივიჩნიოთ და უგულებელვყოთ მისი მაღალი სოციალური, კულტურული და პოლიტიკურ საფასური. სანტოსი აკრიტიკებს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური პროგრესი მხოლოდ მატერიალური წინსვლის შედეგად შეიძლება მიიღწეს. ეს ავტორი მონოკულტურული განვითარების კრიტიკას სამი ძირითადი მიმართულებით ხსნის (ბენეტი, 2012).

პირველი ეს არის ცოდნის მონოკულტურულობა, რომელიც მხოლოდ თანამედროვე მეცნიერებასა და ე.წ. მაღალ კულტურას (high culture) გან-

საზღვრავს სიმართლისა და ესთეტიკის ერთადერთ მსაჯულად. ნიშანდობლივია, რომ წინამდებარე კვლევაში აღწერილია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა წინააღმდეგია, რომ ე.წ. განვითარების პროექტებმა უგულებელყოს მკვიდრი მოსახლეობის, ბუნებრივი გარემოსა თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და მათი პროდუქტიულ ეკონომიკაში გათვალისწინების საჭიროება. კვლევა ასევე საუბრობს იმ წინააღმდეგობის შემთხვევებზე, როდესაც მოსახლეობა უპირისპირდება საინვესტიციო პროექტებს, რომლებიც ისტორიულ ძეგლებს ხელყოფს და საუკეთესო ესთეტიკურ მოდელებად ახალ მოდერნულ ნაგებობებს წარმოგვიჩენს.

მეორე, რითაც სანტოსის მიერ განვითარების მონოკულტურულობა არის გაკრიტიკებული, დროის სწორხაზოვნების (linear time) ცნებაა. პერსპექტივა, რომლის მიხედვითაც გარკვეული ქვეყნების, საზოგადოებებისა თუ ადამიანების ჯგუფი დანარჩენებზე დაწინაურებულად წარმოჩინდება, სხვები კი როგორც დროში „ჩამორჩენილი“, „პრემოდერნული“ და „არასაკმარისად განვითარებული“ (under-developed). მოცემულ კვლევაშიც განხილულია წინააღმდეგობის ის შემთხვევები, როდესაც მოთხოვნა გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე განვითარების ორთოდოქსული მოდელების ალტერნატივაა. ეს უკანასკნელი კი გაკრიტიკებულია იმ მოტივით, რომ ვერ პასუხობს „ჩამორჩენისა“ და „არასაკმარისი განვითარების“ გამოწვევას ან, უკეთეს შემთხვევაში, წინსვლის მხოლოდ „ზიგზაგური“ მოდელის შემოთავაზება შეუძლია.

დამატებით, კოლექტიური მობილიზაციის შემთხვევები კვლევაში აღწერილია, როგორც წინააღმდეგობა უნივერსალურისა და გლობალურის პრიმატის შესახებ, რომელიც ამცირებს ყველაფერს, რასაც არ აქვს კონტრიბუცია გლობალურისა და უნივერსალურის წარმოებაში. რაც ყველაზე მთავარია, გლობალური და უნივერსალური პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის მხოლოდ კაპიტალისტურ ლოგიკას ემყარება. სანტოსის თქმით (2004), აქ ეკონომიკური ზრდა და საბაზრო ძალები სარგებლობენ პრივილეგიით ყველაფერ დანარჩენზე: ადგილობრივი ავტონომია, კულტურა, ცოდნა, ადგილობრივი თემი, მემკვიდრეობის კონსერვაციის მიზანი და ა.შ.. ის, რაც არაპროდუქტიულია ბაზრისთვის, წუნდებულია განვითარებისთვის (სანტოსი 2004). შესაბამისად, კვლევაშიც წარმოჩენილია სწორედ იმ ტიპის წინააღმდეგობები, როდესაც მოთხოვნები საჯარო

სივრცეზე, მუზეუმებზე, მკვიდრი მოსახლეობის სამართლებრივი უფლებების განსაზღვრაზე, წიაღისეული მადნის თუ ჰიდრორესურსის ადგილობრივ გამოყენებაზე შეპირისპირებულია საერთაშორისო ინვესტიციებთან, გლობალურ კაპიტალსა და ვაჭრობასთან.

განვითარების მონოკულტურულობის შესახებ თეზის მსგავსად, აშშ-ში მოღვაწე განვითარების თეორიების მკვლევარი, კოლუმბიელი ავტორი არტურო ესკობარიც საუბრობს იმის შესახებ, რომ „განვითარება ფუნქციონირებს, როგორც დისკურსი“, სადაც სოციალური რეალობა ენისა და იდეების გზით იწარმოება. მოცემული პროცესი კი თავისთავად ძალაუფლებრივ უთანასწორობას მალავს და არ არის ნეიტრალური ანარეკლი იმისა, თუ რა არის რეალურად „ჩამორჩენილი“ (ეკობარი 2007: 19). ესკობარის მიხედვით, სწორედ განვითარების დისკურსში მკვიდრდება უსამართლო შეხედულებები განუვითარებლის, არაცივილიზებულის, გაუნათლებლის, პრიმიტიულის შესახებ. მოცემული კვლევისას ცხადად გამოჩნდა ისიც, რომ სხვადასხვა პერიფერიულ რეგიონში წინააღმდეგობაში ჩართული პირები ცვლილებების მისაღწევად ერთ-ერთ მთავარ წინაღობად სწორედ იმას ხედავენ, რომ ძალაუფლების ცენტრები მათ რეგრესული ძალის იარლიყს აბამენ და შემდეგ სამართლებრივი ბერკეტებით აქცევენ ასეთ ადამიანებს სოციალური კონტროლისა თუ რეპრესიის ობიექტებად.

ასევე, კვლევისთვის მნიშვნელოვანია არტურო ესკობარის თეორიები იმის შესახებაც, რომ დღეს „განვითარება“ აღარ არის აღქმული, როგორც სოციალური კონსტრუქტი ან პოლიტიკური ნების შედეგი. კვლევის ყველა შესწავლილ შემთხვევაშიც განვითარების ცნება დამკვიდრებულია ისე, როგორც ბუნებრივი წესრიგი, რომელიც სამართლიანიცაა და სასურველიც ნებისმიერისთვის. განვითარება გათანაბრებულია სიცოცხლესთან, როგორც ამას ესკობარი წერს (2007), თუმცა, ასეთ დროს, გერმანელი თეორეტიკოსის ვოლფგანგ საქსისთვის „საშიშია არა ჩავარდნა განვითარებაში, არამედ მისი წარმატება“ (რისტი, 2007: 980).



განვითარების შესახებ ზემოთ წარმოდგენილი თეზებით ხელმძღვანელობისას კვლევა შესწავლილი შემთხვევების დეკონსტრუქციას ჩარლზ ტილისა და სიდნი ტეროუს (2015) სამი ძირითადი ანალიტიკური კატეგორიის მიხედვით ახდენს.

წინააღმდეგობის პოლიტიკის შესასწავლად პირველი ანალიტიკური კატეგორიაა უთანხმოება/წინააღმდეგობა (contention). მოცემული კვლევა კულტურული და ბუნებრივი გარემოს შესახებ საზოგადოებაში არსებულ კონფლიქტურ ინტერესებს აკვირდება. ანალიზის მეორე მნიშვნელოვანი კატეგორიაა პოლიტიკა (politics). აქ კვლევა სახელმწიფოს მმართველობის, მისი ინსტიტუციების უფლებამოსილების განხორციელებისა და საბაზრო ურთიერთობების რეგულირების შესახებ გაჩენილ მოთხოვნებს აანალიზებს. ხოლო მესამე კატეგორიაა კოლექტიური მოქმედება (collective action). აქ კვლევა წინააღმდეგობის გაწევის მიზნით პირებსა და ჯგუფებს შორის გაჩენილ გაერთიანების სახეებს სწავლობს. აღნიშნული სამი კატეგორიის გადაკვეთის სივრცეში წარმოქმნილი მოვლენები კვლე-

ვაში დახასიათებულია, როგორიც წინააღმდეგობის პოლიტიკა [იხილეთ დიაგრამა] (ტილი და ტეროუ 2015:10).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობის პოლიტიკის ანალიზისას კვლევა პირველ რიგში წინააღმდეგობის პერფომანსებზე ფოკუსირდება *(Contentious performances),* სადაც მოქმედება მოშორებით მყოფი აუდიტორიებისკენაა მიმართული და მიზნად ისახავს ფართო აუდიტორიების გაერთიანებას ცვლილებებისთვის. წინააღმდეგობის რეპერტუარი *(Contentious repertoires)* კი პერფომანსების წყებაა. თეორიული პერსპექტივიდან აღნიშნული კვლევის ინტერესის საგანია, თუ როგორ იქმნება სოციალური პროტესტის რეპერტუარი 2010-2016 წლების საქართველოში. ასევე ის, თუ რა მეთოდები მკვიდრდება ცვლილებების გასატარებლად, როდესაც პოლიტიკა აღარ გულისხმობს მონაწილეობის მხოლოდ ტრადიციულ გზებს, რომლის დროსაც პუბლიცისტიკა, პარტია, საჯარო სამსახური თუ არჩევნებია მხოლოდ გადამწყვეტი. თანამედროვე საქართველოს წინააღმდეგობის ისტორიაში ჩნდება პეტიციები, დემონსტრაციები, პიკეტირება, ბოიკოტი, კიბერაქტივიზმი, გაფიცვა თუ სხვა.

დამატებით, ოპერაციული ტერმინია კვლევაში „წინააღმდეგობის მოძრაობა“ *(Contentious campaigns/movements).* ტილისა და ტეროუსთვის მოძრაობები წარმოადგენს დროში შენარჩუნებულ პერფომანსებს. მოძრაობა არ ლიკვიდირდება, სანამ სოციალური ცვლილება არ მიიღწევა. მოცემული კვლევა მსჯელობს იმის შესახებაც, თუ რა ხარისხით და რა ეტაპზე ახერხებს საქართველოში წარმოქმილი წინააღმდეგობის აქტები, გარდაიქმნას მოძრაობად და შემდეგ ლიკვიდირდეს. როგორც ეს თეორიაშია, წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩართულ აქტორთა სპექტრი ფართოა. შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობს სხვადასხვა ინტერესჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაცია, აქტივისტთა ჯგუფი და ა.შ. (ტილი და ტეროუ 2015:14). დაბოლოს, რამდენადაც მოცემული კონცეფცია ე.წ პოლიტიკური შესაძლებლობებისა *(political opportunities)* და სოციალური კონტროლის შესახებაც მსჯელობს, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რა როლი აქვს მას მოცემულ კვლევაში. ტილისა და ტეროუსთვის პოლიტიკური შესაძლებლობები დახურულია, როდესაც სოციალური კონტროლის საშუალებებით (პირდაპირი ძალადობის, მედიაკონტროლისა თუ რეპრესიის გზით) წინააღმდეგობის ჩახშობა ხდება (ტილი და ტეროუ 2015:20).

ამასთან დაკავშირებით, კვლევისთვის საინტერესოა წინააღმდეგობაში ჩართულ პირთა აღქმა რეპრესიის შესახებ: ძალაუფლებრივი სტრუქტურების მცდელობებზე დააკავოს, შეავიწროოს, დასაქმების ადგილზე უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენოს ან ორგანიზების უფლება შეუზღუდოს კოლექტიური წუხილის მქონე ჯგუფებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ოთხი განსხვავებული შემთხვევის შესახებ პირველადი და მეორადი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემების ანალიზს წარმოადგენს. პირველადი მონაცემები თვისებრივი მეთოდის, კვლევის მონაწილეებთან ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით შეგროვდა მეორად მონაცემებს კი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები და მეინსტრიმ მედიაში მოხვედრილი ინფორმაცია წარმოადგენდა.

საკვლევი ობიექტების შერჩევა

კვლევა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე, 2017 წლის იანვარი-მარტის პერიოდში მოეწყო სამაგიდო კვლევა და პირისპირ ინტერვიუები სფეროს ექსპერტებთან. აღნიშნულის მიზანი იყო საკვლევი საგნის განსაზღვრა და წინააღმდეგობის სხვადასხვა მაგალითიდან კვლევისთვის საინტერესო შემთხვევების იდენტიფიცირება. 2017 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში კი პირისპირ ინტერვიუები უშუალოდ წინააღმდეგობაში ჩართულ პირებთან ჩატარდა.

პირველ ეტაპზე, სამაგიდო კვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა სხვადასხვა სოციალური პროტესტის შესახებ არსებული მეორადი წყაროები. პირველ რიგში ეს იყო მედიაორგანიზაციების მიერ სოციალურ პროტესტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ვიდეომასალა (რეპორტაჟები, გადაცემები). დამატებით, შესწავლილია არასამთავრობო ორგანიზაციების „მწვანე ალტერნატივის“, „ICOMOS საქართველოს“, „ლურჯი ფარისა“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ მომზადებული განცხადებები და ანგარიშები. შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარდა რვა პირისპირ ინტერვიუ გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გამოკითხულ ორგანიზაციებს შორის იყვნენ: „მწვანე ალტერნატივა“, „ICOMOS საქართველო“, „ლურჯი ფარი“, „მწვანე მუშტი“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ინიციატივა საჯარო სივრცისთვის“, „ტფილისის ჰამქარი“ და „საზოგადოება ბათომი“.

მონაცემების შეგროვება და ანალიზი

საველე სამუშაოებამდე კვლევის ფარგლებში შემუშავდა კითხვარის გზამკვლევი, ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუებისთვის.

2017 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში გამოიკითხა 55 ადამიანი: 34 სიღრმისეული პირისპირ ინტერვიუს გზით, 21-მა კი კვლევაში ჯგუფური ინტერვიუების სახით მიიღო მონაწილეობა. ინტერვიუები ჯამში 13 სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში ჩატარდა (იხილეთ დანართი 3). კვლევაში მონაწილეობდნენ წინააღმდეგობრივ ქმედებებში უშუალოდ ჩართული ადამიანები, რომელთა ნაწილიც კარიერული აქტივისტია, ვისი პროფესიული საქმიანობაც დაკავშირებულია ბუნებრივი თუ კულტურული გარემოს დაცვასთან. სხვა შემთხვევებში კი კვლევაში მონაწილეობდა წინააღმდეგობის კერებში მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც წინააღმდგობაში მონაწილეობას სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ დონეზე იღებდა. კვლევის მონაწილეთა ვინაობა მიზნობრივი შერჩევის გზით განისაზღვრა. რესპონდენტთა თხოვნის შესაბამისად, ნაწილის ვინაობა კონფიდენციალურია.

კვლევის მეორე ეტაპზე მონაცემების ანალიზისას გამოყენებული იქნა ინტერვიუების აუდიოჩანაწერების გაშიფვრისა და თემატური კოდირების მეთოდი. მონაცემების ანალიზის ეტაპზე პირველადი და მეორადი წყაროებიდან შეგროვებული მონაცემები დაჯგუფდა სამი ძირითადი შინაარსის მიხედვით. ეს არის: 1. ინფორმაცია მოსახლეობაში გაჩენილი კოლექტიური წუხილის შესახებ; 2. თითოეული ინციდენტის პოლიტიკური ხასიათი; მისი სტრუქტურული მახასიათებლები; 3. კოლექტიური მოქმედებების ფორმები და ორგანიზებული წინააღმდეგობის სტრატეგიები. წარმოდგენილი ანალიზი კვლევაში ოთხ თავად არის ორგანიზებული.

კვლევის შეზღუდვა

შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, კვლევა ფოკუსირდა კულტურული და ბუნებრივი გარემოს დაცვის მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, რომელმაც ყველაზე დიდი ყურადღება მიიქცია დამოუკიდებელ აქტივისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. მეორე მხრივ, შეირჩა იმ ტიპის შემთხვევები, რომელთა მიმართაც არასათანადო მედიაყურად-

ღებაა ან რომელთა შესახებაც არასაკმარისად ხშირია მსჯელობა საჯარო პოლიტიკურ დისკურში.

ამავე მიზეზით, კვლევისათვის შეირჩა 2010-2016 წლებში გაჩენილი კოლექტიური წინააღმდეგობის არა ყველა, არამედ რამდენიმე კერა, სადაც სხვადასხვა აქტივისტისა თუ ორგანიზაციის საშუალებით მკვლევართა ჯგუფს ჰქონდა წვდომა.

კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვაა ისიც, რომ ის არ წამოადგენს პოლიტიკური სისტემების სტრუქტურულ ანალიზს, რომელიც წინააღმდეგობის გაჩენის ან მისი გარე კონტროლის შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას მოგვცემდა. კვლევისთვის საინტერესოა მხოლოდ წინააღმდეგობაში უშუალოდ მონაწილე პირთა აღქმა ძალაუფლებრივი სტრუქტურების შესახებ და არა თავად სტრუქტურები (სხვადასხვა საჯარო ინსტიტუცია თუ კერძო ბიზნესი) და მათი მახასიათებლები. ასევე კვლევა არ ფოკუსირდება იმ მოსახლეობის განწყობებზე, ვინც წინააღმდეგობაში არ მიიღო მონაწილეობა და მისგან დისტანცირდა სხვადასხვა მოსაზრების გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევა არ შეისწავლის პროტესტის იმ შემთხვევებსაც, როდესაც ბუნებრივი თუ კულტურული გარემოს დაცვა დამატებითი მოთხოვნა იყო სხვა შინაარსისა და მიზნის პოლიტიკურ პროტესტში (მაგალითად, შრომითი გაფიცვების დროს, წინასაარჩევნო ქუჩის მანიფესტაციების დროს და ა.შ.). კვლევა დაინტერესებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევების შესწავლით, რომლის დროსაც გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმოადგენდა პროტესტის მთავარ კატალიზატორს.

1. ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი

ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ 2013-2017 წლებში საქართველოში გვაქვს კოლექტიური მობილიზების შემთხვევები რამდენიმე მთიან რეგიონში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, აჭარა). იკვეთება ორგანიზებული წინააღმდეგობის ნიშნებიც. მოსახლეობა ცდილობს, ერთმანეთთან დააკავშიროს სხვადასხვა რეგიონში ენერგოპროექტებით გამოწვეული ბუნებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის გამო გაჩენილი პროტესტი.

ენერგოპროექტებისადმი მსხვილმასშტაბიანი წინააღმდეგობა, ადამიანსა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მოტივით, საქართველოში პირველად 1989 წელს, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაიწყო, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად, და სვანეთში ხუდონჰესის პროექტის შეჩერებით დასრულდა (საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია 2013). თუმცა 2005 წლიდან ხელისუფლებაში მყოფ მთავრობებს კვლავ აქვთ მცდელობა, განაახლონ ხუდონჰესის მშენებლობა და განახორციელონ სხვა ჰიდროელექტროსადგურების პროექტებიც საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში[1]. მოცემულს საჯაროდ გამოხატული წინააღმდეგობის განახლება პირველად 2013 წელს მოჰყვა[2].

ხუდონჰესის გარდა, კოლექტიურ წინააღმდეგობას ადგილი ჰქონდა ნენსკრაჰესის პროექტის დაანონსების შემდეგაც, 2015-2016 წლებში. მობილიზების ახალი ეტაპი დაიწყო 2016-2017 წლებში, როდესაც სამეგ-

1 საქართველოს მთავრობას 114 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა აქვს დაგეგმილი. აქედან რამდენიმე დიდი წყალსაცავიანი ჰესია, რომელთა მშენებლობამ შესაძლოა, გამოიწვიოს იძულებითი განსახლება. წყარო: „ნენსკრა ჰესის გენდერული შედეგები“ (2016), მწვანე ალტერნატივა. ბოლო ნახვა: 25 სექტემბერი, 2017 http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/10/nenskra_case_study_geo_2016.pdf

2 „ხაიშელები ხუდონჰესის წინააღმდეგ“ გადაცემა რეალური სივრცე, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 12.10.2013, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=JUGFHHu6MZs

რელო-ზემო სვანეთის რეგიონში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ გამოსული აქტივისტები, ერთობლივი წინააღმდეგობისთვის, სხვადასხვა რეგიონის აქტივისტთა იმ ჯგუფებს დაუკავშირდნენ, რომლებიც ქსანი-სტეფანწმინდის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას აპროტესტებენ.

საერთო წუხილი

არსებული ენერგოპროექტების მიმართ საჯაროდ გამოხატულ უკმაყოფილებას შორის ნიშანდობლივია ადგილობრივ მოსახლეთა წინააღმდეგობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ექსკლუზიური, უთანასწორო და მონოკულტურული მოდელისადმი. რესპონდენტთა განცხადებით, არსებულმა პროექტებმა შესაძლოა, უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს, როგორც კულტურულ და ბუნებრივ გარემოზე, ასევე სოციალურ და დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე საქართველოს მთიან რეგიონებში. ასევე, ამ პროექტებმა შეიძლება, შეზღუდოს სხვა, ადგილობრივებს შორის უფრო ინკლუზიური თუ მომგებიანი ეკონომიკური დარგების განვითარების შესაძლებლობები. შესაბამისად, პოლიტიკური უთანხმოების საგანია პროექტების სარგებლიანობა, როგორც ფინანსური ისევე სოციალური, და გარემოსდაცვითი კუთხით.

პროექტების ეკონომიკური სარგებლიანობის დაუსაბუთებლობა

წინააღმდეგობაში ჩართული აქტორები ქვეყნის განვითარებაზე მსჯელობისას ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მათთვის სათანადოდ არ არის დასაბუთებული ენერგოპროექტების ხარჯთეფექტიანობა თუ მომგებიანობა ქვეყნის ეკონომიკისთვის და რომ გეგმები კორუფციულია. მოსახლეობის მიერ წამოყენებული ეს მტკიცებები დაპირისპირებაშია ძალაუფლების ცენტრების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებთან.

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ჰიდროელექტროსადგურებისა და ენერგოგადამცემი ხაზების მშენებლობა არ პასუხობს ადგილობრივი მოხმარების, ენერგიის ექსპორტის, ენერგოუსაფრთხოებისა თუ რეგიონული თანამშრომლობის საჭიროებებს. რამდენადაც პროექტების სარგებლიანობის დასაბუთება არადამაჯერებელი და სუსტია ყველა

მორიგ შემთხვევაში, მოსახლეობა პროექტების სასარგებლოდ საჯარო და ინდივიდუალური კეთილდღეობის დათმობის წინააღმდეგ გამოდის: *„პირველი მე მოვაწერ ხელს, მე გადავსახლდები, თუ ეს იქნება ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ესე არ არის,“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი მაღალმთიანი რეგიონიდან, ვისაც ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შემთხვევაში მშობლიური თემის მიტოვება და გადასახლება მოუწევს[3].

ამასთან დაკავშირებით რეგიონში მიიჩნევენ, რომ კერძო ფინანსური ინტერესებისა და კორუფციული გარიგებების წყალობით, რეგიონის მთლიანი მოსახლეობა ჩაგვრის ობიექტი ხდება. *„ფულს ათეთრებენ. სვანეთი გახდა ოფშორი, მილიარდერების ფულის სარეცხი მანქანა, რომელსაც უნდა შეეწიროს სვანეთი,“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი ჯგუფური ინტერვიუსას, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სოფელ ნაკრადან. განსაკუთრებით მწვავედ დგას მიწების ექსპროპრიაციისა და ტრადიციულ საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზების საკითხი. ერთ-ერთი რესპონდენტი ხუდონჰესის პროექტის ფარგლებში ასათვისებელი მიწების შესახებ ამბობს:

> „ჩვენი ტერიტორიები გადაფარულია „ტრანსელექტრიკის“ მიერ. კერძო მიწებიც, საერთო სათემო მიწებიც, ცენტრალური გზებიც. ერთ დოლარად გადასცა 2010 წელს რეჟიმმა 1400 ჰა მიწა [ტრანსელექტრიკას]. [როდესაც] გზების ფლობის უფლება არც ერთ ინვესტორს არ აქვს, კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.“[4]

წინააღმდეგობას იწვევს ისიც, რომ მიწების ტრადიციულ საკუთრების წესს საქართველოს მთავრობა არ ცნობს. კორუფციასა და სახელმწიფო მმართველობის სისუსტეზე საუბრობს სხვა აქტივისტიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან:

---

3 „ნენსკრა და ნამახვანის ჰესების კასკადი. მოსახლეობის პროტესტი და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის პასუხი“ ასოციაცია GARB, გამოქვეყნების თარიღი 30.09.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 http://garb.ge/news/nenskra-da-namakhvanis-hesebis-kaskadi-mosakhleobis-protesti-da-energetikis-ministris-moadgilis-pasukhi-video/

4 2011 წელს ხაიშის ტერიტორიაზე არსებული 1536 ჰექტარი მიწა 1 აშშ დოლარად გადაეცა კომპანია „ტრანსელექტრიკას“, ხუდონჰესის ასაშენებლად, Wikipedia, გვერდი ბოლოს დარედაქტირდა: 04:39, 9 მაისი 2017. ბოლო ნახვა 26.10.2017 https://goo.gl/HyVUFc; „ხუდონჰესი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე“ 11 აპრილი 2014, „ლიბერალი“. ბოლო ნახვა 26.10.2017 http://liberali.ge/news/view/10634/khudonhesi-garemoze-zemoqmedebis-nebartvis-gareshe

„ხელისუფლება დღეს ჯიბეში უზით, ფეხქვეშ აქვთ გათელილი. ...სახელისუფლებო რესურსს რომ იყენებენ – ის ენერგომაფია – არაგონივრულია, ანტისახელმწიფოებრივია, არც ქვეყნის და არც ეკონომიკის განვითარებას არ ემსახურება. უფრო მაფიოზური დაჯგუფებებია, ვიდრე ქვეყნისთვის სასარგებლო. ადგილობრივი ხელისუფლება მათ ხელში არაფერს წარმოადგენს, ნოტარიუსია."

შესაბამისად, ერთი მხრივ, პროექტების სარგებლიანობის დაუსაბუთებლობა და მეორე მხრივ, ეჭვები კორუფციული გარიგებების შესახებ ბადებს მოსაზრებას, რომ სახელმწიფო მმართველობა თუ სახელმწიფო განვითარების გეგმები არაადეკვატური და სუსტია.

საფრთხეები კულტურული თუ ბუნებრივი გარემოსთვის, ადამიანისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის

სახელმწიფო განვითარების გეგმის სისუსტეებთან ერთად წუხილის საგანია როგორც ბუნებრივი, ისე კულტურული გარემოს განადგურება ყველა შესწავლილ რეგიონში. იქ კი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას გადასახლება ან იძულებით გადაადგილება ემუქრება, მსჯელობენ პროექტების გეოსტრატეგიულ ადგილმდებარეობაზეც.

კაშხლების მშენებლობის შემთხვევაში საუბრობენ ცხოველთა და მცენარეთა ენდემური სახეობების დაკარგვის საშიშროებაზე; ხე-ტყის გაჩეხით მთის ეროზირებულ კალთებზე ღვარცოფების წარმოშობის ალბათობაზე, ასევე ტენიანობის მატებაზე გაზაფხული-შემოდგომის პერიოდებში და სეისმურად აქტიური ზონებიდან მომდინარე საფრთხეებზე.

ასევე, კვლევაში მონაწილე პირები აღნიშნავენ, რომ ხეობისა და თემების განადგურება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას ხდის შეუძლებელს: *„სპობენ ერისთვის არა მარტო ბუნებრივ გარემოს – კულტურულ გარემოსაც. რასაც ქვია ხევი, რასაც ქვია თერგი. თერგს უშვებენ მილებში,"* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან. ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს კულტურული მემკვიდრეობის განადგურებასაც ზემო სვანეთში: *„მშვიდობიან დროს ნებით ვკარგავთ ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ კუთხეს, სვანეთს, იმი-*

ტომ, რომ გაძლევთ პირობას – ამ ჰესებით ეს კუთხე დაიცლება; ეს იქნება კატასტროფა"[5].

ადგილობრივ მოსახლეთა გადასახლებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდა, ტერიტორიის დაკარგვის საფრთხეებზეც საუბრობენ. *„3 კომლი ცხოვრობს ამ სოფელში. ეს კი არ ამცირებს ამ სოფლის მნიშვნელობას, უფრო ადიდებს,"* – ამბობენ ცდოს ხეობაში, სადაც სასაზღვრო ზოლთან ახლოს დემოგრაფიული პრობლემა ეროვნული უსაფრთხოების საკითხად მიაჩნიათ. ასევე ფიქრობენ სვანეთშიც, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებზე საუბრისას:

> „სოფელ ჭუბერსა და სოფელ ნაკრას სასაზღვრო ზოლი ყოფს რუსეთის ფედერაციასთან, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთთან, გარემო და ყოფითი პირობების გაუარესების შემთხვევაში, აღნიშნული სოფლები თუ დაიცალა მოსახლეობისგან, საზღვრის დაცვის პროცესიც გართულდება, რაც ასევე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის საფრთხის შემცველი იქნება." (ჯგუფური ინტერვიუ ჭუბერის თემში)

შესაბამისად, რესპონდენტების აზრით, ენერგოპროექტები არა მხოლოდ ეკოსისტემას ანადგურებს, არამედ რეგიონის დაკარგვის ალბათობასაც წარმოშობს, საზღვრისპირა რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობისგან დაცლისა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურების გამო.

მოთხოვნები ალტერნატიული განვითარების გეგმებთან დაკავშირებით

მოსახლეობა მოითხოვს, რომ აღნიშნულმა ენერგოპროექტებმა ალტერნატიული განვითარების შესაძლებლობები არ მოუსპოს ადგილობრივებს. მოსახლეობის ნაწილი არსებული პროექტების გადახედვას ითხოვს, მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

ენერგოგადამცემი ხაზების შემთხვევაში, იმისთვის, რომ პროექტმა ადგილობრივი განვითარების შესაძლებლობა არ შეზღუდოს, მედიასთან საუბრისას მოსახლეობა აცხადებს, რომ მისი მოდიფიცირებაა საჭირო:

5 „ჭუბერის მოსახლეობის ნაწილი სვანეთში ნენსკრა-ჰესის აშენებას ეწინააღმდეგება" – გადაცემა მოამბე, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 13.10.2015, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=5HEw1t3lF5Q

„ჩვენ არ ვეუბნებით, რომ შეაჩერონ პროექტი; ჩვენ აგვარიდონ, ხალხს აარიდონ. თბილისში დავტოვეთ რაღაცეები, ჩვენი ქონება და ა.შ., წამოვედით აქ მთაში. მთის განვითარებას ვცდილობთ. მოგვიყვანეს და აქ გვხოცავენ, ესე გამოდის.“[6]

გარდა ამისა, იქ, სადაც ენერგოპროექტები დასაქმების ადგილების შექმნასა და ახალი ტიპის ეკონომიკური აქტივობის წარმოებას ჰპირდება მოსახლეობას, წინააღმდეგობაში ჩართული ადამიანები საუბრობენ ეკონომიკის სხვა დარგების, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სათანადო ხელშეწყობის საჭიროებაზე. *„კოსმოსურ ხომალდს და ტელევიზორს ვერავინ გამოუშვებს ჩვენთან. თანამედროვე აგროტექნოლოგიებს უნდა გავეცნოთ და მიწას დავუბრუნდეთ. ტურისტი რას ჭამს და ადგილობრივი, ეს არ აინტერესებთ,“* – ამბობს რესპონდენტი სოფელ ხაიშიდან. საფრთხეს ხედავს მოსახლეობა სასოფლო-სავარგული მიწების სრულად გასხვისებაშიც, რაც მოსახლეობას აიძულებს, მომსახურების სფეროში დასაქმდეს: *„მსახურები არიან [ადგილობრივი მოსახლეობა]. სკოლიდან გამოჰყავთ ბავშვები; ამ საქმეს ვასწავლით და ექნებათ ფულიო. რად უნდათ სწავლაო? იმ ფულის გემოს რა ფასი აქვს, სწავლაზე უარს ამბობენ შვილები,“* – ამბობს რესპონდენტი მესტიიდან.

მოსახლეობა ეკონომიკური განვითარების იმ მოდელს უპირისპირდება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად სპობს სხვა პროდუქტიული ეკონომიკის დარგების განვითარების შესაძლებლობას რეგიონში (გარდა ენერგეტიკის მწარმოებელი ინდუსტრიისა) და უხეშად გარდაქმნის ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობების სახეს. გარდა ამისა, კოლექტიური წინააღმდეგობა ააშკარავებს სახელმწიფოს სისუსტეს, წარმოადგინოს პოზიტიური დღის წესრიგი სხვა პროდუქტიული ეკონომიკური დარგების მდგრადი განვითარების, სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად.

6 ფასანაურში მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობას აპროტესტებენ (01:10) – გადაცემა „მოამბე“ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (05/04/2017). ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 https://youtu.be/3uXpV6VRr6I?t=70

კოლექტიური მობილიზაციის შესაძლებლობები და საჭიროებები

კოლექტიურ მობილიზებას შესაძლებელს ხდის მთის მოსახლეობის ნაწილის ერთობა სახელმწიფო და ბიზნესინტერესების წინააღმდეგ. ამას ერთვის წინააღმდეგობაში ჩართული პირების მცდელობები, დაამკვიდრონ ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და გავრცელების სხვადასხვა პრაქტიკა. ენერგოპროექტების შესახებ ინფორმაციის ძირითადი მედიასაშუალებებისგან ალტერნატიულ წყაროებად ადგილობრივები გარემოსდამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ კვლევებს ასახელებენ.

გაერთიანების შესაძლებლობები აქტივისტებს შორის

აქტივისტებს შორის განსხვავებული ინტერესების არსებობის მიუხედავად, ერთობა ძალაუფლების ცენტრებთან უთანხმოებას ეფუძნება. ამასთან, აქტივისტებს შორის გაერთიანების ფუნდამენტია, დროდადრო, მზარდი ცოდნა და ინფორმირებულობა პროექტების შესახებ. ასევე, ყოველი მომდევნო საჭიროების შემთხვევაში გაერთიანებას აადვილებს მობილიზების წარსული გამოცდილება და ცოდნა წარმატებული პრაქტიკის შესახებ.

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტი ხაზს უსვამდა იმას, რომ წინააღმდეგობაში ჩართულ ადამიანებს მრავალფეროვანი ინტერესები ამოძრავებთ, მაგრამ ეს არ უშლის ხელს განსხვავებული აზრის მქონე პირთა კონსოლიდაციას ენერგოპროექტების საკითხის გარშემო. *„იკრიბებიან სხვადასხვა პოლიტიკური და მორალური გემოვნების ადამიანები. ყველა გულწრფელია. ეს არ გვიშლის ხელს გაერთიანებაში,“* – ამბობს ერთ-ერთი აქტივისტი თბილისიდან, სტეფანწმინდისა და ფასანაურის მოსახლეობის შესახებ.

დამატებით, რესპონდენტების თქმით, გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ დახმარებით განვითარების პროექტების შესახებ ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონე აქტივისტებს შორის მზარდია. რესპონდენტი ხაიშიდან პოლიტიკური არგუმენტაციის გაჩენისა და ამ არგუმენტაციის განვითარების ეტაპებზე საუბრობს:

„როცა ერთ ადგილას დიდი ხანი ცხოვრობ, ინტუიციით ხვდები საფრთხეებს და ჩვენ უფრო მეტად გაუცნობიერებლად გავაპროტესტეთ [ჰესის მშენებლობა] და შემდეგ გავაცნობიერეთ, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ პროექტის განხორციელებას.“

რესპონდენტები საუბრობენ იმის შესახებაც, რომ აქტივიზმის წარსული გამოცდილება ეხმარებათ ყოველი მომდევნო პოლიტიკური წინააღმდეგობის შემთხვევაში ორგანიზებისას. დამატებით, მოსახლეობაში კომუნიკაციის გზების გაადვილება და წარმატებული პრაქტიკის გახშირება შესაძლებელს ხდის ორგანიზებას მისი ინსტიტუციონალიზების გარეშე. რესპონდენტების თქმით, ამის ერთ-ერთი მანიფესტაციაა სოციალურ ქსელში შექმნილი საერთო ჯგუფები – სადაც სხვადასხვა რეგიონს შორის ხდება ინფორმაციის გაცვლა და მსჯელობა. *„თვითმიზანი არც არის, რომ რაიმე ორგანიზაციად ჩამოვყალიბდეთ. კოორდინაცია არ ჭირს. ამისთვის არაა საჭირო გაფორმება და ორგანიზაციის შექმნა. ვიცნობთ ერთმანეთს. ინტერნეტის საშუალებით გვაქვს კომუნიკაცია.“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. ასევე ფიქსირდება აქტივისტების მზაობა, ფიზიკურად მიიღონ მონაწილეობა სხვა რეგიონებში გამართულ პროტესტში: *„ხან სვანეთში ჩავდივართ, როცა სვანებს უჭირთ. ხან მთიულეთში ჩავდივართ. ხან ხევში ჩამოდიან. და ასე, ყველგან“,* – ამბობს რესპონდენტი ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან.

შესაბამისად, აღნიშნულ წინააღმდეგობაში, არაფორმალური კავშირები თუ საერთო სამუშაო გამოცდილება, ურთიერთნდობისა და სოლიდარობის საფუძველზე, ბრძოლის გაერთიანების შესაძლებლობას ქმნის.

დელიბერაციული სივრცეების შექმნის საჭიროება

წინააღმდეგობის მოძრაობის გაძლიერების მიზნით რესპონდენტები საუბრობენ დელიბერაციულ პრაქტიკების გაჩენაზე, საორგანიზაციო და სამსჯელო შეხვედრებზე. პოლიტიკაში მონაწილეობის დამატებით საშუალებად ამკვიდრებენ პეტიციებს, პროექტების აღმასრულებელი მხარეებისადმი საჯარო წერილებს და სამართლებრივ ადვოკატირებას, უფლებადამცველი ორგანიზაციების დახმარებით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური

შეთანხმების არსებობის საფუძვლით პროცესებში ჩაერთო მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი.

მაგალითად, შეხვედრებისა და მსჯელობის გამართვის მიზნით სვანეთში დაარსდა 15-კაციანი საბჭო. საჯარო შეკრებების შესახებ არის ნახსენები „მწვანე ალტერნატივის“ ანგარიშშიც: „ადგილობრივების განცხადებით, 2016 წლის გაზაფხულზე ჭუბერსა და ნაკრაში მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების დაწყების შემდეგ საჯარო კრებები უფრო ხშირად ტარდება“[7].

> „წელს არ ყოფილა ესეთი ტიპის შეხვედრა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ნაკლები შემოტევები იყო, შარშან და გასულ წელს კიდევ, წელიწადში 2-3-ჯერ ვახერხებთ [შეკრებას]. შარშან ნენსკრას გარშემო ვიყავით გაერთიანებული. ერთი შეხვედრა აქ [ხაიშში] ჩავატარეთ, სხვათა შორის.“ (რესპონდენტი ხაიშის თემიდან)

იგივე რესპონდენტი აღნიშნავდა მსჯელობისა და საჯარო შეხვედრების მნიშვნელოვნებას ენერგოპროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული მომიჯნავე საკითხებიდან გამომდინარე , როგორებიცაა: „მკვიდრი მოსახლეობის“ სტატუსის პოლიტიკა და მისი ურთიერთქმედება გადასახლებასთან.

> „სვანეთის მოსახლეობა რომ არამკვიდრ მოსახლეობად გამოგვაცხადეს, მე ვფიქრობდი, რომ სვანეთში ამაზე ერთი ძლიერი შეხვედრა და მუხტი იქნება. ჯერ არაფერია. სკოლა რომ დამთავრდება, 50-100 კაციც რომ შეიკრიბოს და გამოთქვას აზრი ამასთან დაკავშირებით, კარგი იქნება. შევიკრიბებით, ტელევიზიას მოვიწვევთ და ჩამოვაყალიბებთ ჩვენს აზრს.“ (რესპონდენტი ხაიშიდან)

რიგ შემთხვევებში საჯარო შეხვედრებისა და საპროტესტო გამოსვლების კულმინაციური შედეგი იყო ხოლმე მოსახლეობაში შედგენილი პეტიცია. მოსახლეობა წერილობითი მოთხოვნების გზით გამოხატავდა თავის

7 „ნესკა ჰესის გენდერული შედეგები“ 2016, „მწვანე ალტერნატივა“. ბოლო ნახვა: 25 სექტემბერი, 2017 http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/10/nenskra_case_study_geo_2016.pdf

განწყობებას როგორც კერძო კომპანიებთან, ასევე პროექტის დონორ ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებთან. მაგალითად, ჭუბერის თემის მიერ მომზადებულ ბოლო წერილში მოთხოვნილია: ეკონომიკური დარგის განვითარებისთვის ნენსკრაჰესის შესაძლებლობების დასაბუთება; გარემოსა და ადამიანზე ზემოქმედების რისკის დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შეფასება; პროექტის შესახებ ღია საჯარო მოსმენის ორგანიზება, დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობით[8]. სხვა შემთხვევებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ დახმარებით, ადგილობრივი აქტივისტები სტრატეგიული მიზნებით დაწყებულ სამართლებრივ დავაში მოსარჩელეები ხდებიან.

მეორე მხრივ, პოლიტიკური იყო ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლის მოთხოვნა, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება ყოფილიყო დაცული. კერძოდ კი, რეალიზებულიყო მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც ტაძრების, მათი ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონობა და სარგებლობის წესები ეკლესიასთან შეთანხმებით განისაზღვრება.

ჩანს, რომ წინააღმდეგობისთვის მნიშვნელოვანია როგორც სხვადასხვა ტიპის აქტორების ჩართვა (არასამთავრობო ორგანიზაციები, მრევლი, ა.შ.), ისე რეპერტუარის გამრავალფეროვნება (საბჭოს დაარსება, პეტიციების შემუშავება, სარჩელის დარეგისტრირება).

ორგანიზებული წინააღმდეგობის შეზღუდვა

აღნიშნული წინააღმდეგობის შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მასშტაბი ვერ იზრდება. ინფორმაციისა და ცოდნის დეფიციტი წინააღმდეგობის გავრცობის საშუალებას არ იძლევა. შემაკავებელი ფაქტორია წინააღმდეგობაში ჩართული ჯგუფების მიზანმიმართული გარიყვა პოლიტიკური ველიდან და რეპრესია სახელმწიფოს მხრიდან.

8 მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემის წერილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, აზიის განვითარების ბანკს, ევროპის საინვესტიციო ბანკს (23/05/2016), „მწვანე ალტერნატივა“, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 http://greenalt.org/other_sources/chuberis-temis-pasuxi/

საინფორმაციო წყაროებისა და ცოდნის დეფიციტი

კვლევა აჩვენებს, რომ წინააღმდეგობა რეაქციულია და პროაქტიული მუშაობის გამოცდილება არ აქვს. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ფართო მოსახლეობაში მწირია ინფორმაცია პროექტების შესახებ და არ იწარმოება ცოდნა ადგილობრივ დონეზე. ადგილობრივი არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების სახით საზოგადოებრივი ინსტიტუტების სისუსტე იდეური კავშირების გავრცობის შესაძლებლობებს ზღუდავს.

მასობრივ მობილიზაციას სტიქიური ხასიათი აქვს. *„დაინახავენ ტრაქტორს და მაშინ გამოდიან,“* – ამბობს კვლევის ერთ-ერთ რესპონდენტი იმ ინციდენტების შესახებ, როდესაც სამშენებლო სამუშაოების დაწყების ეტაპზე იწყებს მოსახლეობა წინააღმდეგობის გაწევას დაგეგმილი და განვითარებული პროექტების მიმართ.

> „ვერ გეტყვით, რომ კონკრეტული გეგმები ქონდეს ჩვენს ბრძოლას... ყოველთვის ვმოქმედებთ არსებული რეალობიდან გამომდინარე. კარგი იქნებოდა. წინ გადაგვედგა ნაბიჯები, მაგრამ ამის რესურსი არ გვაქვს ბუნებრივად, მოგეხსენებათ, ჩვენი რესურსები ძალიან მწირია, ჩვენი მოწინააღმდეგეებისგან განსხვავებით.“ (სოფელ სტეფანწმინდის მცხოვრები)

ამასვე იმეორებს რესპონდენტი ხაიშის თემიდან: *„თემის 80-90% მტკიცედ ვდგავართ ხოლმე, მაგრამ რომ გამწვავდება სიტუაცია [მხოლოდ მაშინ]. წინმსწრებად, სამწუხაროდ, ვერ ვდგამთ ნაბიჯებს.“*

მოსახლეობაში დაბალია ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონე განვითარების სახელმწიფო თუ კერძო პრიორიტეტების შესახებ, დეფიციტურია ალტერნატიული ცოდნის წყაროებიც. მოსახლეობაში აქტივისტთა ძირითადი ბირთვისთვის წინააღმდეგობა რამდენიმე წელს ითვლის, თუმცა ენერგოპროექტების შესახებ ინფორმაცია ფართო მოსახლეობაში მხოლოდ პროექტების გავრცელების არეალის პარალელურად ვრცელდება. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე მომუშავე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი 2017 წლის გაზაფხულზე წინააღმდეგობის ახალ კერებში გავრცობის შესახებ საუბრობდა, სადაც რეგიონულ-ტერიტორიულმა კავშირებმა ვერ უზრუნველყვეს პრობ-

ლემის გარშემო მოსახლეობის ინფორმირებულობა და ადგილობრივებმა მხოლოდ სამუშაო ტექნიკის გამოჩენის შემდეგ მიიღო ინფორმაცია პროექტზე. *„ფასანაურელებმა გვიან გაიგეს [ელექტროგადამცემი ხაზების შესახებ]. თორე ჩვენ დიდი ხანია ამ ამბავში ვართ,“* – ამბობს ერთ-ერთი ყაზბეგელი რესპონდენტი დაბა ფასანაურის მცხოვრებლებზე.

დამატებით, ფართო მოსახლეობაში დეფიციტურია ცოდნის წყაროებიც. ამის გამოვლინებაა ისიც, რომ წინააღმდეგობრივ მოძრაობებში ახალგაზრდობის (ციფრულ სამყაროში ყველაზე მეტად ინფორმირებული ასაკობრივი კოჰორტის) დაბალი ჩართულობა ფიქსირდება: *„მესტიის ახალგაზრდობა გათიშულია, ცნობიერების საკითხია“* – ამბობს ყოფილი „მწვანე მუშტის“ აქტივისტი. ამავე რესპონდენტის თქმით ეს სიმპტომურია განვითარების მოცემული მოდელისთვის.

„შუახნის ადამიანებში უფრო მაღალია მგრძნობელობა. ნეოლიბერალური სისტემის შედეგია ესეც. მესტია რომელიც ადრე იყო პოლიტიკური აზრის მწარმოებელი, დღეს ეს ასე არ არის. თუ არის პოლიტიკურ პროცესში ჩართული, ამ ყველაფერს უფრო აქვს სტიქიური ხასიათი. … მაშინ როცა დაიწყო ეს პროცესები, ეს ადამიანები საუბრობნდნენ: „ასაკიანი ხალხი უნდა ჩავრეცხოთ“, „არ არის მათი სიტყვა წონადი“, დღეს მივიღეთ სნოუბორდის, თეთნულდების სვანეთი... დაცლილია მთა პოლიტიკური აზროვნებისგან მაგ მხრივ.“ („ძეგლის მეგობარის“ და „მწვანე მუშტის“ ყოფილი აქტივისტი)

შესწავლილი რეგიონების მასშტაბით ინფორმაციული დეფიციტის მიზეზად სახელდება ადგილობრივი მედიასაშუალებების, პრესის თუ არასამთავრობო ორგანიზაციების არარსებობა. როგორც უკვე აღინიშნა, ენერგო-პროექტების შესახებ პროფესიული კრიტიკისა და ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსების ერთ-ერთი საშუალებაა დღესდღეობით თბილისში დაფუძნებული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები.

პოლიტიკური ექსკლუზია და რეპრესია

კვლევამ აჩვენა, რომ წინააღმდეგობის გავრცობას, ასევე, ხელს უშლის პოლიტიკური ველის ექსკლუზიურობა. საჯარო პოლიტიკა დახშულია გარკვეული ჯგუფებისთვის, მოითხოვონ და გაატარონ ცვლილებები. წინააღმდეგობის გავრცობის შეზღუდულ შესაძლებლობებზე საუბრისას გამოიყოფა მიზანმიმართულად მარგინალიზებისა და რეპრესიის პრობლემებიც.

წინააღმდეგობის მონაწილეები პოლიტიკაში ე.წ. არატრადიციულ აქტორებს წარმოადგენენ (პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განსხვავებით). ამის გამო, აქტივისტების თქმით, ხშირია მცდელობები პოლიტიკური ისტაბლიშმენტის მხრიდან, ისაუბროს წინააღმდეგობაში ჩართულ მოსახლეობაზე, როგორც რეგრესულ ძალაზე, მიუხედავად მათი პოლიტიკური ცნობიერებისა და ინფორმირებულობის მაღალი დონისა:

> „მათ უნდათ, რომ ჩვენი, სოფლის მოსახლეობა, გამოვიყურებოდეთ არა მარტო, როგორც ბრიყვებად, არამედ უმადურებადაც. თურმე, ამხელა სიკეთე კეთდება ჩვენთვის, არა მარტო უგუნურები ვართ, რომ ვერ ვხედავთ ამ სიკეთეებს, არამედ უმადურებიც ვართ.“ (რესპონდენტი ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან).

გარდა ამისა, პოლიტიკის წარმოების ტრადიციული გზების ექსკლუზიურობაზე მიანიშნებს იგივე რესპონდენტი, როდესაც მოქმედების ფორმებს ასაბუთებს:

> „[გვეკითხებიან] რატომ არ გადადიხართ კაბინეტებში, რატომ [იქ] არ აგრძელებთ ურთიერთობას [გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან]? ამ დროს, განკარგულებას აძლევენ ტექნიკას ჩაირთოს, იმუშაონ და გვეუბნებიან, რომ თქვენ წადით, კაბინეტებში ისაუბრეთ და აქ ტექნიკამ გააგრძელოს თხრა.“

სოციალური და პოლიტიკური ექსკლუზიის გამოვლინებად მიიჩნევა ის ფაქტიც, რომ წინააღმდეგობის ერთ-ერთ გზად მოსახლეობამ ტრადიციულ მეთოდებთან დაბრუნება აირჩია. მონაწილეობის პრობლემაზე საუბრისას რამდენჯერმე აღინიშნა, რომ სვანეთში ხატზე დაფიცების გზით პროტესტის გამოხატვა იყო სტრატეგიული სვლა იმ ადამიანების მხრიდან, ვისი ხმა და უფლებებიც უგულებელყოფილია: *„ფიცის დადება გამოიწვია იმან, რომ იგნორირებულები ვიყავით ყველა ინსტანციიდან, აბსოლიტურად ირღვეოდა ჩვენი უფლებები,“* — ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი მესტიიდან, რომლის მოსაზრებითაც, ენერგოპროექტებისადმი წინააღმდეგობაში მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია, როდესაც წარსულში ეროვნულ-განმათავისუფლე-

ბელმა მოძრაობამ შეძლო, გარემოსდაცვითი არგუმენტების ხილვადობა უზრუნველეყო პოლიტიკურ ველში. *„80-იან წლებში არ იყო ამის საჭიროება, ეროვნული ძალები იყო და ახლა უკვე გაჭირდა, იმდენად გვერდით არავინ გყავს შენს ტრადიციას უნდა მიმართო რომელიც შეაჩერებს [მშენებლობას],“* – ამბობს იგივე რესპონდენტი.

ექსკლუზიის გარდა წინააღმდეგობა პირდაპირ და ფიზიკურ რეპრესიასაც განიცდის პოლიციური კონტროლისა თუ ეკონომიკური ზეწოლის გზით. მოსახლეობა იხსენებს, რომ 2015 წელს სოფელ ჭუბერში გაძლიერებული დაცვის ქვეშ გაიმართა საჯარო პრეზენტაცია, რომელზე დასწრების შესაძლებლობაც შეზღუდული იყო ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მყოფი მოსახლეობისთვის. 2016 წლის 20 მაისს, საპროტესტო მსვლელობისას ჭუბერში შეიყვანეს პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები ნენსკრაჰესის მშენებლობის ადგილისკენ მიმავალ გზებზე ბლოკადის მოსახსნელად[9]. ამ შემთხვევაში პოლიციასა და ათობით ადგილობრივ მოსახლეს შორის დაპირისპირება ჭუბერის თემის რვა მოსახლის დაკავებით დასრულდა.

დამატებით, როდესაც 2016 წლის გაზაფხულზე ყაზგების რაიონის სოფელ ცდოს მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა კერძო კომპანიების მიერ სოფლის ტერიტორიაზე უკანონოდ მშენებარე 110კილოვოლტიანი ენერგოგადამცემი ხაზის ე.წ. „რეკონსტრუციას“ და ახალი მაღალი ძაბვის 500-კვ-იანი გადამცემი ხაზის მშენებლობას, ერთ-ერთი საპროტესტო აქციისას, 2016 წლის 17 აპრილს, პოლიციამ ადგილობრივი აქტივისტი დაიკავა. ენერგოგადამცემი ხაზების გარშემო საპროტესტო აქციები განახლდა 2017 წლის გაზაფხულზე ხანდოს ხეობასა და თბილისში, გარემოსა და მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედების მოტივით. 2017 წლის 10 მაისს ფასანაურში საპროტესტო გამოსვლისას მომხდარი დაპირისპირების გამო, მედია იუწყებოდა, რომ აქციის მონაწილეების მასობრივი დაკავების მცდელობა ჰქონდა პოლიციას[10].

9 „ნენსკრა ჰესის“ წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე დაკავებულები ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლეს“ გადაცემა „მოამბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 21.05.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=EHnugtfOSj4

10 მაღალი ძაბვის სამშენებლო ტექნიკას ფასანაურში ქვები დაუშინეს (10/05/2017) – ტელეკომპანია „იბერია“, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 https://www.youtube.com/watch?v=JZzWQllvgMQ&t=72s https://www.youtube.com/watch?v=JZzWQllvgMQ&t=76s

პირდაპირი რეპრესიის შემთხვევები სათანადოდ გააშუქა მეინსტრიმულმა მედიამაც, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საექსპერტო ცოდნის, ადამიანური რესურსისა და საინფორმაციო არხების მობილიზებისას მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გარემოსდაცვითმა მოძრაობამ „მწვანე მუშტმა“, „ახალგაზრდა მწვანეებმა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“, თუმცა ფართო საჯარო ხილვადობას მოკლებულია სოციალური კონტროლისა და რეპრესიის სხვა შემთხვევები. მაგალითად, სვანეთის ერთ-ერთ თემში საუბრობენ დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის უფლების შეზღუდვის შესახებ, იმ მიზნით, რომ პროდუქტიულ ეკონომიკაში მონაწილეობის ერთადერთ გზად მოსახლეობას ენერგოპროექტებზე დაქირავებულ მუშახელად მუშაობა ესახებოდეს.

> „წლების განმავლობაში, როგორც ჭუბერის, ასევე ნაკრას თემისთვის, სატყეო მეურნეობა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. თუმცა, 2015 წლის სექტემბრიდან აიკრძალა ხე-ტყის გატანა სვანეთიდან. რამდენადაც რეგიონს საქართველოს დანარჩენ ადგილებთან მხოლოდ ერთი გზა აკავშირებს, პოლიცია და ეკოინსპექცია კარგად აკონტროლებს გასასვლელ გზას. ამ აკრძალვას, მოსახლეობის უმეტესობა აღიქვამს, როგორც ზეწოლას ხელისუფლების მხრიდან, რათა დაითანხმონ ადგილობრივები ნენსკრას პროექტზე.“ (ჭუბერის თემის მცხოვრები)

შესაბამისად, წინააღმდეგობის გავრცობას ხელს უშლის როგორც საინფორმაციო წყაროების დეფიციტურობა, ისე პოლიტიკური ველის ექსკლუზიურობა. ცოდნასა და ინფორმაციის სანდოობაზე სრული მონოპოლია აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მობილიზდება მოსახლეობა. ბრძოლის შერჩეული ფორმები (ფიცის დადება, სათემო ტრადიციების მიხედვით და რადიკალური წინააღმდეგობა, სამუშაო ტექნიკის შესაჩერებლად), რომლითაც ადგილობრივები წინააღმდეგობის გავრცობას ცდილობენ, საჯარო პოლიტიკის მიღმაა. მეტიც, მოსახლეობის ეს ნაწილი სოციალური კონტროლის ობიექტია, ფიზიკური დევნისა და ფინანსური შანტაჟის გზებით.

წინააღმდეგობის რეპერტუარი

კვლევა აჩვენებს, რომ წინააღმდეგობა სხვადასხვა მოქმედებით სრულდება და განგრძობითი ხასიათისაა. აღნიშნული ქვეთავი მიმოიხილავს როგორც ქუჩის საპროტესტო აქციებს, ისე მოსახლეობის მცდელობას, უარი თქვას ეკონომიკურად მომგებიან შეთავაზებებზე – კერძო საკუთრების გასხვისების ან დასაქმების გზით.

ქუჩის საპროტესტო აქციები

2012 წელს ხელისუფლებაში მოსული გუნდის მიერ წინასაარჩევნოდ ხუდონჰესის მშენებლობაზე უარის თქმის დანაპირების უგულებელყოფამ 2013 წელს სოფელ ხაიშში საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. დამატებით, ქუჩა გადაკეტეს სოფელ ჭუბერში მას შემდეგ, რაც 2015 წელს ჰიდროელექტროსადგურ ნენსკრაჰესის მშენებლობა დაანონსდა. ქუჩის საპროტესტო აქციის სახე ჰქონდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან შეკრებილი მოსახლეობის გამოსვლებსაც, 2016 წელს სოფლის მიმდებარედ ენერგოგადამცემი ხაზების მშენებლობის წინააღმდეგ. მოცემულ შემთხვევებში ადგილობრივი მოსახლეობა სოციალური პროტესტის გავრცობას სათემო ორგანიზების გზით ცდილობდა.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები სვანეთიდან ჰყვებიან იმ პრეცედენტებზე, როდესაც სოფლიდან-სოფელში გადაჰქონდათ აქტივისტებს ინფორმაცია წინააღმდეგობის შესახებ და თავად ხდებოდნენ პასუხისმგებელნი პროტესტის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდაზე.

> „უბნებად დავყავით, სექტორებად დავყავით [რეგიონი]. თითოეულ სექტორს თავისი ხელმძღვანელი, ორი-სამი კაცი [ჰყავდა]... მათ ევალათ, რომ შეხვედრის ორგანიზებისას თითო კაცი მაინც გამოვიდოდა. ეს ორგანიზება საკმაოდ კარგად შევძელით და. ძალიან ბევრი შეხვედრა ჩავატარეთ. იმ წელს თითქმის თვე არ გავიდოდა, რომ აქცია არ მოგვეწყო. 2013-სა და 2014-შიც.“

> „2013 წლის 3 ნოემბერი იყო ძალიან კარგად ვიმუშავეთ მახსოვს. გამოსვლები იყო, იყო საუბარი, იყო გაპროტესტება. ქვემო სვანეთიდან იყვნენ, იმერეთიდან იყვნენ, შიდა ქართლიდან იყვნენ, თბი-

ლისიდან თავისთავად იყვნენ. ძალიან ბევრი რეგიონიდან იყვნენ." (რესპონდენტი ხაიშის თემიდან).

რეგიონებში წინააღმდეგობაში ჩართულ პირთა რაოდენობის გაზრდა წინააღმდეგობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად სახელდება: *„ამ მაფიოზურ დაჯგუფებას ერთადერთი რამე აშინებს, ხალხის აქტიურობა, მასიურობა აქციების. სახელმწიფო ინსტიტუტები მათ ჯიბეში ყავს,"* – ამბობს რესპონდენტი სტეფანწმინდიდან.

აღწერილ შემთხვევებში ადგილობრივმა პერფომანსებმა, სოფლებში ქუჩის აქციების სახით, დინსტანციურად იმოქმედა ფართო საზოგადოებაზე და დარეგისტრირდა, როგორც პოლიტიკური წინააღმდეგობის შემთხვევები.

წინააღმდეგობა მიწის გასხვისებასა და ენერგოპროექტებზე დასაქმებაზე უარის თქმით

მთის მოსახლეთა წინააღმდეგობრივ რეპერტუარში გამოირჩევა წინააღმდეგობა მიწების გასხვისებისა და ენერგოპროექტებზე დასაქმების მიმართ, ასევე, გამოირჩევა მიზანმიმართული მცდელობა სოფლის მოსახლეობის მხრიდან, შეზღუდოს ენერგოპროექტების განმახორციელებელი კომპანიების ეკონომიკური საქმიანობა ადგილობრივ დონეზე.

აქტივისტები საუბრობენ იმის შესახებ, რომ სვანეთისა და ყაზბეგის რაიონებში მიწის გასხვისება ენერგოპროექტებზე დასაქმების აუცილებლობას წარმოქმნის, რაც ენერგოპროექტების მიმართ წინააღმდეგობას დაასუსტებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი კონსოლიდირებულია, წინააღმდეგობა გაუწიოს საერთო სათემო სარგებლობაში არსებული ტერიტორიების პრივატიზებას და უარი თქვას კომპენსაციაზე, გადასახლების სანაცვლოდაც:

„არც მიწას ვყიდით, არც ფული გვინდა და არც არავინ დავინახოთ აქ მოსული. უფალს ვეხვეწებით, რომ უფალმა დაგვიცვას, ეს ხალხი მოგვაშოროს" (ხაიშის თემის მცხოვრები)

„შეიქმნა მოსაზრება, თითქოს ვევაჭრებოდით კომპანიას და გვინდოდა ფინანსური თამასის აწევა. ეს რომ გაგვებათილებინა, პირვე-

ლი დაფიცება [ხატზე] შედგა 8 მაისს თავიდან ვიყავით 57, და 100-მდე ვართ.“ (ხაიშის თემის მცხოვრები)

„[გვეუბნებიან] გირჩევნიათ, წამოხვიდეთ გარიგებაზე. ჩვენ ვეუბნებით, არ გვაინტერესებს გარიგება, არ გვაინტერესებს კომპენსაცია, ეს არის ჩვენი სოფელის განვითარების და განაშენიანების ერთადერთი პერსპექტივა. იქ მე მინდა ავიშენო სახლი. ჩემმა შვილმა, ჩემმა შვილიშვილმა უნდა აიშენოს სახლი. ყველა სოფელს აქვს სივრცე, სადაც უნდა განვითარდეს“ (სოფელ სტეფანწმინდის მცხოვრები)

მსგავსი პოზიცია აქვს მოსახლეობას ქსანი-სტეფანწმინდის ტერიტორიაზე ენერგოგადამცემი ხაზების განთავსებასთან დაკავშირებით, სადაც ინფორმაციის გასაჯაროებას მოითხოვენ მიწების გამოსყიდვასთან დაკავშირებით: *„მოსახლეობამ არც იცის პროექტი, არ იცის, სად გაივლის ხაზი. უნდა ხდებოდეს ამ ხალხის ინფორმირება. მიწების გამოსყიდვისას, თითოეული სანტიმეტრი უნდა იცოდეს მოსახლეობამ.“*

წინააღმდეგობის რეპერტუარის ნაწილია აქტივისტების მხრიდან ისიც, რომ უარი განაცხადონ ენერგოპროექტებზე დასაქმების შესაძლებლობებზე. მოსახლეობა ენერგო-პროექტებზე დასაქმებაზე იმ მოტივით ამბობს უარს, რომ ეს ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის არამდგრად გზად მიაჩნიათ. მათი ინფორმაციით, დაბალკვალიფიციური მოსახლეობის სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმება ჰესის მშენებლობის შემდეგ დასრულდება.

დამოუკიდებელ როლს თამაშობს წინააღმდეგობრივ რეპერტუარში სოფლის მოსახლეთა წინააღმდეგობაც, რომ სოფელ ხაიშში პროექტის განმახორციელებელი კომპანიისთვის საოფისე ფართი იჯარით გაეცათ:

„ოფისის დაფუძნების მცდელობა იყო ქვევით. ხელი შევუშალეთ. ოჯახი, სადაც აპირებდნენ [ფართის ქირაობას], ის ოჯახი გავაფრთხილეთ, ნუ წახვალთ სოფლის წინააღმდეგ. ოფისი არ გაახსნევინა იმ ოჯახმა, უარი უთხრა. ამაზე დაახლოებით თვე-ნახევარი კარავში ვცხოვრობდი ზამთრის პერიოდში, 3-4 ოჯახი ვმორიგეობდით. 24 საათის განმავლო-

> ბაში. ტელევიზია გვქონდა რაღაცეები და. ვიყავით კარავში დაახლოებით თვე-ნახევარი. პირველ მარტამდე უნდა დაეფუძნებინათ ოფისი და ჩვენ მთელი თებერვალი და მარტის შუა რიცხვებამდე ფეხი არ მოვიცვალეთ. და მერე უკვე ჩაიშალა და დავიშალეთ ჩვენც.“ (ჯგუფური ინტერვიუ ხაიშის თემში)

შესაბამისად, კვლევამ აჩვენა, რომ წინააღმდეგობა დროში შენარჩუნებული პერფორმანსებისგან შედგებოდა და კვლევის დასრულების ეტაპზეც მიმდინარეობდა. პერფორმანსებს კი (დასაქმებასა თუ მიწის გასხვისებისადმი წინააღმდეგობას) მოდულარული ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას სხვადასხვა სოფელსა და რეგიონში მსგავსად იმეორებენ ადამიანები, მაგალითად ხაიშის თემში თუ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

2. წიაღისეული მადნის მოპოვებით გამოწვეული დაბინძურების წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი

წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების არასათანადოდ რეგულირების გამო, გარემოსა და ადამიანზე არათანაზომიერი და მომეტებული ზემოქმედება მიმდინარე და კვლავწარმოებული პრობლემაა. ქვანახშირის, მანგანუმისა და ოქროს მადნის მოპოვების შედეგად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება კოლექტიური წუხილის საგანია იმერეთსა და ქვემო-ქართლში. 2005 წლიდან წიაღისეულის მოპოვებისთვის შემუშავებულმა ახალმა სალიცენზიო პირობებმა[11], ინდუსტრიული ქალაქების გარდა, სოციალურ პროტესტი გააჩინა იმ სოფლებში, სადაც მადანს მსხვილი მწარმოებლების გარდა მცირე და საშუალო მომპოვებელი კომპანიები მოიპოვებენ (მანგანუმის შემთხვევაში ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ოქროს შემთხვევაში კი მესტიის მიმდებარე სოფელში).

აღნიშნულ ტერიტორიებზე კოლექტიური მობილიზების ლოკალური და ლიკვიდური შემთხვევები ფიქსირდება, როდესაც პროტესტი მხოლოდ აგრესიის არტიკულირებას გულისხმობს და არ ნარჩუნდება, როგორც პოლიტიკური წინააღმდეგობა კვლავწარმოებული პრობლემების საპასუხოდ. დამატებით, კოლექტიური მობილიზების შემთხვევები არ იძლევა განზოგადების შესაძლებლობას, როგორც მოთხოვნებისა, კერძო ინტერესების წინააღმდეგ საჯარო სიკეთეების დასაცავად.

11 „საქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები“ (2017), „მწვანე ალტერნატივა“, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 http://www.greenalt.org/wp-content/uploads/2017/02/mining_report_2017_geo1.pdf

გარემოსდაცვითი პრობლემები და წინააღმდეგობის პოლიტიკის დეფიციტი

წიაღისეულის მოპოვებითი საქმიანობა სხვადასხვა რეგიონში ანადგურებს ეკოსისტემას, იწვევს წყლის, ჰაერის, ნიადაგის დაბინძურებას და მიწის ნაყოფიერი ფენის დაზიანებას. კოლექტიური წუხილის მიზეზი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მავნე ნარჩენების დაგროვება, მადნის მოპოვებისა და ტრანსპორტირების შედეგად გამოწვეული ხმაური, მტვერი და ვიბრაციაა[12]. თუმცა რესურსების არარაციონალური ათვისება და ეკოლოგია იშვიათად ხდება წინააღმდეგობის საგანი თუ პოლიტიკური გამოწვევა. გარემოს დაბინძურების საკითხი მაშინ აქტიურდება, როდესაც კერძო საკუთრების ინტერესს ლახავს ან საჯარო ინფრასტრუქტურულ სიკეთეებს (მილებს, გზებს) აზიანებს. მოსახლეობაში არ ჩანს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისთვის კომპენსირების ან ალტერნატიული მდგრადი ეკონომიკის დარგების განვითარების მოთხოვნა[13].

კვლევამ აჩვენა, რომ კოლექტიური წუხილი მომპოვებელი კომპანიის წინააღმდეგ საჯაროდ გამოხატვის საგანი გახდა სავალი გზების გაუარესების დროს. ჭიათურის ერთ-ერთი მცხოვრები სოფელ დარკვეთში პროტესტის გაჩენის სამომავლო შესაძლებლობაზე საუბრობდა:

> „სახლამდე მისასვლელი გზა თუ გამიფუჭდება, ყველანაირ გზას მოვძებნი, რომ ეს ყველაფერი აქედან აილაგმოს. გაფრთხილებული მყავს. თუ დაუკრეფავში გადავიდნენ, შემიძლია, ძალიან ხმამაღლა ვილაპარაკო. მე შემიძლია, სოფელში ბევრი ხალხი გამოვიყვანო. ზღვარი უნდა არსებობდეს. ამ ეტაპზე არ ჩერდებიან.“

12 საქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები (2017) – „მწვანე ალტერნატივა“, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 http://www.greenalt.org/wp-content/uploads/2017/02/mining_report_2017_geo1.pdf

13 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გახმაურებული გადაწყვეტილების შედეგად, 2013-2014 წლებში მადნეულის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მომპოვებელს საქართველოში შპს „ჯორჯიან მანგანეზს“ გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის 357364708 ლარის ოდენობის თანხის გადახდა დაეკისრა. ჯარიმის გადაუხდელობისდა მიუხედავად, კომპანიას სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება რამდენჯერმე გაუხანგრძლივდა და ბოლო მონაცემებით, ჯარიმის ასანაზღაურებლად ვადა 2017 წლის 31 დეკემბრამდე განესაზღვრა. წყარო: „ჭიათურის მანგანუმის გამამდირებელი საწარმო და გარემოსდაცვითი პრობლემები“ (08/2016), ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017წ. http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/08/chiatura_policy_brief_GEO_AUGUST_2016.pdf

იმ ადგილებში, სადაც, მადნის ტრანსპორტირების არასათანადო რეგულირების გამო, ვიბრაცია და დამტვერიანება ადგილობრივ მოსახლეობას და გარემოს უქმნის საფრთხეებს, გარემოს უვნებლობაზე წინ დგას სასადილო დარბაზის აშენების მოთხოვნა ერთ-ერთ სხვა სოფელში. სოფელ ახალ დარკვეთში მცხოვრები რესპონდენტი ამბობს:

> „სოფლის კრება რომ იქნება – ერთი რაღაცას იძახის, მეორე რაღაცას და ვერ შევჯერდით, ერთი თავი საქმე რომ გაკეთდეს სოფელში. [სასადილო] დარბაზის დასრულება გვინდოდა და მივჩერებივართ 2 წელია.“

დამატებით, გარემოს უვნებლობის შესახებ აქტიურია მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც ფინანსური ინტერესი აქვს. გარემოს დამცველი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციიდან ამბობს, რომ გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაყენებისას ბოლნისის მუნიციპალიტეტში ისევ კერძო მატერიალური ინტერესით აქტიურობს მხოლოდ ის, ვინც თვითდასაქმებულია და საწარმოებში არ მუშაობს: *„კაზრეთში არაქართული მოსახლეობა უფრო ლაპარაკობს [გარემოს დაბინძურებაზე], რატომ? დაკავებულია მწვანილის გაყიდვით და ა.შ., და მათთვის პრობლემაა დაბინძურება.“* მსგავსად, წიაღისეულის მოპოვებამ წინააღმდეგობა დაბადა ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულ მოსახლეობაში. რესპონდენტების აზრით, ბუნებრივი რესურსების ათვისება შესაძლოა, კონფლიქტში მოდიოდეს ტურიზმის განვითარებასთან, რაც ამჯერად ეკონომიკის წამყვანი დარგია სვანეთში. *„[ოქროს] მოპოვება თუ დაიწყეს, არც ერთი ტურისტი არ მოვაო აბსოლუტურად, ტურიზმი ჩაკვდებაო, სადაც ტურიზმი არის განვითარებული, არსად არ ხდება ოქროს ძიება,“* – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლე, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ოქროს მომპოვებელთა წინააღმდეგ პროტესტში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სოფელ იელში გარემოსდაცვითი პოლიტიკური მიზნის ნაცვლად, არსებობს მოსაზრება ფინანსური ინტერესით გაწეული წინააღმდეგობის შესახებაც. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მესტიელი რესპონდენტი ამბობს:

„მე დავინახე ის, რომ ისინი ბუნებისთვის არ იბრძვიან, ისინი იელისთვის არ იბრძვიან, წილებისთვის იბრძვიან და ამიტომ არ დავდექი მათ გვერდით. კია [გარემოს ხელყოფა] პრობლემა ჩემთვის და ძალიან გული მტკივა, მაგრამ მე არ დავდგები მათ გვერდით ვინც წილში სხედან.“

ამასვე ახლავს ის ფაქტიც, რომ ოქროს მოპოვებასთან დაკავშირებული უკმაყოფილება, მოსახლეობამ არ ისურვა შენარჩუნებულიყო, როგორც პოლიტიკური წინააღმდეგობა მას შემდეგ, რაც ინციდენტი სამუშაო ტექნიკისა და პერსონალის ფიზიკური დევნის ფაქტმა ამოწურა.

„ადგილობრივმა მოსახლეობამ თვითონ თქვა უარი [მედია] გაშუქებაზე. კომპანიამ რომ დატოვა ტერიტორია – ვერ ვხედავთ [საკითხის პოლიტიზების] საჭიროებასო. ჩვენ მოვახდინეთ საკითხის შეჯერებაო. ახლა ისევ მზად არიან მედიაგაშუქებისთვის – რადგან ხვდებიან, რომ პროცესი ისევ იწყება და არ დასრულებულა.“ (ყოფილი აქტივისტი „მწვანე მუშტიდან“)

შესაბამისად, ჩანს, რომ გარემოზე არათანაზომიერი თუ მომეტებული ზემოქმედება მხოლოდ ადგილობრივი დონის საჯარო ინფრასტრუქტურული საჭიროებებით განისაზღვრება (სასადილო დარბაზის აშენება თუ სავალი გზების უვნებლობა). კონფლიქტური ფინანსური ინტერესები კი მოსახლეობას იმის მიხედვით აჯგუფებს გარემოს დამცველთა რიგებში, თუ რა ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან ისინი (ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას, თუ წიაღისეულის მოპოვებას).

გარემოსდაცვითი მოთხოვნების დამასუსტებელი ეკონომიკური არგუმენტები

სოფლის მეურნეობის დარგის სისუსტისა და კერძო სამეწარმეო საქმიანობის დეფიციტის გამო, როგორც ეს წინა თავშიც გამოჩნდა, მოსახლეობაში კონფლიქტურია ინტერესი გარემოს უვნებლობასა და ეკონომიკურად მომგებიან საქმიანობას შორის. მოპოვებით სამუშაოებზე დასაქმება

ან მიწის გასხვისება მადნის მომპოვებელ კოოპერატორებზე, ის ერთა-დერთი საშუალებაა, რაც მატერიალურ დოვლათს ქმნის. რესპონდენტე-ბისთვის მატერიალური სარგებლის შესაძლებლობა გარემოს დაცვით არგუმენტებს არამატერიალური სარგებლის კატეგორიაში აქცევს, მას ემოციურ და წარმოსახვით პრობლემებად სახავს.

გარემოს დაცვაზე კოლექტიური მოთხოვნების წამოყენების შეუძლებ-ლობას მანგანუმის მომპოვებელ კომპანიებზე მიწის გასხვისებასთან და-კავშირებული ინდივიდუალური ინტერესები განსაზღვრავს. *„ერთობა არ არის ქალაქში. დაყავი და იბატონეს პრინციპია. ცალ-ცალკე ხვდებიან მო-სახლეობას კოოპერატორები. ერთეულებს ურჩევნია ხვალინდელი დღე დღევანდელს,“* — ამბობს სოფელ ქვედა ითხვისში მცხოვრები რესპონდენ-ტი სოციოეკონომიკური პრობლემის შესახებ. მიწის გასხვისება ფულადი შემოსავლის გაჩენის არამდგრადი ერთჯერადი საშუალებაა, რომელიც რიგ შემთხვევებში ჭიათურიდან და მიმდებარე სოფლებიდან მოსახლე-ობის გადასახლებასაც იწვევს. საუბრობენ გადასახლების ოპტიმალურო-ბაზეც: *„ნეტა დაგვანგრევდეს და გადაგვიყვანებდნენ სადმე, მაგრამ ესეთ დღეში არ ვართ,“* — ამბობს რესპონდენტი სოფელ ძველი დარკვეთიდან.

ჭიათურასა და წიაღისეულის მოპოვებაზე სრულად დამოკიდებულ სხვა ქა-ლაქებშიც — ტყიბულში, ბოლნისში აქტიური საჯარო ცხოვრების მქონე პირებს, ძირითადად მამაკაცებს, გარემოსდაცვით პროტესტში მონაწილეობის შესაძ-ლებლობა არ აქვთ. ასეთ ადგილებში საჯარო საქმიანობის მთელი სპექტრია მონოპოლიზებული წიაღისეულის მოპოვებით. დასაქმებულთა პრაგმატული არჩევანისა და, ამავდროულად, მათზე განხორციელებული სოციალური კონ-ტროლის შედეგია გარემოსდაცვითი საკითხების უგულებელყოფა პოლიტიკუ-რი დღის წესრიგიდან. მსგავსმა გარემოებებმა ბოლნისის რაიონში გარემოს უვნებლობა ისტორიულად ტაბუირებულ საკითხადაც აქცია:

> „კაზრეთში პრობლემაა ხმის ამოღება. საბჭოთა კავშირის დროს ტა-ბუდადებული იყო საერთოდ. ყველამ იცოდა საშინელება ხდებოდა, მარა არ უნდა გელაპარაკა. როგორც სტალინისას, შვილმაც იცოდა შვილიშვილმაც, რომ არ უნდა ილაპარაკო. აკრძალვა აღარ არსე-ბობს და მაინც ესეა.“ (რესპონდენტი გარემოსდამცვითი არასამთავ-რობო ორგანიზაციიდან)

გამონაკლისი შემთხვევაა ამ მხრივ სვანეთის რეგიონი, სადაც ოქროს მოპოვებამ დასაქმების შესაძლებლობები შექმნა, მაგრამ არ გამქრალა მოთხოვნები გარემოს დაცის შესახებ:

> „რომ მოვიდნენ, ყველას იმედი გაუჩნდა, რომ შემოსავალი იქნებოდა, სამუშაო იქნებოდა, მაგრა შემდეგ, რა თქმა უნდა, დავინტერესდით, როგორ უნდოდათ ეწარმოებინათ ეს სამუშაოები, გვაინტერესებდა, რას აპირებდნენ, რის დამუშავებას, რასაც შეიძლება ზიანი მოეტანა სოფლისთვის“ (სოფელ იელის მცხოვრები)

იელში ოქროს მოპოვების შესახებ მოსაზრებას აფიქსირებენ ზემო სვანეთის სხვა სოფლებში: *„ეს არის ეკოლოგიური კატასტროფა, რასაც ესენი [საინვესტიციო პროექტები] აპირებენ. ეს არის დაუშვებელი,“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი ხაიშის თემიდან.

გარემოსდაცვითი პროტესტი რომ ფრაგმენტულია, შესაძლოა, იმის მიზეზიც იყოს, რომ ის დაცლილია ეკოლოგიური მოთხოვნებისგან, ზოგიერთ შემთხვევაში ის უკავშირდება აღქმას გენდერული როლების შესახებ, ზოგჯერ კი მას ნაციონალიზმი კვებავს.

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვის პროცესს იმის მიხედვით წარმართავენ ქალები ან მამაკაცები, საშინაო, ყოფით საკითხს ეხება ეკოლოგიური დაბინძურება თუ საჯარო საქმიანობას; მოსახლეობის აღქმით, ქალი საშინაო და ემოციურ, მამაკაცი კი საჯარო და რაციონალურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

> „წყალთან ურთიერთობა უფრო ქალს აქვს, ბოსტანთან ურთიერთობაც ქალს უფრო აქვს. ბუნებრივია, სადაც ბავშვებთან ურთიერთობაა, ჰაერია სუფთა საჭრო, სუფთა წყალია საჭირო, ამას აღიქვამს ქალი პირველ რიგში, ბუნებიდან გამომდინარე. ბევრად უფრო აღიქვამს ყველაფერს, ვიდრე კაცი.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ჭიათურიდან)

იგივე რესპონდენტი არამატერიალურ და, შესაბამისად, არარაციონალურ, არამედ ემოციურ მოთხოვნებს უკავშირებს გარემოს უვნებლობის

საკითხს: *„ქალი არის გრძნობა და კაცი არის, დავარქვათ, გონება. თუმცა ხანდახან გონება გვღალატობს ხოლმე და ქალებს გრძნობა არ ღალატობს ხოლმე.“* მისი კომენტარი ეხებოდა იმ შემთხვევებს, როდესაც საერთო წუხილის გარშემო კოლექტიური მობილიზების მოთხოვნა ქალებისგან მოდიოდა და არა მამაკაცებისგან.

სხვაგან, გარემოს უვნებლობის შესახებ იკვეთება ნაციონალისტური ნარატივი: *„თუ ადრე ერთი კომპანია მუშაობდა, ეხლა მუშაობს რამდენიმე კომპანია. ყიზილბაშებივით შემოესიენ ჭიათურას და მუსრს ავლებენ, შეიძლება ითქვას,“* – ამბობს რესპონდენტი ღია კარიერული მომპოვებელი კომპანიების შესახებ, რომელთა მფლობელებს შორის, მისი თქმით, ეთნიკურად არაქართველებიც არიან.

შესაბამისად, გარდა იმისა, რომ მატერიალური კეთილდღეობის არგუმენტი გარემოსდაცვითი აქტივიზმის გაჩენის შესაძლებლობებს ასუსტებს – ის ასევე განაპირობებს იმას, რომ გარემოსდაცვითი მოთხოვნები საერთო კეთილდღეობის შენარჩუნების მიზანს იყოს დაშორებული და აღწერილ შემთხვევებში მხოლოდ გენდერული თუ ნაციონალისტური საბაბით აიხსნებოდეს.

პროტესტი სუსტი სახელმწიფო მმართველობის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის წინააღმდეგობაში ეკოლოგიური არგუმენტები არ არსებობს ან სუსტია, კოლექტიური წუხილის უმეტესობა საუბრობს სტრუქტურულ პრობლემებზე, რომლებიც გარემოს ხელყოფაზეა პასუხისმგებელი: სუსტი და არამონაწილეობითი მმართველობის გზები ბუნებრივი რესურსების განკარგვისას.

„მწვანე ალტერნატივის“ ინფორმაციით, 2005 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს რესურსების ათვისების ახალი, არამონაწილეობით წესი[14]. 2005

14 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის ამოქმედების შედეგად გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ერთ-ერთი ყველაზე მავნე ზემოქმედების მქონე საქმიანობა – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (გარდა ნავთობისა და გაზისა) აღარ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და დაინტერესებულ საზოგადოებასთან რაიმე სახის კონსულტაციას. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით. წყარო: „საქართველოს მინერალური აქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის ესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები ქტუალური საკითხები“ (2017), მწვანე ალტერნატივა, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 http://www.greenalt.org/wp-content/uploads/2017/02/mining_report_2017_geo1.pdf

წელს ოქროს შესწავლა-მოპოვების მიზნით ახალი წესით ლიცენზირებულმა ერთ-ერთმა კომპანიამ 2016 წელს მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისისას ადგილობრივ მოსახლეობაში მასშტაბური პროტესტი გააჩინა[15]. *„მაშინ ლიცენზიას როცა აკეთებდნენ, ჩვენ არავინ არ შეგვეკითხა. მაგისი ვალდებული იყო მთავრობა, მოსულიყო და ჩვენთან შეთახმებულიყო, ჩვენ არავინ არ შეგვითანხმდა,"* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი ჯგუფური ინტერვიუს დროს სოფელ იელიდან. დამატებით პროტესტს იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში სახელმწიფო ინსიტიტუტების პოზიციონირება კერძო ინვესტორების სასარგებლოდ. წუხილის საგანია ის, რომ მოსახლეობის ინტერესის სასარგებლოდ სახელმწიფო არ იმოქმედებს და სუსტი აღმოჩნდება კერძო ინვესტორების წინააღმდეგ. *„სახელმწიფო თუ დაეხმარა ინვესტორს და ეს ყველაფერი [ოქროს მადნის მოპოვება] ასე მოხდა ძალიან გაგვიჭირდება, სახელმწიფო მაინც სახელმწიფო უნდა იყოს,"* – ამბობს რესპონდენტი იელიდან.

სუსტი მმართველობის პრობლემად აღიქმება ისიც, რომ სახელმწიფოს კანონშემოქმედებით საქმიანობაზე მძლავრი გავლენა აქვს ბიზნესს. ერთ-ერთი რესპონდენტის ინფორმაციით, ქალაქ ჭიათურაში 2013 წელს, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, აიკრძალა მძიმეწონიანი მანქანებით მანგანუმის გადაზიდვა ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე. მომდევნო წლებში კი აკრძალვა გაუქმდა:

> „ჩუმად შეკრებილა საკრებულო და ძველი ნორმატიული აქტი გაუუქმებია. ისე, რომ არაფერი არ ვიცოდით. მანქანების ინტენსიური მოძრაობა რომ დავინახეთ, მოვიკითხეთ. მოიქცნენ ძალიან ცუდად. როგორც კი მომეცემა საშუალება, ვამხელ ანტიხალხურ საქმიანობაში, რაც მაგათმა ჩაიდინეს, თავისი მოქალაქეების წინაშე." (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ჭიათურიდან)

შესაბამისად, ძირითადი მოთხოვნები სახელმწიფო უწყებების მიმართაა, რომლებიც მეტ წარმომადგენლობას და რეგულირებას უნდა უშვებდნენ ბუნებრივი რესურსების განკარგვისას.

15 „პროტესტი მესტიაში – სოფელ იელის მოსახლეობა ოქროს მომპოვებელ კომპანიას უპირისპირდება" გადაცემა მოამბე, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 14.05.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=WyEAScbS7uo

წინააღმდეგობის რეპერტუარი

იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ სოციალურ პროტესტი ჩნდება, მას ერთჯერადი აგრესიის გამოხატვის ხასიათი აქვს. გარემოზე ზემოქმედების ყველაზე კრიზისული გამოვლინებების დროს, კოლექტიური მობილიზებისას, ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა და, რიგ შემთხვევებში, ძალის დემონსტრირებაა მნიშვნელოვანი: ქუჩის აქციებისა და ავტორიტეტულ პირთა ჩართვის სახით. ერთ შემთხვევაში ასევე გამოიკვეთა ტრადიციული სამართლის მიხედვით ფიცის დადებაც, რასაც რადიკალური ფორმა ჰქონდა და შეიცავდა მუქარის შემცველ განცხადებებს.

ჭიათურის შემთხვევაში, სადაც გარემოს დაბინძურების პრობლემას განგრძობითი ხასიათი აქვს, დრო და დრო აღინიშნება ქუჩის საპროტესტო გამოსვლები, ზაფხულში, მომატებული დამტვერიანების პერიოდში. *„ყველა გაკეთებულ საქმეს დასჭირდა გზის გადაკეტვა,“* – იხსენებს წინააღმდეგობის ფაქტებს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ჭიათურიდან. აქ ასევე საუბრობენ წინააღმდეგობის კიდევ ერთ ფორმაზე – რადიკალური ულტიმატუმის შემცველ წერილობით კომუნიკაციაზე მუნიციპალიტეტთან.

მეორე მხრივ, სვანეთში, სოფელ იელში ერთადერთ შემთხვევაში გაჩენილი წინააღმდეგობა ხუთ დღეს გაგრძელდა და ფიზიკური წინააღმდეგობით დასრულდა. დღეს მომპოვებელი კომპანიის მიერ საქმე აღძრულია მოსახლეობის წინააღმდეგ, ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გამო. *„თუ არ გაჩერდებიან, სულ სხვანაირად მოევლება,“* – ამბობს კვლევაში მონაწილე სოფელი იელის მკვიდრი, იმ შემთხვევაზე, თუ საძიებო და მოპოვებითი სამუშაოები განახლდება. სოფელ იელში მოსახლეობამ ფიცის დადების გზით განამტკიცა ერთობა კომპანიის წინააღმდეგ: *„ფიცის გატეხას ხალხს მაინც ის ურჩევნია, რომ მიაკლას თავი, ომი დაიწყება, თუ სახელმწიფოს ეგ ომი აწყობს,“* – ამბობს რესპონდენტი იელიდან.

სოფლებში მიაჩნიათ, რომ კოლექტიური წუხილის არტიკულირებისთვის მნიშვნელოვანია წინააღმდეგობაში ავტორიტეტ პირთა ჩართვაც. სოფელ იელში საუბრობდნენ იმაზე, რომ მოსახლეთა პროტესტი ანგარიშგასაწევი გახადა ქალაქ მესტიის ბიზნესმენთა შორის ავტორიტეტულ პირთა ჩართულობამ.

შესაბამისად, წიაღისეულის მოპოვებით გამოწვეული გარემოს დაბინ-ძურების შემთხვევებში წინააღმდეგობა ნაკლებად არის საჯარო და პო-ლიტიკური. ამის ნაცვლად ის ხშირად წარიმართება კომპანიებთან კერძო დაპირისპირებებისა და მათდამი პირდაპირი მოთხოვნების გზით.

3. ურბანული მემკვიდრეობისა და კულტურული გარემოს ხელყოფის წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი

თბილისში, ბათუმსა და ნაწილობრივ ქუთაისშიც მოსახლეობა საჯარო სივრცეების, განსაკუთრებით კი რეკრეაციული ზონებისა და ისტორიული ძეგლების ხელყოფას აქტიურად უპირისპირდება ბოლო რამდენიმე წელია, რაც კერძო საინვესტიციო პროექტების შედეგად არა ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და საჯარო სიკეთე იქნა ხელყოფილი[16]. აღნიშნულ ქალაქებში წინააღმდეგობას ორგანიზებული ხასიათი აქვს. გარდა ამისა, სხვადასხვა პროექტის წინააღმდეგ გამოსულ აქტივისტთა წრე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას ცდილობს და საკუთარი ბრძოლის ინსტიტუციონალიზებას ახდენს.

ქალაქ ბათუმში ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვის მოთხოვნით კოლექტიური მობილიზაციის პირველი შემთხვევა 2011 წელს სანაპიროს რეკრეაციულ ზოლში დაგეგმილ მშენებლობას მოჰყვა[17]. ამავე პერიოდში, კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ქალაქში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი გაერთიანება „საზოგადოება ბათომი“. მოგვიანებით, 2014 წელს, კერძო ბიზნესის მიერ საბჭოთა პერიოდის მონუმენტის ე.წ. „რვაფეხას“ ხელყოფას მოჰყვა ორგანიზებული წინააღმდეგობა[18], 2015-2016 წლების ზამთარში კი ქალაქში რამდენიმედღიანი წარმატებუ-

16 კვლევაში „ურბანული პროტესტი და პოლიტიკა თბილისში“ (2016) აღწერილია წინააღმდეგობის ის შემთხვევები, როდესაც თბილისში სადავო გახდა საჯარო სიკეთეები: კვლევა პირველ შემთხვევად გამოყოფს 2003 წელს „დიღმის ტყე-პარკის“ გასხვისების საკითხის გაპროტესტებას; მოგვიანებით თბილისში პოსტრევოლუციურ პერიოდში ჩამოყალიბდა ძეგლების რეკონსტრუქციით და შენარჩუნებით დაინტერესებული ორგანიზაციები. ერთ-ერთია „ტფილისის ჰამქარი“, ასევე შეიქმნა სამოქალაქო მოძრაობა „პარტიზანი მებაღეების“ სახით.

17 24/04/11 საპროტესტო აქცია ბათუმში, „მაესტრო“, გამოქვეყნების თარიღი 24.04.2011, ბოლო ნახვა 27.10.2017 https://www.youtube.com/watch?v=TXITj0i1MFM

18 06.12.14 „რვაფეხას“ დასაცავი აქცია ბათუმში, „მაესტრო“ გამოქვეყნების თარიღი 06.12.15, ბოლო ნახვა 27.10.17 https://www.youtube.com/watch?v=ycCqD5bOW1k

ლი კამპანია გაიმართა, ბულვარში განაშენიანების გეგმის წინააღმდეგ[19,20].

მოცემული პუბლიკაციისთვის მნიშვნელოვანია, იმსჯელოს ბათუმში წარმართული წინააღმდეგობის შინაარსზე. განიხილება ისიც, თუ რა ხარისხით აქვს საქალაქო პროტესტს ახალი სოციალური მოძრაობის საწყისები, სახე იმგვარი წინააღმდეგობისა, რომელსაც არამატერიალურ სიკეთეებზე აქვს მოთხოვნები, ცდილობს, წინ აღუდგეს ეკონომიკურ არგუმენტებს და წინ სწევს ადამიანის უფლებრივ საკითხებს, ამ შემთხვევაში ბუნებრივი და კულტურული გარემოს შესახებ.

საერთო წუხილი ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვასთან დაკავშირებით

პოლიტიკურ წინააღმდეგობაში ჩართულ პირთა წრე ქალაქის განაშენიანების სათანადო რეგულირებას მოითხოვს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სახით საჯარო სიკეთეების დაცვის აუცილებლობაზე საუბრობს. სხვადასხვა დროს კოლექტიური მობილიზაცია აღინიშნა რეკრეაციულ ზოლში მშენებლობის აკრძალვის, ასევე ისტორიული შენობა-ნაგებობების რესტავრაციისა თუ კონსერვაციის მოთხოვნით. *„გვაცლიან ბავშვობის მეხსიერებას. [დაანგრიეს] სკოლები, ბაღები, სადაც დავდიოდით... განცდა გაქვს, რომ ხარ უცხო ადგილას. დაანგრიეს და კაზინო ააშენეს,“* – ამბობს ერთ-ერთი ბათუმელი აქტივისტი, ქალაქის იერსახის ცვლილების შესახებ.

კულტურული გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის პირველი ინციდენტი (2011 წელს, ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობისას) წარუმატებლად დასრულდა და პარტიულ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებით გადაიფარა, თუმცა მას შემდეგ მოთხოვნები კულტურული და ბუნებრივი გარემოს დაცვის შესახებ პოლიტიკურ ველში საზოგადოებრივმა ჯგუფებმა შეინარჩუნეს. გამორჩეულად იაქტიურეს პროფესიულმა წრეებმა – ექიმების,

19 2015 წლის დეკემბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ „ბათუმის ბულვარის განვითარების კონცეფციის სამუშაო ვერსია (პირველადი ვარიანტი)“ საჯარო პრეზენტაცია მოაწყო. გამოქეყნების თარიღი 18.12.2015, ბოლო ნახვა 27.10.2017 https://www.youtube.com/watch?v=ZDFUr06Zg1Y

20 #სამივე – ბათუმის ბულვარის დასაცავად სოციალურ კამპანიაში ასეულობით ადამიანი მონაწილეობს, amgbebi.ge 20.01.2016, ბოლო ნახვა 27.10.2017 http://www.ambebi.ge/sazogadoeba/153062-samive-bathumis-bulvaris-dasacavad-socialuri-kampaniashi-aseulobith-adamiani-monatsileobs.html

იურისტების, ჟურნალისტებისა თუ თემის ექსპერტების სახით. *„ბოლო პერიოდში იმდენად გამწვავდა ქალაქში სიტუაცია, რომ რაღაც პროცესებს უკვე პროფესიული ეთიკის თვალსაზრისითაც ვერ ავუვლდი გვერდს,“* – ამბობს ერთ-ერთი აქტივისტი, რომელიც პროფესიით ჟურნალისტია. კვლევის სხვა მონაწილე იხსენებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მიერ „საზოგადოება ბათომის“ დაარსებას, რამაც გააერთიანა ისტორიის, არქიტექტურის, სამართლის მცოდნეები.

დამფუძნებელი წევრებისთვის აღნიშნული გაერთიანების მიზანი ჯენტრიფიკაციის წინააღმდეგ პოლიტიკური არგუმენტაციის გაჩენა იყო, რამდენადაც საერთო წუხილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების შესახებ ყოველთვის უგულებელყოფილი იყო პოლიტიკურ ველში სათანადო საცხოვრისისა და სხვა ტიპის მატერიალური კეთილდღეობის შესახებ მოთხოვნების პირისპირ.

> „‘ძველი ბათუმი არ უნდა განდგურდეს“, არის პოეზია, ლირიკა, სადღეგრძელო; მაგრამ, თუკი ინვესტორი მივა მის [ადგილობრივი მოსახლის] სახლში, რა თქმა უნდა [ის თანახმაა], მისი სახლი დაინგრეს; დაინგრეს, მაგრამ ძველი ბათუმი შენარჩუნდეს; 99% ოცნებობს, როდის დაანგრევენ მის სახლს.“ („საზოგადოება ბათომის“ დამფუძნებელი)

„საზოგადოება ბათომისთვის“ პოლიტიკურ არგუმენტაციაში თანადროულად გაჩენილი კრიტიკაა სახელმწიფო მმართველობის სისუსტეები და კერძო ინვესტიციების პრიმატი ქალაქის განვითარების მოდელში. ერთ-ერთი აქტივისტის ინფორმაციით, კერძო საკუთრებისგან განსხვავებით, ქალაქში საჯარო სივრცეების ათვისება ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული: *„კერძოსთან შედარებით, საჯარო სივრცეების ათვისება კიდევ უფრო მარტივია, სახელმწიფოა გამცემი; უფრო იაფიც უჯდება ინვესტორს,“* – ამბობს რესპონდენტი, კორუფციაზე მითითებით და კაპიტალის დომინაციაზე.

კოლექტიური წუხილის საგანია დაბალი კომპეტენცია და ცოდნის დეფიციტი საქალაქო პოლიტიკის დამგეგმარებელ და აღმასრულებელ ინსტიტუციებში. აღნიშნული ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ პოლიტიკური

დისკურსი წინააღმდეგობაში ჩართულთა პროგრესულობას აყენებს ეჭვქვეშ. რესპონდენტები ამბობენ, რომ მათ წინააღმდეგობაზე ისმის ბრალდება რეგრესულობის შესახებ. *„ხომ არ შეაჩერებს ეს ქალაქის განვითარებასო. ქალაქის მასშტაბების გაზრდაში ხედავენ განვითარებას და არა – ისტორიული იერსახის შენარჩუნებაში,“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციიდან, რომელიც ასევე მიიჩნევს, რომ ქალაქის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები ან უგულებელყოფენ იმ ცოდნას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა, ქალაქი ბუნებრივი თუ კულტურული გარემოს დაცვის გზით განვითარებულიყო. ერთ-ერთი ადგილობრივი აქტივისტის თქმით, წინააღმდეგობაში ჩართული პირები, მარგინალიზებას განიცდიან იმის გამო, რომ ხშირად კრიტიკის ობიექტი თავად წინააღმდეგობაა, და არა წინააღმდეგობის საგანი: *„[ინვესტორებისთვის] კანონი არ არის პრობლემა, ხალხი არაა პრობლემა, მთავრობა არაა პრობლემა, აი ეს ხალხია [აქტივისტებია] პრობლემა“.*

იგივე რესპონდენტი ასევე იხსენებს წარსულ შემთხვევებს, როდესაც მოსახლეობის დაბალ ინფორმირებულობასა და წინააღმდეგობის სისუსტეზე გათვლით იყო საინვესტიციო პროექტები შეთანხმებული სახელმწიფო დონეზე:

> „ვიღაც ბობოლას ჰქონდა განცდა, რომ ამ ხალხს [ბათუმის მოსახლეობას] არაფერი არ ესმის, ამ ხალხის იგნორირება შესაძლებელია. ძალიან ბევრ დონეზე იყო [ბულვარის კომერციული მიზნით განაშენიანების გეგმა] შეთანხმებული“.

შესაბამისად, მოთხოვნებს საქალაქო განვითარების რეგულირების შესახებ კონკრეტული შინაარსი აქვს: ის უპირისპირდება საზოგადოებრივ ინტერესზე კერძო ინვესტორების ინტერესთა პრიმატს, გამოდის ჯენტრიფიკაციის წინააღმდეგ და საუბრობს სახელმწიფო უწყებებში კომპეტენციის ნაკლებობასა და კორუფციაზე.

წინააღმდეგობის პოლიტიკის შესაძლებლობები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისას

წინააღმდეგობის პოლიტიკის წარმოებისთვის მნიშვნელოვანია „საზოგადოება ბათომის“ მცდელობები, რომ დროში განგრძობითად შეინარჩუნოს უფლებადაცვითი დისკურსი საჯარო პოლიტიკაში, მოიპოვოს მხარდაჭერა ადგილობრივ მოსახლეთა შორის და განავრცოს კულტურული გარემოსდაცვითი მოთხოვნები ფართო მასებზე.

წინააღმდეგობის შენარჩუნების გზები

წინააღმდეგობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი იყო აქტივისტთა გაერთიანების „საზოგადოება ბათომის“ შექმნა, რათა ყოველი მომდევნო სტიქიური (სპონტანური და ლიკვიდური) საპროტესტო გამოსვლის დროს უფლებრივი საკითხები პოლიტიკურ ველში ხელახლა გააქტიურებულიყო. „საზოგადოება ბათომში“ პასუხისმგებლობას გრძნობენ იმასთან დაკავშირებით, რომ საერთო წუხილის საჯაროდ არტიკულირების ყველა მომდევნო შემთხვევაში მასმობილიზაციის ინციდენტები კულტურულ მემკვიდრეობაზე მსჯელობის საბაბი იყოს, თუმცა ცოდნისა და პოლიტიკური ინოვაციების დეფიციტი წინააღმდეგობის მთავარი დანაკლისია დღეს.

2011 წელს, ბულვარში განაშენიანებასთან დაკავშირებული საპროტესტო გამოსვლებისა და „საზოგადოება ბათომის“ ჩამოყალიბების შემდეგ, შესაძლებელი გახდა საჯარო სიკეთეების გასხვისებისა და კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფის საკითხების პოლიტიზება მობილიზების სხვა კერებშიც. *„გადავარჩინოთ რვაფეხა, ძველი ბათუმი, ბულვარი – თითქმის ერთი და იგივე [მოთხოვნა იყო], ერთი ჯგუფი შევიქმენით სხვადასხვა საზოგადოებისა თუ ინდივიდებისგან შეკრებილი,“* – ამბობს „საზოგადოება ბათომის“ ერთ-ერთი წევრი. საერთო წუხილის საგანი გახდა სხვადასხვა ეტაპზე ასევე: სსრკ სახალხო არტისტის, ოდისეი დიმიტრიადის სახლის დანგრევა ბარათაშვილის ქუჩაზე; ფოსტის შენობის ხელყოფა; ასწლოვანი მაგნოლიის მოჭრის მცდელობა და საბჭოთა პერიოდის სკოლის შენობების დანგრევა ქალაქის ცენტრალურ უბნებში.

იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი და კულტურული გარემოს შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიზება აქტივისტთა პასუხისმგებლობაა, ცხადყოფს ისიც, რომ მაღალია მედიაორგანიზაციების ინტერესი,

მოისმინონ შეფასებები ამ გაერთიანების წევრებისგან. *„ყველაფერზე ჩვენ გვირეკავენ და გვეკითხებიან: „ამას [ბუნებრივი ან კულტურული გარემოს ხელყოფის რომელიმე ფაქტს] თქვენ აპროტესტებთ?“* – იხსნებს ერთ-ერთი აქტივისტი აჭარის რეგიონში ასწლოვანი ხეების გადარგვის ინციდენტს.

წინააღმდეგობის პოლიტიკის კიდევ ერთი კომპონენტია პოლიტიკური ცნობიერების გავრცობა ფართო საზოგადოებაში წარსულ შემთხვევებზე რეფლექსიის გზით. წარსულში კომერციული დაწესებულების (სასტუმროს) მშენებლობისთვის ბულვარის ტერიტორიის ათვისება პოლიტიკური დებატის საგანი არც გამხდარა, რის შესახებაც მსჯელობის განახლების საჭიროებას ხედავს ერთ-ერთი რესპონდენტი:

> „ინფორმაციაც არ გვქონდა: რახან ხუთვარსკვლავიანი [სასტუმრო შენდებოდა] და ინტურისტის მერე პირველი საერთაშორისო [სასტუმრო იყო] – პროვინციელი რომ ხარ, ისე უყურებ. იმხელა პიარი ჰქონდა, „თეთრი მაგნოლია“ დაარქვეს. ბრჭყვიალა კანფეტივით მოგვაწოდეს და ჩვენ ვჭამეთ.“

მიუხედავად ამისა, დღემდე, აქტივისტები საუბრობენ ცოდნის ნაკლებობაზე, რომლის შევსებასაც საჭიროებენ:

> „„საზოგადოება ბათომი“ ახერხებდა მოგვეწვია ხელოვნებათმცოდნეები თბილისიდან – რათა რჩევა მოეცათ, რა უნდა მოგვეთხოვა მთავრობისგან სამართლებრივად. გვეუბნებოდნენ, შეგიძლიათ, მოითხოვოთ კონსერვაცია. მერე ჩვენ თვითონ ვერკვეოდით, რა იყო ეს ტერმინი, რას ნიშნავდა“.

თუმცა ქალაქის ალტერნატიული განვითარების შესახებ ცოდნის დეფიციტი, ხანდახან, წინააღმდეგობის სისუსტედ არ არის მიჩნეული იმ მიზეზით, რომ სუსტი სახელმწიფო მმართველობა გამორიცხავს შესაბამისი ინსტიტუციებიდან კონტრარგუმენტს: *„რაღაცეებში გარკვევა გვიწევს, k1, k2, დახრები. ვმეცადინეობთ, მაგრამ თვითონ იმდენად მოუმზადებლები არიან, რომ ჩვენი ეს დილეტანტური მომზადებაც საკმარისია, რომ წი-*

ნააღმდეგობა გავუწიოთ და ვუთხრათ ამ კანონს ნუ არღვევთ," – ამბობს რესპონდენტი.

პოლიტიკური წინააღმდეგობის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა აქტივიზმში ჩაბმულ პირთა დროითი და ფინანსური რესურსის სიმწირე. „საზოგადოება ბათომის" ერთ-ერთი წევრი ამბობს: *„არ გვაქვს ფინანსები, გრანტი. [წინააღმდეგობა] არის მოხალისეობრივი... არც მთლად აქტივიზმია და არც ადვოკატირება – შერეულია."* გარდა ამისა, დროითი რესურსების სიმწირის გამო, რიგ შემთხვევებში პოლიტიკური აქტივიზმი პროფესიულ საქმიანობასთან დისტანცირებას გულისხმობს, მისთვის ნაკლები დროის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა. როდესაც აქტივისტები თავიანთ პროფესიულ საქმიანობას შორდებიან, ეს წინააღმდეგობრივ რეპერტუარს პოლიტიკის კეთების ტრადიციულ გზებთან აახლოებს და ვერ ითავსებს მის ინოვაციებს: რესპონდენტები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც უფლებადამცველთა აქტივი პარტიული პოლიტიკის მიერ იქნა სეთვისებული, როდესაც 2011 წლის საპროტესტო გამოსვლებში მონაწილე პირთა გარკვეული წრე აქტივიზმის შემდეგ სახელისუფლებო გუნდში დასაქმდა.

შესაბამისად, „საზოგადოება ბათომი" ახერხებს, იყოს ერთადერთი ჯგუფი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მოთხოვნით საჯარო პოლიტიკაში მონაწილეობს – თუმცა გამოწვევად რჩება ის, რომ „ბათომის" წევრებმა პოლიტიკა პარტიული სიების მიღმა აწარმოონ და პროფესიონალებს შორის აქტივისტები შეინარჩუნონ.

წინააღმდეგობის გავრცობის შესაძლებლობები და გამოწვევები

როგორც აღინიშნა, პოლიტიკური წინააღმდეგობის გავრცობას ეტაპობრივად ახერხებს საზოგადოებრივი მოძრაობა. მოსახლეობაში მოტივაციის გასაზრდელად ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მიღწევები და ის შედეგი, რომ მედიახილვადობა თემის გარშემო დროდადრო უფრო მაღალია და სენსიტიური. თუმცა პოლიტიკურ წინააღმდეგობაში ჩართულ პირთა რაოდენობა მცირეა: კოლექტიური წუხილის მიუხედავად, ეთიკური საკითხებისა და მატერიალური ინტერესის გამო, პროტესტის საჯაროდ არტიკულირება იშვიათია.

კვლევაში მონაწილე აქტივისტები საუბრობენ პოლიტიკური მიღწევების შესახებ, რამაც მომხრეთა ერთობა და სიმტკიცე შეინარჩუნა. მათი თქმით,

ესენი იყო: „რვაფეხას“ კონსერვაციის პროექტზე მუშაობის დაწყების დაპირება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში გადამწყვეტ პოზიციებზე დასაქმებულ მოხელეთა ცვლა; ბულვარის მოდერნიზაციის გეგმის გადავადება/გაუქმება.

ასევე, წინააღმდეგობის ერთ-ერთი პოლიტიკური შედეგია პრობლემურ საკითხზე მედიახილვადობის გაზრდაც. ადგილობრივის გარდა, ეროვნულ მედიასაშუალებებამდე ბათუმის ურბანულმა პროტესტმა რამდენიმე შემთხვევაში მიაღწია. გარდა ამისა, პოლიტიკური წინააღმდეგობის მიღწევაა ისიც, რომ ურბანული პროტესტის მიმართ დროდადრო შეიცვალა მედიაორგანიზაციების პოლიტიკა. საკითხის გაშუქებას თვისებრივად განსხვავებული სახე აქვს და აქცენტირებული მოთხოვნები – მეტი რეგულაციისა და საჯარო სივრცის დაცვის შესახებ აღარ არის მარგინალიზებული. *„მედია არის დღეს გაცილებით ადექვატური იმ რეალობის, რაც არის ქალაქში. მედიას აქვს სწორი რეაქცია, სწორი პოზიციონირება,“* – ამბობს რესპონდენტი.

თუმცა წინააღმდეგობის გავრცობის შესაძლებლობებს ასუსტებს ის გარემოება, რომ საერთო წუხილის შესახებ საჯაროდ პოზიციონირების მოსურნეთა რაოდენობა მაინც დაბალია, ეთიკური თუ პირადი მატერიალური ინტერესების გამო: *„როცა ეტყვი, ერთად დავდგეთ, გეუბნება, არა, კაცო, აქ ვერ დავდგები, ეს პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს, მანდ დგომა ინტრიგნობაა.“* აქვე აღნიშნავენ, რომ პროტესტის რადიკალიზება სრულებით არ ქმნის წინააღმდეგობის გავრცელებისთვის დადებით დინამიკას: *„ამ ქალაქში არ მუშაობს აგრესიული აქციები. შევვარდით, ავვარდით, გავტეხეთ, ეგ არ არის. პირიქით – დიდი დარწმუნების ხარჯზე ხდება ადამიანების მობილიზება.“* მეორე მხრივ, მოსახლეობის ფართო სეგმენტში წინააღმდეგობის გავრცობას უშლის ხელს ნდობის დეფიციტიც. რესპონდენტების თქმით, პოლიტიზებული თემა ავტომატურად აჩენს კითხვებს მოქმედ აქტორთა როლზე ძალაუფლებრივ სტრუქტურებში. *„[მართულობის არგუმენტმა] ეჭვები დაბადა აქტივისტების მიმართაც ზოგადად; „ვიღაც ამათ იყენებს“ – ამის გამოც არ გამოდის ხალხი გარეთ,“* – შენიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

შესაბამისად, პოლიტიკური წინააღმდეგობის პერსპექტივები დადებითია, რამდენადაც წარმატების მიღწევის მაგალითები არსებობს, თუმცა

გამოწვევად რჩება სოლიდარობის საფუძველზე საპროტესტო მოძრაობების გაზრდა და გავრცობა.

წინააღმდეგობის რეპერტუარი

მოთხოვნებს კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად სამოქალაქო კამპანიებისა და სამართლებრივი ადვოკატირების სახე აქვს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები გამოყოფდნენ ორი ფართომასშტაბიანი სამოქალაქო კამპანიის შემთხვევას წარსულიდან და აქტივიზმის შედარებით გვიანდელ და მიმდინარე ლეგალისტურ პრაქტიკას.

სამოქალაქო კამპანიები

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ორმა ფართომასშტაბიანმა სამოქალაქო კამპანიამ შეძლო, ერთ შემთხვევაში „სამი ზოლის“, მეორე შემთხვევაში კი „რვაფეხას“ მონუმენტის გადასარჩენად.

„საზოგადოება ბათომისთვის“ პოლიტიკური წინააღმდეგობის გავრცობისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო „სამი ზოლის“ სახელით ცნობილი მედია და სოციალური კამპანია ძველ ბულვარში სამი სავალი ბილიკის დასაცავად.

> „სტანდარტული აქციის სახე არ ჰქონდა. ვიდექით, ერთმანეთს ვესაუბრებოდით. ინტერვიუებს ვიძლეოდით. პირდაპირი ჩართვები იყო. სოციალურ ქსელებში ვგეგმავდით ამას. ყველა თავის მეგობრებს პატიჟებდა. ფლაირებს ვბეჭდავდით. ქუჩაში გამვლელებს ვაძლევდით, კაფეებში ბარებში შევდიოდით.“ („საზოგადოება ბათომის“ წევრი)

თუმცა კვლევაში მონაწილე პირები იმასაც აღნიშნავენ, რომ მასმობილიზაციას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, აერთიანებდა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და სუბკულტურებს, „საზოგადოება ბათომის“ მიერ გაწეულ საორგანიზაციო კონტრიბუციას კი მხოლოდ კომპლემენტარული როლი ჰქონდა. ერთ-ერთი რესპონდენტი წინააღმდეგობაში დროებით და ახლად გააქტიურებული იმ პირების შესახებ იხსენებს, ვისი საპროტესტო კამპანიაში მონაწილეობის ხარისხიც „საზოგადოება ბათომის“ წევრთა ინტენსივობის მსგავსი არ ყოფილა მომდევნო წლებში:

„იყო უნდობლობის მომენტი, იყო აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენ მეტი გამოცდილება გვქონდა მთავრობასთან, მერიასთან ურთიერთობის, იმათ [სხვა აქტივისტებს] ნაკლები. თუმცა 25 კაცი შევიკრიბეთ და მივაღწიეთ ერთიან გადაწყვეტილებებს. შევათანხმეთ და ჩავუშვით მერე ეს სამი ზოლის კამპანია.“

„სამი ზოლის“ სამოქალაქო კამპანიის მასშტაბურობაზე საუბრისას ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავდა პარტიული პოლიტიკისგან დისტანცირების მნიშვნელოვნებას:

„თავიდან რომ [ბულვარის დაცვის] საინიციატივო ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ – არაპოლიტიკური იყო – ამას ხაზი უნდა გაესვას. ჩვენ პირველი, რაც ვთქვით – არანაირი პოლიტიკა. შეიძლება, პარტიიდანაც მოვიდნენ ადამიანები, მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ვიდექით, აფიქსირებდნენ უბრალოდ მოქალაქეობრივ აზრს... საკუთარ აზრს გამოხატავდნენ, არა რომელიმე პოლიტიკური დროშის ქვეშ.“

პოლიტიკური წინააღმდეგობის რეპერტუარში კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით საჯარო პოლიტიკის ხარვეზულობის გამოაშკარავების მომდევნო მცდელობა უკავშირდებოდა მოთხოვნებს „რვაფეხას“ მონუმენტის შენარჩუნებასა და რესტავრაციასთან დაკავშირებით.

კვლევაში მონაწილე პირები საუბრობდნენ, რომ კამპანიებმა მასმობილიზაციის სახით გადამწყვეტი როლი ითამაშა ყველა ინციდენტის შემთხვევაში.

საჯარო პოლიტიკის ცვლილებების ადვოკატირება

2011 წელს საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეები ბულვარის სამი ზოლის დასაცავად მოითხოვდნენ ცვლილებებს საჯარო პოლიტიკაში, რომლის მიხედვითაც, განისაზღვრებოდა და დარეგულირდებოდა იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა აგებაც დასაშვები გახდებოდა ბათუმის ბულვარში. ისინი მოითხოვდნენ, გადაწყვეტილებები ყოფილიყო საჯარო და გამოკითხვებზე დაფუძნებული. მოგვიანებით ექსპერტთა

დაახლოებამ თბილისიდან განსაზღვრა წინააღმდეგობის ახალი დღის წესრიგიც ბულვარის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციასთან დაკავშირებით. მოქალაქეებმა შეიმუშავეს პეტიციაც და ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ბულვარის დაცვის საინიციატივო ჯგუფი აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელის გადადგომასაც მოითხოვდა, ვის თანამდებობრივ ცვლილებასაც, სხვა შედეგებთან ერთად, მიაღწიეს.

ბულვარის გადასარჩენად წარმოებული კამპანიის შემდეგ წინააღმდეგობაში ჩართული ადამიანები ქალაქის განვითარების რეგულირებისთვის მთავრობის მიერ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას მოითხოვენ. *„ინდივიდუალურად ეს [კულტურული მემკვიდრეობის] ძეგლები ქრება ჩვენი ქალაქიდან, შეუძლებელია ინდივიდუალურად ამ შენობების გადარჩენა“* – ამბობს რესპონდენტი. ამასთან აქტივისტები საუბრობენ ლეგალისტური წინააღმდეგობის მნიშვნელობაზე იმ პირობებშიც, როდესაც არ გააჩნიათ საკანონმდებლო ჩარჩოს რევიზიისთვის საჭირო რესურსი (კომპეტენცია). *„[ალტერნატიულ განვითარებაზე] მსჯელობა ჩიხში შეგვიყვანს, ჩვენ არ ვართ პროფესიონალები, ჩვენ უბრალოდ ვიცით, რა წერია კანონში,“* – ამბობს „საზოგადოება ბათომის“ წევრი ლეგალისტური წინააღმდეგობის მნიშვნელობაზე.

პოლიტიკის ადვოკატირების ერთ-ერთი გზაა არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსის გამოყენებაც, იმ შემთხვევებში, როდესაც დონორი ორგანიზაციების მანდატი და საქმიანობის სფერო არ ითვალისწინებს კონკრეტული პოლიტიკის შინაარსზე მუშაობას და ლობირებას. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს პირად წარმატებას იმასთან დაკავშირებით, რომ თვითმმართველობის პროექტზე მომუშავე ორგანიზაციაში ქალაქის იერსახისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხების გააქტიურება მოახდინა.

ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად წარმოებულ აქტივიზმს, „საზოგადოება ბათომის“ საშუალებით, საკითხზე პროაქტიულად მუშაობის ინტერესი და შესაძლებლობა აქვს. ერთი მხრივ, სამოქალაქო კამპანიების გზით ცდილობს, არასათანადო განვითარების პროექტებზე საკუთარი რეაქცია დააფიქსიროს, მეორე მხრივ კი, ადვოკატირების გზით – ქალაქის განვითარების პოზიტიური ალტერნატივები გააჩინოს.

4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დასაცავად გაჩენილი სოციალური პროტესტი (საყდრისი–ყაჩაღიანის შემთხვევის ანალიზი)

2013-2014 წლებში ქალაქ ბოლნისში წიაღისეულის მასშტაბური მოპოვებითი სამუშაოების შესრულების სურვილს სამოქალაქო წინააღმდეგობა მოჰყვა, დაბა კაზრეთში სალიცენზიო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის საყდრისი-ყაჩაღიანის შენარჩუნების მიზნით. საკითხის პოლიტიზებაში აქტიური როლი ითამაშა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფმა, რომლებიც სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც ახერხებდნენ საჯარო წუხილის დაფიქსირებასა და კოლექტიურ მობილიზაციას წინარე პერიოდებში.

კვლევაში განხილულია ორგანიზებული წინააღმდეგობის ის შემთხვევა, რომელიც ინციდენტის ამოწურვის შემდეგ ლიკვიდირდა. გარდა ამისა, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოცემული შემთხვევა გაანალიზდება, როგორც შემთხვევა, სადაც დაცვის ობიექტი აქტივისტების ფიზიკურ ადგილსამყოფელს დაშორებული პერიფერიული რაიონი იყო. დამატებითი მსჯელობის საგანი იქნება ის ფაქტიც, რომ დაბა კაზრეთში ადგილობრივ მოსახლეობასა თუ საკითხით დაინტერესებულ სხვადასხვა აქტივისტურ ჯგუფს შესაძლოა, კონფლიქტური ინტერესებიც ჰქონოდათ.

მოცემული თავი იმსჯელებს იმის შესახებაც, რომ წინააღმდეგობა ძეგლის დასაცავად განსხვავებული ფორმებით წარიმართა და გულისხმობდა როგორც სამართლებრივ ადვოკატირებას, ისე სოციალურ კამპანიას, სივრცეების ფიზიკურად დაკავებისა და მედიაში ალტერნატიული დისკურსის გაჩენას.

წინააღმდეგობაში მონაწილე ჯგუფები

წიაღისეულის მომპოვებელ კომპანია „RMG Gold"-ს, 2009 წელს მოპოვებული სალიცენზიო პირობების მიხედვით, ერთ-ერთ უბანზე, სადაც ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არსებობდა, მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების შესაძლებლობა შეზღუდული ჰქონდა[21]. 2013 წლის 28 მაისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 18-კაციანი კომისია შექმნა, რომლის დასკვნაც[22], მოგვიანებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობის საფუძველი გახდა და ხანგრძლივვადიანი წინააღმდეგობის მოძრაობა დაბადა[23].

რამდენიმე ხელოვნებათმცოდნისა და არქეოლოგის დახმარებით, საკითხის მნიშვნელოვნება პირველად მწვავედ დაისვა საუნივერსიტეტო სივრცეში. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იკრიბებოდნენ პროფესიული წრეების წარმომადგენლები და აქტივისტსტუდენტთა ჯგუფები. აღნიშნულ სივრცეში საკითხის პოლიტიზების მნიშვნელოვნება სტუდენტებს შორის განისაზღვრა მემარცხენე და მწვანე იდეოლოგიური პლატფორმების გარშემო. დამატებითი წვლილი მემარცხენე აქტივიზმთან ერთად ითამაშა კულტურული გარემოს დაცვის სამართლებრივი გზებით ადვოკატირებამ. წინააღმდეგობის შემდგომ ეტაპებზე საპროტესტო გამოსვლის ორგანიზატორთა შორის იყვნენ რელიგიური ორგანიზაცია „დავითიანის" წევრებიც; ასევე, აქტიურობდა პარტია „პატრიოტთა ალიანსი" და შედარებით მარგინალური პოლიტიკური ჯგუფი, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერების სახით. დაბოლოს, თბილისის გარდა, საკითხი გააქტიურდა ადგილობრივ მოსახლეობაშიც, რომელთა ნაწილიც „RMG Gold"-ში მშრომელთა გაფიცვაში მონაწილეობის პარალელურად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნებას მოითხოვდა.

ისტორიული ძეგლის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით ვითარება 2013-2014 წლების პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა. 2014 წლის

21 „საყდრისი-ყაჩაღიანი კულტურული მემკვიდრეობიდან ოქროს თანამედროვე მოპოვებამდე" (06/2014), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 <https://goo.gl/cvz4qe>

22 Ibid.

23 Ibid.

13 დეკემბერს ძეგლისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის გაუქმებით, კაზრეთში სამუშაო ადგილების შენარჩუნების დაპირებით და კომპანიისთვის ფართომასშტაბიანი მოპოვებითი სამუშაოების უფლების მინიჭებით დასრულდა[24].

ნიშანდობლივია, რომ პირველად ახალგაზრდულმა გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ, „მწვანე მუშტმა“, სცადა საკითხის სოციალური და ეკონომიკური შინაარსი გაეხადა პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი. მან 2013 წლის 20 ივლისს ორგანიზებულ ქუჩის საპროტესტო გამოსვლაზე რესურსების რაციონალური გამოყენების საჭიროება დააყენა მთავარ პოლიტიკურ საკითხად.[25] გარდა ამისა, 2014 წელს „მწვანე მუშტმა“ მშრომელთა საერთაშორისო დღეს პირველი მაისის გამოსვლა მოაწყო დაბა კაზრეთში იმის ხაზგასასმელად, რომ კაზრეთში მშრომელთა უფლებების დაცვა და სამუშაო ადგილების შენარჩუნება საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის გადარჩენასთან კონფლიქტურ ინტერესს არ წარმოადგენდა. ამ უკანასკნელმა პოლიტიკურმა მოწოდებებმა მიიმხრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა ორგანიზაცია „ძეგლის მეგობარიც“. *„პოლიტიკური სარჩულის დადება ჰუმანიტარებს ძალიან გვიჭირს. და რატომღაც კულტურული მემკვიდრეობის საკითხები პოლიტიკისგან განყენებულად მოიხსენიება,“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც „ძეგლის მეგობრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო და მიიჩნევს, რომ „მწვანე მუშტთან“ თანამშრომლობის გზით შეძლო ჰუმანიტარული ფაკულტეტის საუნივერსიტეტო რესურსის სწორად გამოყენება პოლიტიკური წინააღმდეგობის გავრცობისა და გაძლიერებისთვის. თუმცა შეუძლებელი გახდა ძეგლის დამცველთა შორის ყველა იმ მემარცხენე ჯგუფის გაერთიანება, რომელიც წინა პერიოდში ბოლნისში შრომის პირობებთან დაკავშირებულ წუხილზე მუშაობდა „RMG Gold“-ში დასაქმებულებთან. *„რატომღაც, როგორც ხდება ხოლმე მემარცხენე ჯგუფებში... სოციალურ უფლებებზე კი ბატონო, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე ესეთი ის [წინააღმდეგობა] არ ჰქონია, რომ*

24 „საყდრისი-ყაჩაღიანის აფეთქებიდან ერთი წლის შემდეგ ბევრი კითხვა კვლავაც პასუხგაუცემელია“ 13.12.2015, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 https://gyla.ge/ge/post/saia-saydrisi-yachaghianis-afetqebidan-erti-tslis-shemdeg-bevri-kitkhva-kvlavac-pasukhgaucemelia#sthash.NxKkdxHR.jUo8MYTQ.dpbs

25 პეტიცია „არა „რესურსების მაქსიმალური ათვისების“ პოლიტიკას“, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 https://ka.petitions24.com/ara_resursebis_maqsimaluri_atvisebis_politikas

ვთქვათ, რომ ეს ძეგლია [და დაცვას საჭიროებს]," – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი იმათ შესახებ, ვინც დაბა კაზრეთში „RMG Gold"-ის წინააღმდეგ მხოლოდ შრომის უფლებრივ საკითხებზე მუშაობით შემოიფარგლა და უგულებელყო მისი დანაშაულებრივი ქმედებები კულტურული მემკვიდრეობის განადგურების მცდელობებისას.

გარდა გარემოსდაცვითი მემარცხენე პოლიტიკისა, საკითხი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის ჭრილშიც დასვა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ". სტრატეგიული სამართალწარმოების გზით „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" სამართლებრივი დავა წამოიწყო. 2014 წლის 30 მაისს მოსარჩელეების მიერ საქმის მოგების შემდეგ კომპანიას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საყდრისი-ყაჩაღიანში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით სამუშაოების წარმოება აეკრძალა[26].

ამავე პერიოდში წინააღმდეგობას ეწეოდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებული პროფესიონალებიც. არქეოლოგთა და ხელოვნებათმცოდნეთა გარკვეულმა წრემ საკითხისგან დისტანცირება გადაწყვიტა, თუმცა სხვებმა ღიად დაადანაშაულეს მთავრობა არასამართლიანი, უკანონო გადაწყვეტილების მიღებაში. კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი ხელოვნებათმცოდნე იხსენებს:

> „ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც კულტურის კონცეფციაზე ვმუშაობდი, საყდრისს მოუხსნეს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. რამდენადაც შიგნით ინსტიტუციაში ვიყავი, გავაპროტესტე, როგორც ერთ-ერთმა წევრმა ექსპერტთა ჯგუფისა."

წინააღმდეგობის შემდგომ ეტაპებზე გააქტიურდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებიც, ვისთვისაც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისა თუ ეროვნული ღირსების შელახვის მიზეზით მნიშვნელოვანი გახდა წინააღმდეგობაში ჩართვა. ერთ-ერთი მათგანი, პროფესიით ჟურნალისტი, იხსნებს:

26 „საყდრისი-ყაჩაღიანი კულტურული მემკვიდრეობიდან ოქროს თანამედროვე მოპოვებამდე" (06/2014), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ბოლო ნახვა 25 სექტემბერი, 2017 https://goo.gl/cvz4qe

„ეხლა ჩემს ესეთ გამცდილებაში რო ვთქვათ, უკვე 3 ომია, ანუ ნებისმიერი ომი, რაც საქართველოში ყოფილა 92 წლის შემდეგ. ...ყოველთვის ვფიქრობდი, რომ რაღაც კიდევ ჩემი ძირითადი საქმიანობის გარდა უნდა მეკეთებინა, რაღაც ხარკი ხომ აქვს ადამიანს, რომელიც ქვეყნის გამო უნდა გაიღოს, და ეს იყო ჩემი მოხალისეობა.“

ასევე, რესპონდენტების ინფორმაციით, წინააღმდეგობაში მონაწილე აქტივისტებს შორის იყვნენ შედარებით მარგინალური პოლიტიკური ჯგუფებიც, ვისთვისაც მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის განახლება. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ, „პატრიოტთა ალიანსის“ გარდა, ჩანდნენ ზვიად გამსახურდას მომხრეები:

„იყვნენ ქალები, „ზვიადისტები“, რომლებსაც ჰქონდათ სამოქალაქო აქტივიზმის ძალიან დიდი მუხტი დაგროვილი. სულ ძალიან აქტიურები იყვნენ. მუდმივად უნდოდათ, ეთერში ყოფილიყვნენ. ის საზოგადოება შეიკრიბა, რომელიც იყო ფრუსტრირებული თავიანთი სამოქალაქო ცხოვრებით და უნდოდათ, რაღაც შეექმნათ. რაც ცუდი არ არის.“

დაბოლოს წინააღმდეგობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა „RMG Gold“-ში დასაქმებულ მშრომელთა ის ნაწილიც, ვინც ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესით გამოდიოდა. წინააღმდეგობაში ჩართულთა ეს წრე აპროტესტებდა როგორც შრომის არასათანადო პირობებს და უსამართლო დათხოვნას, ისე ამ ობიექტის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიან სამუშაოებს.

საბოლოო ჯამში ინციდენტმა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური წინააღმდეგობა დაბადა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფებს შორის კოორდინაციამ და კონფლიქტმა.

წინააღმდეგობის რეპერტუარი

მოცემულ წინააღმდეგობაში მთავარ ორგანიზებული სტრუქტურა იყო ე.წ. „საყდრისის დაცვის კომიტეტი“, რაც ჰეტეროგენული ჯგუფების გაერთიანების მცდელობას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანება არ აღმოჩნდა მდგრადი, „საყდრისის დაცვის კომიტეტმა“ დიდი როლი ითამაშა კონკრეტული გეოგრაფიული არეალის დაცვასა და ობიექტის მეთვალყურეობაში.

„საყდრისის დაცვის კომიტეტის“ დაფუძნება

მობილიზაციის სტრატეგიებს შორის აღსანიშნავია ე.წ. „საყდრისის დაცვის კომიტეტის“ შექმნა, რომლის იდეაც საორგანიზაციო მიზნებით განსხვავებულ პირთა ჯგუფების შეკავშირება იყო. კომიტეტისთვის ერთჯერადი შეხვედრების სივრცედ განისაზღვრებოდა სხვადასხვა დაწესებულება თბილისში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მხარდამჭერი ორგანიზაციების ოფისები) და რამდენიმე კარავი დაბა კაზრეთში ორგანიზებულ ბანაკში. აღნიშნულ ბანაკს მატერიალურად უზრუნველყოფდა მართლმადიდებლური რელიგიური ორგანიზაცია „დავითიანი“.

„ბევრი ვიყავით, ვიკრიბებოდით, მერე კონფლიქტამდე მივდიოდით და ვიშლებოდით,“ – იხსენებს ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის წევრობა ბევრმა ჯგუფმა არ ისურვა, დაბა კაზრეთში პროტესტის მონაწილეთა გარკვეული რაოდენობის შენარჩუნება მთელი წლის განმავლობაში, ობიექტის საბოლოო განადგურებამდე, კომიტეტმა უზრუნველყო. მაგალითად, სასამართლო განჩინების შემდეგ, რომლის მიხედვითაც, 2014 წლის მაისში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით ძეგლის ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოება დროებით შეჩერდა, აქტივისტთა დიდ ნაწილში წინააღმდეგობამ პასიური სახე მიიღო. ასეთ დროს საყდრისი-ყაჩაღიანის სიახლოვეს მდგარ ბანაკებში მაინც რჩებოდნენ კომიტეტის წევრები მათ შორის – ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი და რელიგიური სიწმინდეებისა თუ ეროვნული ღირსების დაცვის მოტივით წარმოდგენილი ჯგუფები.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ფილოსოფიის მქონე გარემოსდამცველ, ხელოვნებათმცოდნე თუ ლიბე-

რალ აქტივისტებს ჰქონდათ მცდელობა, წინააღმდეგობა პოლიტიკური გარდაქმნების საფუძველი გამხდარიყო (გამჭვირვალე მართლმსაჯულებისა თუ რესურსების რაციონალური ათვისების თვალსაზრისით), მათივე შეფასებით, ამავე ჯგუფებმა ვერ შეძლეს კამპანიის ორგანიზებისთვის მყარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა როგორც მხარდამჭერების მობილიზებაზე, ისე პროტესტის შინაარის განსაზღვრაზე. *„ჩვენ მანდ სისტემა არ ვყოფილვართ. სისტემა იყვნენ ისინი [„საყდრისის დაცვის კომიტეტი“],“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი იმის შესახებ, თუ რატომ შეძლო ნაციონალისტურმა თუ სხვა შინაარსის მოტივებმა სოციალური პროტესტის ორგანიზებასა და მოსახლეობის მობილიზებაში იმაზე უფრო ძლიერი როლის შესრულება, ვიდრე საკითხის გარშემო მეტად ინფორმირებულმა პროფესიულმა წრეებმა და პოლიტიკური ცვლილებების ინტერესის მქონე ჯგუფებმა.

ტერიტორიული წინსვლის პრიორიტეტულობა

აღნიშნული წინააღმდეგობის მოძრაობისთვის ბრძოლას ტერიტორიული ხასიათიც ჰქონდა. აქტივისტებმა წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო ტერიტორიაზე მოხვედრილი საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის ფიზიკური გადარჩენისთვის მიმდებარე სივრცეის დაკავება მნიშვნელოვან სტრატეგიად მიიჩნიეს. მათი თვალსაზრისით, ბრძოლა მეტი ინფორმაციისა და მონაწილეობისთვის ტერიტორიულ წინსვლას საჭიროებდა. პიკეტირების პროცესში რესპონდენტების მიერ მნიშვნელოვან ქმედებად არის მოხსენიებული „ტერიტორიული წინსვლები“ და სათვალთვალო კოშკის განთავსება ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამორჩეულ მომენტად აღინიშნა რესპონდენტების მიერ ე.წ. ცოცხალი ჯაჭვის ორგანიზების შემთხვევაც, როდესაც დაბა კაზრეთში ჩასულმა აქტივისტებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის გარშემო, მისი დაცვის სიმბოლიზებისთვის, წრე შეკრეს.

წინააღმდეგობაში ჩართულ ჯგუფებს შორის გაერთიანების სირთულეები

წინააღმდეგობის წევრებს შორის კონფლიქტური ინტერესები წარმოიშვა სხვადასხვა ნიადაგზე: ერთი მხრივ, გაჩნდა სურვილი, რომ სამოქალაქო აქტივიზმი გამიჯნულიყო იმ პოლიტიკური ფილოსოფიისგან, რომელიც ფართო სოციალურ-ეკონომიკური ჩაგვრის ჭრილში ხედავდა კონფლიქტს და მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის სისუსტეებზე ესაუბრა ან – მხოლოდ რელიგიური სიწმინდეების დაცვის საჭიროებაზე. კონფლიქტური იყო ლიბერალური ჯგუფების მოთხოვნაც, რომ წინააღმდეგობა გამიჯნოდა რელიგიურ-ტრადიციონალისტურ და კონსერვატიული პოლიტიკური შეხედულებების მქონე გაერთიანებებს. დამატებით, კომპანიისა და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან კონფლიქტურ ინტერესად წარმოჩინდა, ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობისა და მშრომელების ინტერესი, კომპანიას ჰქონოდა საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი მოპოვებითი საქმიანობის უფლება (დასაქმების ადგილების შენარჩუნების მოტივით), და მეორე მხრივ, კულტურული და ბუნებრივი გარემოს დამცველების მოთხოვნა, ძეგლის დაცვისა და რესურსების რაციონალური ათვისების შესახებ.

გაერთიანების შეზღუდვებზე საუბრისას კვლევა ასევე გამოყოფს ნდობის დეფიციტის საკითხს, რამაც ჯგუფებს შორის კოალიცია შეუძლებელი გახადა. დაბოლოს, მოცემული ქვეთავი საუბრობს იმ შეზღუდვებზე, რაც შესაძლოა, პროფესიული ეთიკის გამო ჰქონდათ ადამიანებს, როდესაც საკითხი წინააღმდეგობრივ მოძრაობაში ჩართულობას უკავშირდებოდა.

კონფლიქტური ინტერესები წინააღმდეგობაში მონაწილე ჯგუფებს შორის

კვლევამ აჩვენა, რომ ტრადიციონალისტი ჯგუფების სახით კამპანიაში რელიგიური ორგანიზაციის წევრები მონაწილეობდნენ. მეორე მხრივ, პოლიტიკურ აქტივიზმს ეწეოდნენ ადამიანები, რომლებიც გარემოს, შრომისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით იკრიბებოდნენ.

ერთ-ერთი ხელოვნებათმცოდნის თქმით, ტრადიციონალისტ ჯგუფებთან გაერთიანება და პოლიტიკური კონსენსუსის შესაძლებლობა გამორიცხა ფიზიკური დაპირისპირების წარსულმა გამოცდილებამ 2013 წლის

17 მაისს „ტრანსფობიისა და ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს“ თბილისში, როდესაც ლიბერალური და ანტილიბერალური ჯგუფების დემონსტრაცია და კონტრდემონსტრაცია ერთ გამზირზე გაიმართა და ადგილი ჰქონდა ძალადობას. *„პრობლემა შემექმნა, როცა მივხვდი, რომ 17 მაისს რომ ხელმოწერები შევაგროვე, თურმე, იგივე ხალხის წინააღმდეგ შემიგროვებია,“* – ამბობს რესპონდენტი, იმ პეტიციის შესახებ, რომელიც ადამიანის უფლებადამცველებმა მოამზადეს[27].

დამატებით, სხვა რესპონდენტის თქმით, მითითებები ეროვნული მნიშვნელობის სიმბოლიკებსა და რელიგიაზე მხოლოდ და მხოლოდ ასუსტებდა სამოქალაქო აქტივიზმს, მისი დეზინფორმირებით. რესპონდენტების შეფასებით, რელიგიურ-ტრადიციონალისტური ჯგუფების მიერ ნაციონალისტური ნარატივის გააქტიურება არასწორი შინაარსისა იყო. *„დისკუსია მიდიოდა ამ კარავში ქართულ მემკვიდრეობაზე, ეს ქართველების გაკეთებული ოქროს მაღაროაო და ა.შ. ერთი-ორჯერ ვთქვი, ცოტა ადრე იყო ეს-თქო [საყდრისიყაჩაღიანის მაღარო], მაგრამ მერე აღარ ვერეოდი.“* წინააღმდეგობრივია წარმოდგენილ ჯგუფებს შორის პროტესტის ფორმებიც: *„...ყოველ დილა იწყებოდა გალობებით. მერე მიდიოდა „ხმალი ავლესოთ ქართველებო“.*

დამატებით, მოძრაობა „მწვანე მუშტის“ მიხედვით, როგორც წინააღმდეგობის პოლიტიზების, ისევე სამოქალაქო მობილიზებისთვის, წამგებიანი სტრატეგია იყო დაპირისპირებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის ტოტალური ერთობის მიზნად დასახვა. *„ჩვენ უნდა დავრჩენილიყავით ისინი, ვინც ვიყავით, თუნდაც ცალკე გვებრძოლა,“* – აცხადებს ერთ-ერთი ყოფილი აქტივისტი „მწვანე მუშტიდან“. *„... ორივე მხრიდან „გვირტყამდნენ“: თქვე ლიბერასტებო თუ თქვე ფუნდამენტალისტებო,“* – *ამბობს ის მოძრაობის საჯარო იმიჯის შესახებ. „[სამწუხაროდ] იმ ხალხმაც კი, ვისაც ბევრი ესმოდა [ადგილზე შექმნილი ვითარების შესახებ] – ჩათვალა, რომ ერთობა უფრო მნიშვნელოვანია. მაგრამ ამ შემთხვევაში არ იყო [კონფლიქტური ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის] ერთობა მნიშვნელოვანი.“* – ამატებს იგივე რესპონდენტი.

27 2013 წლის 17 მაისის მოვლენებზე საქართველოს მოქალაქეებმა განცხადებით მიმართეს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებს იმის შესახებ, რომ 17 მაისს ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები და მათი მომხრეები, აგრესიულად თავს დაესხა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან (IDAHO) დაკავშირებულ აქციაზე შეკრებილ მოქალაქეებს. წყარო: ინტერვიუ ლალი პერტენავასთან.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ აქტივისტებს მასმობილიზაციისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, რომ ჩაგვრის სისტემებზე ესაუბრათ (შრომითი ექსპლუატაცია, პოლიტიკური ტერორი, გარემოს დაბინძურება და ა.შ.) და ემანსიპატორული პოლიტიკის შესაძლებლობები განეხილათ, სხვა ინტერესთა ჯგუფებს მასმობილიზაციისას მთავარ მიზნად კულტურული გარემოს შესახებ ცნობიერების ამაღლება მიაჩნდათ. მაგალითად, ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაციის პოზიციის დამცველი რესპონდენტი ამბობდა, რომ მასმობილიზაციისთვის მნიშვნელოვანი იყო ცოდნის გავრცელება ძეგლის მნიშვნელობის შესახებ:

„აქტივისტებს რომ კითხო, საყდრისზე ვერ გეტყვიან. ძალიან ბევრი მოქალაქე ვერ გეტყვის, რა არის [საყდრისი]. ეს იყო პრობლემა, ამიტომ არ გამოვიდა სამოქალაქო აქტივიზმი, არ იციან, რეალურად, რა იყო საყდრისი. რო არ იცი, რას დაიცავ.“ მეორე მხრივ, „მწვანე მუშტის“ წარმომადგენელი ამბობდა, რომ შემთხვევის ანალიზისას ძეგლის ისტორიულ მნიშვნელობაზე საუბარი მიზნად ისახავდა ეროვნულ გრნობებზე თამაშს და ავიწროებდა პრობლემის არსს:

> „ჩვენ [„მწვანე მუშტი“] ვამბობდით, ეს არ არის კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული პრობლემა. ...ჩვენ ვცდილობდით, რომ სამეცნიერო სახე მიგვეცა, მეტი არგუმენტი გვქონოდა და ნაკლები ყოფილიყო აი, ეს წივილ-კივილი, რომ ქართველობას გვართმევენ.“

დასაქმებულთა შრომითი პირობების დაპირისპირება კულტურული და ბუნებრივი გარემოს დაცვის ინტერესთან

რამდენადაც 2013 წელს „RMG Gold“-ში დასაქმებულ მშრომელებს შორის მუშების დათხოვნის, დაბალი ანაზღაურებისა და არასათანადო სამუშაო პირობების გამო კოლექტიური მობილიზაციის შემთხვევები არსებობდა, კომპანიისა და სახელმწიფოს მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის აფეთქება სამუშაო ადგილების შექმნისა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების პირობად დასახელდა. აღნიშნულის გამო ძეგლის დასაცავად წარმოებული კამპანია დასაქმებასა და შრომის უფლებების დაცვასთან კონფლიქტურ ინტერესად წარმოჩინდა სახელისუფლებო წრეებისა და კომპანიის წარმომადგენლების მიერ. ამ ნარატივის საწინააღმდეგოდ, კვლევაში მონა-

წილე ადგილობრივი პირები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ მშრომელთა და ბოლნისის მოსახლეთა დიდ ნაწილს საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის აფეთქების საფასურად სამუშაო ადგილების შენარჩუნების მოთხოვნა არ ჰქონია.

> „[გვითხრეს] საყდრის ყაჩაღიანი დაინგრევა, მერე მოემატება [ხელფასებს]. არავითარ შემთხვევაში, მე ვუთხარი [ხელს ურტყამს მაგიდაზე], მე მირჩევნია უმუშევარი ვიარო, მე მოვკვდე მშიერი, გაზაფხული მოდის ეხლა, ღმერთის წყალობით – ჭინჭარს შევჭამ, ბალახს შევჭამ, მე ვუთხარი, მაგრამ საყდრის ყაჩაღიანს არ დაგანებებთ. იმიტომ, რომ ჩვენი ისტორიული ძეგლია. მე ჩემს შვილიშვილებს რა პასუხი უნდა გავცე, ჩემს მომავალს.“

ჰყვება იმჟამად „RMG Gold“-ის თანამშრომელი, ქალაქ ბოლნისის მოსახლე იმ რეაქციის შესახებ, რაც ულტიმატუმების საპასუხოდ ჰქონდათ დემონსტრანტებს, ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

გარდა ამისა, იყო ისეთი შემთვევაც, როდესაც მშრომელთა ნაწილი, საწარმოს ადმინისტრაციის ზეწოლის მიუხედავად, სამუშაო ადგილების შენარჩუნების მოთხოვნით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნების წინააღმდეგ არ წავიდა. რესპონდენტების თქმით, ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლის შედეგად, საყდრისი-ყაჩაღიანის კამპანიისთვის გამართულ კონტრაქციაზე რამდენიმე მუშა ჩამოიყვანეს თბილისში დაბა კაზრეთიდან, თუმცა მათ რიგებს მშრომელთა დიდი ნაწილი არ შეუერთდა.

ნდობის დეფიციტი

კვლევამ გამოკვეთა, რომ სხვადასხვა მოტივაციამ, წინააღმდეგობის მონაწილეებს შორის უნდობლობა გააჩინა, წარმოშვა კონსპირაციის თეორიები და ბრძოლის ტერიტორიული ველის გავრცობის შესაძლებლობა შეზღუდა.

წინააღმდეგობის ერთ-ერთ ეტაპზე ჯგუფებს შორის დაპირისპირება გააღრმავა იმ გარემოებამაც, რომ აქტივისტთა ერთმა წრემ მიიღო შეთავაზება კომპანიის მხრიდან ისტორიული ძეგლის დათვალიერებასთან

დაკავშირებით. *„მე ისიც დამაბრალეს, რომ ფული ავიღე, ისეთი სიბინძურეები იყო,“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. *„ცალკე უნდა ელაპარაკათ, იქ ვაჭრობა უნდა წასულიყო ალბათ. არ ვიცი,“* – ამბობს სხვა აქტივისტი, საწარმოს ადმინისტრაციასთან შეხვედრის ამ პრეცედენტზე. ხშირად ახსენებდნენ რესპონდენტები იმ გარემოებასაც, რომ უნდობლობის ნიადაგზე ჰქონდათ კონსპირაციული დანაშაულებების შესახებ ბრალდებები ერთმანეთის მიმართ: *„მაგალითად სულ ეჭვი მქონდა [...სახელი დაფარულია...] აგენტი იყო, ვეუბნებოდი, აგენტი ხარ-მეთქი,“* – ამბობს სხვა რესპონდენტი ერთ-ერთ აქტივისტზე. ინციდენტის ამოწურვის შემდეგაც საუბრობენ კვლევაში მონაწილე პირები მოკავშირეებით იმედგაცრუებაზე. *„საბოლოოდ კი გავერთიანდით, მაგრამ მაინც გულწრფელობა დაგვაკლდა, ნდობა დაგვაკლდა ერთმანეთის მიმართ. მაინც არ გამოდგა გულწრფელი მოძრაობა,“* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. *„მე მეგონა, რომ მართლა ადამიანურად იცავდნენ, რომ სულით და გულით იყვნენ ჩვენთან, მერე ისეთი რაღაცეები დავინახე, ცოტა არ იყოს...“* – ამბობს სხვა რესპონდენტი ბოლნისიდან, განსხვავებული ინტერესებით მონაწილეობის შესახებ.

ასევე, რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი იხსენებს ერთმანეთის შევიწროების შემთხვევებს:

> „კონფლიქტები მიდიოდა. ერთ-ერთი გოგო გაქაჯდა, აქ არავინ უცხო არ დავინახოო. ერთ-ერთი სერიოზული აქტივისტი: ვინც ვიყავით, იმათმა დავიცვათ საყდრისიო. მე სულ არ ვიცი, რა ინტერესები ჰქონდა იმას და რატომ ამბობდა ამას.“

მეორე მხრივ, აქტივისტები ფიზიკურად უშლიდნენ ერთმანეთს ხელს, საკუთარი სიმბოლიკით წარმდგარიყვნენ:

> „როგორი ელემენტარული დონის პრობლემები იყო იცით? ჩავიდოდი, ქართულ ხუთჯვრიან დროშას დავამაგრებდი, ვიღაც აქტივისტი რომელიც იქ რჩებოდა, არ მოსწონდა ეს დროშა, მოსწონდა ძველი ქართული დროშა, მოტეხავდა დააყენებდა იმ დროშას.“

იმავე რესპონდენტის თქმით, სოციალური პროტესტის ადგილმდებარეობაც (დაბა კაზრეთში) დიდწილად განსაზღვრა იმან, რომ ეს დაეხმარებოდა მოძრაობას, ყოფილიყო გამჭვირვალე და ნაკლები ეჭვები ყოფილიყო მის კომპოზიციასთან დაკავშირებით: *„მოგვიწოდებდნენ, რომ აქ რუსთაველზე გადმოგვეტანა [პროტესტის] ცენტრი. არ ვიცი, შეიძლება, სწორიც იყოს. მარა იქ [კაზრეთში] ვერ არკვევ, ვინ ვინაა და აქ [თბილისში] მიხვდები, ვინ ვინაა?“*

კვლევა ვერ ადასტურებს, რომელმა ჯგუფებმა თუ პიროვნებებმა ითანამშრომლეს დაპირისპირებულ ძალებთან ან, რეალურად არსებობდა თუ არა მსგავსი თანამშრომლობა იმისთვის, რომ წინააღმდეგობა დასუსტებულიყო. თუმცა ყოველი რესპონდენტიი ადასტურებს, რომ გაერთიანება კონსპირაციის ნიადაგზე წარმოშობილმა უნდობლობამ გახადა შეუძლებელი.

პროფესიული ეთიკის საკითხი წინააღმდეგობაში მონაწილე პირებს შორის

კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სოციალურ კამპანიაში მონაწილეობა პროფესიულ ეთიკასთან მოდიოდა წინააღმდეგობაში, თუმცა ზოგჯერ პროფესიული წრეები კოლექტიური მობილიზების საშუალებას წარმოადგენდნენ.

ერთ-ერთი რესპონდენტი იხსნებდა, რომ პროფესიულ ჟურნალისტურ საქმიანობას დაშორდა იმ პერიოდში, როდესაც წინააღმდეგობრივ მოძრაობაში ჩერთო რამდენადაც, მის ჟურნალისტურ ეთიკას ეწინააღმდეგებოდა აქტივიზმში მონაწილეობა. აღნიშნულ აქტივისტს ჰქონდა ასევე იმის გამოცდილება, რომ ის ერთ-ერთი სამსახურიდან გაათავისუფლებს, საყდრისთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამო.

წინააღმდეგობის პროცესში თანამდებობა თავად დატოვა სხვა რესპონდენტმა, რომელიც იმჟამად კულტურის სამინისტროში მუშაობდა, თუმცა აღნიშნული რესპონდენტი საუბრობდა სხვა არქეოლოგთა და ხელოვნებათმცოდნეთა შესახებ, რომლებიც არ ჩაერთვნენ წინააღდეგობაში და რომელთა რესურსის გამოყენებაც ვერ მოხერხდა კოლექტიური მობილიზაციისთვის. ის ექსპერტული ცოდნის მქონე არქეოლოგები და სხვა ხელოვნებათმცოდნეები კი, ვინც წინააღმდეგობაში ჩაერთვნენ, არ შე-

მოიფარგლებოდნენ მხოლოდ ექსპერტული ცოდნით, არამედ ჰქონდათ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია, რომ განევრცოთ ინფორმაცია პოლიტიკურ ველში. მათ ძეგლის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება და საკითხის გარშემო ფართო აუდიტორიასთან მსჯელობა დაისახეს მიზნად. მაგალითად, წინააღმდეგობის ერთ-ერთ ეტაპზე გოეთეს ინსტიტუტის შენობაში მოეწყო სამინისტროს მიერ უგულებელყოფილი კულტურის კონცეფციის განხილვა. ეს იყო დოკუმენტი, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფი იმ პერიოდში მუშაობდა, რა პერიოდშიც საყდრისი-ყაჩაღიანს ძეგლის სტატუსი მოუხსნეს.

> „საკმაოდ ბევრი ადამიანი იყო, დარბაზი თითქმის სავსე იყო. სივრცეც უსასყიდლოდ მოგვცეს. იყო დიდი განხილვა. იყო აბსოლიტურად მთელი სფერო. იყო კულტურის სამინისტროს ბევრი სიპი. ყველა პრინციპში ეწინააღმდეგებოდა ამ პოლიტიკას.“ (აქტივისტი, ხელოვნებათმცოდნე).

წინააღმდეგობის პოლიტიკის შედეგები

სამოქალაქო წინააღმდეგობის მიუხედავად, საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლი 2014 წლის 13 დეკემბერს ააფეთქეს. როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში (2014) ცხადყოფს, 2014 წლის 13 დეკემბერს საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს უკანონო აფეთქების ფაქტს ერთი დღით ადრე წინ უძღოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ერთი არასრული სამუშაო დღის განმავლობაში განხორციელებული 17 მოქმედება და 4 გადაწყვეტილება, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევებით მიიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა მოვლენამ წინააღმდეგობის საგანი ფიზიკურად მოსპო და მიუხედავად იმისა, რომ ლიკვიდირდა თავად კამპანია, წინააღმდეგობის პოლიტიკა არ გამქრალა და დაიყო სხვადასხვა ინტერესის მქონე აქტივისტებს შორის.

სამართლებრივი გზით ადვოკატირებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაცია საიასთვის საყდრისი-ყაჩაღიანის შემთხვევა შესაძ-

ლო კორუფციისა და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გაჩენილ დღის წესრიგში მნიშვნელობას ინარჩუნებს ინციდენტის ამოწურვის შემდეგაც. მეორე მხრივ, მემარცხენე აქტივისტებს შორის მნიშვნელოვან გაკვეთილად მიიჩნევა ის, რომ კულტურული გარემოს შენარჩუნებისთვის ბრძოლა სათანადოდ უნდა პასუხობდეს სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს მოსახლეობაში, მათ შორის, დასაქმების, საჯარო სიკეთეების პრივატიზაციისა და გასაგნების გამოწვევებს.

თუმცა პროცესმა განსხვავებული შედეგი გამოიღო იმ ადამიანებისთვის, ვინც პოლიტიკური წინააღმდეგობისა თუ სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელოვნების მიღმა ხედავდა საყდრისი-ყაჩაღიანის გადარჩენის საკითხს. კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტისთვის, რელიგიური ორგანიზაციიდან, წინააღმდეგობამ ძეგლის გადარჩენა შეძლო მისი ისტორიის შენარჩუნებით და მის შესახებ ცოდნის კონსერვაციით. წინააღმდეგობის მოძრაობის ნაყოფი იყო ის, რომ სოციალური პროტესტის შემდეგ ოქროს მომპოვებელმა კომპანია „RMG Gold“-მა ქვეყანაში ბოლნისის ახალი მუზეუმის არქიტექტურული პროექტის მომზადებისა და სამშენებლო სამუშაოების ხარჯი სრულად დაფარა:

> „რაც დარჩა, არის საზოგადოებრივი ცნობადობა საყდრისის თემაზე და შანსი, რომ საყდრისის სახელი არ დაიკარგოს. გაკეთდა მუზეუმი, რომელშიც ეს სახელი დაფიქსირდება. გამოიცა ორენოვანი წიგნი, საყდრისი არის უძველესი ოქროს მომპოვებელი მაღარო.“ (რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი)

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთ-ერთი დამოუკიდებელ აქტივისტთა გაერთიანება დღესაც აგრძელებს „საყდრისის კომიტეტის“ სახელით კულტურული გარემოს შენარჩუნების საკითხებზე აქტივისტურ საქმიანობას, ინსტიტუციონალიზებისა და ფორმალიზების გარეშე. „საყდრისის კომიტეტი“ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ისტორიული ძეგლის საკითხს სწვდება და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებს აერთიანებს, რომელთათვისაც აქტივიზმი პერსონალური დანახარჯის გზით განხორციელებულ კამპანიურ საქმიანობას გულისხმობს. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს ჯგუფის ფორმალიზების შეუძლებლობაზე:

„უფრო მეტი ფინანსური რესურსი რომ გვქონდეს, უფრო მეტ რამეს გავაკეთებდით, თუმცა ნებისმიერი ფინანსური რესურსი რაღაცა ჩარჩოებში გაჯენს. ეს დაგვაკარგვინებდა ჩვენს წილ თავისუფლებას.“ („საყდრისის კომიტეტის“ წარმომადგენელი)

კვლევის ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ერთწლიანი წინააღმდეგობისა, თუ იმ სისუსტეებისა, რაც წინააღმდეგობის ორგანიზებისას გამოვლინდა, საყდრისი-ყაჩაღიანის აფეთქება სახელმწიფოსა და კომპანიის მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგია. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (2015) შეფასების მიხედვით, „მიუხედავად დარღვევების მასშტაბისა, არც სამინისტროში და არც სააგენტოში კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი ძეგლის განადგურების გამო ამ დრომდე არ დამდგარა“. გარდა ამისა, 2015 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა საყდრისის საკითხზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას (საია, 2015).

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, თუ რა მიმართებაშია სოციალური პროტესტი ქვეყნის განვითარების არსებულ მოდელთან. განვითარება, რომელსაც სამთავრობო თუ კერძო ინსტიტუციები ხშირად სწორხაზოვან იდეოლოგიად და ეკონომიკური ზრდის შესახებ უნივერსალური შინაარსის მატარებელ კონცეფციად გვისახავენ, დღეს გამოწვევას იღებს წინააღმდეგობრივ ქმედებებში მონაწილე მოსახლეობისა და აქტივისტებისგან, რომელთაც ასევე აქვთ პრეტენზია პროგრესზე.

გარდა ამისა, კვლევა ვრცლად მსჯელობს იმაზე, თუ რა პოტენციალი აქვს თითოეული სახის სოციალურ პროტესტს, მომავალში გარდაიქმნას და შენარჩუნდეს მოძრაობად, რომელიც სოციალური ცვლილებებისა და მეტი კეთილდღეობისთვის იბრძოლებს.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობა დაპირისპირებაში მოდის სამთავრობო და კერძო ინტერესებთან იმგვარი ტიპის ეკონომიკური განვითარების პროექტებში, რომლებშიც კეთილდღეობის გარემოსდაცვითი და კულტურული ასპექტების უგულებელყოფა ხდება. აქტივიზმში ჩართულ პირებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ განვითარების ერთადერთ აღმნიშვნელებად მატერიალური ზრდისა და კომერციალიზაციის განსაზღვრასთან.

ჰიდროელექტროსადგურების, ენერგოგადამცემი ხაზებისა თუ საქალაქო საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში, მოსახლეობა უპირისპირდება იმ მოცემულობას, რომ ახალმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა – განვითარების მოტივით – მავნე ზემოქმედება იქონიოს გარემოზე ან ადამიანზე. მაგალითად, სვანეთის რეგიონში და ქსანი-სტეფანწმინდის მიმდებარედ მოსახლეობა მოითხოვს, რომ პროექტებმა ალტერნატიული განვითარების შესაძლებლობები არ მოუსპოს ადგილობრივებს.

პოლიტიკური უთანხმოების საგანია პროდუქტიული ეკონომიკის საზღვრებიც. ენერგოპროექტების შემთხვევებში უარყოფითად საუბრობენ მიწებისა და შრომის გასაგნების ტენდენციაზე. ადგილებში, სადაც შესაძლოა, ყველაზე დაბალია დასაქმებისა და ფორმალურ ეკონომიკაში მონაწილეობის დონე – კულტურული თუ ბუნებრივი გარემოს ხელყოფის ფასად

ფორმალურ ეკონომიკაში დროებითი დასაქმება რეგიონის განვითარებისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებად მაინც არ მიიჩნევა. დაბალი კვლაფიკაციის პირობებში, მომსახურების სფეროში დასაქმება, მოსახლეობის თქმით, სათემო ცხოვრების რუტინას გარდაქმნის და არასასურველ კონფლიქტებს წარმოშობს.

სხვადასხვა შემთხვევაში მოსახლეობა უპირისპირდება საზოგადოებრივ ინტერესზე კერძო ინტერესთა პრიმატს, რომელიც განვითარების გეგმებში საჯარო სიკეთეების რეაბილიტაცია-კონსერვაციას არ ითვალისწინებს და მათ განადგურებით ემუქრება. როგორც ვნახეთ, ბათუმის შემთხვევაში წინააღმდეგობის საგანი იყო ბულვარის რეკრეაციული მწვანე ზოლი და ისტორიული ძეგლები ქალაქის ცენტრალურ უბნებში. სვანეთსა და ბოლნისში კი წინააღმდეგობა წარმოშვა ეკლესიებისა და ისტორიული საბადოს გადარჩენის მოტივაციამ.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ წინააღმდეგობაში ჩართული ჯგუფები დაპირისპირებულნი არიან იმ ინიციატივებთან, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის ჩართულობას გამორიცხავს განვითარების გეგმებზე მსჯელობიდან. მოსახლეობა წუხს იმ გარემოებაზეც, რომ ალტერნატიული განვითარების გზებზე პოლიტიკური მსჯელობის შესაძლებლობებია, თავად, მწირი.

შესწავლილმა შემთხვევებმა გვაჩვენა, რომ არის განცდა მონაწილეობის დეფიციტისა და წუხილი იმის შესახებ, რომ მმართველობითი ორგანოები და მათი პოლიტიკა გაუმჭვირვალეა. ენერგოპროექტებთან მიმართებით მაღალია ეჭვი იმის შესახებ, რომ საინვესტიციო პროექტების სარგებლიანობა და უარყოფითი ზემოქმედება არასათანადოდაა შეფასებული სახელმწიფო უწყებების მიერ, შესაბამისად, სუსტია საჯარო ინტერესის გათვალისწინების არსებული მექანიზმები. წიაღისეულის მოპოვების შემთხვევებში კი (სოფელ იელში – ოქროს და ჭიათურაში – მანგანუმის) ყველაზე მაღალია აპათია მოსახლეობაში იმის გამო, რომ ინვესტორთა ლიცენზირების წესი არადემოკრატიულია, ექსკლუზიურად მომპოვებელი კომპანიების ინტერესს არის მორგებული და წიაღისეული მადნის ეროვნული სიმდიდრის შინაარსს უგულებელყოფს.

საქალაქო ცენტრებში კი კულტურული მემკვიდრეობის საკითხზე გაწეულმა წინააღმდეგობამ ცხადყო, რომ ხშირად მმართველობითი ორგანოები დემოკრატიული ჩართულობისთვის დახშულია იმის გამო, რომ

დაბალია კომპეტენცია და ცოდნა სახელმწიფო უწყებებში შესაბამისი საკითხების სათანადოდ რეგულირებასთან დაკავშირებით და ალტერნატიული თუ ინკლუზიური განვითარების მოდელების შესახებ. გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებებში დეფიციტურია დელიბერაციული სივრცეები, იშვიათია მონაწილეობითი მსჯელობის პრაქტიკა. მსჯელობები განვითარების პრიორიტეტებისა და ალტერნატივების შესახებ დაშორებულია საჯარო პოლიტიკისაგან, ადგილობრივი თვითმმართველობებისაგან.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ წინააღმდეგობის გამოცდილება თავისთავად ამკვიდრებს ახალ რეპერტუარს. თუმცა გამოწვევად რჩება ინტერესთა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის შენარჩუნება და წინააღმდეგობის მდგრადობა.

კვლევაში აღწერილმა მოვლენებმა ცხადყო, რომ პროფესიული აქტივიზმი და პოლიტიკური წინააღმდეგობის ე.წ. არატრადიციული გზები 2010 წლიდან შედარებით ახალ და ხშირ პრაქტიკად მკვიდრდება. პოლიტიკური წინააღმდეგობის რეპერტუარში არჩევნებში მონაწილეობისა თუ სხვა ტრადიციული ტიპის აქტების გარდა, მკვიდრდება ბოიკოტირების (კაზრეთის შემთხვევაში), საჩივრების წერის (ენერგოგადამცემი ხაზების შემთხვევაში), ქუჩის აქციებისა თუ საჯარო დებატების (ბათუმის, სვანეთის შემთხვევებში) პრაქტიკა.

რაც შეეხება წინააღმდეგობის მდგრადობას, იმ ფაქტორს, რამაც დროში შენარჩუნებული წინააღმდეგობა სოციალურ მოძრაობად უნდა გარდაქმნას, კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქ ბათუმისა და ასევე მთის მოსახლეობის საინვესტიციო პროექტებისადმი გაჩენილ წინააღმდეგობას განგრძობითი ხასიათი აქვს, ეს მიმდინარე პროცესებია და აქტორების მიერ სხვადასხვა მოქმედების წყებას გულისხმობს. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, კამპანიამ საყდრისი-ყაჩაღიანის გადასარჩენად, დაბადა აქტივისტთა გაერთიანება „საყდრისის კომიტეტი“, რომელიც დროდადრო კულტურული გარემოს შენარჩუნების საკითხებზე გაერთიანებას ახერხებს. თუმცა კვლევამ ასევე ცხადყო, რომ რიგ შემთხვევებში გვხვდება დროში შენარჩუნებული წუხილები, რომელთაც არ ახასიათებთ საკმარისი მდგრადობა კოლექტიური წინააღმდეგობის კუთხით. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ წიაღისეულის მოპოვების გამო მომეტებული ზიანი ბუნებრივ გარემოზე კვლავწარმოებული პრობლემაა, ამან მოსახლეობაში ჯერ ვერ დაბადა

მდგრადი წინააღმდეგობა, რამაც, თავის მხრივ, ამ თუ ზემოთ ნახსენებ სხვა შემთხვევებში, სოციალურ მოძრაობებად უნდა გარდაქმნას წინააღმდეგობრივი აქტების ეს წყება და მისი ე.წ. რეპერტუარი.

ამასთან, გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი შეზღუდვაა ისიც, რომ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მოსახლეობაში მაღალია აპათია. რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობა მხოლოდ მატერიალური დოვლათისთვის დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის წარიმართება და შორდება კულტურული თუ ბუნებრივი გარემოს დაცვის ინტერესს.

მაგალითად, კვლევამ აჩვენა, რომ წიაღისეული მადნის მოპოვების შემთხვევაში გარემოს დაბინძურებამ მხოლოდ წინააღმდეგობის სპორადული ინციდენტები დაბადა – ვერ გახდა კოლექტიური მიზნის მატარებელი იმის გამო, რომ ინდივიდუალურ მოსახლეთა დასაქმებისა თუ საჯარო საქმიანობის შესაძლებლობებს მადნის მწარმოებლები განსაზღვრავენ სრულად. მსგავსად ამისა, ქალაქის საპროტესტო აქციებში, სადაც კულტურული და ბუნებრივი გარემოს დაცვას მოითხოვენ ადამიანები, კოლექტიურ წინააღმდეგობას ასუსტებს ჯენტრიფიკაციის ეკონომიკური არგუმენტი, სადაც ინდივიდუალური შინამეურნეობებისთვის სათანადო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად ერთადერთი გარანტია კერძო თუ საჯარო საკუთრების მსხვილ ბიზნესზე გასხვისებაა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ რეალური კულტურული თუ ბუნებრივი გარემოსდაცვითი აქტივიზმის გაჩენის შესაძლებლობებს ეკონომიკური არგუმენტი იმითაც ასუსტებს, რომ ის მას წარმოაჩენს, როგორც მოთხოვნას ემოციური და წარმოსახვითი საჭიროებების შესახებ, რითაც უგულებელყოფს კულტურული და ბუნებრივი გარემოს საშუალებით მატერიალური კეთილდღეობის გარანტირების პოტენციალს.

ბიბლიოგრაფია

Bennet, C., (2012) Supporting the Posts in Development Discourse: Under-development, Over-development, Post-development, Sociology Compass6/12

Santos, B.S. (2004). „The World Social Forum: Towards A Counter-Hegemonic Globalisation (Part 1).“ Pp. 235–45 in World Social Forum: Challenging Empires, edited by Jia Sen, Anita Anand, Arturo Escobar and Peter Waterman. New Delhi: Viveka Foundation.

Escobar, A. (2007) ““Post-development“ as Concept and Social Practice”, in A. Ziai (ed.) Exploring Post-Development: Theory and Practice, Problems and Prespectives, pp. 18-31. London: Routledge.

Rist, G. (2007) Development as a buzzword, Development in Practice,17:4-5, 485-491

Tarrow, S. (1994) Power in Movement: Social Movements, Collective Action and Politics, Cambridge University Press

Tilly, C. and Tarrow, S. (2015) Contentious Politics, Second Edition, Oxford University Press, New York, USA

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საყდრისი-ყაჩაღიანი კულტურული მემკვიდრეობიდან ოქროს თანამედროვე მოპოვებამდე“, ივნისი 2014. ბოლო ნახვა 25.09.2017 <https://goo.gl/cvz4qe>

„მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები“, თებერვალი 2017. ბოლო ნახვა 25.09.2017 <http://www.greenalt.org/wp-content/uploads/2017/02/mining_report_2017_geo1.pdf>

„მწვანე ალტერნატივა“, „ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმო და გარემოსდაცვითი პრობლემები“, აგვისტო 2016. ბოლო ნახვა 25.09.2017 <http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/08/chiatura_policy_brief_GEO_AUGUST_2016.pdf>

საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია (2013), ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

„ურბანული პროტესტი და პოლიტიკა თბილისში“ (2016), ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

ვიდეოგრაფია

24/04/11 საპროტესტო აქცია ბათუმში, „მაესტრო“, გამოქვეყნების თარიღი 24.04.2011, ბოლო ნახვა 27.10.2017 https://www.youtube.com/watch?v=TXITj0i1MFM

06.12.14 „რვაფეხას“ დასაცავი აქცია ბათუმში, „მაესტრო“ გამოქვეყნების თარიღი 06.12.15, ბოლო ნახვა 27.10.17 https://www.youtube.com/watch?v=ycCqD5bOW1k

2015 წლის დეკემბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ „ბათუმის ბულვარის განვითარების კონცეფციის სამუშაო ვერსია (პირველადი ვარიანტი)“ საჯარო პრეზენტაცია მოაწყო. გამოქვეყნების თარიღი 18.12.2015, ბოლო ნახვა 27.10.2017 https://www.youtube.com/watch?v=ZDFUr06Zg1Y

#სამივე – ბათუმის ბულვარის დასაცავად სოციალური კამპანიაში ასეულობით ადამიანი მონაწილეობს, amgbebi.ge 20.01.2016, ბოლო ნახვა 27.10.2017 http://www.ambebi.ge/sazogadoeba/153062-samive-bathumis-bulvaris-dasacavad-socialuri-kampaniashi-aseulobith-adamiani-monatsileobs.html

„მამა გიორგი ჩართოლანი ხუდონჰესის შესახებ“, „ლიბერალი“, გამოქვეყნების თარიღი 20.09.2013, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=yIsBdn6YNf4

„ჰუდონჰესის საწინააღმდეგო აქციები თბილისსა და მესტიაში“, გადაცემა „მოამბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 02.10.2013, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=NJaIM_VLXys

„ხაიშელები ხუდონჰესის წინააღმდეგ“, გადაცემა „რეალური სივრცე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 12.10.2013, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=JUGFHHu6MZs

„სოფელი ხაიში, ზემო სვანეთი, 03.11.2013. აქცია „არა ხუდონჰესს!“, „მწვანე მუშტი“, გამოქვეყნების თარიღი 08.11.2013, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=hTFuoHM_flE

„არა ხუდონჰესს!“ – საპროტესტო გამოსვლა და საჯარო ფიცი ხაიშში“, გადაცემა „მოამბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 20.01.2014, ბოლო ნახვა 25.09.2017 http://www.2tv.ge/ge/news/view/62137.html

„საპროტესტო აქცია ხაიშში“, „მოამბე“, გამოქვეყნების თარიღი 20.02.2014, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=wOHQHWjlx3M

„ჭუბერის მოსახლეობის ნაწილი სვანეთში ნენსკრაჰესის აშენებას ეწინააღმდეგება“, გადაცემა „მოამბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 13.10.2015, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=5HEw1t3lF5Q

„საპროტესტო აქცია ჭუბერში – რას ითხოვს მოსახლეობა“, გადაცემა „მოამბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 26.03.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=wXlC9HRwfMs

„ნენსკრაჰესის“ წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე დაკავებულები ჯარიმის საანაცვლოდ გაათავისუფლეს“, გადაცემა „მოამბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 21.05.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=EHnugtfOSj4

„ნენსკრაჰესი – რა მდგომარეობაა ადგილზე, სადაც კაშხლის აშენება იგეგმება“ „ლიბერალი“, გამოქვეყნების თარიღი 13.07.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=PJLtvjUTGOs&feature=youtu.be

„ნენსკრა და ნამახვანის ჰესების კასკადი – მოსახლეობის პროტესტი და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის პასუხი“, ასოციაცია GARB, გამოქვეყნების თარიღი 30.09.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 http://garb.ge/news/nenskra-da-namakhvanis-hesebis-kaskadi-mosakhleobis-protesti-da-energetikis-ministris-moadgilis-pasukhi-video/

მოსახლეობის პროტესტი სოფელ ცდოში“, გადაცემა „რეალური სივრცე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 18.04.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 http://www.2tv.ge/ge/videos/view/162099.html

„სოფელ ცდოს მოსახლეობამ ყაზბეგის საკრებულოსთან აქცია გამართა“, გადაცემა „მოამბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 20.04.106, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=NtZkL0t5eI0

„სოფელი ცდო და სნოს ხეობა ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, „მწვანე მუშტი“, გამოქვეყნების თარიღი 21.04.106, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=x_xT5Uz2StE

„მაღალი ძაბვის სამშენებლო ტექნიკას ფასანაურში ქვები დაუშინეს“, ტელეკომპანია „იბერია“, გამოქვეყნების თარიღი 10.05.2017, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=JZzWQllvgMQ&t=72s

„პროტესტი მესტიაში – სოფელ იელის მოსახლეობა ოქროს მომპოვებელ კომპანიას უპირისპირდება“, გადაცემა „მოამბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გამოქვეყნების თარიღი 14.05.2016, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=WyEAScbS7uo

„ოქროს მოპოვება სვანეთში და მოსახლეობის პროტესტი“, გადაცემა „რეალური სივრცე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი 03.04.2017, ბოლო ნახვა 25.09.2017 https://www.youtube.com/watch?v=KWclzJfhlpo

ბოლოსიტყვაობა

ჩვენთვისაც და, ალბათ, მკითხველისთვისაც გასაგებია, რომ ბოლო წლებში გაწეული ყველა წინააღმდეგობრივი მობილიზების ერთ, დროში შეზღუდულ კვლევაში აღწერა შეუძლებელია. თუმცა ჩვენთვის ყველაზე მწვავე ლიმიტაციებს მაინც გვინდა, ხაზი გავუსვათ. ჩვენთვის განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ წიგნში ვერ მოხერხდა 1. არაფორმალური მშრომელების მიერ წარმოებული წინააღმდეგობის შემთხვევების 2. კიბერაქტივიზმისა და 3. წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში გენდერული დინამიკის საკითხების განხილვა. ეს სამივე თემა მჭიდროდაა დაკავშირებული წიგნში განხილულ წინააღმდეგობის პოლიტიკასთან, და მათი მნიშვნელოვნება კვლევის პროცესში არაერთხელ გამოჩნდა, თუმცა ამ საკითხების ღრმა შესწავლა არსებულზე ბევრად უფრო მეტ დროით და ადამიანურ რესურსს, და ასევე, უფრო კომპლექსურ კონცეპტუალურ მუშაობას საჭიროებდა. თუმცა ვფიქრობთ, სამომავლოდ ამ საკითხების უფრო დეტალური შესწავლა აუცილებელი იქნება წინააღმდეგობის პოლიტიკის მრავალფეროვნების, და ამ პოლიტიკის წინაშე არსებული გამოწვევების დასანახად და გასაანალიზებლად.

კვლევაზე მუშაობის დაწყებისას დიდი იყო სურვილი საკვლევ მიმართულებაში ახალი პერსპექტივის გაჩენის თაობაზე, რაც გულისხმობდა კოლექტიური მოქმედებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ურთიერთგადაკვეთის შედეგად წარმოქმნილი კიბერაქტივიზმის, იგივე ინტერნეტ-სოციალურ ქსელებში გაჩენილ კოლექტიური წინააღმდეგობის მომძლავრებული ტენდენციის შესწავლას და მის მრავალმხრივ ანალიზს. ნიშანდობლივია, რომ დღესდღეობით ბევრი იწერება ისეთი ფენომენის შესახებ, როგორიცაა ონლაინ სოციალური აქტივიზმი, იგივე ციფრული აქტივიზმი თუ კიბერაქტივიზმი, რომელიც ინფორმაციის მხოლოდ პასიური გავრცელების ნაცვლად ისეთ „ონლაინ“ მობილიზებას გულისხმობს, რომელიც შემდგომ „ოფლაინ“[1] მოქმედების სახეს იღებს და საჯარო სივრცეში ინაცვლებს. ამ პროცესში კოლექტიური მოქმედებების სხვადასხვა

1 ინტერნეტის მიღმა, რეალურ სამყაროში

რეპერტუარის გამოყენებით, იქნება ეს პეტიციების ხელმოწერა, ბოიკოტის გამოცხადება, აქციებისა თუ დემონსტრაციების ორგანიზება, იქმნება წინააღმდეგობის მოქმედების ისეთი პრეცედენტები, სადაც ადამიანთა გაერთიანება და დაკავშირება ვირტუალურ სივრცეში მიმდინარეობს, თუმცა მათი მოთხოვნები რეალურ სივრცეში არსებულ სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს მიემართება. ამ თვალსაზრისით, კვლევისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი იქნებოდა ბოლო წლების განმავლობაში დასაქმების სერვისის სექტორში გაჩენილი წინააღმდეგობის შემთხვევების შესწავლა, რომლებიც სწორედ რომ კიბერაქტივიზმის საგულისხმო შემთხვევებს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დასაქმების ეს სექტორი, რომელიც ე.წ. „ტრადიცული“ დასაქმების სექტორისგან განსხვავებით მშრომელთა მაღალი დაუცველობით, მოწყვლადობითა და დაბალი ანაზღაურებით გამოირჩევა, განსაკუთრებით გაიზარდა და გაფართოვდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. გარდა ზევით ჩამოთვლილი მახასიათებლებისა, სერვისის სფეროში დასაქმებული მშრომელები განსაკუთრებით ადვილად ჩანაცვლებად მშრომელებს წარმოადგენენ და მაღალია მათი მობილობა ერთი დასაქმების ადგილიდან მეორეზე, რის გამოც, თავის მხრივ, რთული ხდება ამ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს შორის კოლექტიური ერთობის გაჩენა და საერთო ინტერესის ქვეშ გაერთიანება. ამასთან, სერვისის სფეროში დასაქმებული ადამიანების შემთხვევაში განსაკუთრებით ეფექტიანად მუშაობს ე.წ. ნეოლიბერალური ინდივიდუალიზმის თუ პირადი პასუხისმგებლობის დისკურსი, რომელიც ადამიანთა სამსახურებრივ „წარუმატებლობას“ თუ დაბალ ანაზღაურებას ან პოზიციას მათი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხს უქვემდებარებს და ამით ტოვებს მათ პირად პრობლემებად შერაცხული წუხილის ამარა, რომლებიც, მიუხედავად მათი ერთგვაროვნებისა და საერთო წყაროსი, მაინც ინდივიდუალურ პრობლემად არის სახელდებული. ყველაფერი ეს, და არა მარტო, არის მიზეზი იმის, თუ რატომაც ვერ იქმნება ამ დარგში ძლიერი პროფკავშირული ორგანიზაცია და რატომაც არის სხვადასხვა ინიციატივის საფუძველზე გაჩენილი ერთობები თუ მოძრაობები სუსტი თუ უძლური. ამ პირობებში კი, როდესაც დასაქმების ადგლზე დაბალია მშრომელთა კონსოლიდაცია, სუსტია მათი სტრუქტურული ძალა და არ არსებობს ძლიერი პირველადი

პროფკავშირული ორგანიზაცია, მშრომელთა კოლექტიური მოქმედებების ორგანიზება პრობლემურ ამოცანად რჩება. თუმცა ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად ამ სისტემური ბარიერებისა, ბოლო წლების განმავლობაში სერვისის სექტორში დასაქმებულ ადამიანთა არაერთი წინააღმდეგობის მოქმედება აღინიშნა, მათ შორის იყო კამპანია „შრომა არ არის იოლი“[2], წიგნის მაღაზია „ბიბლუსის გალერის“ თანამშრომელთა წინააღმდეგობის მოქმედებები[3][4] და სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოს“ მშრომელთა წინააღმდეგობის აქტები[5]. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ შემთხვევაში მაღალი იყო სოციალური ქსელებისა თუ კიბერაქტივიზმის როლი მშრომელთა წინააღმდეგობის მოქმედებების ორგანიზებასა და განხორციელებაში; ლიმიტაციებისა თუ დაბრკოლებების მიუხედავად, აღნიშნულმა შემთხვევებმა საზოგადოების მაღალი ყურადღება დაიმსახურა, დღის წესრიგში სერვისის სექტორში დასაქმებული ადამიანების წუხილის სისტემურობა დააყენა და შეძლო სხვადასხვა ინტერესის, სოციალური სტატუსისა თუ დემოგრაფიული მახასიათებლის მქონე ადამიანთა გაერთიანება საერთო ინტერესის ქვეშ. თუმცა იმის გამო, რომ აღნიშნული შემთხვევები მეტად კომპლექსურია და საჭიროებს მრავალმხრივ და სიღრმისეულ კვლევას, მისი შესწავლა და ანალიზი მოცემული კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა . მოკლე დროითი შუალედის, ლიმიტირებული რესურსებისა თუ სხვა გარეშე შეზღუდვების პირობებში, იმისათვის, რომ თავი დაგვეზღვია საკითხის ზედაპირული შესწავლისა თუ შემთხვევების მხოლოდ დესკრიფციული მიმოხილვისგან, მოცემული კვლევითი საგანი ღია დარჩა მომავალი ინიციატივებისა თუ აკადემიურ სივრცეში მოღვაწე მკვლევრებისთვის.

კვლევაში ასევე ვერ მოხერხდა არაფორმალურად დასაქმებული ჯგუფების ან არაფორმალური მშრომელების წინააღმდეგობის შესწავლა. არაფორმალურად ვაჭრობაში თუ სერვისების მოწოდებაში ჩართული

2 შრომა არ არის იოლი – აქცია შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ, „ლიბერალი“, 4 სექტემბერი, 2015. http://liberali.ge/news/view/18168/shroma-ar-aris-ioli--aqtsia-shromiti-eqspluatatsiis-tsinaaghmdeg

3 http://liberali.ge/news/view/27418/biblusi-galeris-konsultantebi-gvaqvs-mdzime-da-aranormirebuli-samushao-rezhimi

4 http://netgazeti.ge/news/172611/

5 ბოიკოტი „ფრესკოს“ – დასაქმებულთა მხარდასაჭერად აქციები გრძელდება http://liberali.ge/videos/view/1121/video--boikoti-freskos--dasaqmebulta-mkhardasacherad-aqtsiebi-grdzeldeba

ჯგუფების გამოწვევები, მათი სამუშაო პირობები, ფორმალურ წარმოებაში დასაქმებულ მშრომელთა გამოწვევებზე არანაკლებ მწვავეა. მათი კოლექტიური მობილიზება კი კიდევ უფრო რთული ამოცანაა, რამდენადაც მათ გასაერთიანებლად, კოლექტიური იდენტობის შესაქმნელად ერთ ფიზიკურ სივრცეში ყოფნა ხშირად არ უწევთ. მათი საქმიანობის არაფორმალური ხასიათიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, პოლიტიკურ ძალებს უადვილდებათ ჯგუფის დემონიზება და იგნორის ან რეპრესიის პოლიტიკის გამართლება, მეორე მხრივ კი, თავად ჯგუფის წევრებისთვის რთულდება კოლექტიური ორგანიზაციების შექმნა, მშრომელთა უფლებების დასაცავად ბრძოლა. ამ შემთხვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნეოლიბერალური კაპიტალიზმის პირობებში მშრომელთა დაქსაქსვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია – მშრომელების ინდივიდუალურ მეწარმეებად შერაცხვა, და ამით მათი მშრომელთა იდენტობის ირგვლივ მობილიზების გამორიცხვა. ეს, როგორც ყოველთვის, დეფინიციის საკითხია. მშრომელი ის ადამიანია, ვისი შემოსავალიც მხოლოდ საკუთარი შრომის გაყიდვაზეა დამოკიდებული, ხოლო მეწარმე არის შრომის გარდა სხვა პროდუქტული რესურსების, კაპიტალისა თუ საკუთრების მფლობელი, ამ რესურსების წარმოებაში ინვესტირების შემძლე ინდივიდი. მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალურად დასაქმებულთა უმრავლესობას თავისი შრომის გარდა არავითარ რესურსზე ხელი არ მიუწვდება (ანუ ძირითადი ნაწილი მშრომელია), მათი მეწარმედ დასახვა, რა თქმა უნდა, მომგებიანია სახელმწიფოსთვისაც და დამსაქმებლისთვისაც. კერძო მეწარმედ შერაცხვა სახელმწიფოს მშრომელთა მძიმე სოციალურ პირობებზე ზრუნვისგან, ხოლო დამსაქმებელს შრომის უფლებების დაცვისა და რიგი გადასახადებისგან თავის არიდების შესაძლებლობას აძლევს, რაც ამ ჯგუფის განსაკუთრებულ მოწყვლადობას უწყობს ხელს. რაც მთავარია, არაფორმალურად, მშრომელთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი რჩება. ამის არაპირდაპირი, მაგრამ მაინც კარგი აღმნიშვნელი თვითდასაქმებულთა სიმრავლეა, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში არ შეცვლილა და დასაქმებულთა დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად ასეთი დაუცველობისა და ორგანიზების სირთულეებისა, არსებული კვლევები აჩვენებს, რომ ეს ჯგუფი წინააღმდეგობრივ პოლიტიკაშია ჩართული, თუმცა მათი ბრძოლა ხშირად უხილავია, რამდენადაც

მათი წინააღმდეგობის პოლიტიკას ხშირად არ ჰყავს ლიდერები, გაერთიანებები და არ ახასიათებს კოლექტიური პროტესტი. შესაბამისად, არაფორმალური მშრომელების წინააღმდეგობის შესწავლას დროში შენარჩუნებული ეთნოგრაფიული კვლევა და წინააღმდეგობის ყოველდღიურ ტაქტიკებზე, დაუმორჩილებლობასა და სახელმწიფო მოხელეებსა თუ დამსაქმებლებთან არაფორმალურ მოლაპარაკებებზე დაკვირვება სჭირდება. მსგავსი სახის მეთოდოლოგიის გამოყენება ამ კვლევის საზღვრებს მიღმა რჩება, მაგრამ, საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სამომავლოდ უმნიშვნელოვანესია ამ უხილავი ბრძოლების შესწავლა და წინააღმდეგობის პოლიტიკის სხვა შემთხვევებთან მიმართებაში კონტექსუალიზაცია.

კიდევ ერთ საგულისხმო ლიმიტაციას კვლევის პროცესში ქალთა როლის, მათი სპეციფიკური წუხილისა თუ კოლექტიურ მოქმედებაში რეპრეზენტაციის საკითხის შესწავლა წარმოადგენს, რაც შეზღუდული დროითი და ადამიანური რესურსების გამო, ასევე სიღრმისეული ანალიზის მიღმა დარჩა. კვლევაში არაერთგანაა წარმოჩენილი ქალთა საკითხი, მოყვანილია მათი მოსაზრებები თუ პოზიცია, თუმცა ყველაფერი ეს იმ პატრიარქალურ თუ მასკულინურ სიბრტყეში ანალიზდება, რომელიც კოლექტიური მოქმედებების დროს ქალთა წვდომას საჯარო სივრცეზე, მათი მხრიდან აზრის გამოხატვას თუ პოზიციონირებას იმ ძალაუფლებრივ სტრუქტურებს უქვემდებარებს, რომელიც თავადვე განაპირობებს გენდერულ როლებს თუ პატრიარქალურ წესრიგს. სწორედ აქედან გამომდინარეობს კვლევის შეზღუდვაც, რომელიც თავიდანვე უნდა იქნეს გააზრებული და გათვალისწინებული. კერძოდ, კვლევის პროცესში ვერ მოხდა პატრიარქატის მონოცენტრული სიბრტყის დეკონსტრუქცია და იმ ტენდენციების მხილება, რომელიც საჯარო სივრცეში მოღვაწე და წინააღმდეგობის კოლექტიურ მოქმედებებში ჩართულ ქალებს გენდრულად ანეიტრალებდა, მათ წუხილს მამაკაცების წუხილს უახლოებდა და გენდერული მახასიათებლების ნორმალზების მიზნით, წინააღმდეგობის პოლიტიკაში ჩართულ ქალებს აცლიდა „ზედმეტ“ ფემინურობას თუ სექსუალობას, რათა მათი აქტივობა უფრო მეტად მისაღები ყოფილიყო საზოგადოების გენდერულად სენსიტიური რეცეპტორებისთვის. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუებისას კითხვის დასმა ქალთა როლზე, მათ ჩართულობასა თუ კონტრიბუციაზე

კოლექტიური წინააღმდეგობის პოლიტიკაში ყოველთვის უხერხულ შეშმუშვნას იწვევდა მამაკაც რესპონდენტებში და ისინი მხოლოდ ფორმალური პასუხებით შემოიფარგლებოდნენ, რომელიც უმეტესწილად პასუხობდა თანამედროვე სამყაროში დაწესებულ პოლიტკორექტურობის დირექტივებს თუ დომინანტურ პოლიტიკურ ორიენტაციას გენდერული თანასწორობის შესახებ, სადაც ხაზს უსვამდნენ ქალთა მაღალ მონაწილეობას თუ ქალთა მაღალი მონაწილეობისთვის არსებულ შესაძლებლობებს ინტერვიუების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ჯეიმს სკოტი ამ სახის კომუნიკაციას თუ პასუხს „საჯარო ტრანსკრიპტის“ სახელით მოიხსენიებს, რაც გულისხმობს პასუხების წინდაწინ დასწავლული მოდელების სიმულირებულ გამოყენებას. გენდერული ბალანსის, ქალთა პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობისა თუ მათი სპეციფიკური საჭიროების შესახებ ფორმალურად არსებული დისკურსი იმდენად მაღალია საზოგადოებრივ სფეროში, რომ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების უმეტესობას აქვს ამ მოდელებზე წვდომისა და პოლიტკორექტულობის დაცვის შესაძლებლობა, თუმცა სკოტი აღნიშნავს, რომ მსგავსი მოდელები სინამდვილეში პირადი კონტრავერსული დამოკიდებულების დასაფარავად გამოიყენება და სწორედ ამიტომაც არის ისინი ასეთი შაბლონური, „საჯარო ტრანსკრიპტების“ პირდაპირი გამეორება. ინტერვიუირებისას ამ სახის კორდონების გარღვევა და მის მიღმა არსებული პირადი მოსაზრებების მოსმენა მკვლევრისთვის ჩვეულ გამოწვევას წარმოადგენს, რაც რესპონდენტებთან ხანგრძლივი, სისტემური და ნდობაზე დაფუძნებული კავშირის შედეგად თუ მიიღწევა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საკითხის გენდერულ ჭრილში გაანალიზებისა და მისი სისტემური დეკონსტრუქციის შესახებ ამბიცია მოცემულ კვლევას არ გააჩნია.

თამუნა ქებურია
ლელა რეხვიაშვილი

დანართი 1

2010-2016 წლებში გამოვლენილი მშრომელთა ორგანიზებული კოლექ-ტიური მოქმედების შემთხვევების 19 შემთხვევა, საიდანაც 3 მათგანი ვერ რეალიზდა, ხოლო 10 მათგანი შეირჩა შეირჩა კვლევისთვის.

#	წელი	გამოვლენილი შემთხვევა / საწარმო	კოლექტიური მოქმედების ადგილი	გაფიცვის ხანგრძლივობა
1	2010 წელი	ფერო-შენადნობთა ქარხანა – შპს „ჯორჯიან მანგანეზი“	ზესტაფონი	3 დღე
2		თბილისის მეტროს მემანქანეთა განყოფილება	თბილისის მეტრო	ვერ შედგა
3	2011 წელი	მეტალურგიული ქარხანა „ჰერკულესი“	ქუთაისი	3 დღე
4	2012 წელი	ჭიათურის მაღაროები ქარხანა-ფაბრიკები – ჯორჯიან ემერიქენ ელოიზი	ჭიათურა	24 დღე
5		ფერო-შენადნობთა ქარხანა – შპს „ჯორჯიან მანგანეზი“	ზესტაფონი	2 დღე
6		საქართველოს რკინიგზა	საქართველოს მაშტაბით	2 საათიანი
7		ქვანახშრის მოპოვებითი საწარმო – „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“	ტყიბული	3 დღე
8			ბროწეულა	1 დღე
9	2013 წელი	ფერო-შენადნობთა ქარხანა – შპს „ჯორჯიან მანგანეზი“	ზესტაფონის	14 დღე
10		საქართველოს რკინიგზა	დასავლეთ საქართველო, თბილისი	1 დღე
11		სპილენძისა და ოქროს მადნის გადამამუშავებელი საწარმოები „არემჯი გოლდი“ და „არემჯი კოპერი“	კაზრეთი	9 დღე

12	2014 წელი	წამოიწყო #1 ცენტრალურმა გამამდიდრებელმა ქარხანამ და აყვნენ ჯორჯიან ემერიქენ ელოიზის სხვა საწარმო-მაღაროებიც	ჭიათურა	14 დღე
13		სპილენძისა და ოქროს მადნის გადამამუშავებელი საწარმოები „არემჯი გოლდი“ და „არემჯი კოპერი“	კაზრეთის	41 დღე
14		საქართველოს რკინიგზა	აღმოსავლეთ საქართველო, თბილისი	9 დღე
15	2016 წელი	ქსანის მინის ტარის ქარხანა	ქსანი	29 დღიანი
16		თბილისის მეტროს მემანქანეთა განყოფილება	თბილისის მეტრო	ვერ შედგა
17		ქვანახშრის მოპოვებითი საწარმო – „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“	ტყიბული	14 დღიანი
18		საქართველოს რკინიგზის ქვეშ არსებული „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“	ზვარე	საშუალოდ ჯამში 10 დღე
19		ფერო-შენადნობთა ქარხანა – შპს „ჯორჯიან მანგანეზი“	ზესტაფონი	ვერ შედგა

დანართი 2

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 35 ადამიანი: 15 ადამიანი ჩაღრმავებული პირისპირ ინტერვიუს გზით, 20-მა ადამიანმა კი კვლევაში ჯგუფური ინტერვიუების სახით მიიღო მონაწილეობა. ინტერვიუები ჯამში 7 სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში ჩატარდა.

საკვლევი შემთხვევა/საწარმო	რესპოდენტი	ინდივიდუალური/ ჯგუფური
1. ქუთაისის მეტალურგიული საამქრო	5	2 ჯგ. 1 ინდ.
2. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	5	1 ჯგ. 3 ინდ.
3. ქვანახშირის მოპოვებით-გადამამუშავებელი საწარმო ტყიბულში	5	1 ჯგ. 1 ინდ.
4. მანგანუმის მოპოვებით-გადამამუშავებელი საწარმო ჭიათურაში	5	1 ჯგ. 3 ინდ.
5. ოქროსა და სპილენძის მოპოვება-გადამუშავებითი საწარმო კაზრეთში	2	2 ინდ.
6. საქართველოს რკინიგზა	6	1 ჯგ. 4 ინდ.
7. მინის ტარის ქარხანა ქსანში	5	1 ჯგ. 1 ინდ.
8. თბილისის მეტრო	2	1 ჯგ.
სულ	35	8 ჯგ. 15 ინდ.

რესპოდენტი	სტატუსი	სქესი	ინტერვიუს ჩატარების ადგილი
რესპოდენტი #1	ქუთაისის მეტალურგიული საამქროს ყოფილი თანამშრომელი, იმერეთის მეტალურგიული პროფკავშირების დამფუძვნებელი	მამრ	ქუთაისი
რესპოდენტი #2	ქუთაისის მეტალურგიული საამქროს ყოფილი თანამშრომელი, იმერეთის მეტალურგიული პროფავშირების კომიტეტის წევრი	მამრ	ქუთაისი
რესპოდენტი #3	ქუთაისის მეტალურგიული საამქროს ყოფილი თანამშრომელი, იმერეთის მეტალურგიული პროფავშირების რიგითი წევრი	მამრ	ქუთაისი
რესპოდენტი #4	ქუთაისის მეტალურგიული საამქროს ყოფილი თანამშრომელი	მამრ	ქუთაისი
რესპოდენტი #5	ქუთაისის მეტალურგიული საამქროს ყოფილი თანამშრომელი, იმერეთის მეტალურგიული პროფკავშირების რიგითი წევრი	მამრ	ქუთაისი
რესპოდენტი #6	ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოს მშრომელი, პირველადი პროფესიული კავშირების კომიტეტის წევრი	მამრ	ზესტაფონი
რესპოდენტი #7	ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოს მშრომელი, პირველადი პროფესიული კავშირების კომიტეტის წევრი	მამრ	ზესტაფონი
რესპოდენტი #8	ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშრომელი, პირველადი პროფკავშირების დამფუძვნებელი	მამრ	ზესტაფონი
რესპოდენტი #9	ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ყოფილი თანამშრომელი, ფეროშენადნობთა ქარხნის პირველადი პროფკავშირის თავჯდომარე	მამრ	ზესტაფონი

რესპოდენტი #10	ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ყოფილი თანამშრომელი, პირველადი პროფკავშრების დამფუძვნებელი და კომიტეტის წევრი	მამრ	ზესტაფონი
რესპოდენტი #11	ტყიბულის შახტის მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრი	მამრ	ტყიბული
რესპოდენტი #12	ტყიბულის შახტის მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის დამფუძვნებელი	მამრ	ტყიბული
რესპოდენტი #13	ტყიბულის შახტის მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრი	მამრ	ტყიბული
რესპოდენტი #14	ტყიბულის შახტის მშრომელი	მამრ	ტყიბული
რესპოდენტი #15	ტყიბულის შახტის მშრომელი, ტყიბულის პირველადი პროფკავშირის წევრი	მამრ	ტყიბული
რესპოდენტი #16	ჭიათურის მაღაროს მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრი	მამრ	ჭიათურა
რესპოდენტი #17	ჭიათურის მაღაროს მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის დამფუძვნებელი	მამრ	ჭიათურა
რესპოდენტი #18	ჭიათურის საწარმოს მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავჯდომარე	მამრ	ჭიათურა
რესპოდენტი #19	ჭიათურის საბაგირო მომსახურების თანამშრომელი, პირველადი პროფკავშრული ორგანიზაციის კომიტეტის წევრი	მდედრ	ჭიათურა
რესპოდენტი #20	ჭიათურის შახტის მშრომელი, პირველადი პროფკავშირების როგოთი წევრი	მდედრ	ჭიათურა
რესპოდენტი #21	კაზრეთში „არემჯი გოლდის" საწარმოს მშრომელი	მამრ	კაზრეთი
რესპოდენტი #22	კაზრეთის ადგილობრივი მცხოვრები, „არემჯი გოლდის" ყოფილი თანაშრომელი	მდედრ	კაზრეთი
რესპოდენტი #23	რკინიგზის თანამშრომელი, რკინიგზის მემანქანეების პროფკავშირების ყოფილი თავჯდომარე და რკინიგზელებთა ახალი პროფკავშრების კომიტეტის წევრი	მამრ	თბილისი

რესპოდენტი #24	რკინიგზის თანამშრომელი, რკინიგზელებთა ახალი პროფკავშირების თავჯდომარე	მამრ	თბილისი
რესპოდენტი #25	რკინიგზის თანამშრომელი, რკინიგზელებთა ახალი პროფკავშრების კომიტეტის წევრი	მამრ	თბილისი
რესპოდენტი #26	რკინიგზის მემანქანე, ელ. დეპოს პირველადი პროფკავშირების თავჯდომარე	მამრ	თბილისი
რესპოდენტი #27	რკინიგზის ელექტრიკი, რკინიგზელებთა ახალი პროფკავშრების წევრი	მამრ	თბილისი
რესპოდენტი #28	რკინიგზის თანამშრომელი, რკინიგზელებთა ახალი პროფკავშრების წევრი	მამრ	თბილისი
რესპოდენტი #29	ქსანის მინის ტარის ქარხანის მშრომელი, პირველადი პროფკავშირების თავჯდომარე	მამრ	ქსანი
რესპოდენტი #30	ქსანის მინის ტარის ქარხანის მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრი	მამრ	ქსანი
რესპოდენტი #31	ქსანის მინის ტარის ქარხანის მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრი	მდედრ	ქსანი
რესპოდენტი #32	ქსანის მინის ტარის ქარხანის მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის რიგითი წევრი	მამრ	ქსანი
რესპოდენტი #33	ქსანის მინის ტარის ქარხანის მშრომელი, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის რიგითი წევრი	მდედრ	ქსანი
რესპოდენტი #34	თბილისის მეტროს მემანქანე, მემანქანეთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე	მამრ	თბილისი
რესპოდენტი #35	თბილისის მეტროს მემანქანე, მემანქანეთა დამოუკიდებელი პროფკავშირის კომიტეტის წევრი	მამრ	თბილისი

დანართი 3

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 55 ადამიანი: 34 ადამიანი ჩაღრმავებული პირისპირ ინტერვიუს გზით, 21-მა კი კვლევაში ჯგუფური ინტერვიუების სახით მიიღო მონაწილეობა. ინტერვიუები ჯამში 13 სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში ჩატარდა.

საკვლევი შემთხვევა	რესპონდენტი	ინტერვიუ
ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი	19	3 ჯგ. 10 ინდ.
წიაღისეული მადნის მოპოვებით გამოწვეული დაბინძურების წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი	23	3 ჯგ. 11 ინდ.
ურბანული მემკვიდრეობისა და კულტურული გარემოს ხელყოფის წინააღმდეგ გაჩენილი სოციალური პროტესტი	7	7 ინდ.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დასაცავად გაჩენილი სოციალური პროტესტი (საყდრისი-ყაჩაღიანის შემთხვევის ანალიზი)	6	6 ინდ.
სულ	55	6 ჯგ. 34 ინდ.

რესპონდენტი	სტატუსი	სქესი	ინტერვიუს ადგილი
რესპონდენტი #1	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალაქ თბილისიდან	მამრ.	თბილისი
რესპონდენტი #2	სოფელ ჭუბერის მცხოვრები	მამრ.	ჭუბერი
რესპონდენტი #3	სოფელ ჭუბერის მცხოვრები	მდედრ.	ჭუბერი
რესპონდენტი #4	სოფელ ჭუბერის მცხოვრები	მამრ.	ჭუბერი
რესპონდენტი #5	სოფელ ჭუბერის მცხოვრები	მდედრ.	ჭუბერი
რესპონდენტი #6	ქალაქ მესტიის მცხოვრები	მდედრ.	მესტია
რესპონდენტი #7	ქალაქ მესტიის მცხოვრები	მამრ.	მესტია
რესპონდენტი #8	სოფელ სტეფანწმინდის მცხოვრები	მამრ.	თბილისი
რესპონდენტი #9	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ყაზბეგიდან	მამრ.	თბილისი
რესპონდენტი #10	დაბა ფასანაურის მცხოვრები	მამრ.	დისტანციური ვიდეოინტერვიუ თბილისიდან ფასანაურში
ჯგუფური ინტერვიუ I- რესპონდენტი (#11-14)	სოფელ ნაკრის მცხოვრებლები	მამრ., მამრ., მამ., მამრ.	ნაკრა
ჯგუფური ინტერვიუ II რესპონდენტი (#15-16)	სოფელ ხაიშის მცხოვრებლები	მდედრ. მამრ.	ხაიში
ჯგუფური ინტერვიუ III რესპონდენტი (#17-19)	ქალაქ მესტიის მცხოვრებლები	მდედრ. მამრ.	მესტია
რესპონდენტი #20	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ჭიათურიდან	მამრ.	ჭიათურა
რესპონდენტი #21	სოფელ ახალი დარკვეთის მცხოვრები	მდედრ.	ახალი დარკვეთი
რესპონდენტი #22	სოფელ დარკვეთის მცხოვრები	მდედრ.	დარკვეთი
რესპონდენტი #23	სოფელ ქვედა ითხვისის მცხოვრები	მდედრ.	ქვედა ითხვისი

რესპონდენტი #24	სოფელ რგანი 2-ის მცხოვრები	მდედრ.	რგანი 2
რესპონდენტი #25	ქალაქ ტყიბულის მცხოვრები	მამრ.	ტყიბული
რესპონდენტი #26	ქალაქ ტყიბულის მცხოვრები	მდედრ.	ტყიბული
რესპონდენტი #27	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალაქ თბილისიდან	მდედრ.	თბილისი
რესპონდენტი #28	„ძეგლის მეგობრისა“ და „მწვანე მუშტის“ ყოფილი აქტივისტი	მდედრ.	თბილისი
რესპონდენტი #29	ქალაქ მესტიის მცხოვრები	მამრ.	მესტია
რესპონდენტი #30	ქალაქ მესტიის მცხოვრები	მამრ.	მესტია
ჯგუფური ინტერვიუ IV (#31-32)	სოფელ ძველი დარკვეთის მცხოვრებლი		ძველი დარკვეთი
ჯგუფური ინტერვიუ V (#33-37)	ქალაქ ტყიბულის მცხოვრებლი	მამაკაცებისა და ქალების არაორგანიზებული ჯგუფი	ტყიბული
ჯგუფური ინტერვიუ VI (#38-42)	სოფელ იელის მცხოვრბლი	მამაკაცების არაორგანიზებული ჯგუფი	იელი
რესპონდენტი # 43	„საზოგადოება ბათომის“ წევრი	მდედრ.	ბათუმი
რესპონდენტი # 44	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალაქ ბათუმიდან	მდედრ.	ბათუმი
რესპონდენტი # 45	„საზოგადოება ბათომის“ წევრი	მამრ.	ბათუმი
რესპონდენტი # 46	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალაქ თბილისიდან	მამრ.	თბილისი
რესპონდენტი # 47	„საზოგადოება ბათომის“ წევრი	მდედრ.	ბათუმი
რესპონდენტი # 48	ქალაქ ბათუმის მცხოვრები და დამოუკიდებელი აქტივისტი	მამრ.	ბათუმი

რესპონდენტი # 49	„საზოგადოება ბათომის“ წევრი	მამრ.	ბათუმი
რესპონდენტი # 50	ხელოვნებათმცონე და დამოუკიდებელი აქტივისტი	მდედრ.	თბილისი
რესპონდენტი # 51	„მწვანე მუშტის“ ყოფილი აქტივისტი	მამრ.	თბილისი
რესპონდენტი # 52	ქალაქ ბოლნისის მცხოვრები	მდედრ.	კაზრეთი და ბოლნისი
რესპონდენტი # 53	დამოუკიდებელი აქტივისტი	მდედრ.	თბილისი
რესპონდენტი # 54	„ძეგლის მეგობრისა“ და „მწვანე მუშტის“ ყოფილი აქტივისტი	მდედრ.	თბილისი
რესპონდენტი # 55	რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალაქ თბილისიდან	მამრ.	თბილისი